

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

31 მარტი 2006 №7



ჩემი, შენი, ჩვენი იესო
ვის რა ევსემესება
ბრიტანული დეტექტივი
მენიუ აკაკის სახლში
ალა-მაჰმად-ხანის ხალიჩები
კაფე უფსკრულის პირას
შეთქმულების სული და გული
„და ვინჩის კოდი“ სასამართლოში

შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	მადლი ძვირფასებისა
ქვეყანა-ნიტარაქვი	4	მუდმივი მყოფობის დროსა და სივრცეში (საუბარი თამაზ ჩხენკელთან)
ჩვენი ყოფა, წუთისოვანი	6	ოთარ ჩხეიძე ამ 202-ს რაღა ექსამენსება (— SMS —)
	8	ვერჯილ ნემოიანუ ვასნავლოთ ქრისტიანული ჰუმანიზმი
პროზა	11	რეზო გეთიაშვილი კაფე უფსკრულის პირას
პოეზია	16	თამარ ერისთავი მარადისია შრომანი ველის და სხვა ლექსები
	18	ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი ახალი ლექსები
უსწოთის სწოვრაიდან	22	ედუარდ ჰეილი ერთი მოთხრობის ირგვლივ
	24	მარგარეტ დიურა მატარიალური ცხოვრება
ღებუქივი	27	დეშილ ჰემეტი უზრო საქმე
ქულარაბი	33	„და ვინჩის კოდის“ ავტორი სასამართლოს წინაშე
ღაუვიწყარი სახელები	34	გიორგი გიგაური ზვიად გამსახურდია და მარადიული საქართველო
	36	ნოდარ მამაცაშვილი „უზრო ქარავენის“ გზა-სავალზე
პარადოქსები	38	ლუკა ავალიშვილი როგორც პაოლო კოელიო იტყვის...
რეპორტაჟი	39	მესამე ლექსი კარგი არს (უცხოური ეპიგრამის საღამო)
ქრიტიკა	42	თეიმურაზ ტარიელიდან ტრულილამდე
პერსონაჟი და პროტოტიპი	52	ლუკა დვალიშვილი შთქმულების სული და გული
ლიტერატურული სიხლენი	54	როსტომ ჩხეიძე ჩემი, შენი, ჩვენი იესო
ნაკვეთი	57	მანვილსიტყვაობის ნიშნები
უსწორი ნოველა	59	აჰმად არაბლუ ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი
მოზაიკა	62	ქართველი ნეფე და ამერიკელი პატარქალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბაჟილია საბაჟო „ომეგა ტეგი“
საბაჟო, თბილისი, საჯაროებო 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: მოცეკვავე შივა. სამხრეთ ინდოეთი. XI-XII საუკუნეები.

სპასკი - ფიშერის მატჩი კარიკატურისტის თვალთ

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 14 აპრილს

მადლი ქვიშხეთისა

„ჯერ მდებარეობით გაუნებებრებია ეს სოფელი ღმერთს – აქ არის იმერეთის, ქართლისა და სამხრეთ საქართველოს თავშესაყარი. იგი, ერთგვარად, აკავშირებს ქვეყნის აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ მხარეებს და ამით თითქოს მთელი საქართველოს სიმბოლოდ ქცეულა“.

ეს პასაჟი ვახტანგ ჭელიძის იმ მემუარული ყაიდის თხზულებიდანაა, დიმიტრი ყიფიანის მშობლიური სოფლის თავისებურ აპოლოგიადაც რომ წარმოგვიდგება და სათაურიც ამიტომ მიგვანიშნებს იმ უღრმეს ინტიმურობას, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლასთან რომ გათანაბრებულა: „ქვიშხეთი, ჩვენი ქვიშხეთი...“

თითქოს მთელი საქართველოს სიმბოლოდაც რომ ქცეულა, მწერალი ამის ხელშესახებ დადასტურებას პოულობს აქაურ მკვიდრთა ხასიათსა და კილოკავში:

„იქნებ ბევრგან, ბევრ სოფელში მოისმინო ამაზე უფრო მდიდარი და ნმინდა ქართული, მაგრამ ის სანატრელი სურნელი, რაც აქაურ მეტყველებას ახლავს, განუმეორებელია; აქ თითქოს ერთმანეთს შერწყმია დარბაისლური ქართლური, ვაჟკაცური დინჯი მესხური... და ღიმილისმომგვრელად საამური ზემოიქმერული კილოები...“

ეს დაკვირვება შეუძლებელია უცთომელი რომ არ იყოს, და დიალექტოლოგთათვისაც გასათვალისწინებელი.

ვახტანგ ჭელიძეს ყოველთვის სჩვეოდა განსაკუთრებული დაკვირვება ამა თუ იმ კუთხისა და სოფლის მეტყველებაზე, თითქოს ენათმეცნიერია, სულაც დიალექტოლოგი. მთელი საქართველო შემოევლო და იშვიათი იუმორისა და სიმახვილის, ფსიქოლოგიური უნარის წყალობით ადვილად პოულობდა საბაზს ადამიანებთან გამოსალაპარაკებლად და ყოველთვის არკვევდა ამა თუ იმ ტოპონიმის წარმომავლობას, იქაურ გადმოცემებსა თუ ენობრივ თავისებურებებს. მათ მეტყველებაშიც ეძებდა იშვიათობად ქცეულ სიტყვებს, უკვირდებოდა ფრაზის აგებულების სხვადასხვაობებს და უპირველესად მაინც ყველგან და ყოველთვის ენის შინაგან მუსიკალურობას ჩასდევდა, იმას აყურადებდა, ენის ამ მთავარ საყრდენს, მტკიცესა და უხილავს, იდუმალსა და განუმეორებელს.

ამიტომ ამჯერადაც სხვის მოსაზრებას კი არ იმეორებს, თვითონვე აგნებს ქვიშხეთური კილოს ნიშანდობლივ სპეციფიკას და აქაურთა მეტყველებაში შეუმცდარად გამოარჩევს სხვადასხვა კილოს ნაზავს თავთავისი ნიუანსებით.

ეს გარემო მხოლოდ დიმიტრი ყიფიანს არ შთააგონებდა. სტუმრებისთვისაც არანაკლებ გულისშემძვრელი გამოდგებოდა ხოლმე.

აქაურობას სტუმარი არ მოაკლდებოდა.

ზემო სართულის აივანზე დიდი ღურბინდი იდგაო, – მემუარებში გაიხსენებს იაკობ მანსვეტაშვილი, ვინც აქ პირველად დიმიტრი ყიფიანის ვაჟის, კოტეს, მიწვევით მოხვედრილა. ის იტყობდა: ეს ღურბინდი მამაჩემმა პარიზში ყოფნისას

შეიძინა და, როგორც კი ქვიშხეთში ამოვიდოდა, ძალიან უყვარდა აქედან გახედვას:

„... და რა დაინახავდა ვისმე, კარგა შორს მანძილზე იმის სახლისკენ მომავალს, მაშინვე პურადი მასპინძელი განკარგულებას გასცემდა, რომ სამზადისს შესდგომოდნენ სტუმრის პატივით დასახვედრად“.

სხვათა შორის, ქვიშხეთში, სუმბათაშვილების სასახლეში წერდა სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისას“. და იგი აღმოჩნდებოდა შორეული წინამორბედი იმ მწერლებისა, რომლებიც ყიფიანების სასახლეში ანდა ახლომახლო სახლებში დაიდებდნენ ბინას თბილისურ ბულსა და სიცხეს გამოირდებულნი, და ან აქვე აგრძელებდნენ თუ ამთავრებდნენ დიდტიანის თხზულებებსაც კი, ან ისე იმუხტებოდნენ შემოქმედებითად, ერთი შეტევადა სჭირდებოდათ დედაქალაქში დაბრუნებულებს. თითქოს აქაური დღეები თბილისურ თვეებს გასტოლებიაო.

ვთქვათ, გერონტი ქიქოძე საგანგებოდ შემოინახავდა ალფონს დოდეს ნოველების კრებულს – „წერილები ჩემი წისქვილიდან“ – ქვიშხეთისათვის, რათა ერთი ჩაჯდომით მოეთავებინა ეს გარეგნულად საკმაოდ იოლი, მაგრამ სინამდვილეში ძნელად სათარგმნელი წიგნი თავისი იშვიათი სისადავის გამო. და მის უმცროს თანამოკალმეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: თითქოს ახლავს კიდევ დოდეს დიდებული მოთხრობების ქართულ თარგმანს ამ სოფლის განუმეორებელი რომანტიკა, მისი ეშხი და მადლიო.

დაკვირვებული და ქვიშხეთური გარემოს კარგად მცნობი თვალის ამ რომანტიკას, ეშხსა და მადლს კიდევ არაერთ თხზულებაში აღმოაჩენს და მემუარული ცნობები მხოლოდ დადასტურებს მათ მიხვედრას, მაგრამ ისე მოხდებოდა, თვითონ ქვიშხეთს შესაფერის ქებას ამდენ მწერალთაგან მხოლოდ ვახტანგ ჭელიძე უძღვნიდა; ოღონდ უძღვნიდა იმ რაკურსიდან, რომ ყველას გულისთქმას გამოხატავდა – „ჩვენი“ თანამედროვე ქართული მწერლობის სახელით ითქვა და არა მხოლოდ ერთი პიროვნებისა.

ბელეტრისტული პასაჟებია სიუჟეტური საყრდენი ამ ქებისა, რომლის მდინარებაშიც ძალდაუტანებლად თანაარსებობენ გვერდიგვერდ თვალსაჩინო შემოქმედნიც და უჩინარი ადამიანებიც, ამ რეალობას ერთად რომ ანიჭებდნენ განუმეორებლობასა და გამოარჩეულ ლაზათს; მომზიბლავ, სახალისო თუ კომიკურ სურათებს კი დრამატული პასაჟები შეიძლება შეენაცვლოს, თუნდაც: ერთ ზაფხულს როგორ არ დასცალდა მიხილ ჯავახიშვილს დაწყებული საჭადრაკო პარტიის დამთავრება.

ცაცხვის სურნელით გაჟღენთილი ეზო განგაშის სუნთქვასაც ინახავდა, არა მხოლოდ შვებისა და გარინდების; და, რა გასაკვირია, დიმიტრი ყიფიანის სამოსახლო მიხილ ჯავახიშვილის ტრაგიკულ ბედისწერასაც გულისხმობდეს – იმ



დიმიტრი ყიფიანი

სულისკვეთების ბუნებრივ გაგრძელებას, ამ ოჯახის თავკაცი პატიმრობით რომ დაინყებდა ცხოვრებას და პატიმრობითვე დაამთავრებდა.

ყოფიანების სასახლე მწერალთა სახლად გადაკეთდებოდა, ღია აივანი შუშაბანდებით შეიცვლებოდა, ცალკეული ოთახები ახლებურად გადაიტვირთებოდა, ფანჯრების თავზე თაღოვანი კამარაც სტანდარტულ ფორმას მიესადაგებოდა... იქვე ჩამდგარი ახალი შენობა და ფანჯრები კიდევ უფრო დაამგვანებდა აქაურობას დასასვენებელ სახლს... მერე უკვე კოტეჯებიც ჩაიდგმოდა და... ამასობაში დადგებოდა ჟამი ყოფიანების სასახლის ძველებური იერით აღდგენისა.

თუ შენობა დიმიტრი ყოფიანის სახლ-მუზეუმად უნდა ქცეულიყო, მამა ზუსტად ის სახე უნდა დაებრუნებინა, რა გარემოშიც გამოველო ამქვეყნიური ცხოვრების ხანა ახალი დროის დიმიტრი თავდადებულს.

სასახლის გეგმა მოიძებნებოდა და გულმოდგინედაც დამუშავდებოდა. და მის კვალობაზე შუშაბანდებიც მოიშლებოდა, ტიხრებიც აიყრებოდა და ერთ ადგილას ის თაღოვანი კამარაც ჩაიდგმოდა, თანდათან ყველა ფანჯარა მას რომ დამგვანებოდა.

ყველაფერი ეს დიდი სიფრთხილითა და სიფაქიზით კეთდებოდა, მწირ საშუალებათა უაღრესი „გამონურვით“, ისტორიისა და ესთეტიზმის შეგრძნებით, იმ მიზანმიმართული სწრაფვით, რის გარეშეც დარჩენილა სუმბათაშვილების სასახლე.

იმის აღდგენას გაცილებით მეტი ენერგია და ხარჯი დასჭირდება, და იქნებ ესეც არ შენარჩუნებულყო, იქ ბიბლიოთეკას რომ არ დაედო ბინა.

კარის ეკლესია სულაც ელექტროფიზურად გადაკეთებინათ და ცდილობდნენ მისი ხსოვნის ყოველგვარი კვალი წაეშალათ, თუმც კარის თავზე მაინც გადარჩებოდა ჯვრის ტიფიფარი; აი, ის ადგილი კი ღია ცის ქვეშ მოექცეოდა, საკურთხეველი სადაც განესაზღვრათ აქაურობის ბატონ-პატრონებს. სულიერ მამათა გარდა იქ შესვლის უფლება არავის ჰქონდა, ახლა კი ცხვარსა და ძროხასაც ამოვებდნენ ზედ ამოზიზინებულ ბალახზე.

მოშორებით, გორაკის თავზე კოშკის ნანგრევი რომ მოჩანს, თურმე აქედან გადიოდა გვირაბი კოშკამდე, და თუ ისიც ამოივსებოდა და მეხსიერებაშიც გაიცრიცებოდა გვირაბის არსებობა, მაძიებელი ადამიანები კვალსაც მიაგნებდნენ და აღდგენასაც ჩაითქვამდნენ.

თამაზ ლაცაბიძე სწორედ ასეთ მაძიებელთაგანია და მისი მეგზურობით მთელი ამ არემარის მოვლა, რომლის ერთი კოლორიტული წერტილიც ქვიშხეთია, ამიტომაცაა ასე დასამახსოვრებელი.

თითო ასეთი კაცი ყველგან გულება – მცხეთაშიც, გორშიც, ქუთაისშიც, ბორჯომშიც, ახალციხესა და ახალქალაქშიც, თელავშიც, ყაზბეგშიც, სიღნაღშიც, დუშეთშიც, ბათუმშიც... თბილისის კუთხე-კუნჭულის საუკეთესო მცოდნესაც ვიცნობ... ზოგიც მისაგნები მყავს, მინის ყოველი გოჯის ისტორია საკუთარი ხელის თითბევით რომ მოესხენება.

თამაზსაც, სხვა ცოცხალი მემატიანეებით, ბევრი რამ ზეპირგადმოცემებით შეუგროვებია, ბევრიც თვითონვე უკვლევია, საისტორიო ქრონიკებიც უჩხრეკია და

დასაზუსტებელიც დაუზუსტებია. და ისე სახიერად, ისეთი ძალდაუტანებლობითა და სისავსით წარმოსახავს მთელი მხარის ისტორიულ პერსპექტივას, თითქოს ასევე იოლად გადმოსცემოდეს.

ამგვარ მემატიანეთა ადგილიც შეუცვლელია. აუცილებლად უნდა გამოჩნდეს ვინმე, ვინც ახალ მატინეს შექმნის, წინამორბედისასაც შეინარჩუნებს და თავისი მხრივაც შეავსებს და გააღრმავებს. ეს ხომ ის სამყაროა, რომლის შევსებაც არასოდეს დასრულდება. და ესეც ცხოვრების კანონზომიერებაა, ეს უმნიშვნელოვანესი ადგილიც – მინის ყოველი გოჯის მცნობთა – რომ არასდროს არ დარჩება ცარიელი.

სუმბათაშვილთა სასახლიდან კი ერთი წვერი რუსეთში გადაკარგულიყო, თუმც თვითონ გადაკარგვად სულაც არ ესახებოდა და თვალსაჩინო სახელიც დაეგდო, როგორც მსახიობს. იქაურ თეატრებში ეპოვნა ასპარეზი ალექსანდრე იუჟინს და ქართულად ლაპარაკს ძალიან ერიდებოდა – რუსული თეატრის მსახიობი ვარ და ქართულ მეტყველება დიქციას წამიხდენსო. მაგრამ ამ ძე შეცთობილის ცხოვრებაშიც უნდა დამდგარიყო ჟამი, როდესაც ნოსტალგია ძლიერად დაჩრედა ხელს და ტრაგედიას – „ლალატი“ – რომ შექმნიდა საქართველოს ბედისწერის თემაზე, აკაკი წერეთელს ათქმევინებდა: ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინმა „ლალატი“ ლალატი ჩამოირეცხაო.

დიდებული ხედი გადაგეშლებათ აქედანაც, თუმც ეს სახანაობა ყოფიანების სასახლიდან თვალმოვლებულ არემარეს ოდნავ მაინც ჩამოუვარდება, ის ადგილმდებარეობა კიდევ სხვაა, სივრცის უსაზღვროებით შეგრძნებით ილია ჭავჭავაძის სასახლეს რომ გაგახსენებს საგურამოში და აკაკი წერეთლისას სხვიტორში. კიდევ რომელს? კიდევ... ერისთავების სამოსახლოს კარალეთში და ქილაშვილებისას დუშეთში, დიმიტრი ყოფიანის მოყვრებისა, ადგილის შერჩევის ხელოვნებით ყოფიანებსაც და სხვა წარჩინებულთაც რომ უტოლდებოდნენ.

ბელეტრისტული ჩანართებია სიუჟეტური საყრდენი ვახტანგ ჭელიძის ნარკვევისაო...

ახალწლის დღეებში ყველაზე შთამბეჭდავ მოგონებად ქვიშხეთი ამოდიოდა მის წარმოსახვაში და ზუსტი დეტალებით ისე ხელშესახებდად შეგაგრძნობინებდა მის თავისებურ სიმბოლურობასა და მადლს, თითქოს თვალდათვალ შეჰყურებდეს, ჯერ როგორ ბუნდოვნად მოიხაზება ბურუნში გახვეულ ჰორიზონტზე ლიხის ქვემო კალთაზე შეფენილი ეს სოფელი, და როგორ სულ უფრო და უფრო იზრდება. და შენ კი არ უახლოვდები, ის მორბის შენსკენ, მკლავები ფართოდ გა-

უშლია და გიცინის, თითქოს გულში ჩაკვრას გიპირებდეს, თანდათან გამოიკვეთება ყველა სახლი და ამ სახლებიდან ლურჯად ამომავალი კვამლი.

ქვიშხეთი ქვეყნად ერთიაო, – მხოლოდ ასე თუ დამთავრდებოდა ამ სოფლისადმი აღვლენილი დითირამბი, და რაფიელ ერისთავის ქრესტომათიულ სტრიქონებთან შეხმიანებით სწორედ ეს სიმბოლურობა იკვეთება კიდევ ერთხელ, უამრავ მხატვრულ ქმნილებაში ჩაბნეული იდუმალად, სტრიქონებს შორის ნაგულისხმევი... და ქებათა ქება განა მასაც არ უნდა რეგებოდა?..

სამშაბათს, 4 აპრილს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
რეზო ესაძის
ზაპირი მოთხრობების
სალამო
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

მუღივი მყოფობის დროსა და სივრცეში

*

საუბარი
თამაზ ჩხენკელთან



კალანდაძის ლექსები ლიტერატურულ გაზეთში, რომელსაც გიორგი ნატროშვილი რედაქტორობდა. ჯერ 10-12 ლექსი გამოჩნდა, შემდეგ ცოტა მეტი „მნათობის“ ზაფხულის ნომერში. გასაოცარი ამბავი მოხდა. ხალხი აღტაცებული დადიოდა. ეს არ ჰგავდა არაფერს, რაც იმ დროს იბეჭდებოდა. ამოვარდნილი იყო საერთო სურათიდან, თუ არ ჩავთვლით სიმონ ჩიქოვანის

1944 წელს გამოცემულ წიგნს „ჩემი მამული“. შესანიშნავი წიგნია! წარმოუდგენელი რამ იყო იმ ფონზე, რაც საერთოდ ხდებოდა.

მე ვერ მოვასწარი იმ ნაკადში მოხვედრა, გასვლა. 46-ის შემოდგომაზე დაიბლოკა ეროვნული პოეზია. მე კი მერე და მერე დავწერე ლექსები... ვერ ვბეჭდავდი. 51-ში მიცკევიჩის სონეტები ვთარგმნე და იმის დაბეჭდვაც კი გაჭირდა. არჩილ სულაკაურმა უთხრა ნიკო კეცხოველს, „პირველ სხივში“ რომ დაბეჭდილიყო და იმან: ვიცი, ვიცი, რატომაც მოგწონთ ეს ლექსებიო, – და ბოლოს მაინც დართო ნება. ნკიპზე იყო ამის გამოქვეყნებაც.

ენების დიდ მცოდნედ ვერ ჩავითვლებოდი. კი, უნივერსიტეტში სპარსულზე ვიყავი, ინგლისურსაც ვსწავლობდი ჯერ ვახტანგ ჭელიძესთან სასახლეში, შემდეგ ნიკო ყიასაშვილთან და რალაც ვიცოდი, მაგრამ მე შევარჩიე ისეთი რამ, სადაც პრიმატული არ იყო ენის ცოდნა. მაგალითად, „ბჭავაძეგიტა“, რომელიც დაწერილია სანსკრიტზე. ვინ იცის სანსკრიტი? სხვათა შორის, ლიპმანმა იცოდა – ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველი იყო. აი, მისი ჰობი ყოფილა სანსკრიტი და ინდური ფილოსოფია. . .

– თქვენს გატაცებადაც იგივე იქცა და გადწყვიტე ინდური შედეგები გეთარგმნათ? როგორ მოიძიეთ? ვინ დაგაკვლიანათ?

– სხვათა შორის, ერთხელ „პირველ სხივში“ დავბეჭდე, ვინ უნდა თარგმნილიყო ქართულად, რომელი ავტორები და უცხოელების შემდეგ, ბოლოში მოვაქციე რუსები. ბესო ჟღენტმა, ეს რა ქნა თამაზ ჩხენკელმაო... ჩემს ლექსებზე კი ასე თქვა, სად დაიბადა ამათი ავტორი, საბჭოთა საქართველოშიო?!

არადა, პოეზია მიყვარდა! ძალიან მიყვარდა!

ავდექი და ამერიკელი პოეტები ვთარგმნე პირველად. უიტმენი მიყვარდა განსაკუთრებით, ძალიან მიყვარდა. ტორომ შენიშნა პირველად, რომ უიტმენის სამყარო და ინდური აზრი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მართლაც, ამ ორ დამორბეულ სამყაროებს შორის ძალიან დიდი შინაგანი კავშირი არსებობდა.

1961 წელს იყო თაგორის 100 წლისთავი. გიორგი ახვლედიანს სთხოვეს დაენერა რამე. უარი თქვა. მაშინ უთხრეს, არის ერთი კაცი და ის დაწერსო. ვინ არის, მოვიდესო. მცხვებით ერთმანეთს. მე ვუთხარე, თაგორის პროზა არ არის მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული „გიტანჯალია“-მეთქი. დაწერე და მოიტანეო. მივუტანე. წაიკითხა და ძალიან მოეწონა.საუბარი ფართოდ გავშალე. მთელი მიმოხილვა იყო. 60 გვერდი მივუტანე.

მერე რა იყო?

1956 წელს გამოვიდა სმირნოვის თარგმნილი „ბჭავაძეგიტას“ 700 შლოკა. თენგიზ ზალდასტანიშვილმა მითხრა მე

– ბატონო თამაზ, წელს გამოცემულ წიგნში, რომელსაც „ინდური ლოტოსი“ ჰქვია, ყველაფერია თავმოყრილი, რაც ამ სფეროში გითარგმნათ – თაგორი, „ბჭავაძეგიტა“, ახალი ინდოეთის მოაზროვნეები... როგორ მოხდა თქვენი ინდური ლიტერატურით დაინტერესება? როგორ აღმოჩნდით ამ სამყაროში? და ახლა, როცა ხელთ გაქვთ ეს წიგნი, საერთოდ პოეტურ თარგმანზე რას იტყვი?

– რას ნიშნავს თარგმნა ფართო გაგებით?! არ არის თარგმნა? თარგმნა არის რალაცის შეცნობა, სხვათა სამყაროებში შეღწევა...

მე თავიდან პოეტი ვიყავი.

1946 წელი იდგა. შემოდგომა. მაშინ დავასრულე ერთი დიდი პოემა – „ქართული ლეგენდა“, მაგრამ რა მოხდა?... კრემლის იდეოლოგებმა მიიღეს რალაც დადგენილება. მაშინ გაიკიცხა ანა ახმატოვა და მიხაილ ზოშჩენკო... მოკლედ, თავისუფლება შეიზღუდა. განსაკუთრებით კი არ უნდა გამჟღავნებულიყო ეროვნული სულისკვეთება.

მანამდე, ომის დამთავრებამდე და მერეც, ცოტა ხანს შედარებით თავისუფლება იყო. ისევე, როგორც 30 წლამდე, რასაც ერქვა კიდევაც საბჭოთა კავშირში პრესის შედარებითი თავისუფლების დრო. ისიც შეჩერდა 31 წ.-ში აპრილის რალაც დადგენილების გამო.

სხვათა შორის, საინტერესო რამეა... რა იყო მაშინდელი სიმბოლისტების პოეზია? კაცმა რომ თქვას, რა პოეზია იყო?! ეს იყო მიბაძვა, ეს იყო ერთგვარი აბსორბცია რუსულ-ფრანგული სიმბოლიზმისა. იყო ასეთი ნაკადი პოეზიაში. რალაც უგემური ნაზავი გამოდიოდა.

24 წელმა კი დიდი გარდატეხა მოახდინა. მაშინ ძალიან ბევრი ქართველი დახვრიტეს, საუკეთესო ხალხი ჩახოცეს და სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის საუკეთესო ლექსები. მაშინ, და არა მანამდე! ამ იმპულსით დაინერა გამსახურდიას „დიონისოს ღიმლი“, რობაქიძის „გველის პერანგი“, შენგელაიას „სანავარდო“...

იცით, რომ 21-დან 24-მდე დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი პარადები იმართებოდა! დღეს რომ სამხატვრო გალერეაა, აი – იქ და სიტყვით გამოდიოდნენ ცნობილი ადამიანები. შეეძლოთ 15-20 კაცი დაეჭირათ და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ არა! სტალინის განკარგულება იყო: „Допустить и проучить“. და ამას მოჰყვა მერე საშინელებები. მიხვდა ქართველი ხალხი, რომ შავ დღეში ჩავარდნილიყო... ამის შემდეგ დაინერა შედეგები...

– თქვენი პოეზიის ბედზე ვსაუბრობდით...

– დიახ, 46-ში ძალიან საინტერესო რამ მოხდა. გაზაფხულზე დიმიტრი ბენაშვილის ხელშეწყობით დაიბეჭდა ანა

მაქვსო და მომცა. ამ შეიდასიდან 650 განმარტებულია ოთხი უდიდესი ინდოლოგის მიერ.

ორი წელიწადი შევალე ამის შესწავლას. ზოგიერთ მოსაზრებაში ეთანხმებიან ერთმანეთს, ზოგში – არა. მე ეს ყველაფერი დავამუშავე და მერე ორ თვეში ვთარგმნე.

შემდეგ ზურაბ კაკაბაძეს და ზურაბ ჩხენკელს ვთხოვე ჰარტმანის გერმანული თარგმანის განმარტებები ჩემთვის ეთარგმნათ და ისიც მქონდა თავისი შენიშვნებით.

ეს ყველაფერი დავალაგე, გავამზადე, უკვე იბეჭდებოდა და მოხდა კრაზი... იმ რედაქციაში, სადაც იბეჭდებოდა, იჯდა ერთი კაცი, რომელიც თურმე ყოფილა ძალიან ზუსტი „გადამცემი“ და მისი თანდასწრებით ვთქვი: „კომუნისტებს საკუთარი ხელით ვათხრევენ საფლავს“-მეთქი. ისე ვთქვი.. ვთქვი და ზუსტად იქნა „გადაცემული“ სადაც „საჭიროა“. დირექტორმა დამიბარა და მითხრა, შენს წიგნზე შავი ღრუბლებიაო. რეცენზიაში დამიწერეს, თამაზ ჩხენკელმა ხახა-დაფჩინილი ინდური ღვთაების წინაშე დააყენა ქართველი ახალგაზრდობაო. რა მექნა?... მერე დიდი ამბითა და წვალებით, როგორც იქნა, დაიბეჭდა.

სამაგიეროდ, ამ ახალ წიგნში – „ინდურ ლოტოსში“ მოიყარა ყველაფერმა თავი.

აი, მაგალითად „ვივეკანანდა“ მე უკვე 49-ში მქონდა თარგმნილი. აკაკი ბაქრაძეს და გურამ ასათიანს ხშირად აქვთ მოტანილი ციტატები აქედან, თუმცა დაბეჭდილი არ იყო. ისე ჰქონდათ ჩემთან ნაკითხული. დაიბეჭდა 29 წლის შემდეგ – 78-ში. ასე ხდებოდა.

– ბატონო თამაზ, დიდი ხანია ქართულ ანბანს უტრიალებთ. ამაზე რას გვეტყვოდით? დაასრულეთ მუშაობა, თუ კვლავ აგრძელებთ ძიებას და კვლევას? ან იქნებ უკვე წიგნად აპირებთ გამოცემას?

– ამის დაბეჭდვა ძალიან ძნელია, რადგან ეს გამოკვლევა დაკავშირებულია გეომეტრიულ ფიგურებთან.

ეს ყველაფერი ივანე ჯავახიშვილის კონცეფციის გარეთ დგას და ამიტომ კარგა ხანს საკუთარ თავს გამოქვეყნების უფლება არ მივეცი.

ეს არ არის ქართული ანბანის წარმოშობის კვლევა, უფრო სხვა რამეა.

პირველი წერილი, რომელიც დაბეჭდვით იყო „ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა“. ეს პირველად ელენე მაჭავარიანმა გააკეთა. შემდეგ ნიფთური ბოიდერმა – ცნობილმა ქართველოლოგმა იგივე გაიმეორა.

კვადრატშია გამოყვანილი არა მხოლოდ ქართული, ასევე ლათინური, ბერძნული და სომხური ანბანი.

ძალიან რთულია ნახაზების გაკეთება და თან ძვირი ჯდება... სხვას აღარაფერს ვაკეთებ. სხვა რამ აღარ მაინტერესებს.

როსტომმა კი თქვა ჩემზე, აღარაფრის გაკეთება აღარ უნდა თავისი ანბანის გარდაო. სხვათა შორის, მართალია. ასეც არის! ყველაზე მნიშვნელოვნად ეს საქმე მიმაჩნია. აქ უფრო ფართე ამბავია, ვიდრე ანბანის წარმოშობის საკითხი.

– რას გულისხმობთ?

– რას და: აქ არის სამარ-ფარნავაზის სახელის კოდი ჩამალული. გასაოცარი ამბავია. თვით კოპტებსაც კი არ ჰქონიათ განსხვავებული ანბანი და ჩვენ გვაქვს. როგორი იეროგლიფები ჰქონდათ, ასო-ნიშანთა როგორი სისტემა ეგვიპტელებს, და კოპტებმა – ქრისტიანმა ეგვიპტელებმა რატომ არ შექმნეს თავისი ანბანი?... ბერძნული ანბანი აქვთ აღებული მცირე განსხვავებით.

ჩვენ კი, ქართველებს ასეთი ანბანი გვაქვს და მხოლოდ ერთადერთი ცნობა მოგვეპოვება, ფარნავაზმა შექმნაო. ამას არცერთი მკვლევარი (დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ჯავახიშვი-

ლი, გიორგი წერეთელი, ელენე მაჭავარიანი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, რამაზ პატარიძე) არ იზიარებს. რაშია საქმე? ეს ცნობა ყალბია? თუ ყალბია, მაშინ თავი გვეჭრება. თუ ყალბი არ არის, რა ხდება? აი, ეს გამოვიკვლიე! რა არის სამარ-ფარნავაზ? ეს არის რიცხვების ნომინაცია – 342 – 666. ამ უკანასკნელმა გამოაგნა. რა არის ეს? ეს არის ტაბუ. ტაბუირებულია საშინელით... დაახლოებით ისე, როგორც ეს უმბერტო ეკოს ერთ რომანშია. ბიბლიოთეკის კართან მდგარ ბიჭს ოთხი საშინელი სახის გამოსახულებიდან ყველაზე მახინჯს რომ აარჩევენებენ, მიაჭერს თითს და კარი გაიღება. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ტაბუირებულია საშინელით!

სამარ – ეს სახელი რაღაა? არცერთ ონომასტიკონში არ გვხვდება. ერთხელ შალვა ნუცუბიძეს ერთი სპეციალისტი ესაუბრებოდა და შემთხვევით გავიგე (რამდენიმე ახალგაზრდა შევესწარით ამ საუბარს), რომ თურმე არცერთ ონომასტიკონში არ ყოფილა ეს სახელი. სამარ – ეს არის სამთან დაკავშირებული...

ეს ყველაფერი ემყარება შვიდობით-ათობითი თვლის სისტემას, რომელიც არის ბიბლიაში. მე ამის ცხრილი შევადგინე. ჩვენი ათობითის მიხედვით ათი, იქ არის შვიდი. ასი თუ ათჯერ ათია, იქ არის შვიდჯერ შვიდი. შვიდზეა აგებული თვლის სისტემა. ასეთი ამბავია!

ერნსტ ბინდერი – გერმანელი მათემატიკოსია, რომელიც შემდეგ გახდა ანთროპოსოფი. მისი წიგნი მაქვს (ერთხელ ირაკლი რამიშვილმა მომიტანა, მეორედ – ზვიად გამსახურდიამ) „Духовные Основы Чисел“. ამ წიგნშია ნათქვამი: განსაკუთრებით დააკვირდით რიცხვებს – 342-სა და 666-სო. მას ხომ წარმოადგენა არა აქვს არამცთუ ფარნავაზსა და სამარზე, საქართველო რომ არსებობს, ისიც არ იცის. ჰოდა, ცხრილი აქვს მოტანილი.

სამჯერ დაბეჭდვით ეს ცხრილი. ვერაფერს ვერ უზამ. ცხადად ჩანს ყველაფერი. ტაბულასავით არის.

არმაზიც ეს არის – შვიდჯერ შვიდი პლუს ათჯერ ათი, ანუ 149. ანბანი ხომ რიცხვული სისტემაა. შვიდჯერ შვიდი და ათჯერ ათი არის შეჯამებული...

ეს არის სისტემა, რომელსაც ვერავინ ვერ გაეცქევა.

არმაზი არის ფარნავაზის სახელზე აღმართული კერპი – განღმრთობილი ფარნავაზი.

ერთხელ რეზო თაბუკაშვილი გამეხუმრა: ბიჭო, არასოდეს გყვარებია ეს მათემატიკა და ახლა რა დაგემართათო. ეს არ არის მათემატიკა. ეს არის არითმოლოგია.

– მთელი არსებით ხართ ჩართული ამ კვლევაში! პოეზიისთვის სულ ვეღარ იცლით?

– აქ ისეთი სიმბოლოებია, ჩემი ლექსი სასაცილოც კია. თქვენ რომ იცოდეთ „ა“ რა არის, ან „ჯ“, ან ჯვარი?..

ერთხელ ოტია პაჭკორიამ მითხრა, ჩემთან რომ ხარ და მიხსნი, ყველაფერი მესმის, წახვალ და არაფერი აღარ ვიცი, ვერაფერს გვებულობო.

არადა, ქუჩაში რომ დავდივარ და მანქანების ნომრებს ვხედავ, ჩემთვის ისინიც კი სიტყვებია...

ჩვენს ანბანში, იმ სისტემაში, რომელზეც ვსაუბრობთ, შერწყმულია პალატონიზმი და ქრისტიანობა.

– იქნებ მაინც პოეზიას მივბრუნებოდით? თავგორი გავიხსენოთ: „მე ვიძირები სახეულთა ოკეანის ბნელ უფსკრულებში იმ იმედით, რომ უსახოს სწორუპოვარ მარგალიტს ვპოვებ.“

– აქ ბრაჰმანზეა ლაპარაკი, უნივერსალური ბუნებისა და ყველა მისი გამოვლინების იდუმალ ყოფიერებად რომ გვესახება. ვინ ჰპოვებს მაგას?! იმ იმედით ითქმის ეს სიტყვები, რომ როგორმე მიუახლოვდე, თორემ ვინ იპოვის?..

ეს არის მუდმივი მყოფობის დრო და სამყარო.

სხვათა შორის, სულ პირველად არჩილ ჯორჯაძის წერილებმა აღმიძრა ინდური ფილოსოფიის გაცნობის სურვილი. მისი ნიგნი ბიძაჩემის მდიდარ ბიბლიოთეკაში ვიპოვე და მერე „დიონისოს ლიმილში“ რომ ამბობს სავარსამიძე: ჩავალ ჩემს სოფელში და ვთარგმნი „უპანიშადებსო“. მაინტერესებდა, რა იყო ეს „უპანიშადები“.

ამ ახალ გამოცემაშიც თავორთან არის ჩართული ერთი ჩემი ლექსი – მეორმოცე, რომელიც არჩილ სულაკაურს ვუძღვენი.

პირველად რომ იბეჭდებოდა, ასი ლექსი უნდა ყოფილიყო ნიგნად გამოცემისთვის. ნიგნის რედაქტორი ოთარ ჩხეიძე გახლდათ. მაშინ ასე ვფიქრობდი, რედაქტორები ერთს გადაავლებენ თვალს დასაბეჭდ მასალას და საქმე ამით მორჩება-მეთქი, მაგრამ არა! მოვიდა ოთარ ჩხეიძე და დაწვრილებით განიხილა: იქ რომ ეს სიტყვა გაქვს, ის როგორ არის, ეს რას ნიშნავსო, და მოკლედ, შენიშვნები ჰქონდა. აქ ოთხი ლექსია, თავორის „გიტანჯალში“ არ არისო. მე ვუთხარი, სამი ლექსი სხვა კრებულებიდანაა და ერთიც ჩემია-მეთქი. ტყუილი ვეღარ ვთქვი. შემომხედა დაკვირვებით, მაგრამ აღარაფერი აღარ მითხრა. დამინდო.

– აღარ წერთ ლექსებს?

– ლექსს დიდი ენერჯია უნდა. თან თვითონ ანბანში იმოდენა პოეზიაა, იმხელა სიღრმე და სილამაზეა, სხვა ყველაფერი სასაცილოდ მეჩვენება.

ეს არის მერვე საოცრება! დიახ, ქართული ანბანი, რომელიც მარტო არ რჩება. მასთან ერთად არის სომხური ანბანი, ბერძნული ანბანი და ლათინური ანბანი... ჩვენი შესულია ბერძნულ ანბანში და მორჯულეული ჰყავს ქრისტიანულად. კვადრატში, ცხრა წერტილში ჯდება ყველა ასო.

ქართული ანბანის გარეშე ამ კვადრატს ვერ მიიღებ. თან ის არიცხვიანებს ყველას. ცენტრი არის ქართული ანბანი. ბერძნულს შემოიტან და გაარიცხვიანებ. მაგალითად, „ხრის-ტოს“ – რას ნიშნავს ეს სიტყვა? ცხებულს, მესიას. რიცხვითი მნიშვნელობა აქვს 784. ქართულად კი ეს არის „სიტყვა“ ანუ „ლოგოსი“. ბერძნული სიტყვები გაშინაარსებულია ქართულით.

ეს არის ერთადერთი ანბანი ქრისტეს სახელზე და ქრისტიანთათვის შექმნილი. ეს არის ბერძნულ-ლათინური ანბანის ყველაზე სრულყოფილი სახე. დიახ, ქართული ანბანი. ვინ დამიჯერებს?..

ესაუბრა
თამარ ლონდაკი

ოთარ ჩხეიძე

ამ 202-ს რალა ეისამესება

*

— SMS —

განთავისუფლდა რო ყველაფერი, ენამაც აიშვა. რალა თქმა უნდა. რუსულს გამოეხსნა. აიშვა. გალალდა. გაინავარდა. უსაზომოდა და უსაშველოდა. ბილნსიტყვაობაც გაიშინა-ურა. დასავლური უღარუნებიცა. პარლამენტშიც შეალო კარი და ლიტერატურაშიც გაშინაურდა. ძეგლი ჰო ადრევე აუგეს ენასა. ქართულსა ცხადია. შენ შენი გავალალებს. რალა თქმა უნდა. აუგეს მომაკვდავსა, სიკვდილიც რო აღარ დააცადეს!.. აღსდგა მკვდრეთითო და ასე აღდგა: ბილნსიტყვაობიდან დასავლურის ბრჭყვიანობამდე. თავისუფლება თავისუფლება. ჭიკჭიკებს ვისაც როგორა ნებავს. რაც მოესურვება. რა ქარიც უქრის თუ რაც რო წამოჰკრავს... და აი ერთიც ვნახოთ:

პირველი. ვილაც გამოვიდა!.. – აფოფინებული.

მეორე. მოიცა!.. გამარჯობათ!.. რა გქვიანთ?.. – არანაკლებ აფოფინებული. ძლივას ვილაც არ გამოვიდა!.. ანუ მონიდომა ტელესაუბარი. აქამდის დაილაღნენ ფუქსავატი ლაპარაკითა. ეს ორნი. ცხადია.

შინც რო გამომვიდა. ცუნცულა!..

პირველი. რამდენი წლისა ხართ?..

ცუნცულა. ცამეტის!..

მეორე. კარგია!.. კარგია!.. კარგია!..

პირველი. მოიცა!.. მოიცა!.. შეყვარებული გყავს?..

ცუნცულა. გავუშვი... – და ჰყვება თუ რატომ გაუშვა და ვინ გაუშვა და რა ეგონა და რა გამოდგა და და და და და და და... რატრატებს. რატრატებს. ერთისიტყვითა. ესენი აქეზე-ბენ – თანაუგრძნობენ. ერთობიან თუ დასცილიან. ან ერთიცაა. მეორეცა და მესამეცა. დრო უნდა გაიყვანონ. ერთისიტყვითა. დრო ფულია.

ესენი –

ორნი გადმომსხდარან ტელეკრანზედა. ორი გოგონაი. ერთი ოლონდ რო ორჯერაც გათხოვილა. მაინცა გოგონაობს. გოგონაობს და გოგონაობს. ჭიბი გადმოუგდია ორივესა. ხანაც დაიფარება. აიქნევენ ხელებსა. ავარდება ზედატანიცა. ჭიბიც გადმოვარდება. აქეთაცა. იქითაცა. ორივეგანა. რალა თქმა უნდა. ქვეშ გარბის წარწერები: გამომგზავნეთ ესამესები 10-10-ზე 10-01-ზე 10-12-ზე მხოლოდ იმჟამ-თხვეპაში თუ... გარბის და გარბის. გარბის და გარბის სტრიქონები სტრიქონებადა, იხვენებიან გოგონებიცა: გამომგზავნეთ ესამესები. გამომგზავნეთ და გამომგზავნეთ. ვილაცა შეიბრალებს. და აი გზავნის: რა მამბარი ხარ გვანცა

გაიბადრება ერთი ჭიპოსანი. გადაეჭიმება სახეი ისე, ლამის კანი გადასკდესო. მეორე იჭმუნება. ძალიანაც არა. მეორე. ამბობს. ტირის ლამისაო. შინცაო. შინცაო. შინც მამბარი ხარო. მსწრაფლვე დააყოლებს მეესემესეი, – და გაიბადრება ის მეორეცა. ლამის რო ჭიბი გადასკდესო. მაგარი ჰო ყველაფერზე ითქმის: რაც რო კარგია. საუკეთესო რაც არის – ჭკვიანი. ლონიერი. ერთგული. კეთილი. განათლებული. გაუნათლებელზეც ითქმის. მთლად ბრიყვზე. ავა-ზაკზედაცა რო არაფერი აღარ ეშველება. ამშემთხვევაში – ლამაზსა ნიშნავს. მშვენიერსაცა თუ ინებებენ. რალა თქმა უნდა. რალა თქმა უნდა. გაიბადრებიან. რალა თქმა უნდა. სტრიქონი კიდევ გარბის ქვევითა: როქი მამბარი რეპარატი ბანძები არიან გარბის და მისდევს: გამომამესიჯოს თბილი გოგო ბაყინული ბიჭი წერტი-

ლები არც იქ არ უზის – არც თითო. არც სამსამი. მერე ერთბაშად ამოიყრის ჯავრსა – კახი ვინ ლილპა თუ დიღმელი არა ბაზარი არ არის თუ????????..... – კითხვის ნიშნებიცა. ნერტილებიცა. უამრავი. ხან ჩარიგდება ვარსკვლავებიცა. მიჰხტის და მიჰხტის მორბენალი სტრიქონი. მიჰხტის თუ მირბის – მირბის – ასე რო შეერქვა თავიდანვე და მოხდენილადაც რო შეერქვა – მირბის და მირბის. და აი უცებ: **სამამსამი**.

ამ სიტყვას ვერ იპოვნი ინგლისურ ლექსიკონებში. უზარმაზარ ლექსიკონებშიც ვერ იპოვნი.

ქართულშიც ვერა.

ჯუფთებაა სხვადასხვა სიტყვათა. აბრევიატურაო – იტყვიან. გავეროპელეზულნი იტყვიან ანუ გინდა თუ არა ევროპელნი ვართო – ისინი ცხადია. და ქცეულა ჯუფთებადა. აბრევიატურადა ქცეულა ყველაფერი. აბრევიატურაა მთელი თბილისი. აბრევიატურაა უცხოური. ვერაფერს რო ვერ გამოარჩევ. აჭრელეზულა ფირნიშები მალაზიებისა. პარლამენტი. გაზეთები. დაწესებულებები. ვერ რო იპოვნი, რასაც რო ეძებ. ვერა. ვერა. შენც ვერა. ვერადავერა რო გაგიკნეფთია ინგლისურიცა. რაილა ჰქნას იმანა – ჯერაც რუსულიდან რო ვერ გამოხსნილა, ხოლო ქართული ვილას ეკითხება... გაგჩენია შენცა სადარდებელი!.. აქამდისაც ჰო მიუშალური გერჩინა ხილულსა. სარინოსა. თვალსარინოსა; სამანტიკური – სამანიტისა. ყურადსაღებსა. საყურადღებოსა. გერჩინა ირიბად შემოტანილიცა. ახლა პირდაპირ იმტვრეი თავი. მარტო შენ თუო – ეგ არაფერი, ქვეყანასაც რო თან გადყოფა?!

არა.

აქ მაინც ისა თავისადაცემი – ქართულ ლექსიკონში რო ვერ იპოვნი. ინგლისურშიც რო ვერ მოიძიებ. ამერიკული გამოთქმების ლექსიკონებშიც ვერა!..

ვერც მახვილს მოიძიებ ქართულ გამოთქმაში. ისე ლივლივებს. ისე გადადის. მონაცვლეობს ისე. ჰქმნის ისე – ისე – ჰარმონიასა: ლაღადა და თავისთავადა, ვერც რო შეამჩნევ. არ გაგიხევეს ყურსა. არა. არც ყურს გაგიხევეს, არც გულზე დაგერჭობა. მაგრამ მოუსმინე ტელეარხებსა. თუნდაც იგივე 202-სა. რამიშვილს გალიაშიც გაუყოლებია – სასამართლოს გალიაშიცა. დაუტოვია სტუდიაშიცა. შემცვლელებისთვისა. სასამართლო სასამართლოდა. ესემესები ესემესებადა. მორბენალი მორბენალა: ბამოშპიტი შალპა რამიშვილი კომპიუტერის მღვდელი ჰო არ არის თვითმფრინავის გამტაცებლებს რო მიაპირეს ვიშ რა პროკურორები გვყოლია!.. მირბის და მირბის თავქუდმოგლეჯილი. მირბის და მირბის. მისრიალებს. მიჰხტის. მიკუნტრუშებს. მიჰჭრის. ელვარებს. გინდა თუ არა **სამამსამი**. ახლა ეს პანიტინციალური სისტემაო!.. არ მოსწონთ სიგრძე ქართული სიტყვისა. პანიტინციალური რაღად ემოკლებათ და ეადვილებათ. არც აგისნიან და არც ყურს გათხოვებენ. ატანაო-ი დაურქმევია ათანელაშვილსა: ლასკალას კარი რო გაეღოთ. მეტროპოლიტენოპერის კარი. ეთერი ჭყონიას გოგოების აბრევიატურას ვერც გაიხსენებ ეგრე ადვილად. მხოლოდ იქ არ უჭირთ ქართული გვარები – პენიტენციალურ სისტემაში დასავლეთისა. არც თვით პენიტენციალური რო არ უჭირთ – უხურგუნაშვილიც ეადვილებათ. ტლოკპრონილაშვილიცა. ვითომ შენთვის ნაკლები ენისგასატყვისა პანიტინციალური?!. ისედაც უარესი – ციხეზეც უარესი. საპატიმროზე უარესი. საპრობილეზე უარესი. დიღეზე უარესი. ისედაცა და ასედაცა: მართლაც რო ენის გასატყვისადაცა. აი თუნდაც რო: ბაყაყი წყალში ყოყინებს. ამაზე ადვილია ეგ შემოთრეული პეტენცია... მოიცა. მოიცა!.. პანიტინციალური?!

მაგ ჩვენი ენის გასატყვისი ერთობოდნენ რუსებიცა რო!.. არ მოგაგონდება ერთი კალამბური – ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალის ავტორს რო შეუთხზეს?.. მანამდე მცირე მოთხრობებს რო წერდა და ო/ჰენრადა და ანტონ ჩეხოვად რო მოიხსენიებდნენ ჩვენშია?.. როგორ არა!.. როგორ არა!..

მოსკოვში ხშირად მიმოდის ბელიაშვილი აკაკი და რუსის ქალებს ასწავლის: ნკალში კიკინებს ბაკაკი. ახლა პენიტენციალურს ასწავლიან იმათაცა. აბრევიატურა ჰო ადრევე გადმოიღეს. აღარა სჭირდებათ აღარც ბაკაკი და აღარცა ტკემალი.

შენ შენი იდარდე და ითავშიცემე. მახვილსაც მიჰხედე. წვრილი არ გეგონოს. მეტყველებაც სტილის ნაწილია. ეროვნული სტილისა. დიდი შემადგენელი ნაწილი. დამწერლობაც ჰოო და რაღა თქმა უნდა. ლექსიკა ცოტა ასატანი ყოფილა. მაინც მოსამლეული და მოსამზოველი თავიდანვე. ცოტა ასატანი იმადა თქმულა – თუნდაც რო მისიწვის მაგალითით განსაჯო: არსებით სახელად შემოსულა მისიწვი და უცებ ზმნად არ უქცევია გაყინულ ბიჭსა!.. ბა-მო-მა-მისიწვი-ის თბილი გოგოო. რამდენი ასეთი ბიჭი გაყინულა. რამდენი ასეთი თბილი გოგოა!.. რას არ დამართებენ ე მაგათ მოუქნელ წინადადებებსა!.. უბედურება ბოლოდ ისაა რო: თვითონვე შეიშლებიან რო თუ იგრიხებიან – იგრიხებიან იმათს ნებაზედა თბილი გოგოებიცა და გაყინული ბიჭებიცა. სიტყვარი მაინც უფრო დამყოლი ყოფილა. ბევრი გამოხარშულა ქართულადა. უცხოური ქართულადა. გამოხარშულა. ათქვეფილა. ჩამდნარა. ჩანწილა. სპარსულ-ბერძნულ-რომაულიდან მოკიდებული აგერა ევე რუსულამდისა. გამწინაურება ადრინდელთაცა. ბევრად ადრინდელთა – ხეთებსაო და შუმერებსაო. კიდევ ვინ უწყის!.. დაარქვან ტრაბახი და ნაკლად ჩაგითვალონ თუნდაც რო გლობალიზმის ცივილიზაციაში. კანონი რო მიიღონ თუნდაცა საპარლამენტო. შეიტანონ რეფორმებში განათლებისა – შენ ამას მაინც ვერ მოეშვები: ცოტა ტრაბახსა. ვერა. ვერა. სხვა რაღა დაგარჩინა?!. ისულდგმულო რო რილათილა?!. ავტორხორდეთ მახევერო – ბევრ ვინმეს ვეგონებითო. სხვა რაღა დაგარჩინა?!. რაც უნდა გიშალონ, მაინც არ დაიშლი: რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო. არა. არ დაიშლი.

მირბის და მირბის სტრიქონები. მირბის. მისრიალებს: **ის სიმღერა ეძღვნება გლდანელ სოფოს ლინწად** ჭიპადმოვარდნილი გოგოები აღარა სხედან. ერთი ბარსელონას გაემგზავრებოდა. მომენატრნენ იქაური ფეხბურთელებიო.

მეორეც მოსძებნიდა სანეტაროსა თავისასა. მაინც გაიძახიან: **სამამსამი** – მოგვანოდეთ და მოგვანოდეთო: 10-ზე და 10-ზე. 10-ზე და 01-ზე. 10-ზე და 12-ზე. მოგვანოდეთ და მოგვანოდეთო. აქ სახარბიელოა 10-12. 2 ლარადა ფასობს. წინანი იმდენი არაფერია. – 50 თეთრია თვითეული. რა თანხა დადგება?!. იხვეწება მამ რა იქნება?.. გასჭირვება საცოდავსა!.. იმიტომაცაა რო მოხვედრილა პენიტენციალურ სისტემაში – ფულის შოვნა რო მოუნდომებია აკრძალული ხერხებითა. რა ექნა აბა?!. აშენდა I დარღუბლათი. ეგონა II მთლად გამაკეთებოს. იმდენიც მამა უცხონდა რამდენიც მას მიაერთვესაო!.. დასცინიან რო ზენდერი არხები. დასცინიან და დასცინიან. ისინი სპონსორებს (დამხმარეთა. ხარჯის გამღებთა) ვერ ასდიან. რეკლამებსაც ვერა და ვედარა. სჭიმავენ სერიალებსა. ნახევარსაათიანს საათნახევრად სჭიმავენ. რას აღარა ჩადიან – უხეიროსა და უგემოვნოსა!.. რა ენაღვლებათ – **ასპონსორებან** და **ასპონსორებან**. **ასპონსორებან** და **ასპონსორებან** – ეშინიანთ რო არ ჩაგვიშვან გამოქეილმა ჟურნალისტებმაო. ამას არავისი არ ეშინიან – 202-სა. არ ეშინიან და ნუ ეშინიან. აგროვოს ეგრე

თეთრი – 50-50. ჭიპგადმოვარდნილი გოგოებიც რო ვეღარ დაუქირავებია. კადრი გადმოუღია დარდუბალა II-დანა. ნახატი მოუწოდებს: **ქსეპქსეპქო**.

მაბრებია რომარები. რაქაქაქი ბანქაქი არიან – გადაგორდა 50 თეთრი.

მაღაყს გადადიან გოგონები. ნახევრადშეშველნი. ბიჭებიც ეგრეთვე...

და – გლდანელ სოფოს ვუძღვნი ღირნად – გაჰყვა ესეცა. 50.

ან – კახი რომელი შინ თუ ღილქას არ ქმსეჰაქი ბაზარი არ არი.

ამას ვინ გაარჩევს?.. ეს გამოყრუებული ნახატი კადრი?.. ამბობს, ოღონდ რო არ ესმის?! აფსუს რა გოგონები დაჰკარგეს – მეტყველნი და გულთამხილავნი!.. სხვანი?.. სხვანი თუ შერჩებიან ან გაუძლებენ თუ – ეს ახალი რამიშვილები: მახვილს რო გირტყამენ შიგ თავში და შუაზე გხლეჩენ. ხეირს არ გაყრიან არც რო სხვა არხები, არც რო არაფერი არ უჭირთ იმათა. არავის ისინი არ აყვედრიან: ჩვენ მოგიყვანეთო. არც არავის არ ემუქრებიან: ჩვენვე გაგყრიეთო. და უღბნით. უღბნით. უღბნით. სულ ეღბნებათ. არ მოუღუშავთ შუბლსა არაფერი. ღლიცინებენ თვითონვე და ხარხარებენ თვითონვე. ახარებთ ბგერით თვითეული. ჰყვიან. წვიან. ხავიან. სისინებენ. ცხვირ-ხახაში გამოჰყოფენ რალაცრალაცასა. უკვირთ. ზეიმობენ. ის დროა თითქოსაო რო იბადება ბგერები. უცხო რამ, უცნაური რო გამოიკვეთება. ჯერ რო სასაშიო. კბილბაგე არცაო. პირის უბე არცაო. ჯერ ენაც რო არ მიშველებიაო. მიეშველება და ამოდის და ამოდის. სულ სხვა რამ ამოდის. სხვა უნდა და სხვა იკვეთება: ექსკლუზივი. ფორსმაჟორი. რეიტინგი. იმიჯი. მენეჯმენტი. კასტინგი. მონიტორინგი. ბრიფინგი, ელექტორატი. ალტერნატივა. კონსენსუსი. ტოლერანტობა. და ლიკვიდაცია ექსტრემალური. პრიორიტეტი და პრიორიტეტი (პრიორიტეტი ტერიტორიული მთლიანობისა. პრიორიტეტი ქათმის გრიპისა. ლონდონში რო ტაუერის ყვავების გადარჩენა პრიორიტეტი. პრიორიტეტი თბილისის მტრედებისა. ოღონდ ჯერ ჰო მეუღლის პარტნიორის საკითხი უნდა გადაწყდეს პარლამენტშია?.. რალა თქმა უნდა!.. რალა თქმა უნდა!.. თუნდაც ჯუღელი კიტრიც რო იყოს. ესა. ეს ჯუღელი – პარლამენტარი. და შემოემატება იტალიიდანა: ჩიჩისპი. ესეც ჩიჩისპი – მეუღლის პარტნიორი ნაპოლეონისა და ბაირონის დროსა. იტალიაში. იტალიაში) გამოიკვეთება და გამოიკვეთება: ისტებლიშმენტი. თინეიჯერი?!. ჰაჰაჰაჰა – თინეიჯერი!.. ვითომ დანარჩენიც საჰაჰაო არ იყოს – მესიჯი. ინტერაქტივი. შოუ. შოუ და შოუ. და უამრავი. აურაცხელი. რო აღარად გარგია ლექსიკონი ჩიქობავასი. არა. აღარადა. რა ენაღვლება ბედნიერ ტელეარხებსა. ბედნიერი ბედნიერია. უბედურად ითქმის უბედურიცა. მაგრამ და რაო – რა დამართნია ამ 202-საო. ამას რალა რჯის. ესეც SMS-ს რად ემსახურება ასე ერთგულად და თავგამოდებითაო.

SMS!..

SMS!..

SMS!..

ბუმბერაზ ლექსიკონებშიც რო ვერ იპოვნი ინგლისური ენისა. ვერც რო ამერიკული თავისებურებების ლექსიკონშიც ვერა – შემოკლებით სიტყვათა ლექსიკონში ადვილად მოიძიებ –

SMS – თურმე სხვა არაფერია თუ არა – Strategic Missile System – ანუ სტრატეგიული სარაკეტო სისტემა – ანუ ამ შემთხვევაში: სიმბოლური მნიშვნელობითა თუ დაშიფრულის ამოხსნით უნდა გულისხმობდეს – ინგლისური ენის სატელევიზიო-საჰაერო თავდასხმას ქართული ენის სიმაგრეებზე. თუ კიდევ შერჩა რაიმე სიმაგრეი. რალა თქმა უნდა. – ვინმე

სხვამ ამოხსნას უკეთესადა. – და აგრეთვე რალა თქმა უნდა: იმა სისტემაში უნდა ჩართულიყოს ეს ბედდამწვარი 202-ცა. რალა თქმა უნდა!.. და რალა თქმა უნდა!.. აბა და ამას რალა ეესემესება და ემესიჯება?!. ის კიდევ ჰოო – ბედნიერი ტელეარხები – ეესემესებათ კიდევაცა – ემესიჯებათ კიდევაცა – ეინტერაქტივებათ კიდევაცა. თანაფარდობასაც ისეთს გამოიყვანენ პოზიციელებსა და ოპოზიციელებს შორისა, ისე და იმდენსა, საქართველოშიო რო აღარც არის იმდენი მოსახელი. თუ აიყარაო – არც დამალავენ – ბრუნდებიანო. ბრუნდებიან და ბრუნდებიანო... თუმცა ხალხს მაინც თავისი სჯერა. მამაპაპური. ნასული ბევრი მინახავს, დაბრუნებული აღარავინაო.

თავდასხმა თავდასხმაა. სატელევიზიო-საჰაერო თავდასხმაო. SMS... არცრასა თვალთმაქცობენ გამარჯვებული ტელეარხები. სატანკო ნაწილებმა თვითონ იციან საქმეი თავანთი. ქუჩებიდან უტევენ პარლამენტიდანა!.. ვარვარებს ფირნიშები. ღამით ანთია. ლაპლაპებს დღიურა. ამ 202-ს რალა ეესემესება?!.

ეესემესება და ეესემესებოდეს!..

გამოგზავნეთ და გამოგზავნეთო: 10-01-ზეო. 10-10-ზეო. 10-12-ზეო. იმ შემთხვევაში... რალაც შემთხვევაშიო. ერთი-სიტყვითა. გამოგზავნეთ და გამოგზავნეთო. ესემესებო. ესემესებო. ესემესებო.

არა და მართლაცაო – ამას რალა ეესემესებო.

ორი ქვა უნდა ეჭიროს ხელებში და აქეთ-იქედან თავში იხლიდესო.

ვერჯილ ნემოიანუ

პასნავლოთ ქრისტიანული ჰუმანიზმი

ამხილე რამდენიც გინდა თანამედროვე ამერიკულ კოლეჯთა სასწავლო პროცესში არსებული დომხალი, ჯერაც პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რა უნდა ვასწავლოთ დომხალის სანაცვლოდ. აღშფოთება არ კმარა კოლეჯთა სასწავლო გეგმის უხეშ სეკულარიზაციასთან დასაპირისპირებლად. მაგრამ ზოგიერთი კონსერვატორი კომენტატორი სკანდალურ ამბებს დაახვავებს და მერე თითქოს იბნევა კულტურული განათლების პოზიტიური პროგრამის წარმოდგენისას, სხვები კი პოზიტიურად ანტიკულტურულებად მოჩანან, თითქოსდა სურთ აღნიშნონ, სწორედ სეკულარისტი იდეოლოგიები აყალიბებენ ჰუმანიტარულ დარგებსო.

სინამდვილე, რა თქმა უნდა, საპირისპიროა: ჰუმანიტარული დარგები წარმოიშვა ქრისტიანობის ნიაღში და, კანონით, ჯერაც ქრისტიანული რელიგიის ტრადიციის საკუთრებაა. მისი მიზანი ყოველთვის იყო, ერთი მხრივ, ადამიანური სოლიდარობისა და, მეორე მხრივ, ინდივიდის, ამა თუ იმ პიროვნების ყოფა-ცხოვრების მორიგება. რელიგიური ტრანსცედენტობის შესაძლებლობა «ყოველთვის უკვე» (თუ დე-

კონსტრუქტივისტთა ენაზე ვისაუბრებთ) იყო ნაწილი მთელი პროექტისა.

ამიტომაცაა, რომ დღეს განსაკუთრებით გვესაჭიროება ქრისტიანული ჰუმანიზმის კურსები, კოლეჯისათვის. ზოგიერთი სტუდენტი, უთუოდ არ ენდობა ჰუმანიზმის ამგვარად სწავლებას, უფრო მეტი უნდობლად მოეკიდება ქრისტიანობის სწავლებას. მაგრამ ქრისტიანული ჰუმანიზმი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ისტორიის საფუძვლებიდან წამოსული მემკვიდრეობის შეთვისება და ბუნებრივი კავშირი კულტურასთან ადამიანური ყოფის რელიგიური გზის გავლით. თანამედროვე დაყოფა მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნურია. ჩემს მიერ შემოთავაზებული ქრისტიანული ჰუმანიზმი, რა თქმა უნდა, ქვის სროლას არ უნდა დაემსგავსოს. დეზის ამოკვრას უფრო შევადარებდი მომავალი განსჯისათვის, ვიდრე რუკას. თავიდან შევეცდებოდი სტუდენტებისათვის მეთქვა:

რასაც ჩვენ „ქრისტიანულ ჰუმანიზმს“ ვუნოდებთ, უპირველეს ყოვლისა ლუკასა და იონეს სახარებებშია ჩანერგილი. ლუკას ტექსტი სხვა სინოტიკურ სახარებებზე მეტადაა განათლებული საზოგადოებისადმი მიმართული; იოანეს სახარებაც მაღალინტელექტუალური ტექსტია და სულიერ, სიმბოლურსა და ფაქტუალურ მასალას აერთიანებს. როდესაც ცხადი გახდა, რომ მეორედ მოსვლა არც ისე ახლოს ყოფილა, როგორც ადრეულ ქრისტიანთაგან მრავალნი ვარაუდობდნენ, ქრისტიანთათვის იმპერატივად იქცა მსოფლიოსა და მისი კულტურის დასაუფლებელი ჩარჩოს აგება და სწორედ ამას შეეცადნენ სახარებებში.

შემდგომი ქრისტიანული ფილოსოფიის, თეოლოგიისა და ხელოვნების ჩანასახი უკვე თვალსაჩინო გახლდათ მესამე საუკუნის ბოლოსათვის: ვთქვათ, ქრისტიანებს შეუძლიათ თავი მოიხონონ ორიგენის – ყველა საზომის მიხედვით – მძლავრი ინტელექტი. მაგრამ მრავალი ხმელთაშუაზღვისპირელი ინტელექტუალი მაინც შიშობდა, ქრისტიანობა საფრთხეს შეუქმნის რომაული რელიგიის მიერ განპირობებულ ესთეტიურ წესრიგსა და წონასწორობასო, ამიტომ თითქმის მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ ერთობლივად გადაწყვიტა მონინაალმდეგეებს მათსავე მოედანზე შეხვედროდა. და ვხედავთ არაჩვეულებრივ ამოფრქვევას ქრისტიანული ინტელექტუალური მიღწევებისა 350 – 450 წლებს შორის. მაშინ, როდესაც იერონიმე ბიბლიას თარგმნიდა ლათინურად, ათანასეს სჯულის წესებში შეჰქონდა წვლილი, ხოლო პირველი დიდი ორატორი ეკლესიისა, ჯონ ქრიზოსტომუსი, ქადაგებდა. ამავე საუკუნის მიწურულს ავგუსტინემ გაითქვა სახელი, ამავე დროს მილანში ამბროზიუსმა ააგო თავისი არაჩვეულებრივი შენობა – მმართველობითი ძალისა და სულიერი სიღრმისა. ჩემს სტუდენტებს ვთხოვდი განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ კაპადოკიელთათვის – ბასილი დიდისა, გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელისათვის – რადგან მათ ყველაზე უკეთ შეძლეს პოლითეისტ მონინაალმდეგეებს მათსავე სამფლობელოში შეხვედროდნენ, და ეს იმით, რომ დაეუფლნენ და (ანტიკურობის, ასე ვთქვათ, „შეჯამებით“) გააქრისტიანეს ნეოპლატონიზმი.

ფსევდო-დიონისესა და მაქსიმე აღმსარებლის მიერ მწვერვალზე ატანილი ნეოპლატონიზმის დაუფლებამ ქრისტიანებს შეაძლებინა თავიანთ აზროვნებაში შემოეტანათ ისეთი ნეოპლატონური თემები, როგორიცაა მშვენიერების პირველადობა და აღმასვლა-დაღმასვლის მეტაფიზიკა: აქედან გამომდინარე, საფუძველი ჩაეყარათ თითქმის მთელი

მომავალი ქრისტიანული ჰუმანიზმისათვის. მაგრამ ვისურვებდი ჩემს სტუდენტებს ყურადღება გაემახვილებინათ შეთვისების უნარზე, რაც ქრისტიანული ჰუმანიზმისათვის ტიპური და ფუნდამენტური ქცევაა – გამოეპასუხო მსოფლიოს მისი შეთვისებით, დაუფლებითა და იმის წარმოჩენით, რომ არ არსებობს ქრისტიანობისათვის უცხო ან შეუთავსებელი მშვენიერება, განათლება თუ სიკეთე.

შუა საუკუნეებმა მოიტანა ქრისტიანული კულტურის დიადი გაფურჩქვნა: ტაძრები და ფილოსოფიური სისტემები (განსაკუთრებით თომა აქვინელი), აგრეთვე ქრისტიანობის ნიაღში განვითარებული სოციალური სტრუქტურები. ერთი გერმანელი მეცნიერი ახსენებს კაიროს* ქრისტიანული ხელოვნებისა: წამს ღვთაებრივისა და ხელოვნების უდიდესი დაახლოვებისა, როცა ერთდროულად გაჩნდა და გავრცელდა: რომანესკული სტილი დასავლეთში და ხატუნა აღმოსავლეთში. ქრისტიანული ჰუმანიზმი ნათლად წარმოჩნდა, მაგალითად, ალბერტუს მაგნუსის ენციკლოპედიურ გონებასა თუ ჰილდეგარდ ბინგენელის ზვიად ფიგურაში. ვისურვებდი, ჩემმა სტუდენტებმა შეისწავლონ თუნდაც ორი მიმართულება შუა საუკუნეებისა – დიდ მისტიკოსთა და ფრანცისკანელებისა – როგორც მრავალნაირად მნიშვნელოვანი გამოხატულებანი ქრისტიანული ჰუმანიზმისა. მისტიკოსებმა (მათ შორის მრავალია ქალი) არაჩვეულებრივად შეახამეს სენტიმენტური და რაციონალური, მაშინ, როდესაც ფრანცისკანელებმა და განსაკუთრებით ბონავენტურამ შუა საუკუნეთა მაღალ კულტურას შესძინეს მათთვის ჩვეული სიყვარული ბუნებისა და მშვენიერებისადმი.

ლუი ბრუიერმა, თვითონ ერთ-ერთმა დიდმა ქრისტიანმა ჰუმანიტმა ჩვენი ეპოქისა, 1959 წელს დაწერა წიგნი ერკუმუსსა და მის დროზე, რაც, ჩემთვის ცნობილთა შორის, უკეთეს წიგნად რჩება გვიანდელი ქრისტიანული ჰუმანიზმის გასაცნობად; მეორე ასეთივე კარგი წიგნია ანრი დე ლუბეკის ნაშრომი პიკო დელა მირანდოლას დროზე. ამ ორ ნაშრომში განხილული მოღვაწენი კარგად წარმოაჩენენ ქრისტიანული ჰუმანიზმის მწვერვალს. აქ შედიან: ნიკოლა კუზანელი და თომას მორი; პაპები: ეგგენი IV, ნიკოლა V, პიუს II და პავლე III; კარდინალები: პოული, კონტარინი, ბარბერინი, ბესარიონი და მრავალი სხვა. მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისელმა პროტესტანტებმა თავისი ტრადიცია განავითარეს, რაც წარმოჩენილია ჯონ დონის, ჯორჯ ჰერბერტისა და აიზეკ უოლტონის მიერ. როდესაც ისტორიკოსები ამ ტერმინს ვიწრო გაგებით იყენებენ, „ქრისტიანული ჰუმანიზმი“ შეეხება მხოლოდ რენესანსსა და მიჩნეულია ქრისტიანობიდან დაშორებად ან, თუნდაც, ანტიქრისტიანულ მოვლენად. რენესანსულ მოაზროვნეთა ჭეშმარიტი ცხოვრებანი სრულიად სანინაალმდეგოს გვთავაზობს. თომას მორი მზად იყო მსხვერპლად შესწირვად თავის რწმენას, პიკო იმდენად შორს წავიდა, რომ საფონაროლას დაუახლოვდა თავისი მოკლე სოცოცხლის ბოლოს; ხოლო ერკუმუსი ჯიუტად და ახდლიად მისდევდა დასახულ გზას, რაც პიროვნულ დამოუკიდებლობასა და ტრადიციების მიტოვებაზე უარის თქმას აერთიანებდა. რენესანსისას ჩვენ კვლავ მოწმენი ვხდებით კაპადოკიური გამბიტიკის: კულტურული მიღწევები ანტიკურობას, კერძოდ, ნეოპლატონიზმს ეხამება და კულტურის სამყაროში შემოდის დრამა. რენესანსული ჰუმანიზმი ძირითადად ელიტისათვის იყო გამიზნული და ამით განსხვავდება შუა საუკუნეთა უფრო პოპულარული ნაკადებისაგან. მაგრამ რენესანსულმა ჰუმანი-

* კაიროს – ბერძ. შთავიწმინდის განსაკუთრებული მდგომარეობა

ნიშნის საფუძვლიანად განამტკიცა ქრისტიანობის უნარი ყოველმომცველობისა და ისეთ სივრცეებში გაბატონდა, რომ მისმა უნივერსალობამ კვლავ გაიბრწყინა.

კურსის ამ ეტაპზე ვისურვებდი ჩემი სტუდენტები ჩანვდომოდნენ, თუ რა იყო დასაწყისიდანვე ნათელი თვითრენესანსის დროის ჰუმანიტათის: რომ არსებობს ფუნდამენტური მსგავსებანი ჰუმანიტურ კულტურასა და ქრისტიანობას შორის, რასაც ისინი ძალდაუტანებლად მიჰყავს ერთმანეთთან, მიუხედავად მწერალთა, მხატვართა და ინტელექტუალთა სურვილებისა და გეგმებისა. სამების ქრისტიანულმა კონცეფციამ თავიდანვე წარმოაჩინა უდიდესი სამოღვაწეო სივრცე ღვთის ბუნებაში და დიდი მრავალფეროვნება შექმნილ სამყაროსთან ურთიერთობისა. უფრო ახლოდან თუ შევხედავთ, „კულტურული პროდუქცია“, თავის მხრივ, იმავს მიღწევას ცდილობდა: შემოეფარებოდა თავისუფლების, ღიაობისა და შემოქმედების ტერიტორია. ან, უკეთ, ცდილობდა დასაზღვრულ მიჯნამდე მიეხატა ღვთაებრივი თავისუფლების უსაზღვრო შემოქმედებისა და უანგარობისათვის. კაცობრიობა, შექმნილი ღვთის „ხატად და მსგავსად“, მიჰყვებოდა გამჩენ ღმერთს და შეუჩერებელი ქმნიდა ახალ შესაძლებლობებს სამყაროსათვის – არქიტექტურაში, მუსიკასა, პოეზიასა და ფილოსოფიაში. ქრისტიანული ჰუმანიზმის ჰუმანურობა ცდილობდა თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა სანყისი შემოქმედების დიად ქმნილებაში.

ნაკლებს არ გვთავაზობს წმიდა ტრადიცია, სულიწმიდის უწყვეტი ღვანლი. მოკლედ რომ ვთქვათ, საეკლესიო ცხოვრებაში არსებობს განსაკუთრებული კავშირი სტაბილურობასა და ექსპანსიურობას, ზრდასა და უწყვეტობას შორის. რაც, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველაფერი სხვა, შეიძლება გამოგვადგეს მოდელად მშვენიერებისაკენ სწრაფვასა და მიღწევაში და ინტელექტუალური განსჯისათვის საერო ცხოვრების საერთო მონახაზის საფუძველზე. საკმარისია ითქვას, რომ ყოველივე ეს გახვეულია ორ დიდ რეალობაში. პირველი ისაა, რომ ყოველი ადამიანური საზოგადოება გულსხმობს ერთგვარ ღიაობას ტრანსცენდენსიადმი: ურთიერთობა ადამიანის პიროვნებასა და ღმერთს შორის არსებითი და აუცილებელი. მეორე გახლავთ თანაბრად ეჭვშეუტანელი ფაქტი, რომ კულტურა წარმოქმნილია რელიგიისაგან და დაკავშირებულია რელიგიასთან: არქიტექტურა – საკულტო ტაძრებთან, დრამა – რელიგიურ რიტუალთან, უნივერსიტეტები – საიდუმლო ცოდნის შექენასთან, მუსიკა, ქანდაკება და მხატვრობა – ღვთაებრივის განდიდებასთან, ხოლო თვით მეცნიერება და პოლიტიკური ეკონომია ღვთაებრივი ამბიდან წარმოშობილ კატეგორიებთან.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ამ მსგავსებათა შესახებ ცოდნა საყოველთაოდ იყო გავრცელებული და აღიარებდა თითქმის ყველა, თვით მომავალი სკეპტიკოსები, აგნოსტიკოსები და მცირედ მორწმუნენიც კი. სწორედ ამ დროისათვის იყო, რომ ქრისტიანულმა ჰუმანიზმმა თანამედროვე ფორმა შეიძინა – მეტნილად შატობრიანის შეწევნით, ვინც შემოიღო თანამედროვე იდეოში, რითაც მსოფლიოს დიად ჰარმონიებს შეუძლიათ საუბარი. „ქრისტიანობის გენიაში“ (1803) მშვენიერი წარმოგვიდგება, როგორც შეუცვლელი გასაღები ჭეშმარიტებისა და სიკეთის, რა სახითაც გნებავთ, მისაღწევად. შატობრიანის განსაცვიფრებელი მონოღება გახლდათ მისი უნარი, შემობრუნებულიყო ბუნების პირველადობიდან (მეთვრამეტე საუკუნის მიწურულის დიდ სიახლეთაგანი) საკრალურობის დასაცავად და ემოციისა და

ესთეტიკის – როგორც რაციონალურისა და სოციალურის ღირებულ შემცველთა – სფეროები დაეკანონებინა. შატობრიანი, რა თქმა უნდა, მარტო არ ყოფილა. მრავალი გერმანელი და ზოგიერთი ინგლისელი რომანტიკოსი, განსაკუთრებით კოლრიჯი, იღვნოდა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში მშვენიერებასა და რელიგიურ სამყაროს შორის კავშირის დასამყარებლად. შვეიცარიელი ალიოს გუგლერი, დღესდღეობით ერთიანად მივიწყებული, ამტკიცებდა, ბიბლიური მწერლობა პროტოტიპი ყველანაირი კაზმული გამობახტულებისათ. კატალანელი ხაიმე ბალმე პირდაპირ ისტორიის ფილოსოფიას სწავლობდა თავისი დროისა, ხოლო მისი თანამედროვე დონოსო კორტესი ამტკიცებდა, პოლიტიკა თეოლოგიიდან მომდინარეობს. ოქსფორდის ტრაქტატის მიმდევრებმა მთელი საუკუნის მანძილზე შეცვალეს ინგლისის რელიგიური ნიადაგი. შლაიერმახერმა რელიგიურ პრინციპებზე დაყრდნობით ააღორძინა ჰერმენევტიკული ანალიზი. ლამენამ და ჟორესმა წარმოაჩინეს, თუ როგორ შეეძლო უმთავრეს რელიგიურ კონცეფციებს ზეგავლენა მოეხდინათ სოციალურ და ეროვნულ პრობლემათა კონტექსტზე.

ტყუილად შევეცდებით უარყვით ქრისტიანობის კრიზისი მეოცე საუკუნეში. მაგრამ ჩემს სტუდენტებს უფლებას ვერ მივცემ გამოტოვონ უდიდესი აღორძინება ორიგინალური ინტელექტუალური აზროვნებისა და მხატვრული შემოქმედებისა, რაც უკავშირდება რომანო გუარდინის, იოზეფ პიპერს, ჟაკ მარიტენს, ანრი ბრემონს, ჟან დანიელუსს, ლუბეკს, ლონერგანს, რანიესს, კლოდელს, პეგისს, ჩესტერტონს, ვოსს, ფლენერი ო'კონორსა და უოლკერ პერსის – კათოლიკური მხრიდან. ან კიდევ ელიოტს, ოდენს, ქ. ს. ლუისს, ბარტს, რეინოლდ ნიბურს, ვლადიმერ სოლოვიოვს, ლოსკისა და ბულგაკოვს, რომ აღარაფერი ვთქვათ უნამუნოზე, სიმონ ვაილზე, ბერდიევესა და ლეე შესტოვზე – და ეს მხოლოდ მცირე სიაა მათი, ვინც მჭიდროდა დაკავშირებული და აგრძელებს ქრისტიანული ჰუმანიზმის ტრადიციას. ვფიქრობ, ჩემი სტუდენტების ყურადღება მაინც ჰქონს ფონ ბალთაზარისაკენ უნდა მივმართო. მისი ნაშრომი გვთავაზობს ერთგვარ შეჯამებას ქრისტიანული ჰუმანიზმის ამ აღორძინებისა, რადგან ცდილობდა ამ მოაზროვნეთა უმრავლესობის ურთიერთდაკავშირებას. ბალთაზარმა გადმოგვცა კათოლიკური ტრადიციის ისტორიული მონახაზი კულტურის სფეროში და ცდილობდა განმარტებითი სისტემით მოენსრიგებინა ბევრი წინამორბედის უფრო მეტად ინდივიდუალისტური თვალსაზრისები. ნიშანდობლივია, რომ მისი სისტემა მიმართავდა ესთეტიკას, დრამატურგიასა და სიმფონიას, რათა მოეხდინა ქრისტიანული ჰუმანიზმის ფრთხილი სინთეზი.

ქრისტიანული ჰუმანიტებისათვის კულტურა ერთგვარი მერყევი ნიადაგია სულიერი, სოციალური, ისტორიული და ფსიქოლოგიური სფეროებისათვის. კულტურა მნიშვნელოვანი მოკავშირის როლს ასრულებს ქმნილებასა და ღვთაებრივის შორის და ესთეტიკა არის მცდელობა გამოხატოს ღიაობა ტრანსცენდენსიადმი. თუ ღმერთი აღქმულია უმთავრეს შემოქმედად, მაშინ უსრულყოფილესი მიზანდაღვთისა იქნება შემოქმედებითი აქტივობა. ერთ-ერთი მიზანი ჩემი კურსისა ქრისტიანულ ჰუმანიზმში იქნებოდა სტუდენტებისათვის დასავლური ინტელექტუალური ისტორიის ფუნდამენტური ნაკადის გაცნობა. მაგრამ უფრო დიდი მიზანი იქნებოდა გვეჩვენებინა და დაგვმარებოდათ თვითონ აღმოეჩინათ მთელი ჰუმანიზმის საფუძველი ქრისტიანულ რწმენაში.

1995 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხმა სტუდენტმა „ბებერი პოეტები“ დაირქვა და ორდენის მოღვაწეობა რამდენიმე ლიტერატურული აქციით და წიგნით ამოწურა („ერლითი“, „ომი პროზად“, „P.S.“). მოგვიანებით „ბებერი პოეტების ორდენი“ რეზო გეთიაშვილის პოეტურ კრებულ „არტ-ყვავილებში“ გაცოცხლდა.

ამ მოთხრობის 10-12 წლის წინ „დაბერებულმა“ ავტორმა ამჟამად 30-ს „მიუკაკუნა“ და ძირითადად ეკო-ჟურნალისტიკითა დაკავებული. მის ლიტერატურულ გმირებს მკითხველი დღემდე მხოლოდ ლექსებით იცნობს. თუმცა ბებერი პოეტების მითი, ავტორის თქმით, წელ-წელა პროზის სახეს იღებს და დაინტერესებული მკითხველიც სულ მალე გაერკვევა, ვინ არის ლექსებში მოხსენიებული ბობი, ოდრი, სარა თუ ხუბჩევი.

„კაფე უფსკრულის პირას“ ერთ-ერთია რეზო გეთიაშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობების ციკლიდან, რომელიც მოკლე ხანში წიგნად გამოიცემა.

რეზო გეთიაშვილი

კაფე უფსკრულის პირას

*

უსიძიატრიული

უკვე მეორე წელი გადის, რაც აქ ვარ.

კოლოფი კვირაში შვიდჯერ ინთება და ქრება.

იატაკზე მწვანე დომინირებს, კედლებზე კი ყვითელი და ვარდისფერი შედეგები განდის. მთლიანობაში, ეს თვეც უგემოვნოა და განაწყვეტილი. ღამეში ადგილს ვეძებ.

აქედან – დაწეული ფერების ეფექტია. საძინებლიდან – ფანარია, თხილნარში. თხილნარიდან – საძინებლის ანთებული ფანჯარა. იშვიათად და ოდნავ აღვიქვამ, მაგრამ ხანდახან მისი ცქერა თვალების დახუჭვასაც მორჩევია. თხილნარში ერთ საათს ვატარებ, საგანგებოდ ჩაცმული.

არაფერი არ ხდება. წარმოიდგინეთ, რომ საკუთარი თავის მეზობლად ცხოვრობთ.

ცუდია, რომ არაფერი არ ხდება და ჩემი თავის მეზობლად ვცხოვრობ. ვიცი, რომ აქ არ უნდა ვიყო. ხანდახან სარა მირეკავს. მოშლილი მალვიძარას წკრიალი. მაგრამ მე ვამბობ: შენი ზარიც ამ ცხოვრების ნაწილად იქცა.

– ესე იგი, არაფრის ნაწილად?

არაფრის დანაწევრება შეუძლებელია. მაგრამ მე არ მაქვს პრეტენზია არაფრის სტანდარტზე. სამყარო თვითონაა ასეთი. თვითონვე დამკვიდრდება ისეთი ბაჯალლო არაფერი, როგორც სიკვდილია.

სარამ იცის ჩემს შესახებ. მეც ვიცი მის შესახებ. არცთუ ისე ბევრი, მაგრამ მთავარი.

– ჩემს იდილიაში დისკომფორტი შემოგაქვს.

სარამ იცის, რომ მის ზარს ჩემს იდილიაში დისკომფორტი შემოაქვს. სხვადასხვა ნაპირზე ვართ და ქალაქის ნაევს მიგზავნის, რომელშიც ვერ ჩავჯდები. ისინი ჩემს ცნობიერებაში წყნარად ტივტივებს, ცოტა ხანში ლბება და იძირება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩემი ცნობიერება ქალაქის ნაევს ჯერ კიდევ იხელებს. სარა კი მეუბნება, რომ მასში უკვე ქალაქის ნამცეცებიც დაცურავენ.

კოლოფის ძირითადი ადგილი უკავია სახლს, მერე ბაღს, მერე მთელს სამყაროს. მთლიანობაში, ამ ყველაფერს შეიძლება სოფელიც ეწოდოს. კოლოფი სავსეა შაერთი, უშაერობით, ფურცლებით.

– ნაევს პატარა ტვირთსაც ვატან, შენი ცნობიერების ფსკერი რომ გავამდიდრო.

– რომელიმეს ნაპირზე გადმოვათრევ და გადმოვტვირთავ.

ალარ ვიღივები. ძველი დეპოზიტები ამოვწურე და ცალმხრივად გამომრთეს. ადამიანებს საერთოდ ვეღარ აღვიქვამ. მგონია, რომ სოფელში ბუჩქები შემორჩნენ. არიან მათი წინამორბედი ციური არსებებიც – ბავშვები. მათ შეუძლიათ, თვეები წყლის ბალონებითა და აკვალანგებით აღჭურვონ და კოსმოსში გაუშვან. ისინი სილას თხრიან, ღრმად ყოფენ ხელებს და სილის ქვეშ ერთმანეთს ჰკიდებენ. ისინი დღეებს საპნიან ცრებლებს ატანენ და დილით ხელახლა იბადებიან. ერთი დღე ერთი ცხოვრებაა, დილით კი ცა ოდნავ მაღლაა, კიდევ უფრო მაღლა და ერთ მშვენიერ დღეს ხედავენ, რომ ცა წავიდა და მიწაზე დარჩნენ. აქედან დაწყებული, ისინი უკვე ბუჩქები არიან და ალარ ახსოვთ, რას ნიშნავდა მიწაზე, ცაში ცხოვრება. ცას უყურებენ და სიმაღლის შიშსაც ვერ გრძნობენ.

ერთ ბუჩქთან მეც ვმეგობრობ. ნათესავია. ჩვენი სისხლი ოდესღაც ერთ ჭურჭელში ესხა. განსაკუთრებული პატივიც ამ ფაქტორს ერგო, როდესაც სოფელმა თავისი არჩევანი გააკეთა და დესპანი გამომიგზავნა. პირველად ამ კაცისაგან გავიგე, რა შთაბეჭდილება მოვახდინე სოფელზე და რას გრძნობდა სოფელი ჩემს მიმართ.

მოკლედ მოვჭრი: ამაში ღირებული არაფერია. საკუთარ თავთან მშვიდობის დამყარების მავნე ჩვევა, რაც ყოველთვის ვლინდება ორბიტაზე ახალი პერსონის გამოჩენისას.

შემთხვევითობას კი ყოველთვის ახასიათებს სიბრძნე. ამის გამო ამბობენ, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. რა მნიშვნელობა აქვს, მჭირდებოდა თუ არა მეგობარი, როცა მეგობარი უკვე სახეზეა? და თუკი შეიძლება, საყვარელი ფერი ან კარამელი მქონდეს, რატომ არ შეიძ-



ლება, მყავდეს საყვარელი ადამიანი, და თუნდაც ბუჩქი? თუნდაც ისეთი, როგორც ჩემი ნათესავი ვალერიანა? ლერი.

- დიახ.
- და რომ გყოლოდა, ცოლად მოვიყვანდი.
- არა! როგორ! ჩვენ ხომ ნათესავეები ვართ!
- მერე რა? შენ ხომ და არ გყავს? ღმერთმანი.
- რა შუაშია ჩემი და, რომელიც არ მყავს?
- შენ რაღა შუაში ხარ?
- ჩვენ ყველანი შუაში ვართ. (ვალერიანე)
- მაგრამ ვინ დაგვინესა ამხელა გადასახადები მიწით

სავსეებს?

საყვარელ კითხვას ვუსვამ და ვუმეგობრდები. ზაფხულში ვსაუბრობთ მიწის გადასახადზე და ტრაქტორების პარკზე, რომელიც გაიძარცვა. ტრაქტორები აღარაა, მაგრამ არის მიწა, რაზედაც არავინ იხდის. გაზაფხულზე მიწას ვახვნევიანებთ და მზესუმზირა მოგვყავს. ამხანაგობას ოფიციალურად ვაფორმებთ და „ლავ, სექს ენდ დემონი“ ჰქვია. შემოდგომაზე ჩვენი ბიზნესი ფართოვდება და სოფლის განაპირას პატარა, მყუდრო კაფე იხსნება.

- ერთი მშვენიერი ტკივილი მაქვს შენთვის. (სარა)

საძინებლის ფანჯარა - მომავლის რამდენიმე გრძელი საათი.

თბილნარი - ჩემი არაფრის ერთი ოცდამეოთხედი. ეჭვგარეშეა, რომ ამ ორ სურათს მაინც ვაფასებ.

რადაცეები მაინც ხდება. ემოციების კარგად შესქელებული ზედაპირი გატოკდება და სახეზე ცოცხალ ღიმის ქაჩავს. ღვთის წინაშე მართალი ვერ იქნები, თუ არ გაიღიმე. ისევე, როგორც ერთმანეთისგან ვითხოვთ ღიმის. ხოლო როდესაც მარტო ვრჩებით და ყველაფერს თავისი შინაარსი აქვს, ღმერთი სადღაც უფრო ახლოა და უნდა გაიღიმო...

- სად გაჩერდით?
- მხოლოდ ის არის შენი, რაც გტკივა.
- ეს ჩვენ არ გვითქვამს.
- ეს არაა ის ადგილი, სადაც უნდა გაჩერდე.
- ეს ის ადგილია, სადაც თავს ვერაფერს შეაფარებ.
- ამიტომ შეგიძლია გაიღიმო.
- როგორც მამის მამის მამა იღიმებოდა.
- გაჩერდი!
- არანაირი საფრთხე.
- შორს ყმუიან გაძვალტყავებული თვითმკვლელობები.

და წყალსაც წაუღია, თუკი რომელიმე დუმს. სარა:

- მე ვიცი, როგორ ყვავიან ტკივილები შენს ბაღში. - ნანყვეტ-ნანყვეტ: - თეთრად, ყვითლად და ვარდისფრად, არა? - სინანულით: - ნადი, დაძინე, ჩემგან პატიებას მაინც ვერ მიიღებ.

- რაზე?
- იმაზე, რომ დამშვიდდი, შეიშალე და ცალმხრივად გამოგრეთეს.

სიგარეტი.

ხანდახან მთლიანად ხელებს ვემორჩილები.

ხელებს მივყავარ, სადაც მათი ნასახლარია,

ჰაერის ქონგურებით.

ხელები გამოვყავი, მე ისინი რაღაც ტრაგიკომიკურ არსებებად მეჩვენება.

თითქოს არ იცოდნენ, რომ ყველა თავშესაფარს ვადა გაუვიდა.

ხელების ისტერია.

ღებინების შეგრძნებით.


ჰოდა, მიდი და დაძინე, როცა ყელში ხელები ამოგდის.

მე ვნერ.

ახლა ყველაფერი ჩემზე მოქმედებს.

ქალი სახლში უნდა იყოს. ისევე, როგორც ძალი, კატა, ქათამი და ყველაფერი, რაც ადამიანმა მოიშინაურა. რადგან თუკი მოიშინაურა, ღვთის წინაშე პასუხისმგებლობაც აიღო და სჭირდება თუ არა, ქუჩაში აღარ უნდა დტოვოს.

მხატვარი მალხაზ კუხაშვილი



ნ. გოგოლი, ლ. ნ. ტოლსტოი, ჯეკ ლონდონი, პლუტარქე, ჰაინე, ტვენი - მათი ხელშეუხებლობა ჩემს სახლში გარანტირებულია. ფსკერზე, უკან, კუთხეში, ყველაზე უმნიშვნელო წიგნი - სამყარო, რაც მაინტერესებს.

წიგნის კითხვა, გავამძაფრებდი, წიგნში გადასვლა, ვიზუალურად ძალიან მოკრძალებული პროცესია. არადა, შენ იქ აღარ ხარ, სადაც ხარ და იქ ხარ, სადაც არ ხარ. სადაც ყველაფერი შენს გარეშე ხდება.

სულ უკან, სულ ბოლოში (კუთხეში), ხელი გადავყავი, ერთი უხამური, უსახური, ყდაგარდატევებული, წლების მანძილზე არავინ მიჰკარებია, არც აქ და არც არსად. მე დამეუფლება შეგრძნება, რომ მივიწყებული კუნძულის მკვიდრთათვის ჩემი გამოჩენა ნამდვილი დღესასწაულია. ისინი თავის როლს საოცარი მონდომებით შეასრულებენ.

არის წიგნები და ნაწიგნარები. ისევე, როგორც ნასახლარი, ნასოფლარი.

„ლუსი“.

ეს წიგნის სახელწოდებაა.

მე წიგნს ვკითხულობ – ამის გაფიქრებაზე ჩემი შესქელებული ემოციების ზედაპირი ირხევა და სახეზე ცოცხალ ლიმილს ქაჩავს.

წიგნის მთავარი გმირი ლუსია.

ლუსი ლამაზია, ბოზია და ამ ფაქტორს თავისი დატვირთვა აქვს. ლუსი ლამაზი და გულწრფელი ქალია. ლუსისაც დიდი დატვირთვა აქვს. მან იცის, როგორ იმუშაოს, მაგრამ არ იცის, როგორ, სად და ვისთან დაისვენოს.

„დღეს ჩვენს შორის უნდა იყოს სიმართლე! ასდოლარიანი სიმართლე!“ – ეს მისი კლიენტია და ფიქრობს, რომ იცის, როგორ დაისვენოს. სინათლე ქრება. ლუსი, მოგვიანებით:

„იყო“?

წიგნის იდეური ხაზი ისაა, რომ ქალი სახლში უნდა იყოს. ისევე, როგორც ძალი, კატა, ქათამი და ყველაფერი, რაც ადამიანმა მოიშინაურა (გამოიყვანა). რადგან თუკი გამოიყვანა, ღვთის წინაშე პასუხისმგებლობაც აიღო და გარეთ აღარ უნდა დატოვოს.

კლიენტი მოლბა. მისი დასვენება პირდაპირპროპორციულია ლუსის დალლასთან.

ფანჯარა ღიაა და სიგარეტის კვამლი სასიამოვნო სუსხზე იცვლება. ეს ყველაფერი ლუსიმ მოაგვარა. ახლა ფიქრობს, რომ ერთი სამუშაო დღეა, ჩვეულებრივი.

„შენ ვისთან ისვენებ, ლუსი“?

„შენთან შეიძლება“? დგება, იცმევს, მიდის და მომწონს. კლიენტი:

„მერე ის, ვისთანაც აქამდე ისვენებდი“?

ასეთი არავინაა. არც ყოფილა. აუცილებელიც არ ყოფილა. არც ახლაა აუცილებელი. სარა:

– იცი, რა? ამაზე მეც ვიფიქრე: რატომ არ განვიცდით სიმაღლის შიშს, ცაში რომ ვიყურებით?

– სარა!

– საიდან იწყება მიწის ასეთი დაუფარავი სიძულვილი?

– იდეა მაქვს.

„კაფე – უფსკრულის პირას“.

არ მითხრა, რომ დაცემული ანგელოზები ვართ, მიწით სავსეები... ან იქნებ, ანგელოზებით გაბერილი ერთი მუჭა მიწა. ჩვენი ფანტაზიები ისედაც უსაზღვროა.

წითელი ფიატი გამახსენდა.

ეს თებერვალში დაიწყო, შვიდი-რვა წლის წინ და მერე, ყოველ ორ-სამ თვეში, რეგულარულად. რალაც აუტანელ სიცივეს ვგრძნობდი და სანოლისკენ გავრბოდი, ვიხურავდი რამდენიმე საბანს და მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი არ იყო, მაინც მყოფნიდა, მქონდა თავმესაფარი და იწყებოდა: დიდი სიცივე, გრძელდებოდა, საათი, საათ-ნახევარი, კანკალი. სიმშვიდე.

მაგარი სიმშვიდე.

ორმოცდაერთგრაფუსიანი. აქედან გამოვდიოდი სველი და ახალი, ვიცვლიდი სანოლს და ღრმად ვიძინებდი.

მიკვირს, რომ ამ შეგრძნებებიდან ღირებული არაფერი გამოიწურა. ამის ალბათობა მანამდე არსებობდა, სანამ გაირკვეოდა, რომ ეს იყო მონამვლა, ჩვეულებრივ, მედიკამენტით, რომელსაც ტკივილის გამო ვსვამდი ან მას-მევედნენ.

წითუ ყველაფერს ასეთი მარტივი მიზეზი აქვს? და მე სისტემატიურად ვიღებდი ამ მედიკამენტს, სანამ ორგანიზმი ბოლომდე შეეგუებოდა.

თითქოს ტყავს ვიცვლიდი: „თუ წვიმს, ფიატი მივდივარ, ადგილი მაქვს ამოჩემებული, ოთხივე მხრიდან სინკარები აწყვია და დამტვრეული ველოსიპედი, ვზივარ და ვმალარობ. საოცარი სენია მალარია, ის მცირეოდენი ენერგიაც მეცვლება და ლამის საკუთარ თავს თქვენობით ველაპარაკო“.

სამყარომ არ გაამართლა. განწყობა და შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ორივე ჩავარდა. დარჩა წითელი ფიატი და თხუთმეტიოდე მეტაფორა: „ახლა მეც ანგარიში გამიწიეთ, მთელი ღამე ფეხზე დგომით ვიქცევდი თავს და ვიოლინო მოტეხილი ხელივით მეჭირა“ – დაახლოებით ასეთები.

ახლა იმ ფიატში ვზივარ და გვერდით ლუსია.

– სად მიგყავარ?

სხვაგან, სხვა წიგნში, სხვა სამყაროში, თვითონ ფაქტია ასეთი, სიმაღლის გეშინია?

– რა ქვია შენს სამყაროს?

– კაფე უფსკრულის პირას.

უკვე კაფეში ვართ. ადრე სახლი იყო, აგარაკი. აივანზე საფირმო გარემოა. სიმაღლის შიში. ეს ერთ-ერთი მძაფრი განცდაა იმათთვის, ვისაც სიმაღლის ეშინია. ბიზნესისთვის მოუხერხებელი ადგილია, მაგრამ ვინმეს თუ სოფლიდან გასვლა უნდა, უკეთეს ვარიანტს აქ ნამდვილად ვერ შესთავაზებენ. წინა ფასადი სოფლური სიმყუდროვის განსახიერებაა, შედისარ და პირდაპირ უფსკრულში ვარდები.

– რას მთავაზობ?

– დასვენებას.

ახალგაზრდა, გაბედული წყვილისთვის ჩვენ არ ვივარგებთ. თუ გინდა, რამდენიმე მიმზიდველი საღამოს დედოფლად გაქცევ.

საღამოს დედოფალი – მიმზიდველი წინადადება.

– რა გქვია?

ამაზე არ მიფიქრია. რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სახელი მაინც უნდა გერქვას.

– მე მარტო ვცხოვრობ.

– სახელი არ გჭირდება?

დამჭირდება. თუმცა, ეს საჩქარო არაა. ლარნაკში ახლად მონყვეტილ ვარდს დებენ.

– რას აკეთებ?

ვმოგზაურობ. ღვინო ნამვილია. აქაური გლეხები საუკეთესო საღვინე ჯიშის ყურძენს წურავენ.

– სად მოგზაურობ?

ადამიანებში. ქალებში? ქართულში „ქალი“ ბოზის მნიშვნელობითაც იხმარება: ქალებში წასვლა, მოგზაურობა... ლუსი:

– თემო.

თემო – ეს მე ვარ. ლუსი:

– საშოშია.

უფსკრული. უფსკრულში იყურება. ისეთ პოზაში, თითქოს ოდნავ კიდევ რომ გადაიხაროს, ჩავარდებაო. ამ კაფეში მიღებული პოზაა. შიში კი ნამდვილად ღირს იმად, რომ გამოსცადო.

– ესე იგი, მოგწონს.

– უკეთესი იდეა მაქვს: სანოლი – უფსკრულის პირას.

– არაჩვეულებრივია.

– მერე ყურძენს მოვატანინებთ.

– ყურძენი – უფსკრულის პირას.

საუკეთესო საღვინე ჯიშის. ლუსი საღამოს დედოფალი და უფსკრულის დიასახლისია:

– სიამოვნებისგან რომ დაიღლები, ეს კარგია თუ ცუდი?

– ხანდახან ეს ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს უახლოვდება. სიამოვნებისგან სიკვდილიც შეიძლება.

დიდი ხანია ცხოვრობ.

გყავს შენი თავი, კედელზე გიკიდია სარკე და ფიქრობ: დიდი ხანია ცხოვრობ, გყავს შენი თავი, კედელზე გიკიდია სარკე და ფიქრობ: სასაცილოა.

რა და ეს სიტყვა, ეს ცხოვრება, ეს დილა, ლუსი – ეს სახელი, ეს „ეს“ და ისიც, რაც სარკეშია.

თითქოს წუხელ ვიღაც მოცლილი უსარგებლო დღაბენით გაერთო, შენ კი დგახარ და საკუთარ თავს მაგრად ისრუტავ. შენ ეგ ჯერ არ ხარ, ნება იბოძე, ღვთიური ვალი აღასრულო – ერთი ღამით კიდევ დაბერდე. ღამით, რომლითაც პატარა ხარ საკუთარ თავზე. თანაც რა იცი, ერთ ღამეში რა დრო გავიდა

და ინკოგნიტო მოწინების დასაფარავად ფიქრობ რომ ეს სასაცილოა.

სულაც არ არის სასაცილო.

სარკეში რომ შენზე ნამდვილი ლანდია და არ გამოირიცხავ, განსხვავებული აზრით ჰქონდეს ყოველივე ამის შესახებ.

ასე უმიზნოდ თვალეში რომ შესცივინებ, კიდევ უფრო სასაცილოა.

სიკვდილს ხომ არ ელაქუცები?

ან ვინ დაგზრახავს შენი ლანდი რომ შეიყვარო?

თუნდაც ნამდვილი სიყვარულით?

თუმცა, ნამდვილი სიყვარული ეს ის არის, რაც არ სეპობს.

– არსებობს... რაღაც, სხვასთან ყოფნა, ან სხვაში ყოფნა, საკუთარი თავიდან გასვლა, სიძულვილის გარსის დარღვევა.

– მართლა?

– შენ ამეებში, რა თქმა უნდა, კარგად ერკვევი.

– გრძნობებში?

მართლაც, რა უნდა იყოს სიყვარული, თუ არა გრძნობა? ყველა ცოცხალი ორგანიზმი სიძულვილის რესპუბლიკაა (ეს ლუსიმ თქვა) და თუკი შენს ლანდს შეიყვარებ, გამოდის, რომ შენს თავში მოხვდი? ლუსი:

– დამცინი?

– შენ გინდა, რომ შენს თავში მოხვდე?

– ეს სარკეა.

– წინადადება სინტაქსურად გამართულია?

– ვჩხუბობთ?

– მერე რა? არც ისაა გამორიცხული, საკუთარ თავს ვეჩხუბებოდე.

– მაშინ განაგრძე.

– სისხლსა და ნერვებს ერთ ხაზსაც ვერ გამოაპარებ. ხედავ? კონტურებს დარაჯობენ სიძულვილის მესაზღვრეები და ჩვენსკენაა მომართული სიძულვილის ორი ქვემეხი. შენი თვალეში.

– რაღაცეები აგერია. ეს, უბრალოდ, ერთი სარკეა.

– ეს უფსკრულია!

ასე უმიზნოდ თვალეში რომ შესცივინებ კიდევ უფრო სასაცილოა.

სიკვდილს ხომ არ ელაქუცები?

გინდა, სიკვდილის არანაკლებ სიკვდილი ნახო? სარკის კადრი წარსულისკენ დაატრიალე. უნდა გამოტყდე, რომ ცხოვრება დიდხანს გრძელდება. შენ ის ქალაქი მიატოვე, ქერა კატა გასტრონომში რომ დადიოდა. ის გამყიდველი, რომლისგანაც ერთ მშვენიერ დღეს მეთასე პური იყიდე და გალიმება დაგეზარა. შენი კიბე, ორი ნაბიჯი, ჩხარა-ჩხური, მერე პური მარჯვნივ უხვევდა, რომ დაჭრილიყო, უფრო სწორედ, დაჭრილიყო რომ ცხელი ჩაის ნაზი ესკორტით გაგეგზავნა გამრჯე კუჭისკენ.

უცებ სოფელ „ნ“-ს მოველინა საოცრად უცხო ქალბატონი, დაუკავშირდა ერთ საეჭვო ინტერესების მქონე მოგზაურს და მის კაფეს დიასახლისობს. ვინ თამაშობს, ჩვენ თუ სოფელი?

ბელურები ძალიან მომწონს.

შესაძლოა, ჩემს ფანჯარასთან ბელურების განსაზღვრული ჯგუფიც ჟივჟივებს, მაგრამ მათი გამორჩევა ცოტა ძნელია.

ეს დილაა,

ჩემი სოფლის უბრალო დილა. როცა გაქვს სახლი, გაქვს სოფელიც და სოფლური უბრალო დილაც.

მე ამეებს მხოლოდ ვქირაობ: სახლს, სოფელს, დილას, ოთხ ოქტომბერს, შეიძლება საკუთარ თავსაც, მდინარეს, ხეებს და ყველაფერს, სიზმრების გარდა.

ძილი ჩემი ჯამაგირია.

– ქირაობ ვისგან და რამდენად?

– სოფლისგან. რადგან ეს არ არის ჩემი თამაში. ეს დაკვეთაა. და ვქირაობ საშინლად ძვირად: ყველაფერში ჩემს წუთებს ვიხდი.

– იქნებ, პირიქით, ჩვენ გვექირაობენ? ჯამაგირად კი წუთებს ვიღებთ... (ლუსი) წუხელ, სიზმარში, ვითომ ჩემი ჯვრისწერა იყო.

– ჩვენი ხომ არა?

– არა. ის კაცი ყველაზე ძვირადღირებული ვარსკვლავია ჩემი სიზმრების და მზად ვარ, მისი ერთი ხილვის სიამოვნებას მთელი სამყაროს მარტოობა გადავუხადო. საცაგლობაა, შენი მიზეზით რომ დაკარგავ სისხლით ნათესავს. შვიდი სიცოცხლე შეიძლება ისე გავიდე, რომ შენმა სისხლმა ამნაირად არავინ აღარ აღიაროს.

– განცდილ განცდებში დაბრუნება მაინც ჩვევაა, უფრო მაინც, ვიდრე ე. წ. „ფუჭი ოცნება“.

– ალბათ... ჰო, მართლა, სერიოზული მეტოქე გყავს.

– ვალერიანე?

– გუშინ თავისი გარეგნობა ვარდისფერი კაბრიოლეტის წიაღიდან შემომთავაზა. „რა დაგემართა“? შეხვედრა ასე გაიხსნა და მისი ორი დიდი ფილტვიდან წამოსული სქელი კვამლი მეგობრულად გადამეხვია. „არ ვიცი, რამე დამემართა“? – გამოვერკვიე.

ვალერიანე: – მორალურად ხომ არ დაეცი?

ლუსი: – გაინტერესებს?

ვალერიანე: – შენ?

ლუსი: – უთუოდ. უფრო სწორედ, მაინტერესებს, ჩვენს მძიმე ხვედრს რა დაემართა. ღმერთს მადლი, რა-ღაც დამართია.

ვალერიანე: – როგორ გითხრა, შენზე ვერ იტყვი.

ლუსი: – ლერი.

ვალერიანე: – არაფერი, სული გაეცვიდე.

ლუსი: – ამბობენ, სანთელ-საკმეველი გზას არ კარგავსო.

ვალერიანე: – ჩვენზე უნდა იყოს ნათქვამი... სულზე კი იმას ამბობენ, რომ, თუ არ გაყიდე, აღმოგხდებაო.

ლუსი: – კლიენტი არ მყავს, თორემ დიდი სიამოვნებით

ვალერიანე: – შემოიძლია, ასი ლარი გადაგიხადო.

ლუსი: – დოლარი.

ვალერიანე: – ხუმრობ?

ლუსი: – არ ინანებ! თანხმობის ნიშნად მანქანაში უნდა ჩაგიჯდე?

ვალერიანე: – არც შენ ინანებ.

მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ცხოვრობენ იმ ქალაქში

(გაგრძელება მომდევნო თავში):

ღვარძლიანებო, გამოკიდეთ საბნები და ხაფანგებით დაიჭირეთ პირდაუბანელი მზე. ლუსის ქრონიკული სიცოცხლე სჭირდა.

რომანტიზმი-მეთქი, ავიკვიატე. ოთახში ფიჭვის სუნი უნდა იდგეს მეთქი. ლუსი უკან აღარ დაბრუნებულა. აფორიზმებით საუბარს შევეჩვიეთ. სახალისოცაა. ასე, მაგალითად: „ყველა სიტყვა დაგვიანებულია, ყველაზე მოსწრებულიც“, ან: „ცხოვრება თამაშია, მიუდებე შემოქმედებითად“.

შემოქმედება თამაშია, ცხოვრებას მიხედე.

– ლუსი.

– ცხოვრება ცხოვრებაა და თამაში – თამაში. მე არ მინდა, რომ ცხოვრება ვითამაშო.

ან კიდევ, თამაში იცხოვრო.

– რა გინდა?

– ნასვლა.

ესეც თქვენი ლუსი.

– და ფიქრობ, რომ ეს მე მეხება?

– არა? (ლუსი)

– ვერ გავიგე. თუ გინდა, რომ სადმე წავიდეთ, მაშინ ეს ცუდი აზრი არ არის, რამე მოვიფიქროთ, მანქანაში ჩავსხდეთ და წავიდეთ... შეგვიძლია ფეხითაც გავისეირნოთ.

– მე საერთოდმინდა, ნასვლა.

– აი, ეს, უკვე, მე, აღარმეხება.

– გთხოვ...

– არვიცი... თუ ნასვლა გინდა, ნადი.

ისიც კი არ ვიცი, საიდან უნდა წახვიდე. ამყველაფრიდან? ლუსი, ძვირფასო, ეს კაფეა, კაფე უფსკრულის პირას. აქედან ნასვლა ძალიან იოლია. მაგრამ მე მართლა არ მინდა, რომ წახვიდე.

მაგრამ ერთად-ერთი, რასაც აქ განიცდი, შიშია. და დაილაღე. ესე იგი:

– ნასვლა კი არა, დასვენება გინდა.

– არა. აქ ვერ დავისვენებ. ეს ჩემი ადგილი არ არის. არც არავის ვუსურვებ. ეს ციხეა.

– ეს აივანია. და ამ აივანიდან გასასვლელიცაა და ნასასვლელიც.

– უფსკრულს მთავაზობ?

– იცი, რას ვფიქრობ? მშიშარა არსებები დიდხანს ცოცხლობენ.

– იმედები გამიცრუე. შენთან იმისთვის არ მოვსულვარ, რომ მარტო ვყოფილიყავი.

ეს უკვე რაღაც ახალია. ნუთუ იმისთვის მოვიდა, რომ მარტო არ ყოფილიყო? ლუსი:

– შენ ადამიანები კი არა, დეკორაციები გჭირდება.

– ისეთივე, როგორიც უფსკრულია?

– შენ ის გიყვარს?

უფსკრულზე ეჭვიანობს. რატომაც არა? საკუთარიდან მის სამყაროში გავდივარ და თავისუფლებას ვგრძნობ.

– მე რაღა შუაში ვარ?

უბრალოდ, იცის რა გააკეთოს. იგივე? ლუსი ამას არ აპირებს. ჩემს თვალებში მისი სახის ნაკვთები ირევა. აი, მოუსმინეთ:

– უფსკრული შევიყვარო? მერე შენ? მაშინ მე გეტყვი, შენ რა უნდა გააკეთო. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლია საკუთარი სიკვდილითაც მოკვდე.

– ამას ვაპირებ კიდევ.

– სტყუი.

– დანყნარდი.

– შენ ჩემი მოკვლა გინდა.

– მართლა?

– შენ სიკვდილის მოშინაურება გინდა, აივანს უფსკრული გამოაბი და ადამიანებს აჭმევ.

– იცი, რომ დასასრულისკენ მიგყავს?

– ჰოდა, დაამთავრე. ნუთუ ყელში არ ამოგივიდა? ჩემგან კიდევ რამეს მოელი?

– დღესვე წახვალ.

ძალიან საშიში თამაშია.

– სიკვდილთან გინდა განმარტოვდე? (ლუსი)

– მე თავი დამანებე.

– (ლუსი) არა! ეს შენი სიკვდილია! სხვები რატომ უნდა კვდებოდნენ შენი სიკვდილით?! სხვები რატომ უნდა კვდებოდნენ შენი სიკვდილით! სხვები!

მოდი, დავამთავროთ.

შენ ხომ პირველივე დღიდან უფსკრულში, ფსკერზე, თეთრ ლაქას ხედავ.

დიდხანს ვერ ხვდებოდი, რა იყო. ბოლოს გარდერობში აღმოაჩინე.

ამ ლაქას დღესვე ვიხილავთ.

გადის.

ორი წელია, რაც აქ ვარ, ჩემთან, კოლოფში. კოლოფი კვირაში შვიდჯერ ინთება და ქრება. ნოემბერში იატაკზე წვიმების ყავისფერი ნარჩენები, კედლებზე კი ყვითელი და ნივთილი შედეგები გაჩნდა. მთლიანობაში, ეს თვეც უგემოვნოდაა გადანყვეტილი.

ღამეში უკეთესია. აქედან დაწეული ფერების ეფექტია. საძინებლიდან ფანარია, თხილნარში. თხილნარიდან – საძინებლის განათებული ფანჯარა. იშვიათად და ოდნავ აღვიქვამ, მაგრამ ხანდახან მისი ცქერა თვალების დახუჭვასაც მირჩევია. თხილნარში ერთ საათს ვატარებ, საგანგებოდ ჩაცმული.

რაღაცეები მაინც ხდება. ცოტა ხანში ჩემს ნაპირს ქარონის ნავი უნდა მოადგეს. ნავის იდეა სარას ეკუთვნის.

პროზა

მისი ქალაქის ნაგებობები ჩემს ცნობიერებაში სულ უფრო დიდხანს ტივტივებს. ტელეფონი:

– უნდა მოკლა?

– არა, მე – არა. ისე, მან მთავარი დეკორაცია ვერ შენიშნა, უფსკრულმა დააბრმავა.

– ცა? იქ ჩვენ აღარ ვართ. იქ სხვა ლაქებია.

სარამ იცის ჩემს შესახებ. მეც ვიცი მის შესახებ. არცთუ ისე ბევრი, მაგრამ მთავარი. მან ისიც იცის, საიდან გაჩნდა ჩვენში მინის ასეთი დაუფარავი სიძულვილი და რატომ არ გვეუფლება სიმალის შიში, ცაში რომ ვიყურებით.

– დღეს ჩემს ნაპირს ქარონი უნდა მოადგეს.

– ქარონის ნავით გარბიხარ?

– ეს აქედან გაქცევის ერთად-ერთი შანსია.

სხვა ნაგებობები ჩემამდე ვერ აღწევნენ.

შენი ქალაქის ნაგებობები თუ არ ჩავთვლით.

– არ მოგებზრდა?

– ჰო, მომბეზრდა.

ამიტომ გავრბივარ.

– არა, საერთოდ, ეს გაქცევები...

– გაქცევასაც გავქცევ?

– ქარონის ნავი ცოცხალი საშიში ხომ არ არის? თანაც ჩემამდე ვერ მოგიყვანს.

გაჩერდი. თვალები დახუჭე. კაბის შრიალი. ახლა აივანზე თეთრ კაბაში გამონყობილ ლუსის ვიხილავთ. ეს ის კაბაა, რასაც ლუსი აივანიდან უფსკრულის ფსკერზე ხედავდა. შენ არასოდეს შეგინიშნავს საკუთარი თავის ლაქა უფსკრულის ფსკერზე?

– მადლობა ღმერთს, მე შენი პერსონაჟი არა ვარ.

– ვითომ?

ქროლვა იწყება. სიკვდილის თერაპია. ლუსი მე აღარ მეკუთვნის. ზურგს უკან ხელებს მოაჯირს კიდებს და უფსკრულისკენ ბოლომდე იხრება. ქროლვა იწყება. ხელები გაშვებაა, ქარონი ნამდვილი მენავეა, ლუსი – ნამდვილი ქალბატონი.

უფსკრულს თვლელა მოერია. ახლა მისი მოფერებაც შეიძლება, ლაბაზე ხელის მოთათუნება. ერთი უსიამოვნო მომენტი:

საკუთარ სხეულში გადაშვება. დიდი ჟრუანტელის ნამები.

გამოფიზღდები და მშობლიურად უცხო ნაპირზე ხარ, გასავათებული, მაგრამ ახალი.

სიცოცხლეს გაუმარჯოს, სარას!

პოეზია

თუ ვინმემ შეუშალა ხელი უნებურად თამარ ერისთავის ლექსების პოპულარობას... ისევე თვითონვე – თავისი ბრწყინვალე თარგმანებით. ეს ნიმუშები – უპირველესად მაინც რობერტ ბერნსის ლირიკა და ლორდ ბაირონის „შილიონის პატიმარი“ და რამდენიმე ლექსი – ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების უმაღლეს თაროზე ძვეს და ხელმესახებად გვიდასტურებს იმ შეხედულებას, რომ პოეტური შედეგების კონვენციური ორეულეებიც შეიძლება შეიქმნას ამა თუ იმ ენაზე... მაგრამ ამ თარგმანებმა ერთგვარად ჩრდილში მოაქცია თამარ ერისთავის ორიგინალური ლექსები, რომელთაც პუბლიკაციიდან პუბლიკაციამდე და



თამარ ერისთავი

კრებულიდან კრებულამდე თანდათან წარმოსახეს მომხიბლავი პოეტური სამყარო.

ეს ის მხატვრული სინამდვილეა, ჭეშმარიტი მკითხველი მოუთმენლად რომ ელოდება მის გამოშუქებას დროდადრო, რაკილა პოეტი ხელმომჭირნედ სთავაზობს ამ მშვენიერ ქმნილებებს, იმდენ ხანს უტრიალებს სულში დაგროვილი წვეთებისათვის შესაფერისი სიტყვიერი ყალიბის შერჩევას.

სამაგიეროდ, თამარ ერისთავის ყოველი შეხვედრა მკითხველთან ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე წარმატებულია და დასაამასოვრებელი და „ჩვენი მწერლობის“ დღევანდელი პუბლიკაციაც ბუნებრივად აგრძელებს ამ გზას.

მარადისია პროზანი ველის

ვუძღვნი მზია ანდრონიკაშვილს

რამ მომაგონა ასე ანაზღად
სუნი პროზანის, ფეხქვეშ თელილის,
მივიწყებული აჭურამაზდა
და შიში მისი, ვერგამხელილი,

მთის წვერზე მდგარი სამსხვერპლო დიდი,
სისხლის მხვრეპი და ცრემლთა დამდენი,
და სისხლის ფონზე მეფურად მშვიდი
კერპი არმაზის, კერპი ზადენის.

მათკენ დიოდა ქართლოსიანთა
ყველა შარა და ყველა გზანვრილი,

ეხვია ირგვლივ ხალხი კლდიან მთას,
კერპებისაკენ ხელებანვლილი.

მერე სხვა რწმენამ ფრთები აისხა
და გზა გაკვალა ცისკენ მავალი,
და თუმცა ბევრი კერპი დაიმსხვრა,
კვლავ აღიმართა კერპი მრავალი.

ალბათ ამიტომ, ასე ანაზღად
ვიგრძენ ყვავილი, ფეხქვეშ თელილი,
მივიწყებული აჭურამაზდა
და შიში მისი, ვერგამხელილი.

მაგრამ ბრმა არის, ვინც ვერ იწამებს
რომ კვლავ ამოვა ისრის წვერივით,

მრავალჭირნახულ ქართლის მინაზე
ყვავილი, ბევრგზის ძირმოცელილი,

რომ არ დაცხრება სული ცხოველი,
რადგან მას უფლის კურთხევა ელის,
რომ მსხვერველად კერპი ყოველი,
მარადისია შროშანი ველის.

ხალხურ კილოზე

რას მეტყვიტ, რით გამახარებტ
ქედებტ, ორბის ფრთიანტ,
შენ, ჩვენი ბედის ვარსკვლავტ,
მძლეო და ხიფათიანტ!

ამ ნარღვნის წვიმებტ რა ვუყოტ,
ჯიქურ რომ თავს გვესხმიანტ,
სულის ფსკერამდე ჩადიან
სარბევად და საზიანოდ.

რამდენ ჭირს უნდა გავუძლოტ,
რა ხმალი გავაფხიანოტ,
მერე გვიანლა იქნება,
როცა სულ გავგვხდნიანტ.

ქართული სულის კივილო,
ნაღარასავით ხმიანობ –
„წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანტ“.

თქვენ რაღას მეტყვიტ ნუგეშად
ფშავ-ხევსურეთის იანტ,
„ლაშარის გორზე შადგომას“
კიდევ თუ გვალირსიანტ?!

იმედო მამა-პაპათა,
ვინძლო შენ დაგვაფრთიანტ...
ღმერთო, თუ მაღლიტ დაგვცქერი,
მოგვხედე, ნულარ გვიანობტ!

კეთილ სულტა ნარუშლელოზა

არავინ იცის, ტალღების დევნიტ
რომელ ნაპირთან მივა ეს ტივი,
ან კაცის ბედი რაფერი მელნიტ
გადინერება პალიმფსესტივით.

მაინც დარჩება, ვიცი, დედანი,
რაც უნდა მღვრიე სისხლიტ ნერონ ზედ...

მზე, როგორც ნათელ სულტა ქედანი
ზის და ლულუნებტ ცის კენწეროზე.

* * *

ყველა საკუთარ წრეში ტრიალებტ
და უბრუნდება თავის არქეტიპს –
ორბი, ეღვისებრ ცად მობრიალე,
მოხობიალე მტვერში-ქარქვეტი.

არ გაგონილა თხმელის აკვანი,
ვერც ანწლის ღერომ ისალამურა,
ყივილს ვერ შეცვლის მჭახე კაკანი
და შევარდნობას ვერ იქმს ღამურა.

* * *

უფსკრულისაკენ მიმავალ გზაზე
ღამაზ პირიმზეს გვერდს ვერ აუვლი...
კაცს ზეღმტაცი სიღამაზის
განცდას რომ აძლევ,
შენგან არს ღმერთო ამ მიწაზე
ეს სასწაული.

* * *

ჩემს ოცნებას, ლექსიტ ნამხელს
არც ზღვარი, არც სამანი აქვს,
ის ჩამოჰგავს ზღვის ზამბახებტ
და ცას იასამანიანს.
სიღამაზე სულის სიმზე
მოსრიალე ქამანია.

**ანდერკი წარმავალი ქართველისა
ანუ**

ნუ იქნები მარტო სამინე

სულ მალე, ალბათ,
შვილო, ჩემი სიცოცხლის ალვა
ქენწასავით ტოტებტ დაიწევს,
და როცა წავალ, გთხოვ მისდიო,
მე რომ მივდევ, სწორედ ამ წესს –
იყავი ცისაც,
ნუ იქნები მარტო სამინე.

მას ნუ აჰყვები,
ვინც დიდების ბანგით გაღეშეს,
ვინც ღვთის სახელიტ მოგვევლინა
ღმერთის გარეშე,
მას ვინც სატანას უწილადა
სული იჯარით;

არ დაიჯერო მისი ლოცვა,
მისი პირველარი.

მას ნუ მიბაძავ, ვინც რჯულს ჩვენსას
ამჯობინა რაღაც სხვა რჯული,
ვინც ქვეყანაზე
ურცხვად არის გადალაჯული,
აბუჩალაკად უქცევია
ხალხი ტანჯული
და სიმალისკენ გზას მიიკვლევს
წესით ქაჯურით.

ეკლესიამდე შენ სანთელი
სულში დაინთე,
უფალს ერთგულად ემსახურე
და იმთავითვე
განკვეთე შენგან ყოველივე,
ის, რაც მცდარია,
„რამეთუ ხორცთა ეკლესიანი

წინაშე ღმრთისა
ქვის ტაძრებზე უფროს არიან“.*

მე საუკუნო ასაცრელი
უკვე ამიცრეს,
და როცა წავალ,
დიდხანს გლოვას ნულარ დამინყებ...
მტკრის მტკვრად მიმქცევი,
ძველებურად უვლის ქარი წრეს –
მინით შექმნილი
ღვთის ნებითვე
უნდა დამინდეს...

ჰოო... ყოველ დილით
მტრედებისთვის საკენკის დაყრა
და ბელურების დაპურება
არ დაგავინყდეს!

* „ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი.“ პერიფრაზი

ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანს საზოგადოება მთარგმნელად უფრო იცნობს, რომელმაც გერმანულიდან ამ მწერლობის არაერთი ნიმუში გვი-თარგმნა, მათ შორის რაინერ მარია რილკეს „წერილები ახალგაზრდა პოეტს“ და „ოგიუსტ როდენი“, ინგებორ ბახმანის ლექსები და სხვა.

ასმათის თარგმანებში ყოველთვის იგრძნობოდა მძაფრი პოეტური მუხტი, სიტყვის შემოქმედებითად შეგრძნებისა და გააზრების უნარი, მაგრამ მისი პოეტური დებიუტი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ უურნალ „ალტერნატივას“ (№4, აგვისტო-სექტემბერი, 2005) ფურცლებზე შედგა, ბევრისათვის მაინც სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.

ლექსებს ბავშვობიდანვე წერდა, მაგრამ ამის შესახებ აქამდე უახლოესი მეგობრების



გარდა, არავინ იცოდა. ესეც მთარგმნელისთვის დამახასიათებელი თვისება გახლავთ — გადამეტებული მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ნაწერის მიმართ, რაც ალბათ გარკვეულწილად იმითაც აიხსნება, რომ მთარგმნელის გამოვნება დიდი ქმნილებებისა და ავტორების გარემოცვაში, ამ ტექსტებთან და ავტორებთან პაექრობაში იხვეწება. მეჩვეუ-თარ ნაწერს ამ თხზულებებთან მიმართებით აფასებს და უმეტეს შემთხვევაში ორიგინალურ შემოქმედებას უჯრაში ინახავს. ეს კი არც ყალბი თავმდაბლობით მოსდის და არც შეფარული ამპარტავნებით. ეს ალბათ მოკრძალება უფროა იმ დიდი სულების წინაშე, რომელთა ნააზრევის სრულიად ახალ გარემოში გადატანა და სიღრმისეული ათვისება უხდება.

ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი

ფხსსაცმელები

ერთი გზით მიდის ორივე ტერფი,
თევზები ტალღას ადევნებულნი
და ცარიელი ფხსსაცმელები
პირდაფრენილი თვლემენ კუთხეში.
ჩემი ფიქრებიც სად არ დადიან,
გაცვდება ლანჩა – ჩემი სხეული.
გაიყრებიან მერე, ოდესმე,
სული და ხორცი და დაბნეული
იდგება ფიქრი სულის ჭიშკართან
და გადმოხედავს განძარცულ სხეულს,
ახლად გახდილი ფხსსაცმელივით
დაცლილს, გადაღლილს და გაოგნებულს.

ჯვრის მონასტარი

ნ.გ.-ს

შემოდგომა შემოადგა
ჩემს ციხეს და კარავს
გარანდული ქარვის ფერით
წარს და ეკალს ფარავს.

როგორ მიკვირს: დედამინა
ნაყოფს ისევ იღებს,
ზედაპირზე ამზეურებს
დღემდე დახშულ სიღრმეს.

მეგობარი მასხენდება
შემოდგომის მსგავსი,
ღმერთო, ქარი აარიდე
ნაყოფებით ავისილს.

ნეტავი რა გემღერება
სულო, როცა ტირი.
რად მაგონებ გრიგალისგან
რტოდალენილ ტირიფს.

* * *

კაცობრიობა შედგება ჩემგან
და ჩემი მეზობლებისაგან,
ამ უსახური სახლებისგან
ქარის ალიყურს ძლივს რომ უძლებენ.

* * *

სხვას დაესიზმრა ჩემი სიზმარი.
სხვამ იცხოვრა ჩემი სიცოცხლე,
სიყვარულითაც მას უყვარდა
ისე ძლიერ, რომ ვერ გამეძლო.
ევიწროვა ჩემი გული, გონება, სული,
გამოასახლა სხეულიდან, ვინ შეიყვარა,
ვერ მოისვენა,
დის და იღვრება,
წვიმა იქცევა,
ღრუბლად, ქარად და ცისარტყელად.
ისევ ითვისებს სახელებს, სიზმრებს
და უყვარდება მუდამ ხელახლა.
ვხედავ მაძევებს სხეულიდან
მოშურნე ღმერთი,
რადგან ისევ მისგარეთ ვსახლობ.
ვერ გამიმეტა ვერავისთვის
და აი ახლა
სურს საბოლოოდ დამისაკუთროს.

* * *

იგი დადუმდა.
ჩაქრა.
ჩაკვდა
და დაიკარგა.
ყოველი სიტყვა
მისთვის თქმული
გამიბათილა
და კედელივით
ხელუკუღმა შემომაყარა.

* * *

სად ინახება საყვარელი ღიმილის სითბო?!
... უფლის უბეში გატრუნულან სულის ჩიტები
და სიყვარული უგალობებს თავდავიწყებით...

ცივ ხელისგულებს იმედით ვითბობ
და ამ ერთადერთ შეკითხვაზე პასუხსლა ვითხოვ:
სად ინახება საყვარელი ღიმილის სითბო?!

* * *

მობველ მშვიდობით,
ხელისგულზე გამდნარო ფიფქო,
შორ ვარსკვლავთა უმანკო ფიქრო.

* * *

ქარი ხეთა ხემებით
უკრავს უცნობ მელოდიას
სივრცის სიმებზე.

* * *

უკვე ვიცი
საით სურთ წასვლა
გატეხილ საგნებს ან ნამსხვრევები
სად იყრიან თავს
ხელახლა რომ დაიბადონ.
რადგან კვებოდნენ ნამსხვრევები
ნაგვის ბუნკერში, საითაც მათ აგზავნიდა
ურიცხვი ხელი ამ ქალაქში,
სხვა ქალაქებში.
მზერიდან ამორთმეულებს
ალარვინ დაიტირებს შემლილთა მეტი.

ვიცი, საით სურთ წასვლა
გატეხილ საგნებს,
მადლობა ღმერთს, რომ არ მოსწყინდა
ჩემი განსწავლა.
შენი ხელიც ხომ ღმერთის ხელივით
ამსხვრევს ძველ ფორმებს და ახალს აგებს,
ახალ შინაარსს ანიჭებს საგნებს,
გატეხილ საგნებს ამოუვსებს სიცარიელეს.

ალბათ ღმერთი ასე შეკრებს
ყოველ ჩვენგანს,
გაბზარულს თუ დანაწევრებულს,
გაგვამრთელებს და კვლავ დაგვბადებს...

მე ვარ ნაწილი დამსხვრეული მთლიანობისა,
მე ვარ ნამსხვრევი
და არ ვიცი ჩემი ადგილი...

ვიცი, საით მიუწევთ გული
გატეხილ საგნებს, ან ნამსხვრევები
სად იყრიან თავს ხელახლა რომ დაიბადონ,
მაგრამ არსად არ აღმოჩნდა ჩემი ადგილი...
ალარცერთ ნამსხვრევს არ ერგება
ჩემი კონტური
და ჩემს ორეულს თავს ვაბეზრებ შეგონებებით:

ააშენე, რასაც დაამსხვრევ,
ხოლო რისი აშენებაც არ შეგეძლება,
ფიქრითაც კი ნუ შეეხები,
რადგან ამქვეყნად ყველაფერი
მსხვრევადი და წარმავალია,
რასაც ღმერთის არ ატყვია ნათითურები.

* * *

შენზე ფიქრში დღეებს დავართავ,
და ღამეებსაც თითისტარზე დავაბზრიალებ.
ხვალ ამ შავ-თეთრი გორგალისგან
მოვიქსოვ კაბას
და შევწყვეტ დავას სიცოცხლესთან,
მერე სიკვდილთან.

* * *

ქალაქის გარეუბნებში მალე ალბათ სამსხვერპლო
მამლები იყივლებენ უკანასკნელად.
ახლა ახალ კარტოფილს დავთლი,
საუზმეზე დამენვევა გრილი აისი.
ჯერ კი მარტო ვართ მე და დანა,
მთვარე და თასი
და დაფარული სიტყვა...
სძინავს უღლიდან დახსნილ მეუღლეს
და ზღაპრებით დანაყრებულ შვილს
გაუმხელელი ფიქრების კვამლი
მთვარის ფიტულს ეპოტინება.
ფერფლს კი, უძილო ღამის უნაყოფო ნერგს
ხვალ ამ ქალაქის ნაგავში ჩავრგავ.

იკუს

მუჭა-მუჭა
ქარი
ფანტავს მტრედის გუნდებს.

მეგობრები სიზმრებს გაყვნიან ფეხაკრეფით.
შემოდგომის წვიმა დამიგუბებს ნალველს,
ასე ხდება მუდამ, როცა მენატრები.

სიზმარი

მღვრიე წყალში
ქათქათებდა
ქალის სხეული.
მეჩხერი ჭალა ჭაობიან კუნძულზე იწვა
და გარიყული სხეულის ნაკვთებს
ხარბად ინოვდა თხიერი მიწა.

* * *

ვბრუნდები სახლში,
გარეთ წვიმა საღამოს ერთვის.

აი, პირველი გაზაფხული დადგა უშენოდ.
სიკვდილი იყო,
სიყვარული იყო და არის
და მარტოობა მაკვირდება
შენი თვალებით.

* * *

ფაიფურის ფიფქში ვზივარ პატარა
პანანინა სული.
დაფარულმა ფიქრმა სად არ მატარა,
შენთან მოველ,
არ მატკინო გული.

* * *

ქარია
ქარში
მიმავალი
საათის ტიკტიკი ღამე და სიჩუმე
ვიცი არ არსებობს სიკვდილი
არ ვიცი სად არ არსებობს სიცოცხლე

კარია
კარში
გამავალი

ღამეა ცივი და ქარი გამჭოლი
ვარსკვლავი გამოსჭვივის ღრუბლებიდან
როგორც ქარიანი ღამის განმარტება
მე სხვა შედარება არ მჭირდება

ალილე სარეცელი შენი

ძვლები კოსმოსის მოდელია
როგორც ორფეოსის ჩანგი
ზოგს სმენა არა აქვს
ზოგს შეუძლია გამოსცეს ღვთიური ჰანგი
თუმცა სარეცელი ერთია ყველასთვის
და ყველა ერთი ვართ მისთვის

სიმბოლო ხილული სამყაროსი
სადაც ვიბადებით და ვკვდებით
მოჭრილი ღეროა
მიწაზე ამოსული
სასალამურე ლერწმის

რაც უნდა მრისხანე ქარი ქროდეს
წყნარი გამოეცი ხმა
იქნებ ქარი მხოლოდ ამას ელის
თმენადაკარგული შენგან ელის ხსნას

აღელვებული ზღვა დაცხრება
ბოლო მოელება შფოთსა და შუღლს
შენ წინ გაცხადდება ყველა საიდუმლო
და შენივე ძვლებიდან ამოზრდილი დაფნის
ფოთლები შეგიმკობენ შუბლს

კარში
გამავალი
კარის მიღმა
ალარ
იარსებებს
კარი

ნერილი

გგონია გეძახი, უშენოდ ვერ ვძლებ.
ეს ჩემი გული ეძებს იმ სახლებს,
იმ იშვიათ კარებს, სადაც დაკაკუნება შეუძლია.

გარს ბევრი ხალხი გვახვევია,
საითაც ვნებავს, იქით წახვალ,
ყველგან წასვლა გეიოლება,
მაგრამ სურვილი რომელ კარზე
მოისურვებს დაკაკუნებას და მოწინებით
შეჩერდება ხელშემართული.

დღეს ხომ ჩვენთან ლაღად მოდიან,
კარს გვიმტვრევენ ახლობლები
და ჩვენს სულებს ამჩნევია ლანჩების კვალი
და სიბნელეში ნათითურებით ტანდასუსხული
ბროლის ცრემლებს ღვრიან ჭიქები.
მარტოობა ძნელი არ არის,
ეს ცრემლები მარტოობის ბრალი არ არის,
მარტოსულებს სიყვარულის ტაძარი ელის
ქვეყნიერების სულ სხვა მხარეში
და დასტირის გზადაკარგულებს.
ერთგულია უმარტოვესი,
ერთგულია ბავშვის ცრემლივით.
დღეს ხომ დარდით მხოლოდ
ბავშვებს შეუძლიათ უხმო სიკვდილი,
ჩვენ საამისოდ უკვე გავმკვრივდით,
ხოლო თუ ვინმემ მაინც გაბედა
აუხსნელი ჩუმი სიკვდილი,
ჩამოაწყდება ფერდები ნასუქ
სამზარეულოს... დარდითო, ხედავთ...
არ უნდოდა ტკბილი ღვეზელი...

ფარისეველებთან ნაყიდ კრავებს კლავენ ფარისეველები,
მსხვერპლს გაიღებენ: ღმერთო, მოგვეც
ოქრო და ვერცხლი და ციხეებს გადაგვარჩინე.

კრავთა სისხლით დაამწუხრეს შენი ტაძარი
და შენი მზერა ჭვარტლით დაფარეს,
წმინდანის მზერა გულისგულში სწვდება ტკივილებს.
ჯერ კიდევ უძლებს, მაგრამ ვაი თქვენ,
ვისი სიბრალულითაც მას ხმა ჩაუწყდა.

იყო დრო, როცა ფერუმარილით
როგორც მრუმ ქალებს,

სახე ისე მოუპირკეთეს,
ხოლო სევდიან ანგელოსებს
ფართო თვალებში საკუთარი
სახელები ამოუკანრეს, რომ
დანახვა ვერ შესძლებოდათ...
ახლა კეთილ საქმეს ვაკეთებთ,
პირჯვარს ვინერთ და საკუთარი
უღირსობის არდანახვას ვთხოვთ.
როგორც უბრალო, წრფელ სიტყვებში
ყალბი სიტყვის იერი გზარავს,
ასევე მგუდავს შენს ძველ კედლებში
საკურთხეველთან მუხლმოდრეკილი სათნო სიყალბე:
და ლოცულობენ და ფიქრობენ
ო, ეს კედელი, დიდებული, ჩვენ მოვხატეთ
და მკერდსავსე ღვთისმშობელი,
ტკივილისაგან დაღრეჯილი სახე ძე-ღმერთის,
რადგან გვჯერა, როცა გეტკივა – უნდა ვიღრიჯოთ,
ცივ ქვაში ცეცხლის არსებობის ჩვენ აღარა გვნამს;
ვილაც კი ჩუმად გვიკარნახებს:
ლაოკოონი, როცა ურჩხულს ერკინებოდა,
მგონი, ოდნავ ილიმებოდა.
ამ ღიმილის მე უფრო მჯერა.
ზღაპრებში მუდამ ასე ხდებოდა: თუ
მეფის ასულს მარგალიტის ცრემლები სცვივა,
მისთვის მზად არის მუდამ მათრახი.
გაიცინებს და ია-ვარდი სცვივა პირიდან.
იცინე მეფის ასულო, იცინე
გული გაუსკდებათ ტირანებს.
ქალის ცხოვრება ხომ მაინც მოლოდინია.
ხანგრძლივი დუელი მოლოდინთან.
ხშირად უცდიან უცხოთ და ნაცნობს,
ხშირად ღირსეულს, უღირსსაც ხშირად
და გვიან როცა ხელისგულზე დაიხედავენ,
შეუცნობელი სევდით კვებიან,
შენის სულის ჭიშკართან ვდგავარ,
დაჟინებით კარს ვაკაკუნებ.
მე შენ მიყვარხარ.
მაპატიე ეს სიყვარული.

* * *

ფიქრი, რომელიც ვერ გაამხილეს,
სიტყვა, რომელიც უთქმელი მოკვდა...
ნუთუ ვარსკვლავი არაფერს გეტყვის,
ან მთვარის შუქზე თუ გეძინება.
მე ძილგამკრთალი ღამეს შენზე ვესაუბრები
და რა ხანია არ მეძინება.

სად არის ჩემი ნამდვილი სიტყვა,
მე გაფურბი თუ ის მემალება.
მწუხრზე ჩვილივით მიღიმის ლექსი
ვერ დააშინეს პროზის მამლებმა.

ბევრ თხზულებას არ გამოუწვევია მკითხველის ისეთი ინტერესი და გამომხაურება ბოლო წლების ქართულ ლიტერატურაში, როგორც გამოიწვია ედუარდ ჰეილის ნოველის – „უსამშობლო კაცი“ – გამოჩენამ გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე.

უამრავ სასიკეთო საქმეთაგან, რაც თამაზ ნატროშვილის სახელს უკავშირდება, ერთი ყველაზე წარმატებული ნიმუში ამ ნოველის თარგმანიცაა – მართლაც ჩინებული და გულისშემძვრელი, რამაც კიდევ უფრო ახლობელი გახადა მკითხველისათვის ფილიპ ნოლანის ტრაგიკული ბედისწერა, მრავალმხრივ დამაფიქრებელი ზოგადჰუმანური თვალსაზრისითაც და განსაკუთრებით მღელვარე მაინც იმ ადამიანების თვალში, რომელნიც ასეთი დაჟინებით მიეღწვიან დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-დამკვიდრებას საკაცობრიო ცხოვრებაში.

ნოველა განმეორდა კრებულში „ათი ამერიკელი“, ის კი არა, სულაც მან განსაზღვრა ამ წიგნის შედგენა-გამოცემა.

მიეძღვნა რამდენიმე რეცენზია, არაერთხელ დაუმონებიათ თუ მოუხსენებიათ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანგებო კოლოკვიუმშიც კი ჩატარდა ლექტორისა და ლიტერატურის მკვლევარის რუსუდან ნიშნიანის თაოსნობით და სტუდენტებმა ისეთი საგულისხმო თხზულებანი დანერგეს, უკლებლივ ყველა მათგანი გამოქვეყნდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე – ორ ნომერში.

მოხდა ისე, რომ მწერალი, ვინც ნაკლებაა დაფასებული მშობლიურ ამერიკაში და ნოველათა ანთოლოგიები უმეტესწილად უიმისოდ ქვეყნდება, ერთბაშად პოპულარული შეიქნა ჩვენში და, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მდინარეებში უფრო მტკიცედ მოვექცევით, შესაძლოა საქართველოდან ისევე დაიწყოს ედუარდ ჰეილის დიდება, როგორც ედგარ პო ფრანგებმა აღმოუჩინეს ამერიკელებს, უოლტ უიტმენი კი – ინგლისელებმა.

როდესაც კითხულობ ედუარდ ჰეილის ამ ნოველას, შენდაუნებურად გიჩნდება ცნობისმოყვარე შეკითხვა: ეს უჩვეულო, არნახული და გაუგონარი ამბავი, კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, ანალოგი რომ არ მოეძებნება, მართლა მოხდა სინამდვილეში თუ ნიჭიერი მწერლის დაუოკებელი შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია?

ორივე ვარაუდი თავისებურად მომხიბლავი გახლავთ. პირველი იმით, რომ კიდევ ერთხელ გარწმუნებს სამყაროს მრავალფეროვნებასა და მრავალგვარობაში, კიდევ ერთხელ გიჩვენებს, რომ ნაცრისფერ დღეთა ქარავანში, არცთუ იშვიათად, იფეთქებს ხოლმე ზღაპარი, ზმანება, სიზმარი. კიდევ ერთხელ შეგახსენებს განგება – ამქვეყნად თურმე ბევრი რამ ხდება ისეთი, ვერავინ დაიჯერებს და ვერავის წარმოესახება, ვერც ცხადში და ვერც ძილში. და გაოცებას იწვევს ადამიანის სულიერი ძალა. მან შეიძლება გაუძლოს ფანტასტიკურად უღმობელ განაჩენს, რომელიც, ვინ იცის, დახვრეტასა და ჩამოხრჩობაზეც კი უარესი იყოს, და რომელიც თავისი სისასტიკით უვადო პატიმრობასაც აღემატება. მაგრამ ძე კაცისა ვაჟკაცურად უძლებს კაცთა გონებაში გაჩენილ შემზარავ სასჯელს და წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ამგვარი სასჯელი დაიმსახურა.

მეორე ვარაუდი უფრო ადამიანურია. გვარწმუნებს, რომ შეუძლებელია, ეს ამბავი იყოს ცხოვრებისეული, უეჭველია, მწერლის მიერ არის შეთხზული და უნებლიეთ გიპყრობს აღტაცება, რომ შემოქმედი ადამიანის გონებაში იბადება უპრეცედენტო სიუჟეტი. არცთუ დიდად სახელგანთქმული ავტორი დიდოსტატის კალმით ასხამს ხორცს და ჩვენს წინაშეა ფრიად ორიგინალური, ექსპრესიული ალსავესე მოთხრობა, რომელიც ესთეტიკური ტკბობის გარდა დიდაქტიკის დოზითაც გვიმასპინძლდება. ედუარდ ჰეილის მოთხრობა გაკვეთილად გამოადგება სკოლის მონაფესაც და მრავალ ფიქრს აღუძრავს წლებით დამძიმებულ ბერიკაცსაც.

ძნელი სათქმელია, რომელი ვარაუდია უფრო მიმზიდველი, მაგრამ, საბედნიეროდ, ზემოხსენებული შეკითხვა უპასუხოდ არა რჩება და ამომწურავი ახსნა-განმარტება გველოდება.

დაიხ, თვითონ ედუარდ ჰეილი აკმაყოფილებს ჩვენს ცნობისმოყვარეობას და თავის წინათქმაში დანვრილებით აზუსტებს ყველაფერს – მოთხრობის მთავარი გმირის, აშშ არმიის ყოფილი ლეიტენანტის, „უსამშობლო კაცად“ წოდებული ფილიპ ნოლანის შესახებ. მამ ყური ვათხოვოთ ამერიკელ მწერალს...

ედუარდ ჰეილი

ერთი მოთხრობის ირგვლივ

*


წინასიტყვაობა „უსამშობლო კაცისა“

ეს მოთხრობა 1863 წლის ზაფხულს იმ დროის ამერიკელებისთვის დაინერა. მას შემდეგ სკოლებში საკითხავ წიგნად იქცა. ხშირად ახსენდებოდათ დღესასწაულების, განსაკუთრებით პატრიოტული თარიღების აღნიშვნისას. მესამეა მისი, თუ ახალგაზრდებს – ჩვენი ქვეყნის მომავალ ლიდერებს არ დავაუწყებთ. მიხარია, რომ აინტერესებთ როგორ დაინერა ეს წიგნი და რა მიზანს ემსახურება.

იმედი მაქვს და მჯერა კიდევ, რომ ვინც ამ წინასიტყვაობას წაიკითხავს, ისეთ კრიზისს არ მოესწრება ამ მოთხრობის

დანერისას რომ იყო. მი-ახლოებით ეს ის დროა, როდესაც მრავალთვიანი ალყის შემდეგ გენერალი გრანტი ვიქსბურგში შეიჭრა, ხოლო გეტიზბერგში ჩრდილოეთის ასი ათასამდე ჯარისკაცი ამდენივე სამხრეთელს ებრძოდა. ეს ორი არმია ბრძოლის ველზე იმისთვის შეიყარა, რომ პასუხი გასცემოდა უმთავრეს შეკითხვას – არის თუ არა ეს ქვეყანა. სამხრეთის ყველა შტატში, შესაძლოა მთელ მსოფლიოშიც ასე ფიქრობდნენ. ჩვენს ახალგაზრდებს კი უნდა ახსოვდეთ, რომ დროშა მათი ქვეყნის სიმბოლოა და მოვალენი არიან ამ ქვეყანას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ემსახურონ. სამშობლოც თავის მხრივ მათ ლოცვა-კურთხევას არ აკლებს.

სამშობლოს სიყვარული ისეთი საყოველთაო გრძნობაა, რომ მისი დამტკიცება ძალიან იშვიათადაა საჭირო. ეს ამბავი სწორედ ასეთი შემთხვევაა. ჩარლზ კინგსლი კი 50 წლის წინ დანერილ წინასიტყვაობაში სრულიად აბსურდულ განცხა-



დებს აკეთებს – სადაც ხალხი მეფის ან დედოფლის ერთგულია, იქ ქვეყნის ერთგულებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ეს ამბავი ფილიპ ნოლანზე სამოქალაქო ომის ყველაზე ავბედით დროს დაინერა და მას ქვეყნის სიყვარულის ფასი უნდა ეჩვენებინა. მაშინ ზოგიერთი ფიქრობდა, ჩემი რჩევა რომ მიეღოთ, სამოქალაქო ომს თავიდან ავიცილებდით. ომმა ცხოვრება ბევრს აურია. ამ მოთხრობამ ისიც დაამტკიცა, რომ ხალხმა ეს გაკვეთილი კარგად შეითვისა. მე ხელთ მაქვს იმ მეზღვაურთა წერილები, ფილიპ ნოლანის ამბავს სამხრეთ პორტებთან ახლოს, ჩვენს ბლოკირებულ ხომალდებზე რომ გაეცნენ. არის იმათი წერილებიც, მოთხრობა ვიქსურგის კამპანიის შემდეგ რომ წაიკითხეს. შემოძლია სხვა არაერთი მაგალითით დავადასტურო, რომ „უსამშობლო კაცი“ რესპუბლიკის ყველაზე ავბედით დროსაც კი პოპულარობით სარგებლობდა.

დღეს რესპუბლიკას ბნელი დრო აღარ უდგას.

ხალხს ომი არასდროს ნდომებია. მთელი ჩვენი პოლიტიკა მშვიდობის პოლიტიკაა. მშვიდობა ქრისტიანული ცივილიზაციის დაცვას უზრუნველყოფს, რაც ჩვენი ვალიც არის. ხშირად გინდებდა სურვილი ახალგაზრდა თუ ხანშიშესულ კაცსა და ქალს, ყველა ჯურის ადამიანს აუხსნა, თუ რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული. ეს სიყვარული ყოფიერებაა, უფაღმა ყველა ერის მამამ რომ შექმნა და ადამიანის გარკვეულ მოვალეობებთან ერთად ცივილიზაციის დასაცავად განაწესა.

ამ მოთხრობის მიზანიც ეს იყო, მოგვეთხრო იმ კაცის ცხოვრება, თავის სამშობლოს რომ განუდგა და გვეჩვენებინა ამით რა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა.

ფილიპ ნოლანის ცხოვრების ამბიდან დასკვნა რომ გამოიტანო, აუცილებელი აღარ არის ამერიკის შეერთებული შტატები დაწყველო ან განაცხადო, რომ მისი სახელის გაგონებაც აღარ გინდა. „ყველა ის კაცი უსამშობლოა, ვინც თავის ქვეყანას გესლიანად დასცინის, მის საიდუმლოს მტერს გაანდობს, ერთი საათით მაინც შეაფერხებს სვლას მშვიდობისკენ, ან თავისავე ერს საშუალებას არ მისცემს ადამიანთა შორის სამართლიანობა უზრუნველყოს და ხალხის სიცოცხლე დაიცვას.“ ასეთი კაცი შეერთებულ შტატებს ხმამაღლა არ წყევლის.

მიუხედავად ამისა, ის მაინც მხდელი ბავშვია.

მსოფლიოს პროგრესი აშკარად ეტყობა. აღსასრულის წინ იესო ქრისტე მამა ღმერთს ევედრება, რომ ყველა ადამიანი ერთის მსგავსი გახდეს: „როგორც შენ, მამაო, ჩემში, და მე შენში; რათა ისინიც ერთი იყვნენ ჩვენში“ (იოანე – 17, 21).

ამ სიტყვებიდან თვრამეტი საუკუნისა და შვიდი ათეული წლის შემდეგ იესოს ლოცვაში გამოხატულ ამ იმედს ხორცი ესხმევა.

კაცთა მოდგმა განუყოფელია. ეს ერთიანობა ახლა უფრო აშკარად ჩანს...

იმ დროს კი, სადაც უცნობ ამერიკაში ერთი ტომი მეორეს ებრძოდა. დღეს ჩრდილოეთით ბათერსტის კონცხიდან უკიდურეს სამხრეთით პატაგონიამდე ეს მტრობა ძირფესვიანად აღმოიფხვრა.

აზია, აფრიკა და ევროპა მსგავს დაპირისპირებათა არეულ იყო გადაქცეული. ევროპამ საკუთარი ისტორია იმდენად ცუდად იცის, რომ დანამდვილებით ვერაფერს იტყვის ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ამა თუ იმ წელს „გრძელწვერიანთა“ რომელი ტომი რომელ „გრძელწვერიანებს“ ჭრიდა ყელს, ან რომელი სკოტები რომელ ბრიტებს ესხმოდნენ თავს.

დავარქვათ ამას „ისტორიის ფილოსოფია“, ან „უფლის განგება“. აშკარაა, რომ კაცთა მოდგმამ თავი ისე გამოავლინა, როგორც ეს მაცხოვარმა იწინასწარმეტყველა.

კაცობრიობის ამ გამოვლიანების პროცესში თურქეთის სულთანი ქრისტიან სომეხთა ამოუღებლად მანამდე ვერ დაუმეგობრებ, სანამ მსოფლიოსგან ნებართვას არ მიიღებს.

ასევე, მეფისნაცვალის ქალის გულის მოსაგებად ორასი ათას ლეთის შვილს შიმშილისთვის ველარ განიარავს. ეს ერთიანობა ისე აშკარა და რეალურია, რომ, როდესაც მეფისნაცვალის ასეთ ბოროტებას დააპირებს, ვილაც უეჭველად ხელს შეუშლის.

ფილიპ ნოლანის ამბავი ისეთ დროს დაიბეჭდა, რომ საზოგადოების ყურადღება უმაღლესი მიიპყრო. პატრიოტებმაც მოინდონეს. მოთხრობის ასლი ყველგან გავრცელდა, საავტორო უფლების სრულიად უგულვებლყოფით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნზე ინგლისში უფრო დიდი მოთხოვნილება იყო, ვიდრე ამერიკაში. ამის შემდეგ მყისვე დაიწყო სპეკულირება იმით, რასაც თქვენ უმნიშვნელო შეცდომად ჩამითვლით. ჩემი გმირი გამოგონილი პერსონაჟია. კრიტიკოსები მართებულად აღნიშნავენ, რომ ასეთი კაცი არამარტო არასოდეს არსებობდა, არამედ ვერც იარსებებდა. მიუხედავად ამისა, მისთვის სახელი ხომ უნდა დამერქმია. მოთხრობაში კი სახელის არჩევა უმთავრესი ასპექტია, რაც აქაც დადასტურდა.

ჩემი გმირი ახალგაზრდა კაცია, რომელსაც 1807 წლამდე მისისიპის გარდა არაფერი ენახა. „განათლება მიიღო პლანტაციისაში, სადაც მაღალ საზოგადოებას წარმოადგენდნენ ესპანელი ოფიცერი, ანდა ფრანგი ვაჭარი ორლეანიდან“. ამიტომ ის მაშინდელი დასავლეთის ხალხისთვის დამახასიათებელ სახელს უნდა ატარებდეს. მაშინ გენერალ უილიკინსონის უაზრო მოგონებანი გამახსენდა. როდესაც გამოუვალ ვითარებაში აღმოჩნდებოდა, იტყოდა ხოლმე, ეს საბუთები იმ დროს დაიკარგა, მისტერ ნოლანი რომ დაიჭირეს თუ ტეხასში მოკლესო. მისტერ უილიკინსონი მეტწილად ცხენებთან დაკავშირებულ რაღაც მაქინაციებში იყო გარეული. ეს რომ მომაგონდა, ჩემს გმირს ნოლანი დავარქვი და რეალური პიროვნების ძმად გამოვიყვანე. „ნოლანმა ნახევარი სიჭაბუკე გაატარა უფროს ძმასთან ერთად – ტეხასში ველურ ცხენებზე ნადირობდნენ“. ან კიდევ: „ველურ ცხენებს იჭერდა თავის ავანტიურისტ ბიძაშვილთან ერთად“. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ უილიკინსონის პარტნიორს სტეფანი ერქვა და რადგან ფილიპე და სტეფანე ბიზლიაში მქადაგებულნი არიან, ჩემს გმირს სტეფანი დავარქვი იმ ვარაუდით, რომ თუ დედამ ერთ შვილს სტეფანი დაარქვა, მეორეს უეჭველად ფილიპს დარქმევდა. მას შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული „უილიკინსონის მოგონებებს“ რომ გადავხედე და არამარტო შევძრწუნდი, გავოცდი კიდევ, რადგან აღმოჩნდა, რომ უილიკინსონის პარტნიორს თურმე ფილიპ ნოლანი ერქვა. ამგვარად, ორი ფილიპ ნოლანი მყავდა – ერთი რეალური პიროვნება, 1801 წლის 21 მარტს რომ მოკლეს და მეორე, ჩემს მიერ გამოგონილი პერსონაჟი, პირველად 1807 წლის 23 სექტემბერს ფორტ ადამსის სასამართლოზე რომ გამოჩნდა.

ვფიქრობ, რომ ახალ ინგლისში ფილიპ ნოლანის სახელი ჩემს გარდა არავის გაეგონა. სამხრეთ-დასავლეთით, ტეხასსა და ლუიზიანაში აღარ ახსოვდათ, რადგან 62 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ესპანელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. სინამდვილეში რეალური ფილიპ ნოლანი ერთმა ესპანელმა გუბერნატორმა მოკლა, მაშინ როდესაც ნოლანს უსაფრთხოების გარანტია ჰქონდა. ამ ფაქტმა დასავლელ ხალხთა აღშფოთება გამოიწვია, რაც საბოლოოდ ტეხასის დამოუკიდებლობით დასრულდა. ვფიქრობ, რომ ტეხასის შტატმა რეალურ ფილიპ ნოლანს ძეგლი უნდა დაუდგას ვაშინგტონში, კაპიტოლიუმში სემ ჰიუსტონის გვერდით.

ეს მოთხრობა ომის დროს 1863 წლის დეკემბრის „ატლანტიკ მენსლიში“ დაიბეჭდა. „ატლანტიკი“ უმაღლეს გავრცელებულ

იმ რეგიონებში, სადაც ფილიპ ნოლანს იცნობდნენ. „ნიუ ორლეან ფიქიუნის“ ჟურნალისტი თავის ისტორიულ წერილში მონდომებით ამტკიცებს, რომ ჩემი ვერსია თავიდან ბოლომდე მცდარია და რომ ფილიპ ნოლანი ზღვაზე კი არა, ტეხასში გამგზავრებულია. ერთ მშვენიერ დღეს ბალტიმორიდან ვილაც ქალის წერილი მივიღე, საიდანაც შევიტყვე, რომ ფილიპ ნოლანის ორი ქვრივი და მის მეზობლად ცხოვრობს. სამწუხაროდ ამ კეთილგანწყობილ წერილს უცნაური ხელმოწერა ჰქონდა – ი. ფ. მ. ფახტცი. ყოველდღიურად ამ საკითხზე არაერთ წერილს ვიღებდი. ჩემი ვარაუდით, ადრესანტმა ვინაობა დამალა და რომ ეს ინიციალები მეტს არაფერს ნიშნავდა თუ არა „Eager For More Facts“ (მინდა უფრო მეტი შევიტყუ). ერთი თუ ორი წლის შემდეგ ამ ქალბატონს რომ შევხვდი ფილ ნოლანის ორთავე ქვრივი და უკვე გარდაცვლილიყო.

1876 წელს გამომართლა, როდესაც მისტერ მინერმა თავისთან მშვენიერ პლანტაციასში მიმიწვია. იქ ერთ მოხუც ზანგს გამოველაპარაკე. გაირკვა, რომ ის ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, ფილ ნოლანმა მისისიპიზე ძველი პლანტაცია საბოლოოდ რომ დატოვა. მოგვიანებით ცოლად შეირთო ფანი ლინთოტი, ალბათ ჩემი მასპინძლის მამიდა. მინერმა ნება დამართო ახალგაზრდა ავანტიურისტის მინიატურის ასლი გადამეღო.

მას შემდეგ ძალისხმევა არ დავიშურე, რათა ჩემი შეცდომა გამომესწორებინა. მე ხომ ფილიპ ნოლანის სახელი სხვა პიროვნებას მივანერე. ამ მიზნით მისი ამბავი აღვწერე წიგნში „ფილიპ ნოლანი და მისი მეგობრები“. მანამდე გავცვანი მირანდას მცდელობას მისისიპიზე დასაშვებად. ამერიკელი პროფესიონალი ისტორიკოსები ამ საკითხებს ძუნწად ეხებიან. მაშინ როდესაც ჯონ ადამსი ცინცინატიში თავისი პატარა ჯარით ნიუ-ორლეანის დასაპყრობად ემზადებოდა, აღმოსავლეთის პრესისთვის დასავლელ კორესპონდენტებს ვერსად იპოვიდით.

„ატლანტიკში“ გამოქვეყნებიდან ერთ წელიწადში „უსამშობლო კაცი“ ამერიკასა და ინგლისში ნახევარ მილიონზე მეტ ეგზემპლარად გავრცელდა. გავოცდი, როდესაც შევიტყვე, რომ საზღვაო ფლოტშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ერთ-ერთმა ჩვენმა ოფიცერმა მისისიპის შტატში „ატლანტიკი“ ათხოვა ქალბატონს მინერის ოჯახიდან, რომელმაც მთელ ოჯახს აუნყა, ამ კაცმა ნოლანის შესახებ ყველაფერი იცისო. იმ ოფიცერმა, გრანტთან ერთად მისისიპიზე ქალაქ ჯექსონში რომ შეიჭრა, მიაბო, რომ მაშინვე მიაშურა ქალაქის საკანონმდებლო შენობას. შიგნით ყველაფერი აქეთ-იქით იყო მიმოყრილი. ძირს რალაც ფურცელს დასწვდა, რომელიც ვოლნათ სფრინში (ვიქსბურგის ძველი სახელი) ფილიპ ნოლანის დაკითხვის ოქმი აღმოჩნდა. ეს ფაქტი ფილიპ ნოლანის ბოლო მოგზაურობამდე მოხდა. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ნეიტრალიტეტის კანონების თანახმად ნოლანი დაიბარა და მანაც თავის ექსპედიციასზე ნიუ-ორლეანის გუბერნატორის ნებართვა წარუდგინა.

1876 წელს ლუიზიანასა და ტეხასს ვესტუმრე, რათა „ფილიპ ნოლანის მეგობრებისთვის“ მასალები მომეძია. აქვე მოვიპოვე რეალური ნოლანის რამდენიმე ავტოგრაფი და მისი ცოცხლად გადარჩენილი ამხანაგების სასამართლო პროცესის ესპანური ჩანაწერები. იმ სასამართლოსი, რომელმაც ეფრემ ბლექბერს შვიდი წლის პატიმრობის შემდეგ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ამერიკელ ისტორიკოსთა მიერ უგულვებლყოფილი ეს საქმე ესპანელ მეფეთა ამერიკული ადმინისტრაციის სამწუხარო და სამარცხვინო ლაქაა. თავს კი იმ არეულობით იმართლებენ 1801-1807 წლების მადრიდში რომ სუფევდა. ჩვენს სამხრეთ-დასავლეთის საზღვარზე მცხოვრებთა სიძულვილი მექსიკელ ხელისუფალთა მიმართ მეტწილად იმ სამარცხვინო და არადაამიანური სასამართლო საქმეთა შედეგია.

ინგლისურიდან თარგმან
მირიან გვიგინაძის

მარგარეტ დიურა

მატიარიალური ცხოვრება

პორტოს მატარებელი

მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი. ამ ხნისაც კი ბავშვურად დავდიოდი. საიგონიდან დაბრუნებისას მოხდა ყველაფერი, ბორდოში მიმავალ ლამის მატარებელში, 1930 წელს, უკვე ჩინელი საყვარლის შემდეგ. ოჯახთან ერთად მივემგზავრებოდი, ორი ძმა და დედაჩემი მახლდნენ. როგორც მახსოვს, რვაადგილიან ვაგონში ორი-სამი უცნობი მგზავრი იმყოფებოდა, შევამჩნიე, რომ ჩემს წინ მჯდომი ერთი ახალგაზრდა მამაკაცი გამუდმებით მიყურებდა; დაახლოებით ოცდაათისა იქნებოდა. ვგონებ, ზაფხული იყო. ბავი ფერის

კაბა მეცვა კოლონიალურ სტილში და სანდლები შიშველ ფეხებზე. არ მეძინებოდა. ახალგაზრდა ჩემს ოჯახზე მეკითხებოდა, და მეც ვუყვებოდი კოლონიებზე, ვერანდებზე, წვიმებზე, სიცხეებზე, იქაური ცხოვრების წესსა და განსხვავებაზე საფრანგეთთან შედარებით, ტყეებში სეირნობებზე, ვახსენე სკოლის გამოსაშვები გამოცდებიც, იმ წელს რომ უნდა ჩამებარებინა. ჩვეულებრივი სამატარებლო საუბრები, როდესაც გულს გადაუშლიან ხოლმე უცნობს და უყვებიან საკუთარ თავსა და ოჯახზე. რალაც მომენტში აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს ირგვლივ ყველას ეძინა; დედასა და ძმებს ბორდოდან გამომგზავრებისთანავე ჩაეძინათ, ჩუმად ვლაპარაკობდი, მათ გაღვიძებას ვერიდებოდი. ოჯახზე ჩემი ლაპარაკი რომ გაეგონათ, მუქართა და ყვირილით ამიკლებდნენ. ახალგაზრდა კაცთან ჩემმა ხმადაბალმა საუბარმა ძილი მოჰგვარა ვაგონის დანარჩენ სამივე მგზავრს. ახალგაზრდა და მე იმიტომ გამოვფხიზლდით, რომ მარტონი დავრჩით. ყოველივე ერთბაშად დაიწყო, ერთი გამომხედვის შედეგად, ერთ წამში, აღვირახსნილად. იმ დროს ასეთ რამეზე არ საუბრობდნენ, მითუმეტეს, მსგავს ვითარებაში. თითქოს მეხი დაგვეცაო, ერთმანეთთან ლაპარაკი შევწყვიტეთ უეცრად; ძალაგამოლეულებს ერთმანეთის შეხედვა აღარ შეგვეძლო. ერთი კი ვუთხარი, რომ ჯობდა დაგვეძინა, რადგან მეორე დღით პარიზში ჩასვლისას დადლილები არ ყოფილიყავით. მამაკაცი კარებთან ახლოს იდგა, შუქი ჩააქრო. ჩვენს

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №4

შორის ერთი თავისუფალი ადგილი იყო, ფეხები აწვნი, მოვკალათდი და თვალეები დავხუჭე. ახალგაზრდა გავიდა და გადასაფარებელი შემომიტანა, დამაფარა, შემომიკეცა. თვალეები გავახილე, გავუღიმე და მადლობა გადაუხადე. მან მითხრა: „ღამით მატარებელში გათბობას თიშავენ და დილისკენ აცივდება ალბათ.“ ჩამეძინა. მოულოდნელად მისი თბილი და რბილი ხელი ვიგრძენი წვივებზე, ძალიან ნელა ცდილობდა ჩემი მუხლების გაშლას, მერე უფრო ზევით მოცოცდა. თვალეები ძლივს გავახილე. ვხედავდი, როგორი შიშითა და დაძაბულობით აკვირდებოდა მძინარე ხალხს ვაგონში. ნელი მოძრაობით მივმართე ჩემი სხეული მისკენ. ტერფებით მივებჯინე; ფეხები გავუნვდინე, რომ მკლავებში მოემწყვდია. თვალდახუჭული ავყევი მის მოძრაობებს, თავდაპირველად ნელა მოძრაობდა, შემდეგ კიდევ უფრო შეანელა, თავს ბოლომდე იკავებდა, მერე კი ნეტარებას მინებდა, რომელიც იმდენად თვალსაჩინო იყო, თითქოს დაუფარავად იყვირაო.

გარკვეულ ხანს აღარაფერი მომხდარა. ის-მოდა მხოლოდ მატარებლის მიყრუებული გუგუნი. შემადგენლობამ სვლას უმატა და ხმაურმა ყურთასმენა წაიღო. შემდეგ ბორბლების ხმაური კვლავ ასატანი გახდა. მისი ხელი ისევ შემეხო. ცხელი იყო, ცხოველური, შიშნარევი. ხელში მოვიქციე. შემდეგ გავათავისუფლე, ნებაზე მივუშვი. მატარებელი წინანდებურად ახმაურდა. ხელი მომშორდა. აღარ მეხებოდა დიდხანს. მეტი აღარაფერი მახსოვს, ალბათ, ძილში დავიკარგე.

ხელი დაბრუნდა.

სხეულს ეფერება, ჯერ თავით ბოლომდე ყველგან, შემდეგ მკერდს, ეხება მუცელს, თეძოებს – სინაზით, ზოგჯერ უკიდურესად გამძაფრებული, მოხეთქებული ვნებით. ხელი ხანდახან ჩერდება. ყოვნდება საშოზე, მთრთოლვარე, მზად არის საკბენად, მწველი და მხურვალე. შემდეგ ხელი უჩინარდება. ის ჭკვიანდება, კეთილდღონიერი ხდება, რათა ბავშვს დაემშვიდობოს. ხელს მატარებლის ხმაური ბურუსით მოსახვს, გარს ევლება. მატარებლის ირგვლივ ღამის სიბნელეა. დერეფნების სიჩუმე გარშემორტყმულია მატარებლის გუგუნით. ძილ-ღვიძილი მატარებლის უეცარი შეჩერებისას. მატარებლიდან ღამით ჩავიდა. პარიზში გამოღვიძებისას თვალეები რომ გავახილე, მისი ადგილი ცარიელი იყო.

წიგნი

წიგნი – ორი ადამიანის სიყვარულის ამბავია. ასეა ნამდვილად: მათ უბრალოდ უყვართ, გაუფრთხილებლად. ეს წიგნის ფარგლებს გარეთ ხდება. ახლა იმაზე მსურს საუბარი, რასაც ადრე არ შეეხებოდა წიგნში, მაგრამ თან არ მინდა, რომ დამავინყდეს, თუნდაც ძნელი იყოს ამისთვის სიტყვების გამოძებნა. ეს სიყვარული საზრდოობს იმით, რომ მასზე წერა შეუძლებელია, კალამი მას ჯერ არ შეეხება; ის ძლიერია, ადამიანებზე უფრო დიადი. არაორგანიზებული. ღამე ცოცხლდება და ცხოვრობს სიზმრის უდიდეს ნაწილში. არა, საზოგადოდ სიყვარული დასაწყისშივე თვითორგანიზდება იმ ხელისშემშლელი შუაგულის ირგვლივ, რომელიც ეწინააღმდეგება მის არსებობას, ის ქმნის ჩვევებს, ქცევის

ნორმებს; ადამიანები ჭამენ, ძინავენ, ერთმანეთს კოცნიან, კამათობენ, უღლდებიან, თვითმკვლელობის მცდელობამდე მიდიან, ზოგჯერ სინაზითა და სიტბოთიც კი იმსჯელებიან ერთმანეთის მიმართ, ხან ერთურთს ტოვებენ, და ბრუნდებიან, ზოგჯერ სრულიად უცხო თემებზე ლაპარაკობენ, სულ როდი ტირიან... წიგნში კი – სრულიად არაფერს აკეთებენ, არც ერთმანეთს ესიყვარულებიან, წყვილადში ცხოვრობენ; ზოგჯერ კაცს ქალის მოკვლა უნდება. ვფიქრობ, უნდა მოეკლა, დარწმუნებული ვარ – უნდა მისულიყო აქამდე, თუმცა ეს ძალდატანებული, ერთობ ნაჩქარევი გადანყვებულება იქნებოდა. შემედლო დამემატებინა, რომ საუბარი იყო ისეთ აბსურდულ, უმინაარსო სიყვარულზე, როგორცაა აღისას უსახო ღიმილი სარკის მიღმა სივრციდან, მაგრამ ეს აბსტრაქტული და მცდარი მსჯელობა იქნებოდა. ისევ იმას ვუბრუნდები, რაზეც ვსაუბრობდი: ეს სიყვარულია, გადაზრდილი ნამდვილ გრძნობაში, რომელიც გატყვევებს, და რომელიც იმის მიღმა, რისი აღწერაც შესაძლებელი იქნებოდა რელიგიური ნესების დაცვით და, ამგვარად, შეიძლება მიახლოებული ყოფილიყო ტანჯვის გარდუვალობას; ტანჯვისა არაცხადი, გაუგებარი მიზეზის გამო, იმ არყოფნის გასახსენებლად, რომელსაც ხატება არ გააჩნია, არც სახება, არც ხმა, მაგრამ მთლიანად გართმევს სხეულს, – ასეა მუსიკის ჰანგების მოსმენისას – მაშინ მიეღტი ემოციას, რომელიც ემსგავსება მძიმე ტვირთისაგან გათავისუფლებას.



მარგარეტ დიურა

ღიას, ეს წიგნი ადამიანებს შორის გაუცხადებელი სიყვარულის ამბავია, იმ ადამიანებისა, რომლებსაც ეკრძალებათ საკუთარი სიყვარულის აღიარება; მათ თავის დროზე უგულებელყვეს ეს ძალა. ადამიანებს უყვართ. ეს არ ჩანს ნათლად. ამის აღიარება არ შეუძლიათ. სიყვარული ხელიდან უსხლტებათ მუდამ. ის უძლიერია. და ეს გრძნობა მაინც გამოსჭვივის მათ დაბნეულობაში, და სწორედ ესაა მათი გრძნობის თვითმყოფადობა. იქნებ ხვდებიან კიდევაც, რომ მათ შორის რაღაც მნიშვნელოვანი ხდება და მათ აკავშირებს? არ ვიცი. მათ სხვებზე მეტი იციან იმ სიჩუმესა და უთქმელობაზე, რითიც მოსავენ სიყვარულს, მაგრამ ამასთანავე არ შეუძლიათ სიყვარულის განცდა. ისინი სხვისი ცხოვრებით ცხოვრობენ, სხვა ისტორიას ასახიერებენ, ისე, თითქოს სხვა ადამიანები იყვნენ. როდესაც ამბობენ, ადამიანებს ერთმანეთი უყვართო, ცხადია, მათ უნდა შეეძლოთ ამ გრძნობის ბოლომდე განცდა. ნაწარმოებში ის ადამიანები არიან, რომლებსაც არ ძალუძთ სიყვარული, მაგრამ რომლებიც სინამდვილეში ცხოვრობენ სიყვარულში. მათ სიტყვა არ ადგებათ პირზე, რომ თქვან ეს და არც სექსის სურვილი გააჩნიათ, რათა ეს გამოხატონ, დაიცალონ მისგან და შეძლონ შემდგომ ილაპარაკონ, სასმელი დალიონ. არა. მხოლოდ გოვდება.

მართალია, ვიცნობ წიგნის ამ პერსონაჟებს, მაგრამ არ ვიცნობ მათ თავგადასავალს, ისევე, როგორც ჩემი ამბავი არ გამეგება. მე არ გამაჩნია არანაირი თავგადასავალი, არანაირი ამბავი. მსგავსად ამისა, არც ჩემი ცხოვრება გამაჩნია. ჩემი თავგადასავალი გაბნეულია ყოველდღიურად, ყოველწამიერად, გაფანტულია ცხოვრების ყოველდღიურ-

რობაში, და არანაირად არ შემოიძლია განვმარტო, თუ რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები: მისი ცხოვრება. ან იქნებ მხოლოდ სიკვდილი მომიყვანს ერთიანობამდე ან იმ მამაკაცისა და ჩემი შვილის სიყვარული გამაერთიანებს. თითქოს ყოველთვის ისე ვცხოვრობდი, რომ ეგზისტენციის არანაირ მოდელთან არ ვცდილობდი მიახლოებას. ჩემს თავს ვეკითხები: რის მიხედვით ყვებიან ადამიანები თავიანთ ცხოვრებაზე? მართალია, თხრობის უამრავი მოდელი არსებობს, მაგალითად, ისეთი, რომელიც ქრონოლოგიას მიჰყვება, ან გარეგნულ ფაქტებს ემყარება. ძირითადად ამ მოდელს ირჩევენ ხოლმე, იწყებენ ცხოვრების დასაბამიდან და მოვლენათა ლინდაგებზე მიგრიანებენ, გადაივლიან ომებს, მისამართთა ცვლილებებს, ქორწინებებს, მიჰყვებიან ასე და თანდათანობით მოდიან ანმყოფდე. არსებობს ხელშეუხებელი წიგნები, ასეთებს შორისაა 80-იანების ზაფხული, ატლანტიკის კაცი, ვიცე-კონსული, რომელიც ყვირის შალიმარის ბალებში, მათხოვარი ქალი, კეთრის სუნი, მ.დ., ლოლ ვ. შტინი, ტკივილი, და საყვარელი, ელენ ლაგონელი, საძინებლები, მდინარის შუქი. საგუშაგოც ხელშეუხებელი გახდა; გაკეთდა კამუფლაჟი, პირადი ფაქტორთა შეცვლა სხვებით, რაც ნაკლებ ცნობისმოყვარეობას გამოიწვევდა მკითხველში და შესაბამისად, ნაკლებად გაუფანტავდა ყურადღებას, მე ხომ მსურდა, რომ ნაწარმოები ეკითხათ, ყველაფერი გაერთიანებულიყო თავდაპირველ ისტორიაში, რომელიც თანდათან გაქრა. ასე იყო საყვარლამდე. მოკლედ, ჩემს ცხოვრებაში იყო მართი პატარა გოგონა და მე თვითონ. ცხოვრება საგუშაგოში. ცხოვრება საყვარელში. და ჩემი ოჯახის ფოტოებში. ვერაფრით ვერ მოვახერხე გამეცნობიერებინა, რა მოხდა ამ ბოლო წიგნის დაწერისას, მნ წლის საშინელი ზაფხულის განმავლობაში. ამბავი, რომელიც, რა თქმა უნდა გადასხვაფერებულია, მაგრამ პირადად მე გადამხდა თავს; ძნელი გამოაშკარავო სიცრუე. ანუ იპოვნო ის ადგილი, რომელიც წიგნში არანამდვილია, რომელი თემა, რომელი კილოა სიცრუე. შეიძლება მხოლოდ ერთი სიტყვა არ იყოს მართალი. არა მგონია, ეს სურვილს, ლტოლვას ეხებოდეს. ეს უფრო მაშინ ხდება, როდესაც კაცს მოყირჭების გრძობა ეუფლება ქალის სხეულის მიმართ. ეს წიგნი მაინც განცდილს ეხება, ანუ იმას, რაც თავს გადამხდა. მე განსაკუთრებული შემთხვევა აღვწერე და არა კერძო, კონკრეტული. ალბათ იმ დრომ უკვე განვლო, რომელიც ამის აღსაწერად მჭირდებოდა, ანუ როდესაც ჯერ კიდევ კარგად მახსოვდა, რომ ვიტანჯებოდი. დარდი ჯერაც შემორჩენილი მქონდა, მაგრამ სიმძაფრე თითქოს უკვე მიმქრალიყო. ზუსტად იგივე შემოიძლია ვთქვა გრძნობებზე. რაც შეეხება ემოციას საყვარელში ან ტკივილში – ის ჯერ კიდევ ცოცხალია, მსახვრალი. გრძნობა რეზონირებს ამ წიგნებში, ჰაერის ნელი შებერვაც კი საკმარისია, რომ ხმები გავიგონო; აქ კი, ამ ნაწარმოებში არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ. მე აღრეული ვარ ამ ხალხთან და უბრალოდ ვყვები შეუძლებელ ამბავს, ისევე, როგორც მოყვებოდი, ვთქვით, შესაძლო ამბავს ქალსა და ჰომოსექსუალ მამაკაცს შორის; ხოლო რისი აღწერაც მინდა, ეს სიყვარულის ისტორიაა, რომელიც ყოველთვის შესაძლებელია, თუნდაც ყოველად წარმოუდგენელი იყოს მწერლობისგან შორის მდგომი ადამიანებისათვის; ვინაიდან მწერლისთვის არ არის მნიშვნელოვანი – თუ რა არის შესაძლებელი ან შეუძლებელი ამბავი. იქნებ წიგნში სწორედ იმის თქმა მინდოდა – და ვერ გამო-

მივიდა – რაზედაც ახლა აქ ვსაუბრობ; კერძოდ კი – რომ გმირებს შორის უბრალო სასიყვარულო ამბავი კი არა, ჭეშმარიტი სიყვარული იყო. იქნებ ეს გაცხადდა მხოლოდ ერთხელ, მათი ურთიერთობების დამთავრებამდე, მხოლოდ ერთ ღამეს გამოაბრწყინა სიყვარულმა და გაანათა წყვილი. ანუ დროის რაღაც მონაკვეთში ამბავი სიყვარულამდე მივიდა.

თუ დაწერილი ოდნავადაც კი არ შეესაბამება სინამდვილეს, ეს ისე ძლიერად მოქმედებს ჩემზე, რომ იშვიათად ხდება. ახლა იმდენად ვარ დაწერილის შთაბეჭდილების ქვეშ, რომ ჯერ ადრეა ამ კუთხით განსჯა. საჭიროა, რომ წიგნის მიმართ საუკეთესო გრძნობით აღვივსო, აღარ აღვიქვა, როგორც გულსატკეპნი საგანი, მტრული, ჩემს საწინააღმდეგოდ მომართული იარაღი. რაც უკვე მომხდარა არაერთხელ. ეს იგივეა, რომ ეთქვას – თითქოს ყველაფერი ვერ იქნებოდა შემოქმედების საგანი, რომ მწერლობა ყოველდღეა, ნებით თუ უნებლიეთ, დახურული კარების წინ, როდესაც სინამდვილეში მე საწინააღმდეგოს ვფიქრობ: მწერლობა მსჭვალავს ყველაფერს, დახმულ კარებშიც კი აღწევს, თუმცა ამის მიზეზის ძიება ნაკლებ მნიშვნელოვანია. წიგნში არის რაღაც, ბარტის შენიღბული ესეიზმის სტილში, მაქვს იდეები, ამის დემონსტრირებას ვახდენ და რომანი ზოგჯერ ისეა გაშალაშინებული, როგორც ამას სჩადიან ლიტერატურულ პრემიებზე წარსადგენად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ვერ მიპოვნია გამოსავალი. მოთხრობილი ამბის შუაგულში ზღვაც კი ჩავრთე, მდინარე მოვათავსე, მაგრამ მაინც არ ვპაროდა სიყვარულის, ადამიანთა გავლურებისათვის, ალბათ ეს ჯერ კიდევ ძალიან პირადული იყო. ახლა ყოველივე შორსაა ჩემგან.

არ ვიცი, რა უნდა მექნა. რაშიც გადიოდა ყოველი დღე, როდი იყო ის, რაც ყოველდღე ხდებოდა. გამოდიოდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დღის განმავლობაში იყო სწორედ ის, რაც არ ხდებოდა. როდესაც არაფერი ხდებოდა, ამით ფიქრის საშუალება მეძლეოდა. საჭირო იყო ჩემი შესვლა წიგნში საკუთარი ტვირთით, საკუთარი განადგურებული სახით, ასაკით, საქმით, სიუხეშით, სიგიჟეებით, შენ კი, შენ მუდამ უცვლელი უნდა დარჩენილიყავი წიგნში, შენი ტვირთით, შენი წყნარი სახით, შენი ასაკით, უსაქმურებით, საშინელი სიუხეშით, შენი სიგიჟითა და ფანტასტიკური, ზღაპრული არამატერიალურობით. და არც ეს იქნებოდა საკმარისი.

ჩვენ გვეზიზღებოდა კომპრომისი, ჩვეული კომპინაცია ჟანრებს შორის, ჩვენ შევეჯახეთ ამ სიყვარულის შეუძლებლობას, მაგრამ არ დავგიხევია, თავის შველა არ გვიცდია; ჩვენი სიყვარული ისეთი უცნაური იყო და წარმოუდგენელი სიმორიდან მოდიოდა. ჩვენზე თავს დავცინოდით, და მას არ ვცნობდით, და განვიცადეთ იგი, ვიცხოვრეთ ისე, როგორც შეგვეძლო, თუმცა ნამდვილად შეუძლებელი გვეჩვენებოდა, არ ჩავრეულვართ, არაფერი მოგვიმოქმედებია სატანჯველის შესამსუბუქებლად, თავი არ აგვირიდებია მისთვის, არც სიყვარული გაგვიწირავს, არ მიგვიტოვებია. მაგრამ ყოველივე მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი.

დროის იმ მონაკვეთში, რაც ხელნაწერის ჩაბარებიდან გავიდა, იმ საბოლოო წუთამდე, ვიდრე ნაწერი დასაბეჭდად გადაეცემოდა, სულ მეგონა, რომ შემეძლო თავიდან ამეცილებინა წიგნის დაბეჭდვა. მაგრამ თურმე მხოლოდ მე ვფიქრობდი ასე, დავავგიანე და, ამრიგად, ნაშრომი გამოქვეყნდა.

დეპილ ჰემეტი

უზრო საქმი

ჰარვი გეიტვუდმა ჩემთან დაკავშირებით განკარგულელობა გასცა, როგორც კი გამოჩნდება, დაუყოვნებლივ შემომიყვანეთო.

ამიტომაც დამჭირდა არანაკლებ თხუთმეტი წუთისა წინააღმდეგობათა ჯაჭვის გასარღვევად, მრავალრიცხოვანი პორტიეები, კურიერები, მდივანი ქალები თუ მამაკაცები რომ ქმნიდნენ. გეიტვუდის ხისგადამამუშავებელი კომპანიის შესასვლელიდან დანყებული თავმჯდომარის პირადი კაბინეტით დამთავრებული, ყოველი მათგანი შეუპოვრად მილობავდა გზას. კაბინეტი უზარმაზარი გახლდათ. შუაში მაგიდა იდგა, ცოლ-ქმრის სარეცელივით ვეება – თანაც წითელი ხისა რაღა თქმა უნდა.

როგორც კი კომპანიის გამონვრთნილი მსახური კარს იქით აორთქლდა, გეიტვუდი მაგიდაზე გადმოიხარა და იღრიალა:

– გუშინ ჩემი ქალიშვილი გაიტაცეს! უკანასკნელი ცენტის გაღებაც რომ მომიხდეს, ეს ბანდიტები ხელში უნდა ჩავიგდო!

– გეთაყვა, დანვრილებით მიაბნეთ ყველაფერი, – ვთხოვე მე.

მაგრამ ის შეკითხვებს კი არა, დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა, ამიტომაც იმ ცნობების მისაღებად, სულ თხუთმეტი წუთი რომ დასჭირდებოდა, მთელი საათი დამაკარგვინა.

ეს გახლდათ ძლევამოსილი ჯანიანი – ორას ფუნტამდე წითელი სხეულით გამოტენილი მამაკაცი, ხუშტურიანი ფეოდალი – კვერცხის ფორმის თავის კინკრიხოდან გიგანტური, უთუოდ დაკვეთით შეკერილი ყელიანი ფეხსაცმლის ჭვინტებამდე. მილიონების შეგროვებისას ანადგურებდა ყველას, ვინც კი გზაზე ელობებოდა და ახლა, გააფთრებული, მზად იყო ეს სასიამოვნო სისუსტე წარმოეჩინა. ქვედა ყბა გრანიტის ციცაბოსავით გამოშვეროდა, თვალები ჩასისხლიანებოდა, – ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივ განწყობაზე გახლდათ.

თავიდან ყველაფერი იქით წავიდა, რომ შეიძლებოდა კონტინენტურ დეტექტიურ სააგენტოს კლიენტი დაეკარგა, რადგან გეიტვუდს ვაგრძნობინე, თუ არ მიაბნობთ ყველაფერს, რისი გაგებაც ჩემთვის აუცილებელია, ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებ-მეთქი.

თუმცა ბოლოსდაბოლოს ამოვგლიჯე პირიდან, რაც მინდოდა.

გეიტვუდის ქალიშვილი ოდრი კლეი-სტრიტის საოჯახო რეზიდენციიდან წინა საღამოს დაახლოებით შვიდი საათისთვის გამოსულა და მსახურისათვის უთქვამს, სასეირნოდ მივდივარო. შინ კი არ დაბრუნებულა. ამის შესახებ გეიტვუდმა დილას მიღებული წერილით შეიტყო. გამომგზავნი იტყობინებოდნენ, შენი ქალიშვილი გატაცებულიაო და გამოსასყიდს ორმოცდაათათას დოლარს ითხოვდნენ. გეიტვუდს სთავაზობდნენ თანხა ასდოლარი-

ან ბანკოტებად გაემზადებინა, რადგან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადაეცა ფული, როდესაც ინსტრუქციას მიიღებდა, როგორ მოქცეულიყო. იმის დასამტკიცებლად, არა ვხუმრობთო, გამტაცებლებმა წერილს გოგონას თმის ღერი, ბეჭედი, რომელსაც მუდმივად ატარებდა, და მისი ხელით დანერილი ბარათი დაურთეს, რომელშიც მამას ემუდარებოდა, რასაც ითხოვენ შეუსრულო.

წერილი გეიტვუდმა თავის ოფისში მიიღო. მაშინვე შინ დარეკა. იქ კი დაუდასტურეს, ღამე თავის საწოლში არ გაუთევია და მსახურთაგან არავის უნახავს მას შემდეგ, რაც საღამოს სასეირნოდ გავიდაო. გეიტვუდმა დაუყოვნებლივ დარეკა პოლიციაში და წერილიც გადასცა, მოგვიანებით კი კერძო დეტექტივთა აყვანაც გადაწყვიტა.

– ახლა, – დაიჭეკა გეიტვუდმა, როგორც კი ეს ყველაფერი გამოვარკვია და თანაც დავრწმუნდი, შვილის ნაცნობებსა თუ მიდრეკილებებზე არაფერი იცოდა – დაუყოვნებლივ შეუდექით საქმეს! იმისთვის არ გიხდით, უსაქმურობით ერთი ადგილი რომ იტკეპნოთ!

– თქვენ რას აპირებთ?

– მე? რას ვაპირებ და ამათ... ამათ... შეყრას ციხის გალიაში, უკანასკნელი ცენტის გაღებაც რომ დამჭირდეს!

– შესანიშნავია, მაგრამ პირველ რიგში განკარგულეობა გაეცით ეს ორმოცდაათათასი მოამზადონ. უნდა შეძლოთ მაშინვე გადასცეთ ფული, როგორც კი ინსტრუქციას მიიღებთ.

გეიტვუდმა პირი გაალო, შემდეგ დახურა, კბილები გააღრჭიალა და მეცა:

– არასოდეს... გესმით, არასოდეს და არავის ვუიძულებივარ ასეთნაირად – დაიხრიალა – სიბერისაგან ჯერ არ გამოვსულელებულვარ! ამ სატყუარას არ წამოვეგები!

– და ეს, უეჭველია, თქვენს ქალიშვილს გაახარებს. მომისმინეთ, რასაც გთავაზობთ, მხოლოდ აუცილებელი ტაქტიკური სვლაა. არა მგონია, ეს ორმოცდაათათასი თქვენთვის ასე მნიშვნელოვანი იყოს, გამოსასყიდის გადახდა კი ორ შანსს მოგვცემს. ერთი, ფულის გადაცემისას ყოველთვის შესაძლებელია იმ პირის დაკავება, ვინც თანხის წასაღებად მოვა, ან, სულ ცოტა, რაღაც კვალზე გასვლა. მეორე, როდესაც თქვენი ქალიშვილი დაბრუნდება, ისეთი დეტალები შეიძლება გვაცნობოს, რაც გამტაცებელთა დაკავებაში დაგვეხმარება, როგორი წინდახედულნიც უნდა იყვნენ.

გაბრაზებით გადაიქნია თავი. კინკლაობა კმაროდა, ამიტომაც გამოვედი იმ იმედით, რომ ჩემი წინადადების ლოგიკას მანამ ჩანვდებოდა, ვიდრე გამოუსწორებლად დაგვიანდებოდა.

გეიტვუდთა რეზიდენციაში იმდენი მსახური იყო – დარაჯები, მებაღეები, კამერდინერები, ლაქიები, მძღოლეები, მზარეულები, მოსამსახურეები და სხვანი და სხვანი, რომ მთელს ოტელს ეყოფოდა.

ოდრი გეიტვუდს წასვლის წინ არ მიუღია არავითარი ტელეგრამა თუ ბარათი, არავის დაურეკავს ტელეფონზე – ერთი სიტყვით, არ გამოუყენებიათ არცერთი იმ ხერხთაგან, რომელთაც მსხვერპლის შინიდან გასაყვანად მიმართავენ ხოლმე. მოსამსახურეს გოგონამ უთხრა, ერთ ან ორ საათში დაბრუნდებიო, მაგრამ იმას, ღამის გასათევად რომ არ დაბრუნებულა, არავინ შეუწუხებია. ოდრი

ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ და დედის გარდაცვალების შემდეგ ისე იქცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა. მამამ არასდროს იცოდა, სად იყო მისი ქალიშვილი. ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ, როგორც ვხვდებოდი – ზედმეტად მსგავსი ხასიათები. არავითარი უჩვეულო, ღამე რომ შინ არ გაუთევია, არ ყოფილა. იშვიათად აცნობებდა ხოლმე შინაურებს, ამა თუ იმ ახლობელ გოგონასთან ვრჩებიო.

ოდრის მხოლოდ ცხრამეტი წელი შესრულებოდა, მაგრამ რამდენიმე წლით უფროსს ჰგავდა. სიმაღლე – მეტრი და სამოცდახუთი, ცისფერი თვალები, გრძელი და ძალიან ხშირი ნაბლისფერი თმა. უფერული და ნერვიული. ფოტო ადასტურებდა, რომ თვალები დიდი, ცხვირი პატარა, სწორი ფორმისა, ნიკაბი კი ნაწვეტებული ჰქონდა. ღამაში არ ყოფილა, მაგრამ ერთი ფოტოს მიხედვით, რომელზეც ღიმილს მის ბაგეთაგან ჩირვეული გრიმასა გაექრო, შეიძლება, სულ ცოტა, კარგიც კი ყოფილიყო.

იმ დღეს ლონდონელი მკერავის ეტიკეტიანი ღია ტვიდის კოსტუმი და კრემისფერი, ქამართან მუქით განწყობილი ბლუზა ემოსა, ფეხზე კი ყავისფერი შალის წინდები და ყავისფერი ფეხსაცმელები ეცვა. თავზე ნაცრისფერი ბენვის ქუდი ეხურა; არავითარი სამკაული არ კეთებია.

ზემოთ ავედი – მის სავანეში – სამი ოთახი ეკავა მესამე სართულზე – და ნივთები დავათვალიერე. აღმოვაჩინე მთელი გროვა სამოყვარულო ფოტოებისა – მამაკაცების, ბიჭებისა და გოგონების. ასევე უხვად – განსხვავებული დონის ინტიმური წერილები; მათი ხელმოწერები სახელების, გვარებისა და მეტსახელების უმდიდრეს კოლექციას ქმნიდა. ყველა არსებული კოორდინატი ჩავინერე. ყოველთვის არსებობს ალბათობა, რომ ერთ-ერთი მისამართი სატყუარად გამოყენებულ პირთან მიგიყვანს. ამას გარდა, ვინმე ნაცნობთაგანს შეეძლო გამოძიებისათვის რაიმე მნიშვნელოვანი ეცნობებინა.

სააგენტოში დაბრუნებულმა მისამართები სამ დეტექტივს გავუხანაღე, რომლებიც – სწორედ რომ დროულად – უსაქმოდ ისხდნენ და შეეძლოთ ქალაქში გასულიყვნენ. შემდეგ ტელეფონით დაეუკავშირდი პოლიციელებს ოგეირსა და თოდს, რომელთაც დაევალიათ ეს საქმე, და მათთან შესახვედრად სამმართველოსაკენ გავნიე. ინსპექტორი ლიუსკიც იქ დამხვდა. ფაქტებს ოთხივენი აქეთ-იქით ვატრიალებდით, კვლავ და კვლავ ვაანალიზებდით საქმის სავარაუდო ვითარებას, მაგრამ უშედეგოდ. ერთი რამ იყო უეჭველი: რისკზე წასვლა არ შეიძლებოდა, ვერ დავუშვებდით საქმე გახმაურებულიყო, ვერც ვერავითარ ამკარა ქმედებაზე გადავიდოდით, ვიდრე გოგონა შინ არ დაბრუნდებოდა და თავს უსაფრთხოდ არ იგრძნობდა.

პოლიციელები გეიტვუდთან შეხვედრისას უარეს ცეცხლში ჩაცვივდნენ: უთუოდ უნდოდა პრესისათვის გადაეცა ცნობები გატაცების თაობაზე, განცხადება, რომელშიც გასამრჯელოს აწესებდა, ფოტოები და სხვა მრავალი. ის სავსებით მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, ეს ყველაზე ნაყოფიერი საშუალებაა გამტაცებელთა აღმოსაჩენად, მაგრამ არ დაფიქრებულა, რა შეიძლებოდა მოსვლოდა მის ქალიშვილს, თუკი გამტაცებლები საკმაოდ უღმობელნი აღმოჩნდებოდნენ. მათ ყადის ძმაბიჭებში კი რალაც ბატკნებს არ შეხვედრივარ.

იმ წერილს გავეცანი, გეიტვუდს რომ გამოუგზავნეს. ბექდური ასოები ფანქრით იყო დაწერილი ბლოკნოტიდან ამოხეულ ხაზიან ფურცელზე, რომლის ყიდვაც საწერი ნივთების ყველა მაღაზიაში შეიძლება დედამინის ნებისმიერ წერტილში. კონვერტიც სრულიად ჩვეულებრივი გახლდათ, მისამართი კი ისეთივე ბექდური ასოებით, ფანქრით მიენერათ. საფოსტო მარკაზე ბექდები ჩანდა: „სან-ფრანცისკო, 20 სექტემბერი. 21 საათი“. მაშასადამე, გატაცებისთანავე გამოეგზავნათ. წერილი აუნყებდა:

„მისტერ!

თქვენი მომხიბლავი გოგონა ჩვენს ხელთაა. მისი გამოხსნა 50.000 დოლარი დაგიჯდებათ. დაუყოვნებლივ მოამზადეთ ეს თანხა ასდოლარიანი კუპიურებით. შემდეგ კი ფოკუს-მოკუსების გარეშე, როდესაც შეგატყობინებთ, როგორ გადმოგვცეთ ფული.

გარწმუნებთ, საქმე თქვენი გოგონასათვის ავად დამთავრდება, თუ ჩვენს მოთხოვნებს არ შეასრულებთ, ან თავში მოგივით პოლიციას განუცხადოთ თუ სხვა რაიმე სისულელე ჩაიდინოთ.

50.000 მცირედი ნაწილია იმისა, რაც მოგიხვეჭავთ, როცა თქვენს ნაცვლად საფრანგეთში ჭუჭყსა და სისხლში ფვართხალებდით. მაგრამ ჩვენ მივიღებთ ამ ფულს. სამეული“.

წერილს ორი უჩვეულო მომენტი გამოარჩევდა. პირველი, გამტაცებლებს არ უცდიათ – როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე – გაუნათლებლობის შთაბეჭდილება შეექმნათ. მეორეც, ტექსტში არ შეიმჩნეოდა ცოტადენი ძალისხმევის კვალიც კი გამოძიების მცდარ გზაზე დაყენებისა. თუმცა, ასეთი მცდარი ხაზი შეიძლება სავარაუდოდ ის აღიარება ყოფილიყო, საფრანგეთში მებრძოლი ყოფილი ჯარისკაცები ვართო. წერილი პოსტკრიპტუმით მთავრდებოდა:

„იმ შემთხვევაში, თუ სად აზრს არ დაემორჩილებით, ვიცით, ვინ იყიდის გოგონას ჩვენი გართობის შემდეგ“.

სხვა, მსგავსი ფურცელი აცახცახებული ხელით მოხაზულ რამდენიმე სიტყვას შეიცავდა. გოგონა, როგორც ჩანდა, იმავე ფანქრით წერდა:

„მამიკო!

გვედრები, შეუსრულე, რასაც გთხოვენ. შიშისაგან ვკვდები.

ოდრი!“

ოთახის ბოლოში მოულოდნელად გაიღო კარი და ვილაცის თავი გამოჩნდა.

– ოგეირ! თოდ! გეიტვუდმა დარეკა. დაუყოვნებლივ ნადით კანტორაში.

ოთხივე გამოვცვივდით სამმართველოდან და პოლიციის მანქანებში ჩავსხედით. გეიტვუდი გიჟივით აწყდებოდა კაბინეტის კედლებს, როდესაც ჩვენ მის ქლესათა მწკრივი, გზას რომ გვილობავდა, მიმოვფანტეთ და შიგნით შევალნიეთ; სახეზე სისხლი მოსწოლოდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა.

– წუთის წინათ დამირეკა! – ნამოიყვირა ჩვენს დანახვაზე.

რამდენიმე წუთი გავიდა, ვიდრე მისი დამშვიდება შეეძელით იმდენად, რომ ასე თუ ისე, გასაგებად ალაპარაკებულიყო.

– დამირეკა... ძლივს ლულულუღებდა: „მამიკო, რამე იღონე! ამას ველარ ავიტან, მანამებენ!“ შევეკითხე, იცი, სად ხარ-მეთქი. „ა-არაო – მითხრა, – მაგრამ აქედან დაბლტოპი* ჩანს. სამი მამაკაცია და ქალი და...“ ამ დროს მამაკაცის გინება გავიგონე. შემდეგ რაღაც ყრუდ გაისმა, თითქოს დაარტყეს და კავშირი განწყდა. მაშინვე დავრეკე სატელეფონო სადგურში, ნომრის გასაგებად, საიდანაც დამირეკეს, მაგრამ იქ ვერაფერი შეძლეს. ჩვენი კავშირი – როგორ არ გაცოფდები, – ამდენ თანხას ვუხდით, მაგრამ, ღმერთთა მოწამე რომ...

ოგეირმა ზურგი შეაქცია გეიტვუდს და კეფა მოიქექა.
– ასობით სახლიდან ჩანს დაბლტოპი...

ამასობაში გეიტვუდმა სატელეფონო კავშირს გადაუარა და ახლა პრეს-პაპიეს მიადგა, როგორც ჩანს, ჩვენი ყურადღების მისაპყრობად.

– და თქვენ... თუ იღონეთ საერთოდ რაიმე? – დაგვატყდა თავს. კითხვაზე კითხვით ვუპასუხე: – თქვენ თუ მოამზადეთ ფული? – არა! – ო, – იღრიალა. – არავის მივცემ უფლებას შანტაჟი მომინყოს!

თუმცა ეს უფრო რეფლექსურად, ყოველგვარი დამაჯერებლობის გარეშე განაცხადა. ცოტათი შვილის უსაფრთხოებაზე დაფიქრდა – ნაცვლად იმისა, თავდასხმის ბრმა ინსტინქტს მინდობოდა. ჩვენ ოთხივე ვეცით და მივაღწიეთ, რომ რაღაც დროის შემდეგ ფულის მოტანა ბრძანა.

შემდეგ ამოცანები დავინანილეთ. თოდს სამმართველოდან რამდენიმე კაცი უნდა გამოეძახა და დაბლტოპის შემოგარენი საგულდაგულოდ გადაეჩხრიკა. თუმცა ამაზე დიდ იმედებს არც ვამყარებდით, რადგან საქმე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ეხებოდა. ლიუსკს და ოგეირს ფრთხილად უნდა დაენიშნათ ბანკნოტები, მოლარე რომ მოიტანდა, და შემდეგ რაც შეიძლება ახლოს გაჰყოლოდნენ გეიტვუდს, ოღონდ ჩრდილში ყოფილიყვნენ და ყოველგვარი რისკის გარეშე ედევნებინათ თვალყური. მე გეიტვუდთა რეზიდენციაში უნდა მივსულიყავი და იქ დავლოდებოდი მოვლენათა განვითარებას.

გამტაცებლებმა მოითხოვეს, გეიტვუდს წინასწარ მოემზადებინა თანხა, რათა ნებისმიერ წამს შეძლებოდათ ფულის წაღება, ამით არავითარ საშუალებას არ აძლევდნენ მსხვერპლს, ვინმესთვის რაიმე ეცნობებინა ან საპასუხო ქმედებათა გეგმა შეედგინა.

გეიტვუდს ვაცნობეთ, რომ ახლა უკვე შეიძლებოდა პრესასთან დაკავშირება, ყურნალისტებისათვის საიდუმლოს გამჟღავნება და განცხადების მომზადება ათასი დო-

ლარით დაჯილდოებისა, ვინც გამტაცებელთა დაკავებაში დაეხმარებოდა. ყველაფერი მზად უნდა ყოფილიყო იმ დროისათვის, როდესაც გოგონა უსაფრთხო ადგილას აღმოჩნდებოდა. არაფერი დაგვიშავებოდა, თუკი საზოგადოება მომხდარს მალე შეიტყობდა, სამაგიეროდ, წარმატებისათვის შანსები გვიორმაგდებოდა. პოლიცია კი ყველა უახლოეს უბანზე საბრძოლოდ ჯერ კიდევ მანამდე იყო მზად, ვიდრე გეიტვუდის შვილთან საუბარი დაგვარწმუნებდა, რომ გამტაცებლებს ოდრი სან-ფრანცისკოში ჰყავდათ. გეიტვუდთა რეზიდენციაში მთელი საღამო განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჰარვი გეიტვუდი შინ

ადრინადად დაბრუნდა. ისაღილა და ბიბლიოთეკაში ბოლთის ცემას მოჰყვა. დროდადრო კი სრულიად თავისუფლად გამოთქვამდა აზრს ჩვენზე. რა დეტექტივები თქვენა ხართ, თუკი მოქმედების ნაცვლად უსაქმურობისაგან საჯდომზე შარვალს იხეხავთო. ოგეირი, ლიუსკი და თოდი ქუჩაში ტრიალებდნენ, სახლს და მეზობელ შენობებს უთვალთვალებდნენ.

შუალამით გეიტვუდი სანოლი ოთახისაკენ გაემურა. მე სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახზე უარი ვთქვი. ბიბლიოთეკის პატარა დივანი ტელეფონთან მივწიე, რომელიც გეიტვუდის სანოლი ოთახის აპარატთან იყო შეერთებული და იქ მოვკალათდი.

სამის ნახევარზე სატელეფონო ზარი გაისმა. ყურმილი ავიღე და საუბარში ჩავერთე.

– გეიტვუდი ხარ? – იკითხა მამაკაცმა მკვეთრი ხმით.
– დ-ღიახ.
– ფული მზადაა?
– დ-ღიახ.

გეიტვუდი ჩახლეჩილი, დაბალი ხმით ლაპარაკობდა. ჩემთვის გასაგები იყო, შიგნიდან როგორ დულდა.

– კეთილი, – გააგრძელა ენერგიულმა ხმამ. – ფული ქალაქში გაახვიე, წამოიღე და სახლიდან გამოდი. კლეიტრიტით ნახვალ, შენს მხარეს ივლი – არც სწრაფად, მაგრამ არც ზოზინით. თუ ყველაფერი რიგზე იქნება და არც კუდს მოიყოლებ, სანამ სანაპირომდე მიხვალ, ვინც მოგიახლოვდება, სახესთან ცხვირსახოცს მიიტანს და მაშინვე დაბლა დააგდებს. დანახვისთანავე ფული ტროტუარზე დადე და მაშინვე შინისაკენ. თუ ფული დანიშნული არ იქნება და არც რაიმე ონის მოგვინყობ, შვილი ერთ-ორ საათში დაგიბრუნდება. მაგრამ თუ რაიმე ხრიკი გაქვს ჩაფიქრებული, კარგად გაიხსენე, რას გწერდით! გასაგებია?

გეიტვუდმა რაღაც ჩაიბურტყუნა, რაც შეიძლება თანხმობად მიგელო. შემდეგ ყურმილის დაკიდების ხმა გაისმა და სიჩუმე ჩამოვარდა. ძვირფასი დრო არ დამიკარგავს იმის გასაგებად, საიდან რეკავდნენ, ნათელი იყო – ავტომატიდან, და მხოლოდ ის მოვასწარი, გეიტვუდისათვის კიბიდან მიმეძახა:



მსატვარი ვახტანგ მეგრელიშვილი

* ცთამბჟენი სან-ფრანცისკოში

– ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც ჩვენ გითხარით! და სისულელეების გარეშე!

პასუხს არ დავლოდებივარ, ქუჩაში გამოვვარდი და ორი დეტექტივი და ინსპექტორი მოვძებნე. მათ განკარგულებაში იყო დამატებით ორი აგენტი და პოლიციის ორი მანქანა. ყველას აუხსენი საქმის ვითარება და ნაჩქარევად დავინწყეთ გეგმის შედგენა.

ოგერი ერთ-ერთი მანქანით საკრამენტო-სტრიტს უნდა გაჰყოლოდა, თოდი – ვაშინგტონ-სტრიტს. ეს ქუჩები კლემ-სტრიტის პარალელურია ერთი და მეორე მხრიდან. მანქანებს გზაჯვარედინებზე გეიტვუდის გამორჩენის მოლოდინში ძალიან ნელა უნდა ევლოთ. და თუკი ის სავარაუდო დროს არ გამოჩნდებოდა, კლემ-სტრიტზე უნდა ჩაეხვიათ. ამ წუთიდან ოგერსა და თოდს პირადი მოსაზრებებით უნდა ეხელმძღვანელათ და იმპროვიზებულად ემოქმედათ. ვითომ მთვრალ ლიუსკს გეიტვუდზე დაახლოებით ორი კვარტალით წინ უნდა ევლო, ოღონდ ქუჩის მეორე მხარეს. მე შესაბამის მანძილზე უკან გავყვებოდი, ჩემს შემდეგ კი ერთ-ერთი აგენტი წამოვიდოდა. მეორე აგენტს სამმართველოდან ყველა თავისუფალი თანამშრომელი სიტი-სტრიტზე უნდა გაეყვანა. თითქმის დარწმუნებული ვიყავით, დამნაშავენი ძალიან გვიან გამოჩნდებოდნენ და შესაძლოა, რაღაც დრო ჩვენს მოძებნაზეც დაეხარჯათ. მაგრამ ვერაფრით გავთვლიდით ყველაფერს, რასაც თურმე ის ღამე გვიმზადებდა.

გეგმა ძალიან მიახლოებითი იყო, მაგრამ რაიმე უკეთესის მოსაფიქრებლად დრო არ გაგვაჩნდა. რისკზე წასვლას და იმის დაჭერას, ვინც გეიტვუდს ფულს გამოართმევდა, ვერ გავბედავდით. მამასთან ოდრის საუბარმა ცხადყო, რომ გამტაცებლები ყველაფერს იკისრებდნენ, ჩვენ კი მათი გაღიზიანება არ გვინდოდა, ვიდრე გოგონას ხელიდან არ გამოვგლეჯდით.

ის-ის იყო მოვითათბირეთ, რომ გეიტვუდი შინიდან გამოვიდა და ქუჩას გაუყვა.

წინ, ქუჩის მეორე მხარეს ლიუსკი ნაბარბაცდა. სიბნელებაში ძლივს მოჩანდა, აქეთ-იქით ირწეოდა და რაღაცას ბურტყუნებდა. მის გარდა ჩემი თვალთახედვის არეში არავინ მოქცეულა. უკან კი, ოღონდ საწინააღმდეგო მხარეს, ერთ-ერთი აგენტი მომყვებოდა.

ორი კვარტალი გავიარეთ, როცა ქვებქუდიანი მსუქანი კაცი გამოჩნდა. გეიტვუდს გასცდა, გვერდი ამიარა და სვლა განაგრძო.

კიდევ სამი კვარტალი. ფარდებჩამოშვებული შავი ლიმუზინი მძღავრი ძრავით მოგვიახლოვდა, გაგვისწრო და პირდაპირ წავიდა. შესაძლოა მზვერავი ყოფილიყო. ლაბანდის ჯიბიდან ხელისამოუღებლად ჩავინერე ბლოკნოტში მანქანის ნომერი.

შემდეგ სამი კვარტალი. ფორმიანმა პოლიციელმა ჩავვიარა. არც უეჭვია, როგორი დრამა თამაშდებოდა მის თვალწინ. შემდეგ ტაქსმა ჩაიარა მალევე, ერთადერთი მგზავრით. მისი ნომერიც ჩავინერე.

კიდევ ოთხი კვარტალი – და არავინ, გარდა გეიტვუდისა. ლიუსკს უკვე ვეღარ ვხედავდი. უეცრად გეიტვუდის წინ, ბნელი შესახვევიდან მამაკაცი ამოძვრა, თავი ასწია და სადღაც ზეცას შეჰყვირა, ჭიშკარი გამიღეთო. მასაც გავცდით და გზა განვაგრძეთ.

უეცრად გეიტვუდისაგან თხუთმეტ მეტრში ქალი გამოჩნდა. სახის ქვედა ნაწილზე ცხვირსახოცს იღებდა, რომელიც შემდეგ ნელა დააგდო ტროტუარზე. გეიტვუდი შეჩერდა და გაიმართა. დავინახე, როგორ იღებდა ჯიბიდან მარჯვენა ხელს და მივხვდი, პისტოლეტი ეჭირა. დაახლოებით ნახევარი წუთი გაუნძრევლად, ქანდაკებასავით იდგა. ბოლოს ჯიბიდან ფული მარცხენა ხელით ამოიღო და მინაზე დააგდო. ამის შემდეგ მკვეთრად შემოტრიალდა და შინსაკენ გაბრუნდა.

ამასობაში ქალმა ცხვირსახოცის აღება მოასწრო, შემდეგ იქ მიიბრინა, სადაც ტროტუარზე პაკეტი ანათებდა, დაავლო ხელი და ჩქარი ნაბიჯით გაემართა ორ სახლს შუა ვინრო გასასვლელისაკენ. მაღალი, ოდნავ მოხრილი ქალი იყო, თავითფეხამდე შავებში ჩაცმული. რამდენიმე სწრაფი ნაბიჯი და სახლებს შორის შავბნელ ლიობში გაუჩინარდა.

იძულებული ვიყავი ძალიან ნელა და ფრთხილად ემომოძრავა, როდესაც გეიტვუდი და ქალი პირისპირ იდგნენ. ერთმანეთს მხოლოდ კვარტალი გვაცილებდა. მაგრამ როგორც კი ქალი გაქრა, გარისკვა გადავწყვიტე და გავიქეცი. თუმცა ადგილამდე რომ მივიბრინე, გასასვლელი ცარიელი დამხვდა. პარალელურ ქუჩამდე გავყვი, თუმცა მესმოდა, ქალი ვერაფრით მომასწრებდა კუთხემდე მივბრუნას. სრული წონის – და არც თუ ცოტა! – მიუხედავად, შემოძლია კვარტალი საკმაოდ სწრაფად გავიბრინო. გასასვლელის ორივე მხარეს ჩამწკრივებული სახლები თავის კონსპირაციული გამოსასვლელებით მიმზერდნენ.

მოიბრინა აგენტმა, უკან რომ მომყვებოდა, ოგერი და თოდიც მოვიდნენ, ბოლოს კი ლიუსკიც შემოგვიერთდა. ოგერი და თოდი მამინვე მეზობელი ქუჩების შემოსავლელად გასწიეს, იმ იმედით, ქალის პოვნას შეეძლებოთ. ლიუსკი და აგენტი კუთხეში დადგნენ, საიდანაც ამ კვარტალის ჩამკეტი ორი ქუჩის თვალთვალი შეიძლებოდა. მე კვარტალის გადაჩხრეკას შევეუდექი. უშედეგოდ. ვერც ჩაკეტილი კარი ვნახე, ვერც გაღებული ფანჯარა და ვერც სახანძრო კიბეს შევატყე, რომ ეს-ესაა გამოეყენებინათ.

არაფერი.

მალე ოგერი დაბრუნდა – სამმართველოდან გამოგზავნილი დამატებითი ძალებით, შემდეგ კი გეიტვუდიც გამოჩნდა.

ცოფებს ყრიდა.

– ისევე ჩაისვარეთ! თქვენს სააგენტოს ერთ ცენტსაც არ გადავუხვდი. თქვენ კი... თქვენ მე... ყველაფერს თავდაყირა დავაყენებ, მივალწევ, ქუჩების საპატრულოდ დაგაბრუნონ, უმნიფარო დეტექტივები!

– როგორ გამოიყურებოდა ის ქალი? – ვკითხე.

– თითქოსდა ვიცოდი, რომ ეს დაგჭირდებოდა! მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ახლომანად იყავით და მის დაჭერას შეძლებდით. მოხუცი იყო, მოხრილი, მაგრამ სახე არ დამინახავს – პირბადე ეკეთა. თქვენ კი, ჯანდაბა, თქვენ თავზე რას ფიქრობთ? ეს ხომ ნამდვილი სკანდალია, ჯანდაბა...

როგორც იყო დავამშვიდე და უკან, შინსაკენ წავათრიე, რითაც საშუალება მივეცი პოლიციელებს ტერიტორია დაეთვალთვალებინათ. ახლა ისინი უკვე თოთხმეტნი თუ თხუთმეტნი იყვნენ, ყველა ალყაფუმი სულ ცოტა თითო მანც იდგა. ოდრი მამინათვე გამოჩნდებოდა, რო-

გორც კი გაათავისუფლებდნენ, ამიტომაც ადგილზე მინდოდა ვყოფილიყავი, რომ დაუყოვნებლივ შევდგომოდი საქმეს. დამნაშავეთა დაკავება მანამდე შეგვეძლო, ვიდრე სადმე აითესებოდნენ, თუკი რა თქმა უნდა, გოგონა შეძლებდა მათზე რაიმე ეამბნა.

შინ დაბრუნებული გეიტყუდი ისევ ბოთლს მიენება, მე კი ციბრუტივით დავტრიალდი. ცალი ყური ტელეფონისაკენ მეჭირა, ცალი – კარისაკენ. ოგეირი და თოდი ყოველ ნახევარ საათში რეკავდნენ, რათა გაეგოთ, გოგონასაგან რაიმე ცნობა ხომ არ არისო. თვითონ არაფერი მოუყნოსავთ. გეიტყუდთა რეზიდენციაში ლიუსკთან ერთად ცხრა საათისთვის მოვიდნენ. შავადმოსილი ქალი მამაკაცი აღმოჩნდა, რომელსაც დიდი ხანია დამალვა მოესწრო.

ერთ-ერთი სახლის უკანა გასასვლელის ჩაკეტილ კარს იქით იპოვნეს ქალის ქვედაბოლო, გრძელი ლაბადა და ქუდი პირბადით – ყველაფერი შავი. მაცხოვრებელთა გამოკითხვის შედეგად პოლიციელებმა გამოარკვიეს, რომ სამი დღით ადრე ერთ-ერთი ოთახი ახალგაზრდა მამაკაცს ექირავა და ლეიტონის გვარით ჩანერილა. რა თქმა უნდა, სახლში არავინ დახვდათ. ოთახში უამრავი ნამწვავი და ცარიელი ბოთლი იპოვნეს. სხვა არაფერი გარდა იმისა, რაც იქ ლეიტონის დაბინავებამდე იყო.

დასკვნა ნათელი გახლდათ. ოთახი იქირავა, რათა გადაცმა მოეხერხებინა. ქალად გადაცმული მამაკაცი გეიტყუდთან შეხვედრაზე უკანა გასასვლელით გავიდა და კარი ღია დატოვა. შემდეგ კი სახლში შევარდა, კარი ჩაკეტა, ქალის ტანსაცმელი გაიხადა, შენობა გაიარა და, ვიდრე ჩვენ, როგორც გამოირკვა, დახვრეტილი ბადის სროლა მოვასწარი, სადარბაზოდან გავიდა. შესაძლოა, გაქცევის დროს იძულებული იყო ერთი-ორჯერ ოგეირისა და თოდის ავტომობილებს სადარბაზოებში დამალვოდა.

ლეიტონი ოცდაათოდე წლის, გამხდარი, შავთმიანი და მუქთვალეა მამაკაცი აღმოჩნდა. სიმალლე – მეტრი და სამოცდაათი, შესაძლოა სამოცდათხუთმეტი. მეზობლებზე, რომლებსაც ერთი-ორჯერ ენახათ, წესიერი ახალგაზრდა კაცის შთაბეჭდილება დატოვა, რომელიც თავის ყავისფერ კოსტუმსა და ჩალისფერ ქუდში საკმაოდ ელეგანტურად გამოიყურებოდა.

ორივე დეტექტივი, ისევე როგორც ლიუსკი, გამორიცხავდნენ, რომ ლეიტონის ნაქირავებ ბინაში რაღაც დრო მაინც ჰყოლოდათ ოდრი.

ათმა ჩამოჰკრა, გოგონასაგან კი არაფერი ისმოდა.

გეიტყუდს თავისი უცერემონიო მრისხანება ჩაეფერფლა, ისე ჩანდა, ცოტაც და გატყდებოდა. ხანგრძლივ დაძაბულობას ძნელად იტანდა, ალკოჰოლი კი ამაში სულაც არ მიხმარებია. სიმპათიით მისადმი სულაც არ ვიყავი გამსჭვალული – რაც მასზე მსმენოდა არც იმის, და არც პირადი ურთიერთობის გამო, მაგრამ ახლა შემეცოდა.

სააგენტოში დავრეკე და იმ დეტექტივთა პატაკი მოვიკითხე, ოდრის ნაცნობები რომ უნდა შეემონებინათ. როგორც აღმოჩნდა, გოგონა ბოლოს ვინმე ეგნის დეინჯერფილდს უნახავს მარკეტ-სტრიტზე, მეექვსე ქუჩის მიდამოებში, სადღაც საღამოს რვა საათსა და თხუთმეტი წუთიდან რვა საათსა და ორმოცდახუთ წუთამდე. ოდრი მარტო მიდიოდა, თანაც ქუჩის მეორე მხარეს, საკმაოდ დიდი მანძილი გვაშორებდა და, ბუნებრივია, არ დავლაპარაკებოვარო. ამას გარდა, ჩვენმა ბიჭებმა გამოარკვიეს,

ოდრი სრულიად აუტანელი ქალბატონია, საეჭვო პირებთან მეგობრობს და იოლად შეიძლება ჩავარდნოდა ხელში პროფესიონალ დამნაშავეთო.

შუადღე დადგა, ოდრი კი არა ჩანდა. გაზეთებს ვაცნობეთ, რომ მომზადებული მასალები გამოექვეყნებინათ ბოლო საათებში მომხდარის დამატებით. სრულიად გატეხილი, ხელებში თავჩარგული გეიტყუდი იატაკს მიშტერებოდა და სავარძელში გაშეშებულიყო. ის იყო უეცარმა აზრმა გონება გამინათა და გასვლა დავაპირე, ამომხედა. ვერც ვიცნობდი, ეს ფერისცვალება ჩემს თვალწინ რომ არ მომხდარიყო.

– როგორ ფიქრობთ, რას შეეძლო დაებრკოლებინაო, – მკითხა.

ძალა არ მეყო მეპასუხა, რა დასკვნა გამოდიოდა სინათლეზე ახლა, როცა ფული გადახდილი იყო, გოგონა კი არა ჩანდა. რამდენიმე ზოგადი ფრაზა ვიკმარე და გამოვედი.

ტაქსი გავაჩერე და ვთხოვე, სავაჭრო ცენტრში გავეყვანე. ერთი მალაზიიდან მეორეში გადავიდი, ვჩერდებოდი ყველა სექციაში, რომელიც ქალის ატრიბუტებით ვაჭრობდა – ფეხსაცმელიდან ქუდამდე, და ვკითხულობდი, ბოლო დღეებში ლეიტონის მსგავს მამაკაცს ხომ არ უყიდა ოდრი გეიტყუდის აღნაგობის ახალგაზრდა ქალი-სათვის ტანსაცმელი-მეთქი. ხუთი მალაზია რომ მოვიარე და ვერსად ვერაფერს მივაგენი, ქალაქის დანარჩენი მალაზიების შემოწმება ჩვენი სააგენტოს ბიჭებს დავავალე, მე კი ბორნით უბის მეორე მხარეს გადავინაცვლე ოკლენდის უნივერსიტეტის მოსაჩრეკად და პირველივეში გამიმართლა.

წინა საღამოს და არა უფრო ადრე, მამაკაცს, რომელიც სავსებით შეიძლება ლეიტონი ყოფილიყო, ოდრის ზომის ქალის ნივთები ეყიდა. ბევრი რამ შეუძენია – თეთრეულიდან მოყოლებული ლაბადის ჩათვლით და მეტიც, ილბოსისა არც კი დავიჯერე, უთქვამს, ნაყიდი ნივთები მეთოთხმეტე ქუჩაზე თ. ოფორდს გაუგზავნეთო.

სახლის სადარბაზოში, ამ მისამართზე რომ მდებარეობდა, ორასმეორე ნომრის ბინის გვერდით საჭირო გვარს მივაგენი. თეოდორ ოფორდი.

ამ დროს შესასვლელი კარი გაიღო. ზღურბლზე მსუქანი, ხანშიშესული ქალი იდგა საშინაო ჩითის ხალათში გამონყობილი. ინტერესით შემათვალეირა, მე კი ვკითხე:

– ხომ ვერ მეტყვი სად მოვძებნო ზედამხედველი?

– მე ვარო – მიპასუხა.

სავიზიტო ბარათი მივანოდე და ბინაში შევედი.

– მე ჩრდილოამერიკული სადაზღვევო საზოგადოების განყოფილებიდან ვახლავართ, – გავიმეორე სიცრუე, ჩემს ყალბ სავიზიტო ბარათზე რომ ეწერა. ჩვენთან განაცხადი შემოვიდა მისტერ ოფორდის თავდებობასთან დაკავშირებით. ხომ არ შეგიძლიათ დამეხმაროთ მასზე წარმოდგენა შევიქმნა? არის კი ის ადამიანი, ვისაც შეიძლება დაეყრდნო?

– განაცხადი? უცნაურია! ბატონი ოფორდი ხვალ მიემგზავრება.

– არ ვიცი, საქმე რომელ თავდებობას ეხება, – ვუპასუხე სხვათაშორის – ჩვენ მხოლოდ მისამართებსა და გვარებს გვაძლევენ წინასწარი გაცნობის მიზნით. თავდებობა შეიძლება მის ახლანდელ უფროსს დასჭირდა ან მე-

საძლავა ეს სულაც ის იყოს, ვისთანაც მისტერ ოფორდი მუშაობის დანებებას აპირებს. ზოგიერთი ფირმა მოგვმართავს, რათა გამოვიძიოთ იმათი პიროვნება, ვის მიღებასაც სამსახურში აპირებენ. თანამშრომელთა გამო ფინანსური პასუხისმგებლობისაგან სურთ დაიზღვიონ თავი.

– აბა, რა შემოდია გითხრათ... მისტერ ოფორდი საკმაოდ სასიამოვნო ახალგაზრდა კაცია. მაგრამ აქ მხოლოდ ერთი კვირაა ცხოვრობს.

– კვირა? ჰოო, ეს არც თუ ბევრია.

– დენვერიდან ჩამოვიდნენ, დიდი ხნით აპირებდნენ დარჩენას, მაგრამ ზღვისპირა კლიმატი მისის ოფორდს არა რგებს, ამიტომაც უკან ბრუნდებიან.

– რუსტად იცით, რომ დენვერიდან ჩამოვიდნენ?

– რა ვიცი... ასე მოთხრეს.

– დიდი ოჯახია?

– არა, მხოლოდ ორნი არიან, ახალგაზრდები...

– და როგორი შთაბეჭდილება მოახდინეს თქვენზე? – ვკითხე და შევეცადე კილოთი მიმეხვედრებინა, თქვენი შორსმჭვრეტელობისა უსაზღვროდ მჯერა-მეთქი.

– ძალიან სასიამოვნო ახალგაზრდა წყვილია. დროდადრო ისე ჩუმად არიან, შეიძლება იფიქრო, მთელი დღეები შინ არც არიანო.

– ხშირად გადიან?

– ვერ გეტყვით. შემოსასვლელი კარისა საკუთარი გასაღები აქვთ. ხანდახან ვხვდები, როცა გადიან ან შემოდინან...

– ანუ შესაძლოა არც კი გცოდნოდათ, რომელიმე სალამოს სულაც რომ არ დაბრუნებულიყვნენ ღამის გასათევად?

ექვნიანად შემათვალეირა – ჩემი შეკითხვა ვერაფრით ჯდებოდა მიზეზად დასახელებულ საქმეში, მაგრამ ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. თავი დამიქნია.

– რა თქმა უნდა. შეიძლება არ მცოდნოდა.

– ხშირად ჰყავთ სტუმრები?

– ვერ გეტყვით. მისტერ ოფორდი არ... – ფრაზა ვერ დაამთავრა, რადგან ქუჩიდან მამაკაცი შემოვიდა. უკან გამიარა და კიბისაკენ გაემართა.

– ღმერთო ჩემო! – ჩაიჩურჩულა ქალმა. – იმედია არ გაუგონია! ეს მისტერ ოფორდია!

გამხდარი მამაკაცი ყავისფერ კოსტუმსა და ჩალისფერ ქუდში სავსებით შესაძლოა ლეიტონი ყოფილიყო! მხოლოდ ზურგიდან შევხედე. მანაც – ასე. კიბეზე მშვიდად ადიოდა. თუკი გაიგონა, ქალმა რომ მისი გვარი ახსენა, კიბის მოსახვევით ისარგებლებს, რათა თვალი შემავლოს. ასეც მოიქცა. შევეცადე არაფრით შემემჩნია, რომ ვიცანი. ეს ჟმობტ ქვაილი გახლდათ, აფერისტი, ოთხი წლის წინათ დასავლეთ შტატებში რომ დათარეშობდა. თავი არც მოძრაობით, არც მზერით არ გაუცია, მაგრამ ვიცოდი, მანაც მიცნო. მეორე სართულზე კარი გაჯახუნდა.

კიბისაკენ გავემართე.

– ზემოთ ავივლი, მისტერ ოფორდს დაველაპარაკები, – ვამცნე ზედამხედველს.

202-ე ოთახის კარს მივუახლოვდი და ერთხანს მივაყურადე. შიგნიდან ჩქამიც არ ისმოდა. ყოყმანის დრო არ იყო. ზარის ლილავს ხელი მივაჭირე.

ერთიმეორის მიყოლებით, საბეჭდ მანქანაზე გამოცდილი მემანქანის თითებქვეშ სამი დარტყმასავით სწრა-

ფი, ოღონდ გაცილებით ხმამაღალი სამი გასროლა გაისმა რევოლვერიდან. და 202-ე ოთახის კარზე წელის სიმაღლეზე სამი გამჭოლი ნახვრეტი გაჩნდა. ულაპარაკოდ გვამი ვიქნებოდი, მუცელში სამი ტყვიით დაცხრილული, ძველთაგანვე გვერდით დგომა რომ არ მესწავლა იმ უცნობი ბინის კართან, სადაც დაუკითხავად მივდივარ და ვრეკავ ზარს.

კარს იქით მამაკაცის მბრძანებლური ხმა გაისმა.

– გაჩერდი! სულელი! ღმერთო, ოღონდ ეს არა!

კაცს ქალის ისტერიული ხმა პასუხობდა, გაჰკოდა და ილანძლებოდა. და თანაც როგორ! კიდევ ორმა ტყვიამ გაიარა კარში.

– გაჩერდი! გთხოვ!

ახლა მამაკაცს ხმაში შიში შეჰპარვოდა. გაცეცხლებული ქალი ლამაზ-ლამაზ სიტყვებს აფრქვევდა. შებრძოლების ხმა გაისმა. კიდევ ერთმა გასროლამ დაიჭეძა.

კარს მთელი ძალით ვკარი ფეხი. საექტმა ვერ გაუძლო. ოთახში, იატაკზე მამაკაცი – ქვაილი – ქალს ებრძოდა. დაჩოქილი ცდილობდა მისი მაჯა იატაკისათვის მიეზღინა. ქალის რევოლვერს ჯერაც ბოლი ასდიოდა. ერთი ნახტომით მათ გვერდით აღმოვჩნდი და იარაღი გამოვტაცე.

– კმარა! – ვიყვირე და ნამოვდექი. – აბრძანდით! სტუმარი გყავთ.

ქვაილმა მოწინააღმდეგეს ხელი გაუშვა, ქალი იმ ნამსვე შეეცადა თავისი ბასრი ბრჭყალებით თვალებში სცემოდა, თუმცა მხოლოდ ლოყის გაკანწვრა მოახერხა. ქვაილი ოთხზე ჩოჩვით მოსცილდა, ფეხზე ნამოხტა და სავარძელში ჩაენარცხა, თან გასისხლიანებულ სახეს ინმენდდა ცხვირსახოცით. გოგონა დოინჯუმორტყმული შუა ოთახში იდგა და განმგმირავი მზერით მფერფლავდა.

გამეცინა – ახლა შემეძლო თავისათვის ამის უფლება მიმეცა.

– თუკი მამათქვენს სულ ცოტა გონება მაინც შერჩა, კარგა მაგრად აგაჭრელებთ იმ ქაშრით, სამართებელს რომ ლესავს! მარჯვედ კი გააცურეთ!

– მასთან ჩემსავით დიდხანს რომ გეცხოვრათ და ისევე დაემცირებინეთ და დაეთრგუნეთ, ყველაფრისათვის მზად იქნებოდით, ცოტაოდენი ფული რომ გეშოვათ და დამოუკიდებელი ცხოვრება დაგეწყით.

არაფერი მიპასუხია. მამამისის სავაჭრო მეთოდები მახსოვდა – განსაკუთრებით რალაც უცნაური სამხედრო კონტრაქტები, რომელთაც იუსტიციის სამინისტრო ჯერაც იძიებდა, – უნდა ვალიარო, ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ოდრის დადანაშაულება ერთ რამეში შეიძლებოდა: იგი მამის ალიკვალის გახლდათ.

– ჩვენი კვალს როგორ დაადექით? – თავაზიანად მკითხა ქვაილმა.

– ერთი-ორი უმნიშვნელო დეტალი. ჯერ ერთი – ნაცნობმა გოგონამ ოდრი დაახლოებით ცხრის ნახევარზე ნახა მარკეტ-სტრიტზე, წერილზე კი ცხრა საათზე დაერთყვათ ბეჭედი. ცოტა იჩქარეთ. წერილის გამოგზავნა ცოტა უნდა დაგეხანებინათ. ალბათ აქ რომ მოდიოდით, ოდრიმ გზად ჩააგდო ყუთში.

ქვაილმა თავი დამიქნია.

– მეორეც, – განვაგრძე მე, – სატელეფონო ზარი, ოდრის კარგად მოეხსენებოდა, ყველა ამ მდივანს, მამამის-

დატექსტივი

თან დასაკავშირებლად, რამდენიმე წუთი დასჭირდებოდა. მართლა რომ ესარგებლა გამტაცებელთა უყურადღებობით და ტელეფონთან მისვლა მოეხერხებინა, ისე იჩქარებდა, პირველივე შემხვედრ პირს, ვისაც გადააწყდებოდა, ტელეფონისტი იქნებოდა თუ კომუტატორი, ყველაფერს გადმოულაგებდა. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ მთავარი მიზანი მამათქვენის დათრგუნვა იყო შიშით – თანაც ისეთით, ცვილივით რომ დარბილებულიყო. რომ აღარაფერი ვთქვა დაბლტოპის ცრუ კვალის მოგდების მცდელობაზე.

ქვაილმა კვლავ დამიქნია თავი.

– გამოსასყიდის გადახდის შემდეგ რომ არ გამოჩნდა, მივხვდი, თვითონ იყო გარეული ამ საქმეში. საეჭვოც აღარაა, ასეთი საქციელის შემდეგ შინ რომ დაბრუნებულიყო, ხანგრძლივი დაკითხვა არ დაგვჭირდებოდა, ყველაფერი რომ დაეფქვა. და ალბათ ამის ეშინოდა. დანარჩენი არც ისე რთული იყო, თანაც ცოტათი გამიმართლა კიდევ. როდესაც ვიპოვეთ ქალის ტანსაცმელი, თქვენ რომ აღარ დაგჭირდათ და გადაადგდეთ, მაშინ გავიგეთ, რომ ქალი ვიღაც ტიპთან იყო შეკრული. ვივარაუდებ, რომ ამ საქმეში მხოლოდ ერთი თანამზრახველი მონაწილეობდა. ამას გარდა, ვიცოდი, რომ რალაც ჩასაცემელიც დასჭირდებოდა. შინიდან თავის ნივთებს ვერ გამოიტანდა. არადა, ახლოვანი გოგონების მთელი გროვა ჰყავს, რომელთა ძირითადი საქმიანობა მაღაზიებში ფულის ფანტავაა. ამიტომაც ვიფიქრე, საყიდლებზე სავარაუდოდ თანამზრახველს გააგზავნის-მეთქი. და არც შეეცდი. პარტნიორს კი ფუთების თრევა დაეხარა, ან ძალიან ბევრი იყო და მანაც გადაგზავნა ბრძანა. აი, მთელი ამბავი.

– ჰო, ჩემგან ეს საშინელი გაუფრთხილებლობა იყო, – აღიარა ქვაილმა და გოგონას მხარეს ამრეზით გაიშვირა თითი – მაგრამ ამ იდიოტისათვის რა მომეხერხებინა, ეს ხომ იჩხირავს! რომ მოვიდა, უკვე რალაც საზიზღრობით იყო გათიშული. მუდმივად თვალყური უნდა მედევნებინა, თავში რამეს რომ არ დაერტყა და საქმე არ ჩაეგდო. აი, ახლა ხომ თვითონვე დარწმუნდით, რაც არის. ვუთხარი,

თქვენ რომ ზემოთ ამოდიოდით, ამ სულელმა კი იარაღი დააძრო და საქმეს ლამის თქვენი გვამიც მიამატა!

მამისა და შვილის შეხვედრა ოკლენდის მუნიციპალიტეტის მეორე სართულზე პოლიციის სამმართველოში, კაპიტნის ოთახში შედგა. შთამბეჭდავი სანახაობა გახლდათ.

მთელი ერთი საათის განმავლობაში ფსონს ჩამოხვიდოდი: დაეცემოდა თუ არა ჰარვი გეიტვუდს დამბლა, დაახრჩობდა თუ არა თავის ერთადერთ ქალიშვილს თუ მხოლოდ გამოსასწორებელ კოლონიაში გაამწესებდა სრულწლოვანებამდე? მაგრამ საბოლოოდ ოდრიმ გაიმარჯვა. მამის შვილი ტყუილად კი არ იყო, თანაც საკმაოდ ახალგაზრდა, რომ შედეგებისათვის ანგარიში არ გაენია, და ეს მაშინ, როცა გეიტვუდისათვის, მისი დესპოტური ბუნების მიუხედავად, ცხოვრებას გარკვეული წინდახედულება ესწავლებინა. კარტი, რომლითაც შვილმა მოუჯოკრა, მუქარა აღმოჩნდა. მუქარა – საგაზეთო „მეგობრებისათვის“ გადმოულაგებინა ყველაფერი, რაც მასზე იცოდა. წარმოდგენა არ გამაჩნია, რა იცოდა სინამდვილეში, და ისე, ალბათ არც გეიტვუდი იყო სრულიად გათვითცნობიერებული, მაგრამ მაშინ, როდესაც იუსტიციის სამინისტროს ხელი მოეკიდა გამოძიებისათვის, მის სამხედრო კონტრაქტებს რომ უკავშირდებოდა, ვერ გარისკავდა. უეჭველია, შვილი მუქარას შეასრულებდა. ერთ-ერთი გაზეთი სან-ფრანცისკოში კი მხოლოდ შემთხვევას ელოდა, რომ ძაღლები მიექსია მისთვის. დასასრულ, ურთიერთსიძულვლით ანთებულმა მამა-შვილმა კაპიტნის ოთახი დატოვა.

ქვაილი ზემოთ, კამერაში გამოვკეტეთ, თუმცა განსაკუთრებული ილუზიები მასთან დაკავშირებით არ გავჩვენია. ვიცოდი, არანაირი საშუალება მისთვის ბრალის წაყენებისა, არ გვქონდა, თუკი სასამართლოს წინაშე ოდრისაც არ წარვადგენდით.

ეს არასერიოზული საქმე გახლდათ და შევებით ამოვისუნთქე, როცა დასრულდა.

თარგმანა
მაკა ჯაფარიძე

კულუარები

„ჩვენი მწერლობის“ მე-4 ნომერში დაბეჭდილ სკანდალურ ამბავს მატყუარა „მწერლის“ შესახებ, რომელმაც თავის მიერ შეთხზულ საეჭვო ღირებულების ისტორიებს დოკუმენტური პროზა უწოდა და მილიონობით ცალი გაყიდა, ახალი სკანდალი შეემატა, იმავე – „ოლონდ გაიყიდოს“ – პათოსით აღბეჭდილი.

ჩვენშიც საკმაოდ განხილული და ჩვენებური სნობების სალოცავი ტრილერი „და ვინჩის კოდი“, მისი ავტორი დენ ბრაუნი და გამომცემელი ამას წინათ სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

სარჩელი საავტორო უფლებათა დარღვევის გამო მათ წინააღმდეგ შეიტანეს მაიკლ ბეიგენტმა და რიჩარდ ლეიმ, ავტორებმა 1983 წელს გამოცემული დოკუმენტური წიგნისა „წმიდა სისხლი და წმიდა გრაალი“.

ისინი საგამომცემლო სახლ „რენდომ ჰაუს“ ბრალს სდე-

„და ვინჩის კოდის“ ავტორი სასამართლოს წინაშე

ბენ, რომ დენ ბრაუნის რომანი მათი წიგნის საფუძველზეა აგებული. თუ ისინი სასამართლო პროცესს მოიგებენ, შეჩერდება „და ვინჩის კოდის“ მიხედვით გადაღებული ფილ-

მის ეკრანებზე გამოსვლა? მთავარ როლში ცნობილი მსახიობი ტომ ჰენკსი თამაშობს.

– მოუნდა ბრაუნს მიეთვისებინა და მიითვისა, იმის ნაცვლად, რომ თვითონ გარჯილიყო, – ამბობს ჯონათან რაინერ ჯეიმზი, მომჩივრების ადვოკატი.

როგორც ცნობილია, ორივე წიგნს ერთი და იგივე მკრეხელობა უდევს საფუძვლად, რომ ქრისტემ ცოლად შეირთო მარიამ მაგდალელი, შვილიც შეეძინათ და მათი სისხლის მემკვიდრეობა დღემდე მოდის.

მაგრამ ვის აღარდებს ან მკრეხელობა და ან პლაგიატობა, მთავარია „წიგნი გაიყიდოს – და ვინჩის კოდისა“ ხომ უკვე 40 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა.

გიორგი გიგაური

ზვიად გამსახურდია და მარადიული საქართველო

საქართველოს აქვს მარადიული თარიღები: 8 თებერვალი – წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენებისა და იმავდროულად, ქართული უნივერსიტეტის დაარსების დღე; 6 მაისი და 23 ნოემბერი – გიორგობის დღესასწაული... ჩვენს უახლეს ისტორიაში შემოგვემატა 9 აპრილი – დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, 31 მარტი – დამოუკიდებლობის საერთო-სახალხო რეფერენდუმის დღე; სწორედ 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე სცნო საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ საერთაშორისო თანამეგობრობამ. 31 მარტი – ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა; ადამიანისა, რომელმაც თავისი მოღვაწეობით, ცხოვრებით, სიკვდილითაც კი, კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველოს მარადიულობა!

ზვიად გამსახურდია „გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარში“ წინასწარმეტყველურად აღნიშნავს:

„ერთი სისუსტე გვჩვენებდა ადამიანებს: როდესაც ჩვენს გვერდით უჩვეულო ადამიანი დადის, ჩვენ მუდამ მისი „ჩვეულებრივი“ შტრიხების ძებნით ვართ გართული, ხოლო ყოველივე ის, რაც გვეუცხოვრებდა მასში გვსურს „უცნაურობის“, „ორიგინალობის თამაშს“ ან „პოზას“ მივანეროთ. თუმცა ერთი რამ გვათავისუფლებს ხოლმე ამგვარი ფილისტერული ახლომხედველობისგან: ეს არის სიკვდილი ამ ადამიანისა. პირუკუ, სიკვდილი ხშირად მეორე უკიდურესობამდე კი გვაგდებას ხოლმე“.

თქმა იმისა, ზვიად გამსახურდია „უჩვეულო ადამიანი“ იყო, არაფრის თქმაა, სწორედ.

ვერც „მეორე უკიდურესობაში“ აღმოვჩნდებით, თუ ვიტყვით: არაჩვეულებრივი, უნიკალური ადამიანის თანამედროვენი შევიქმენით!..

დღეს, როდესაც მისი დაუძინებელი მტრებიც კი (თითქოს ერთმანეთს ასწრებენ) აღიარებენ ზვიად გამსახურდიას ისტორიულ წვლილს საქართველოსა და ქართველობის წინაშე, ზედმეტიც არის „თავშეკავებული მოწინება“.

ბედნიერება იქნება, თუ ამ წერილით იმის მეთათხადი მანინც წარმოჩინდება, რაც ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობრივ, მეცნიერულ-ფილოსოფიურ, ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობად და საუნჯედ არის აღიარებული.

სამწუხაროდ, ჩვენში ბევრი კარგად არ იცნობს ამ საუნჯეს. შეიძლება, გვგონია, ყველაფერი ვიცით პრეზიდენტ გამსახურდიას პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, მაგრამ როგორ

იყო მისი, როგორც ქართველი კაცის, მსოფლმხედვა, სამყაროს განცდა და მშობელი ხალხის აღქმა?

ფაქტია, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მემკვიდრეობას ვერასგზით გავაცნობიერებთ, თუ მისსავე ადამიანურ მრწამსს არ შევიცნობთ.

– რა არის ქართველი კაცისათვის ყველაზე დამახასიათებელი თვისება, რა არის ის ძირითადი თავისებურება, რომელიც ისტორიულად მოსდგამს ჩვენს ერს და განსაზღვრავს მის ინდივიდუალობას?

– რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენთაგანს უფიქრია ამ კითხვაზე, პრაქტიკულად კი, გასაღებზე იმ კლიტისა, რაც ჩვენს რაობას განსაზღვრავს და სამყაროში კუთვნილი ადამიანის დამკვიდრებაში ჩაგვხერგავს გადაულახავ ბარიერად.

ზვიად გამსახურდიასათვის ამ კითხვაზე პასუხი რჩეულ ქართველებზე, მათს ბედსა და აღსასრულზე დაკვირვებაში მოაძებნინა:

„ზოგან ამკარად, ზოგან კი უაღრესად ფარულად ჩანს, რომ ეს თვისება მოყვასისათვის თავგანწირვა, მსხვერპლი, საკუთარი სიცოცხლის არად ჩაგდება მოყვასის საკეთილდღეოდ“.

მაგალითები გნებავთ? კი ბატონო: ზვიად გამსახურდია ასახელებს – ვახტანგ გორგასალანი, დავით და კონსტანტინე არგვეთის ერისთავები, დავით აღმაშენებელი, თამარი, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი, იოთამ ზედგენიძე, ცხრა ძმა ხერხეულიძეები, თევდორე მღვდელი, ლუარსაბ მეფე, სვიმონ მეფე, ქეთევან წამებული, სამასი არაგველი, ილია ჭავჭავაძე და „სხვანი მრავალი დიდმოწამენი და წმინდანნი“.

ამ გალერეაში კუთვნილ ადგილს იკავებენ „უცხოელნიც, რომლებშიაც საქართველომ აღზარდა ეს გრძნობა“: წმინდა შუშანიკი, წმინდა რაჟდენი, ევსტაფე მცხეთელი, აბო ტფილელი...

ის კი არა, ზვიად გამსახურდია იხსენებს ავტოკატასტროფაში დაღუპულ, „ვეფხისტყაოსნის“ მონღოლ მთარგმნელს, რომელმაც ბავშვი გადაარჩინა და თავად დაიღუპა!

ამ მარადიულობის კიდევ ერთი „ნივთმტკიცება“ ზვიად გამსახურდიასათვის „ქართულ ენაში არის ერთი გასაოცარი სიტყვა, რომელიც ნათელყოფს, თუ რამდენად ორგანულია ეს შტრიხი ქართველი ერისთვის“. ეს არის სიტყვა „გენაცავალე“ და გამოთქმა „შენი ჭირიმე“.

მოყვასისთვის თავგანწირვაშია ქართული ისტორიის პათოსი!

ზვიად გამსახურდია დარწმუნებულია, რომ სწორედ მოყვასისთვის თავგანწირვამ გადაარჩინა ქართველი ერი ისტორიის შემზარავ ქარტყილებს.

ეს თვისება სისხლში ჰქონდა გამჯდარი ერს. ეს თითქოსდა „თანდაყოლილი, შესისხლხორცებული რამ იყო, და არა გარეგანი, ეთიკური აღზრდის მიღწევა“.

ზვიად გამსახურდიას აზრით, ამიტომაც აისახა ჩვენი ეს თვისება შეუდარებელი ძალით ქართულ ლიტერატურაში. სად არსებობს უფრო გრანდიოზული აპოლოგია მოყვასისთვის თავგანწირვისა თუ არა „ვეფხისტყაოსანში“?

ნაციონალური ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ხომ ტონს აძლევს ლიტერატურასაც:

„ნამდვილი ქართული ლიტერატურა ცურტაველიდან დღემდის ჩვენი ეროვნული ხასიათის ზემოხსენებულ ასპექტში დანახვას. ამიტომ ეგზოტიკური შინაგანად ორგანული იყო ქრისტიანობა ქართველი ერისათვის. ქართველი ადამიანი დოგმების სისტემატური ჩიჩინის გარეშე ორგანულად, თანდაყოლილად შეიგრძნობდა ევანგელური მოძღვრების სისწორეს და ცხოვრებისეულად ახორციელებდა მას, მისთვის უც-

ხო იყო რაიმე უკიდურესობების გამოვლინება, ფანატიზმი ან წმინდანობის ნილაბი, რომელიც მხოლოდ იქ იჩენს თავს, სადაც რწმენის ნაკლებობაა, ან ქვეცნობიერი დაეჭვება. ნილაბი იქ ხდება საჭირო, სადაც სახე არ არის“.

ამიტომაც არ გვაქვს ქართულ ენაში სიტყვა „Hypocrite“, „ხანჭა“. გადმოქართულებული „მონმინდანო“ ზვიად გამსახურდიას ხელოვნურად შექმნილი ჰგონია: „ხანჭობა“ როგორც ასეთი, უცხო იყო იმ ერისთვის, რომელიც მთლიანად, როგორც ერთი კაცი, ეწამა ქრისტიანული რწმენისთვის, რომელმაც წარმოშვა ასი ათასობით მონამე, რომელმაც თავის ისტორიულ ამოცანად დაისახა ქრისტიანული იდეალის განხორციელება ცხოვრებაში, აზროვნებასა და ხელოვნებაში“.

ზოგიერთი „რუსთველოლოგი“ დღესაც ეჭვობს „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი ავტორის ქრისტიანულ სანყისს.

ზვიად გამსახურდია კი ამტკიცებს, რომ:

„რუსთაველის პოემაში ქრისტიანობა შინაგანი, ცხოვრებისეული მამოძრავებელი ძალაა. იგი იმდენად ორგანულია ავტორისთვისაც და მისი გმირებისთვისაც, რომ არ საჭიროებს მათის მხრივ დოგმების შესახებ თეორეტიზებას. იგი მათ სისხლშია, მათ ძარღვებში, მათ სუნთქვაში. გალაკტიონმა სთქვა: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“. რუსთაველი კი უთუოდ დასძენდა: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქრისტიანული“.

ზვიად გამსახურდიას კიდევ ერთი მსოფლმხედველობრივი არგუმენტი, რატომ არ გვაქვს დალოცვილ ქართულში „ხანჭობა“:

„ხანჭობა“ იქ იჩენს თავს, სადაც თავისუფლება არ არის. ქრისტიანული იდეალი კი მხოლოდ იქ ხორციელდება მთელის სისრულით, სადაც პიროვნების სრული თავისუფლებაა, სადაც ადამიანი თავისუფალი ნებით ეუბნება „შოს“ სულიერ სამყაროს, სადაც იდეალის სამსახური იმულებით თავზე მოხვეული უღელი როდია, არამედ პიროვნების ორგანული მოთხოვნილება, მისი ერთადერთი გზა. ევანგელური დევიზი: „ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“ უნდა გადაიქცეს არა მარტო ცხოვრებისეულ კრეოდო, არამედ თავად ცხოვრებად“.

ზვიად გამსახურდიამ თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობით დაადასტურა ქრისტიანული მორალის ცხოველმყოფელობა და მარადიულობა.

... და ზვიად გამსახურდიას დიალოგი, ერთგვარი სიტყვა-პასუხი მარადისობასთან:

- რა შობს მოყვასისთვის თავგანწირვას?
- სიყვარული, ყოვლისმომცველი, უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი!
- რა შობს თავისუფლებას?
- იგივე სიყვარული, ოღონდ სიყვარული უზენაესი ჭეშმარიტებისადმი!
- სად არიან ჩვენში მონმენი უზენაესი ჭეშმარიტების სიყვარულისა?
- ესენი არიან გელათის აკადემიის ან დახავსებული კედლები, ეს გახლავთ იყალთოს კიპარისების მისტიური სიჩუმე!
- სად არიან მონმენი მოყვასისათვის თავგანწირვისა?
- ესენი გახლავთ ველები ანისისა, დიდგორისა, ბასიანისა, მანციკერტისა, მარაბდისა, კონანისისა!..



ზვიად გამსახურდია

ზვიად გამსახურდიას, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, ღრმად სწამდა „საქართველოს სულიერი მისისისა“. ის უპრეცედენტოს უწოდებდა „თავად ქართველი ერის მარტივობას ქრისტიანული კულტურის სახელით“.

მცირერიცხოვანი ქართველი ერი სხვა ქრისტიანი ერებისგან ხომ სწორედ მონამეთა და მარტივლთა განსაცვიფრებელი სიმრავლით გამოირჩევა.

წმინდანი იყო, არის და, ღვთის მადლით, დარჩება ქართველთა მარადიულ იდეალად. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ეროვნული და კულტურული არსებობა შევინარჩუნოთ, გადავარჩინოთ ოკეანისგან, რომელიც განადგურებით ემუქრება ეროვნულ კოლორიტსა და თვითმყოფალობას!

„ის ერი კი, რომელიც დაკარგავს რწმენას და კულტურულ უპირატესობას ვერ შეინარჩუნებს მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული კაცობრიობისა, მას ვერც ერთი სხვა იდეალი ვერ შესცვლის ვერც მომავალში“, – ჯერ კიდევ როდის ამბობდა ზვიად გამსახურდია.

საქართველოს „გეორგიანელობა“, ზვიად გამსახურდიას რწმენით, სწორედ საქართველოს სულიერი მისისის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

გარდა იმისა, რომ „გეორგია“, ძველბერძნულად მიწათმოქმედების ქვეყანას აღნიშნავდა, ქრისტიანულ ერაში, „წმინდა გიორგის“ „სულიერ სამფლობელოდაც“ აღიბეჭდა.

„ამოკალიფისისშიც“ კი, მესია, ღმერთი, ქრისტე გამოსახულია როგორც თეთრტაიქოსანი ზეციური მხედარი.

დიდი ივანე ჯავახიშვილი წმინდა გიორგის კულტს საქართველოში „უპრეცედენტო მოვლენად“ აღიქვამდა.

ზვიად გამსახურდია ლოგიკურად უკავშირებდა ქართული მწერლობის ძირითად ძეგლებს მიქაელურ ქრისტიანობას, წმინდა გიორგის კულტს:

„არ არსებობს ეროვნული ხასიათის გამომხატველი სხვა უფრო შესაფერისი სახე ქართველობისთვის“.

ზვიად გამსახურდია ქრისტიანული საქართველოს მისისის მეორე ასპექტს ღვთისმშობლის წილხვდომილობას უკავშირებს.

ქრისტემდე ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა-ქალღმერთი. ამიტომაც უწოდებს ზვიად გამსახურდია „მისტიურ წინასწარგანსაზღვრულობას“, რომ მოციქულების წილისყრის შემდეგ (ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგან), საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს – „წილად ხვდა იმის გამო, რომ ტრადიციულად ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო ღვთისმშობლის მისისასთან, რომელიც არს იგივე სულიწმინდის მისისა“.

ეს არის განწმენდის, ბოროტების, უნივერსალური გველის ანუ დრაკონის დათრგუნვის მისისა – კაცობრიობის ხსნის მისისა!

აი, ასეთი ჭეშმარიტებით, მორალით იღვწოდა, სანთელივით ინვოდა სულით და ხორციით ქართველი, მართლმადიდებელი ზვიად გამსახურდია!

აბა, რატომ დამარცხდაო?! – იკითხავს, აუცილებლად იკითხავს რომელიმე ჩვენი მოძმეთაგანი, რწმენაშერყეული და გზააბნეული;

განა შეიძლება ჭეშმარიტების დამარცხება?

ნოდარ მამაცაშვილი

„უბზო ქარაზანის“ გზა-საჰალზე

ნებისმიერი შემოქმედება მისი ავტორის სულიერი და ფიზიკური არსებობის მხატვრულად მატერიალიზებულ რეალობას წარმოადგენს. ეს ჭეშმარიტება კარგა ხანია ბანალობის ელფერს ატარებს. შემოქმედის მიერ განვლილი ცხოვრება, ანუ გამოცდილება, შთაბეჭდილება, ანალიზი მისი შემოქმედების უშუალო წყაროა, თუმცა მწერლის ბიოგრაფია, რიგ შემთხვევაში, პირდაპირაა ასახული, ზოგჯერ პარაბოლურად.

არსებობს აზრიც, რომ მწერლის ნაწარმოების ავტობიოგრაფიულობა უხამსობაა. ვერ გეტყვით, რას გულისხმობდა ანდრე მორუა ამ ფრაზაში, მაგრამ ერთი კია – მწერლის შემოქმედების გახსნა შეუძლებელია მისი ცხოვრების გათვალისწინებლად. ეს მოსაზრება კიდევ უფრო თვალნათელი ხდება პროზის მაგალითზე. პროზა, როგორც ნარატიული ფორმა მწერლობისა, მეტ საშუალებას იძლევა ამგვარი შედარებითი ანალიზისა. ავტორი ხშირად მიმართავს ისტორიული წარსულის მისტიკასა თუ სიმბოლიზებს, მაგრამ მისტიფიკაციის ამ ფარდის მიღმა შესაძლებელია ავტორის ცხოვრებისეული ეპიზოდის შთაგონების თუ განცდის ამოკითხვა.

წინამდებარე წერილის მოკრძალებული მიზანია გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსის ცხოვრების ერთი ფატალური ეპიზოდის განხილვა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხრობის ფაბულის ანალიზის ფონზე. მოთხრობის სიუჟეტის და ავტორის ბიოგრაფიის, როგორც ამ მოთხრობის საფუძველის, ურთიერთშეფარდებითი ანალიზის გზით.

აღბათ, ძალიან ცოტა მწერალი თუ ჰგავს საკუთარ გმირებს ისე, როგორც ლევან გოთუა. ცოტა მწერალს თუ ჰქონია ისეთი მძიმე, ტანჯული და ტრაგიკული ცხოვრება, როგორც ლევან გოთუას. მისი ცხოვრება, მოღვაწეობა ნიმუშია სამშობლოსათვის თავდადების, ზნეობრივი გაუტეხელობისა და რწმენის წინაშე უკომპრომიზობისა.

თუ ეს სიტყვები დღეს ვინმეს რამდენადმე პათეტიკურად შეიძლება მოეჩვენოს, თვალი გადაავლოს ლევან გოთუას ცხოვრების პერიპეტიებს და მათ სიმართლეში იოლად დარწმუნდება. ვერც „ბუტიკის“ ციხის ჯურღმულებმა, ვერც სოლოგვის კუნძულის ციმბირულმა სუსხმა და ვერც ვორკუტის ტუნდრის სისასტიკემ ვერ გატეხა მისი პატრიოტული შეუთვრობა. ორჯერ იყო ტუსაღთა აჯანყების მომწყობი კომიტეტის წევრი. იყო მისი გადაბირების, სუკ-ის სამსახურში ჩაყენების მცდელობებიც, მაგრამ ლევან გოთუა ყოველთვის თავისი პრინციპების ერთგული დარჩა.

საინტერესოა, რომ გადასახლების პირობებშიც კი, როცა უბრალო ქალაქის შენახვა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, იგი ახერხებდა თავისი საყვარელი საქმის – მწერლობის სამსახურს. საქართველოს ისტორია „ქართლის მკვლელის ძველი ამბავი“, როგორც პოეტი იტყოდა, იყო მისი შემოქმედების მთავარი თემა. ეს ერთგვარად ნოსტალგიასაც უკლავდა და შემოქმედების წვასაც უნებლად ამავე დროს. საინტერესოა ამგვარ პირობებში შექმნილი რომანის „გმირთა ვარამის“ სამშობლომდე ჩამოღწევის გზა. ხელნაწერთა საპატიმროდან გამოტანის ცდა თითქმის უაზრობა იყო, ის კი

არა, პატიმრებს შინ წერილის გაგზავნის უფლება წელიწადში მხოლოდ ორჯერ ეძლეოდათ.

ელექტროქვესადგურში მონტიორად მუშაობა გოთუასათვის „იდეალური“ პირობები იყო. პატიმრები ხელნაწერებს წინასწარ ამოფულრულ მორებში აწყობდნენ, შემდეგ ისევე ხურავდნენ და ნომრავდნენ. ამ მორებს ქალაქში თავისუფლად მცხოვრები ვინმე ვალიკო ჭუმბურიძე ყიდულობდა. იღებდა წიგნის ცალკეულ ნაწილებს, კინძავდა და ერთ გათავისუფლებულ პატიმარს ატანდა. ასე იქმნებოდა ისტორიული რომანი-ეპოპეა; ასე იწერებოდა უფრო დიდი წიგნი, რომელსაც ლევან გოთუას ცხოვრება ერქვა.

„ჩემი ნაწერები და ჩემი გმირები ყოველთვის ჩემზე ბედნიერები იყვნენ...“ – სწერდა გადასახლებიდან თავის ახლობლებს.

ოცდარწლიანი ოდისეის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ მწერალს თბილისში ცხოვრების უფლებას არ აძლევდნენ.

ლევან გოთუასათვის დამახასიათებელია ისტორიის ცოცხალი განცდა, გმირულ-ჰეროიკული ტიპაჟი, სტილიზებული ენის გამოყენება. ფიგურალურად თუ ვიტყვით, მისი წიგნებიდან ბერის სენაკებიდან მომდინარე ნივი უბერავს. ავტორი მკაცრი და სამართლიანია ისტორიის შუქ-ჩრდილების შეფასებისას. მისთვის წარსული მხოლოდ რომანტიკული ბურუსი როდია, არამედ სიმართლისათვის თვალის გასწორების ვაჟაკობაც.

ეს ტენდენცია აშკარად იკვეთება მოთხრობაში „უბზო ქარაზანი“.

ნაწარმოები დიდი მოურავის გიორგი სააკაძის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ეხება. საქართველოდან გაქცეული სააკაძე თავს ოსმალეთს აფარებს. აქ მას პატივით ლეზულობენ და ერთ-ერთი ვილაიეთის ბეგლარ-ბეგადაც ნიშნავენ. მალე მოუსვენარი მოურავი აქაც ახერხებს მტრების შექცნას. დიდ ვეზირი ხოსრო ფაშა სულთანს არწმუნებს სააკაძის ღალატში და მას თავის მცირერიცხოვან ამალასთან ერთად ჯერ აპატიმრებენ, მერე სიკვდილით სჯიან.

ავტორი მკაცრია თავისი გმირის მიმართ, რომლის პიროვნების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

„ხან წაღმა რომ ვიქნევი ამ ხმალს და ხან უკულმა, ან სიბრძნე არ მეყო, ან ზნეობა...“ – ათქმევენებს ავტორი ცხოვრების დასაღიერს თავის გმირს. „ჩემი გაჭედული ხატი არ ვინამე და სხვისა როგორ ვინამო...“ – დასძენს შემდეგ.

ამგვარია ისტორიული ფონი, რომელზედაც ვითარდება ერთი ტრაგიკული ამბავი, რაც ნაწარმოების ზნეობრივ პლანში ნაკითხვის საშუალებას იძლევა.

სამშობლოდან დევნილი დიდი მოურავის ამაღლაში ერთი ნოსტელი გლეხი გორგასალ ნასყიდაშვილიც ირიცხება თავის უმცროს ვაჟ ბეჟანთან ერთად. მოხდა ისე, რომ ნასყიდაშვილი ქართველთა ვერაგულად დატყვევების მომენტში მათთან არ იმყოფებოდა და ჰალაბის დილეგში ტყვეობას გადაურჩა, მაგრამ დილეგში აღმოჩნდა მისი ვაჟი.

დილეგის მცველისაგან, რომელიც საქართველოში ლაშქრობის დროს გორგასალ ნასყიდაშვილმა სიკვდილს გადაარჩინა, შეიტყობს, რომ გადანყვეტილია ორმოცდაათი ქართველისათვის თავის მოკვება და დედაქალაქში გადაგზავნა. გორგასალი გაურიგდება ისკანდერს (ასე ჰქვია დილეგის მცველს) და მცირე ყოყმანის შემდეგ დაითანხმებს მას, რომ ახალგაზრდა ვაჟის ნაცვლად მამამისის თავი ჩააბაროს თავის უფროსებს:

„– ეს როგორი ამბავია? სად გაგონილა? – ბუზღუნებს თავისთვის.

– შენთვის განა სულ ერთი არ არის? თავი თავია! მით უფრო მამა-შვილის. სხვას ხომ არ გთხოვ?”

ზნეობრივი მსხვერპლშენიერვა შედეგება, მამის (რომელსაც ავტორი „სხვისი სიკვდილის ქურდს“ უწოდებს) თავის სანაცვლოდ შვილის სიცოცხლეს იღებს საჩუქრად. ასეთია ამ მოთხრობის ფაბულა.

ეს ფაბულა ლევან გოთუას ცხოვრების ერთი ეპიზოდის რემინისცენციაა.

1924 წელს, აგვისტოში ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. აჯანყება გასცეს. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა, რომელიც ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდა, გამოსვლების გადადება გადაწყვიტა, მაგრამ ინფორმაცია დროულად ვერ მივიდა რაიონებში და აჯანყება სრულიად არაორგანიზებულად დაიწყო. სუკმა ხელი არ შეუშალა გამოსვლების დაწყებას, რათა მისი მონაწილენი ბოლომდე გამოჟღავნებულიყვნენ. აჯანყება ჩაახშეს. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. ლევანი ამ დროს აბასთუმანში იმყოფებოდა. მას აპატიმრებენ და სამეულის გადაწყვეტილებით დახვრეტას უსჯიან, მაგრამ ახალციხის მაზრის მილიციის უფროსის – ვინმე ღვამიჩავას ჩარევით თბილისში აგზავნიან. მალე იგი მეტეხის ციხეში გადაჰყავთ. ამ დროს აპატიმრებენ მამამისსაც – პართენ გოთუას, რომელსაც თავის დროზე იოსებ იმედაშვილმა „სამშობლოს ფიზიკური და ერთგული გუშავი უწოდა“. ისიც მეტეხის ციხეში ხვდება.

პართენ გოთუას ორჯერ გაიყვანენ დასახვრეტად შვილის მაგიერ – ბედის შემთხვევისა თუ პართენის მიერ ჯალათების შეცდომაში შეყვანის გამო. გაივლის დრო და დახვრეტას გადარჩენილი მამა ასე გაიხსენებს ამ ეპიზოდს: „ჯალათები საშინლად ჯავრობდნენ, რომ მე შევხვდი. ჩვენ ახალგაზრდა ლე-



ლევან გოთუა

ვან გოთუა გვინდა და არა მოხუციო. იმას აქვს დახვრეტა მისჯილიო... როცა მეორედ იგივე განმეორდა და გამომიძახეს, მაშინ ხმა ავიმალე. ჩეკისტებს ვემუდარებოდი, დახვრეტა ხომ თვლით გაქვთ განსაზღვრული, თქვენთვის სულ ერთი არ არის, მე დამხვრეტო თუ ჩემს შვილს?”

საბედნიეროდ მამაც და შვილიც ორივე გადარჩა, თუმცა მამას ამის შემდეგ დიდხანს აღარ უტოცხლია. საინტერესოა, რომ ლევანი ამ დროს ცხრაშვილი ნლისა იყო. ცხრაშვილი ნლისა მოთხრობის გმირი ბეჟანია. მათი სახელების მარცვალთა რაოდენობაც და ხმოვანთა თანმიმდევრობაც ერთხვევა (ლევანი – ბეჟანია). ერთხვევა საპატიმროების სახელწოდებათა ასოთა რაოდენობა (ჰალაბი – მეტეხი). გასაგებია, რომ ამგვარი დეტალები ლიტერატურაში არსებით საკითხად არ ითვლება, მაგრამ

ნიუანსური მნიშვნელობა ნამდვილად აქვთ და უფრო ამყარებენ ვარაუდს მოთხრობის ფაბულასა და ცხოვრებისეულ ეპიზოდს შორის ასოციაციურ კავშირს.

ასე იქცა რეალური ამბავი ლიტერატურულ ფაქტად, კონკრეტული ემოციური მუხტი ესთეტიკურ ფენომენად, ერთი ადამიანის ტრაგედია მრავალ ადამიანთა კათარზისის ფაქტად. დღეს, როცა ახალმა მსოფლიო წესრიგმა კოსმოპოლიტიზმის საშუალებით ტენდენცია დაამკვიდრა, როცა ეროვნული განცდა, დრომოჭმულ თუ არა, კარგ ტონადაც არ ითვლება, როცა საკუთარი ისტორიისადმი ემოციური დამოკიდებულება, მავანთა აზრით, გადახედვას საჭიროებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენ უახლოეს წინაპართა გმირული ცხოვრების გახსენება. მათი დამოკიდებულება ისტორიისადმი, წარსულის განცდა, როგორც თვითგადარჩენისა და თვითიდენტიფიკაციის საშუალება ბრძოლაში გლობალიზაციის ნამლეკავ პროცესში.

მიგნება, რაზეც არის აგებული ნოდარ მამაცაშვილის ეს მცირე სტატია, სიახლე არ გახლავთ ქართული მწერლობისათვის. „უგზო ქარავანში“ ლევან გოთუამ ქართლის ცხოვრების ისტორიულ ამბავს თავისი ბიოგრაფიული ეპიზოდიც რომ შეურია, საკუთარ თავზე განცდილ-გადატანილი მიუსადადა გიორგი სააკაძის მხლებელთა ტრაგედიას, ოთარ ჩხეიძემ დამაჯერებლად დამატკიცა ჯერ კიდევ 1990 წელს: იხილეთ გაზეთ „მამულის“ მე-5 ნომერი.

სტატია იმ სურათის გახსენებით იწყება, „უგზო ქარავანის“ გამოქვეყნებისას თუ როგორ მოუწონა ეს მოთხრობა ლევან გოთუას და ესეც დასძინა: ამაზე მეც მინდოდა დამეწერა, მაგრამ შენი მოთხრობა ისე მომეწონა, მე ველარ დავწერ, თუმცა ეს თემა მახლობელია ჩემთვისაო.

ჩემთვის მახლობელიაო, – იმას მიუგია. იმ წუთას მეტი აღარაფერი უთქვამთ და აღარც შემდეგ მიბრუნებია.

სტატიის ავტორისათვის მახლობელი რომ გახლდათ ის ამბავი, იმ უბრალო მიზეზით, რომ ჩხეიძეს შეემთხვა – გორგასალ ჩხეიძეს და მისგან გადარჩა ჩხეიძეების ქართლის შტო, თუ არა მისი თავგანწირვა – შვილის მაგივრად თვითონ დაედო თავი ჰალაბის ციხეში – ეს შტო ვერ გადარ-

რედაქციის მიხანარი:

ჩებოდა, რადგანაც ეს ერთი ვაჟი ჰყავდა – ბეჟანია – და მის დაღუპვასთან ერთად ეს შტოც შეწყვეტდა არსებობას.

და თუ ლევან გოთუასათვის რატომ ყოფილა მახლობელი, იმყამად „მნათობის“ ფურცლებიდან გახდებოდა ცხადი – გაგრძელებებით გამოქვეყნდებოდა თამარ და ალექსანდრე გოთუების ბიოგრაფიული რომანი „თავგადასავალი ლევან გოთუასი“ და ჟურნალის 1990 წლის 1-ვე ნომერში აღინერებოდა 1924 წლის ავბედითი დღეებიც და ის ეპიზოდიც, დასახვრეტად შეცდომით ლევან გოთუას მამა რომ გაუყვანიათ შვილის ნაცვლად, და როდესაც შეცდომა გარკვეულა, როგორ ჩავარდნია ფეხებში პართენ გოთუა ჯალათებს, ბარემ აქა ვარ და მე მომკალით, ჩემს შვილს ჩამოეხსენით, რიცხვი ხომ მაინც სწორი გამოვივათო.

„რაც უნდა იყოს, გადარჩენენ მამინ ორივენი, შემზარაობა მაინც შემზარაობად დარჩა და საშუალება მიეცა თუ არა ლევანსა, გამოჰხატა სულისკვეთება მამისა, შვილის განწირულობა რომ შეუტყვია. აი ესაა „უგზო ქარავანის“ მოტივი. მამაა გმირი მოთხრობისა, მამა – გორგასალი. სახელი შეუნარჩუნებია ძველი ამბავისა. შვილი ბეჟანია – ეს სახელიც შეუნარჩუნებია. ეს ბეჟანია 19 წლისაა. ლევანი გახლდათ 24-ში 19 წლისა, ხოლო ის ბეჟანია თუ რამდენი წლისა იყო, არ აღუნიშნავს მატთანესა. ეს არც აფიქრებდა ლევანსა: ლევანი

დაუძინყარი სახელეპი

გახლდათ 19 წლისა დახვერეა რო მიუსაჯეს პირველადა და შემთხვევით რო გადარჩა...“

კრიტიკოსსა და დრამატურგს ნოდარ მამაცაშვილს თავისით მიუგნია ამ ისტორიული პარალელისათვის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ლიტერატურისმცოდნეობისათვის, მიგნება წრფელია თუ საიდანმე გადმონერილი. საზოგადოებრივი მორალისათვის აქვს მნიშვნელობა, ცხადია, მაგრამ მკაცრია ლიტერატურის ისტორია და პირველმთქმელს მიუჩენს სათანადო ადგილს, მის შემდგომ მიგნებას კი აღმოჩენად აღარ ჩათვლის.

მაშ რა აზრი აქვს ამ სტატიის გამოქვეყნებას, როდესაც შევეძლო ავტორისათვის მიგვეთითებინა ოთარ ჩხეიძის წერილის პუბლიკაცია და მისი მიგნება უკანვე დაგვებრუნებინა?

ჩვენთვის ეს სტატია საბაბი უფროა ლევან გოთუას სახელის კიდევ ერთხელ გახშიანებისათვის, იმ დიდებული მწერლის მოსახსენიებლად, რომელიც ვერ არის ისერიგად დაფასებული, რასაც იმსახურებს მისი „გმირთა ვარამი“ თუ ნოველები.

უკეთესს ბევრს ვერ წაიკითხავს ჩვენი მკითხველი XX საუკუნის მხატვრული მიღწევებიდან, ვიდრე ლევან გოთუას შემოქმედებაა, ასე აუცილებელი ჩვენი სულიერების გადარჩენად, მისი ცხოვრება კი, 22-წლიანი კატორღითაც დაღდასმული, ზნეობრივი გმირის ბიოგრაფიაა – სანიშნო და გასათვალისწინებელი ყველასათვის, ვისთვისაც სკეპსისი ფარავს სხვა ყოველივეს და ეგუება ფარ-ხმლის დაყრას ყოველგვარი ძალმომრეობის წინაშე.

პარადოქსები

ლუკა ავალიშვილი

როგორც პაოლო კოელიო იტყვის...

როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ქვეყნებს ტიპოლოგიურად, მართლაც, ერთნაირი პრობლემები აწუხებთ. ყოველ შემთხვევაში, წინა პარასკევს ეგვიპტის წამყვან ლიტერატურულ გაზეთში „მწერლობის სიახლენი“ („ახზარ აღ-ადაბ“) გამოქვეყნებული ერთი მცირე შენიშვნის ავტორი, მეგონა, საქართველოში გავრცელებულ ტენდენციასე საუბრობდა. არადა, ავტორი კაიროში მცხოვრები არც თუ ისე ცნობილი მწერალი იბრაჰიმ მითვალის შეიძლება არც კი იცნობს ჩვენს ქვეყანას. უბრალოდ, ლიტერატურულ მოდასთან ეგვიპტის საზოგადოების მიმართებაში, რის შესახებაც იგი თავის პატარა წერილში საუბრობს, ქართული სინამდვილე მომაგონა და გადავწყვიტე, ეს წერილი „ჩვენი მწერლობის“ მკითხველისთვისაც მეთარგმნა. ხოლო თუ ვინმემ – დეტალებში ჩამალული ეშმაკივით – ტექსტში საკუთარი თავი ამოიცნო, თავაზიანად ვთხოვ, მე ნუ გამიბრაზდება. წერილის ავტორი არაბია და არაბული საზოგადოების პრობლემებზე გვიამბობს.

„მიშელ ფუკო – ნივნების წლებადელი პაზრობის გმირი:

ზოგი ინტელექტუალი მოდასაა აყოლილი, ინტელექტუალები დროის ამა თუ იმ მონაკვეთში რომელიმე კონკრეტულ წიგნზე საუბრობენ. მაგალითად, ერთხანს ვინც კი შემხვდებოდა, მკითხავდა „და ვინჩის კოდი“ თუ მქონდა ნაკითხული, ბევრი მათგანი წიგნის სათაურს უხეირო ინგლისურითაც კი გამოთქვამდა, „Da Vinci Coda“-ო ამბობდა და წიგნსა და მის თავისებურებებზე გაუთავებელ ბაასს გააბამდა.

წიგნის ბაზრობის რალაც მონაკვეთში მთავარი გმირი სპინოზა, კერძოდ კი, ამ უკანასკნელის შესახებ ფუფად ზაქარიას ნაშრომი შეიქნა. აი, ნელს კი ჩვენს ინტელექტუალთა შორის

ყველაზე მეტი თავყვანისმცემელი მიშელ ფუკოს ჰყავდა. ალბათ მიხვდით, რომ აქ მის წიგნს „სიგიჟის ისტორიას“ ვგულისხმობ.

არ უარვყოფ, რომ მავანმა მართლაც იცის, რისი ყიდვა სწავდა. მაგრამ უეჭველია, უმრავლესობა მოდასა და ფეხის ხმას ასდევს. ასეთი რამ უფრო ახლოა მოსმენის კულტურასთან, რაც ინტელექტუალურ საზოგადოებას ახასიათებს. ბევრი დაგლაპარაკება მოთხრობებზე, ლექსებსა თუ რომანებზე, რომლებიც არც კი ნაუკითხავს. მათ შესახებ თავიანთ სიტყვებს კი სხვებს დასესხებიან. მერე შენც საკმარისია, ქალაქის ცენტრში ერთი კვირა მაინც იტრიალო, რომ ნელ-ნელა დაიწყებ აღფრთოვანების გამოხატვას, ვთქვათ, სარამაგოთი კულტურის ერთ-ერთი გადამტანის წინაშე, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგება სარამაგოზე ბაასს სხვებთან, ის სხვები კი სხვებთან ილაპარაკებენ და ასე გექცევა აუცილებლობად, რომ ლიტერატურულ საღამოებზე, სადაც საუბარი სარამაგოს შეეხება, „საღამო მშვიდობისას“ ნაცვლად იძახო – „სარამაგო, სარამაგო, სარამაგო...“

ვფიქრობ, ამ წერილის სარკაზმი არამხოლოდ ეგვიპტურ საზოგადოებას გულისხმობს. სარამაგო ჩვენშიც ძალზე პოპულარულია, „დავინჩის კოდიც“ და მიშელ ფუკოც. მათი სიტყვების მოხმობა ჩვენს ინტელექტუალებსაც ემარჯვებათ და ხშირად საქმე კურიოზამდეც კი დადის, იმ მხრივ, რომ ძალზე ბანალურ აზრებს ამ სახელგავარდნილ მწერალთა ფრაზებით გვანვდიან. ვთქვათ, ამგვარად: „როგორც პაოლო კოელიო იტყვის, დღემი სამჯერ კვება მეტად სასარგებლო და აუცილებელი რამაა...“ სხვთა შორის აღმოსავლური მისტიკური ტრადიციების ამ ზედაპირული ინტერპოლაციებით სნობურმა აღტყინებამ ჩვენში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ თბილისში შუაგულ ვაკეში მისი სახელობის ბარი თუ ლამის კლუბიც გახსნეს. ვერაფერს იტყვი, იცინა ჩვენში მწერლის დაფასება, მერე რა, რომ არაერთი ქართველი მწერალი შიმშილით ლამის სიკვდილის პირასაა. სამაგიეროდ, ინტელექტუალური მოდასა და ზომონდის თავკაცებს მიუწვდებათ ხელი ყველა სიკეთეზე, მათ შორის ინტერნეტზე, რომელმაც საქმე მნიშვნელოვნად გაუიოლათ. მისი მეოხებით ახლა წიგნის გადაფურცვლაც კი აღარაა საჭირო. საკმარისია, პატარა ინფორმაცია ამოიკითხო, იქვე მოთავსებულ პოპულარული მწერლის ფოტოს ყურადღებით დააკვირდე და ინტელექტუალის იმიჯიც ზედა გაქვს. შეგიძლია დაუსრულებლად იბაასო რომელიც გინდა იმ მწერლის სიღრმეებზე...

სწორედ ამაზე იტყოდა მიშელ ფუკო – „პაოლო კოელიო“...

ოჰ, უკაცრავად: როგორც კოელიო იტყოდა. „კარგად ბრძანდებოდეთ!“

მესამე ლექსი კარგი არს

*

უცხოური ეპიგრამის
სალამო

**ხელმძღვანელობდა ხენასა და თესვას,
მეთაურობდა მერმე ღვინის ტრესტს.
და ვერ ივარგა რაკილა ვერსად,
ბოლოს ადგნენ და... გაამინისტრეს.**

ლევან ბრეგაძე სახელდახელოდ გადაშლის უცხოური ეპიგრამების კრებულს, მის მიერ შესანიშნავად გარდათქმულს ქართულად, საერთო სახელწოდებად ასე რომ მოხდენია რუსთველური განსაზღვრება „სააშუკოდ, საღალბოდ“, და მაინცდამაინც ეს ნიმუში ამოჰყვება.

– ვოლფგანგ ფუნკეა, გერმანელი პოეტი, – ავტორსაც ასახელებს.

– როგორ, იქაც? – გაკვირვებისაგან თავს ვერ იკავებს ერთი მსმენელთაგანი.

ცხადია, იქაც, აბა, მხოლოდ ზიზზაბევსა თუ ჩრდილო კო-რეაში ხომ არ ხდება ამისთანა ამბები.

**უნმანურ ლექსის ოსტატია (ანუ მაგისტრი),
აილო ხელი რა ხანია მან ზრდილობაზე.
თურმე შეცდომით უკოცნია მუზას მაგისტვის
სულ სხვა ლოყაზე... ჰმ... ასე ვთქვათ, ანტილოყაზე.**

– ეს ოტო ერნსტია, ისიც გერმანელი.

– როგორ, იქაც? – ახლა სხვა გაიოცებს.

ცხადია, იქაც, ჩვენ გულუბრყვილოდ რომ გვეგონა, მხოლოდ სომალის გაუჩნდა ასეთ პოეტთა კოჰორტაო.

**წუხელ დისპუტზე ღამე თეთრად რომ გავათენე,
თავს გავუწყერი: დრო დაკარგე, ბრიყვო, რამდენი!
არ გირჩევნია, სახლში იჯდე და შენთვის დუმდე
იმაზე, რაზეც იქაც დუმდნენ მოკაპათენი!**

– ესეც მარკო განჩივი, ბულგარელი ეპიგრამისტი.

– როგორ, იქაც?

ლევანს გაბეზრება სულ არ ეტყობა და მოთმინებით განუმარტავს ცნობისმოყვარეს, რომ მხოლოდ გვატემალა წუეგონება ასეთი გარემოს მშობელი, და რომ თვით ვეროპის აღმოსავლეთშიც შეიძლება თავს შეუწყერეს ადამიანი: დრო დაკარგე, ბრიყვო, რამდენიო.

ლიტერატურული თავყრილობა უცხოური ეპიგრამის მცირე ანთოლოგიის განხილვაცაა და ამ ჟანრის თავისებური ზეიმიც – მთარგმნელობითი ხელოვნებით გასხივოსნებული.

ზეიმს გამორჩეულ ზნეობრივ ღირებულებას ანიჭებს ის, რომ მთარგმნელი პირველობას კი არ იჩემებს, არამედ საგანგებოდ იხსენიებს ამ ანთოლოგიის წინამორბედს – შოთა ქავთარაძის მიერ ჩინებულად ამეტიყველებულ ესპანური ეპიგ-

რამების კრებულს, საიდანაც საღამოს მანძილზე არაერთ პოეტურ მარგალიტს დაიმონმებს ზეპირად – კრებული ისე, ყოველი შემთხვევისათვის უჭირავს ხელში.

როსტომ ჩხეიძე:

„უცხოური ეპიგრამის ეს მცირე ანთოლოგია საკმაოდ ორიგინალური წიგნია ჩვენს სინამდვილეში, რომელიც თარგმნა ლევან ბრეგაძემ, და ბოლო წლების ერთი საუკეთესო გამოცემა. კარლო ფაჩულიასა და გივი ალხაზიშვილს – მხატვარსაც და გამომცემელსაც – თავთავისი წვლილი მიუძღვით, რომ წიგნი ლამაზია და სასაჩუქროდ განკუთვნილი.“

რა არის მაინც ეს ეპიგრამა და რატომ არის დიდი ნაკლი ყველა ქვეყნის ლიტერატურისათვის, თუ ეპიგრამული ჟანრი არ არის იქ განვითარებული?!

ეს ის ჟანრია, რომელსაც რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში უწოდებს მესამე ლექსს. ბ-ნი ლევან თავის წინასიტყვაობაში ამაზე საუბრობს.

თუმცა რუსთაველი მესამე ადგილზე აყენებს ამ ჟანრს – ეპიგრამას, ეპოსისა და ლირიკის შემდგომ, მაგრამ იმასაც ხომ საგანგებოდ ამბობს:

„ჩვენ მათიცა გვეამბებს, რაცა ოდენ თქვან ნათელად“, – და უეპიგრამოდ ვერ წარმოუდგენია ლიტერატურული ცხოვრება.

მარციალისი – რომელი პოეტი, დგას სათავეში ამ ჟანრისა. მისი ეპიგრამები ტრიალებს საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ნაწარმოებებში, თანაც ხშირად მის თარგმანს ასაღებენ როგორც ორიგინალურს.

იუმორის, სატირის, სარკაზმის, მახვილგონიერების ფიქრერკია ნიშანდობლივი ამ ჟანრისათვის და რაც უფრო სადაა, რაც უფრო ადვილად აღსაქმელი, მისანვლოში – მით უფრო ძნელია და რთული მისი თარგმნა. ვინც ამ წიგნს ნახავს – ბ-ნი ლევანის მიერ თარგმნილს, იტყვის, რა იოლი ყოფილა, ამის თარგმნას მეც ხომ მოვახერხებდიო, მაგრამ ეს მოჩვენებითი სიოლეა. და მის უკან დგას დიდი გარჯა სრულყოფილების მისაღწევად.

ეს წიგნი ერთგვარი ჭაშნიკია და უამრავ ავტორს, უდიდეს სახელებს აერთიანებს. გოეთე, ჰაინე, ლესინგი და კიდევ ბევრი სხვაც მოვალედ თვლიდნენ თავს შეექმნათ ეპიგრამა.

ეს წიგნი აღვივებს ინტერესს ამ ჟანრისადმი და გვიბიძგებს, რომ მომავალში ქართული ეპიგრამის ანთოლოგიაც შეიქმნას.

მრავალმხრივ საინტერესო სურათი იხატება ერთი თვალის გადავლებითაც.

სამწუხაროდ, ის ნიმუშები, რუსთაველს რომ მოსწონდა და ეამებოდა, აღარ მოგვეპოვება.

ჩვენი ეპიგრამის ისტორია იწყება ბესიკ გაბაშვილით, ილია ჭავჭავაძის „გამოცანები“ სხვა არაფერია, თუ არა კლასიკური ეპიგრამა, აკაკი წერეთელსაც უამრავი ნიმუში აქვს. რაც მთავარია, დიდი ისტორია აქვს ჩვენს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც – კაფია სწორედ ეპიგრამის ჟანრს განეკუთვნება.

თუ ვინმე მოჰკიდებდა ხელს ამ ჟანრს და ასე მაღალმხატვრულად აამეტიყველებდა, სწორედ ლევან ბრეგაძე უნდა ყოფილიყო, მაძიებელი ბუნების ადამიანი, მართლაც კოლორიტული პიროვნება ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაშიც და მწერლობაში.

სიტყვა კოლორიტული მინდა სწორად გაიგოთ და არა ისე, როგორც ბოლო დროს დამკვიდრდა... ძალიან დააკნინეს მისი შინაარსი. „კოლორიტიაო“, როცა მოწონებითა თუ აღტაცებით იტყვიან, უნდა იცოდე, სინამდვილეში იგულისხმება ხელმოცარული კაცი, ვისაც დაღვევის მეტი არა-

ფერი უკეთებია ცხოვრებაში. ჩემთვის ეს სიტყვა ღირსეულობასა და გამორჩეულობას უთანაბრდება და ლევან ბრეგაძე საუკეთესო კრიტიკოსი, მკვლევარი და ლიტერატორია, ესთეტი, არაჩვეულებრივად დახვეწილი გემოვნების მქონე.

ეს ამ პატარა წიგნშიც ჩანს. აქ წარმოდგენილი ნიმუშები წლების მანძილზე გროვდებოდა, იხვენებოდა, იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზეც.

ჩვენს ლიტერატურულ თავყრილობებზეც კითხულობდა ლევანი ცალკეულ ნიმუშებს. ასე იყო თბილისში, ქუთაისში, ბორჯომში. ხოლო ერთი ლიტერატურული შეკრება მთლიანად მიეძღვნა ეპიგრამას და იმ საღამომ გვიბიძგა, რომ ერთად შეკრულიყო ეს ორიგინალური მასალა და მართლაც შესანიშნავი წიგნი გამოვიდა“.

ლევან ბრეგაძე:

„მარკუს ვალერიუს მარციალისის ლექსი იყო პირველი, რომელიც მე ვთარგმნე ჩემს ცხოვრებაში. „პლაგიატორი-დეკლამატორი“ ჰქვია.

მე მაგ ლექსში, ფიდენტინუს, ჩემი ლექსი შევიცანი, მაგრამ ისე ცუდად ამბობ, ამავე დროს შენიც არი.

ეს ფიდენტინუსი იყო მისი თანამედროვე და მარციალისისა გააუკვდავა ერთი რიგითი პლაგიატორი.

მანაც ვთვლიდი, რომ ლექსის თარგმანი ჩემი მთავარი საქმე არ იყო, და სხვა ლექსების თარგმნას, დამუშავებას დიდხანს ვუნდებოდი.

სხვა პოეტების თარგმნაც ვცაადე. ლესინგი იყო შემდეგი, ვისაც მივადექი, იმიტომ, რომ ლესინგი არაჩვეულებრივი ეპიგრამების ავტორია.

ლესინგი ჩვენთვის ძირითადად „ლაოკონის“ ავტორია, შესანიშნავი ესთეტიკოსი, მისი ლექსები, დრამები, რითაც ქუხდა, დღეს აღარავის აინტერესებს... მას აქვს უდახვეწილესი ფორმის იგავები და ეპიგრამები.

ერთი სიტყვით, ამ ჟანრის ფუძემდებელი არის მარციალისი. ამ რომაელმა პოეტმა, რომის მოქალაქემ, პირველ საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვის, დაწერა ეს ეპიგრამები და სხვა, არანაირ ჟანრში მას არ შეუქმნია არაფერი.

ყველა მისი წიგნი, შვიდი თუ რვა, არის ეპიგრამები.

მანამდეც არავის დაუწერია.

მანამდე ეპიგრამა საფლავზე წარწერას ერქვა.

აქედან მიიღო მერე ამ ჟანრმა დასაბამი.

ამ წარწერების პაროდირება ხდებოდა. ე.წ. ეპიტაფიები იუმორისტული და სატირული გახდა სწორედ მარციალისის ხელში.

და როდესაც მარციალისი ვკითხულობთ, მთელ მაშინდელ რომს ვხედავთ, ასე ვთქვათ, ფასადიდან კი არა, პომპეზურს კი არა, არამედ დაფარულს, მიჩქმალულს, ე.წ. „ჩორნი ხოდებიდან“.

ჩვენ ყოველდღიურობას არ ვაფასებთ და ხშირად არ ხდებია მისი ფიქსირება. უფრო გრანდიოზულს და ფასადურს ალბეჭდავენ.

ამიტომაც არის მარციალისი ძვირფასი ავტორი, წყარო არის პირდაპირ მაშინდელი ცხოვრების, ყოველდღიურობის დეტალების დასანახავად.

ლატინურ ენაზე წერდა, ურითმოდ. რითმიანი პოეზია არც არსებობდა.

აღორძინების ხანაში ხელახლა აღმოაჩინეს და ახალი დროის პოეტებმა დაიწყეს თარგმნა საკუთარი სახელით. ამიტომაც ახალი დროის პოეტთა შემოქმედება სავსეა მარციალისიდან წამოღებული ამ საგანძურით. შუა საუკუნეებში უკვე რითმადუნენ და აღორძინების ხანაში ეპიგრამა მყარად დაუკავშირდა რითმს.

თუნდაც ლესინგს უამრავი აქვს ნასესხები მარციალისისაგან.

შოთა ქავთარაძის მიერ არაჩვეულებრივად თარგმნილ ესპანურ კლასიკურ ეპიგრამაში არაერთ ავტორს

ნახავთ, რომელთაც მარციალისისგან უსარგებლიათ.

სამი ეპიგრამა მაქვს გოეთესი შეტანილი. ვისაც შეხება ჰქონია გოეთეს შემოქმედებასთან, დამეთანხმება, რომ მისი შემოქმედება გაჟღერებულია დიალექტიკით, ისევე როგორც სახარება, როგორც ნიცშეს შემოქმედება, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ („რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია...“) – ასეთი ხედვა საკმაოდ იშვიათია ადამიანებში.

გერმანულ ეპიგრამას ამ წიგნში მოსდევს რუსული და ბულგარული ნიმუშები და არის კიდევ ასეთი განყოფილება – სხვადასხვა დროის და ქვეყნის ანონიმი ავტორები.

ერთხელ გიორგი ლობჯანიძე და მე ვკამათობდით. მე ვამბობდი, რომ ზოგჯერ თარგმანი უკეთესი გამოდის, ვიდრე დედანია. ეგ შეუძლებელიაო – არ მეთანხმებოდა გიორგი. ამის საიდუმლო ისაა, რომ ყოველ ენას აქვს ფარული შესაძლებლობანი და მთარგმნელი ზოგჯერ უკეთ ახერხებს იმის თქმას, ვიდრე ამბობს ავტორი ორიგინალში. მე მაქვს ამის რამდენიმე ნიმუში. ხშირად თარგმანს შორდება ორიგინალი და უკვე არც ავტორისაა და ვეღარც ჩემსას ვარქმევ:

აი, თუნდაც ერთი მათგანი, რუსულად ასე უღერს ჰქვია „Уж“, დანერილია 1796 წელს და ცუდ პოეტებს ეძღვნება:

„Уж сочиняете и вы?“
„Увы!“

ქართულად, მე მგონი, უკეთესი ექო გამოვიდა:

– ჰუმკინმა მუზა თავისი შენ ხომ არ გადმოგაბარა?
– აბა, რა!

თარგმანში ხანდახან იდეა უკეთ შეიძლება განხორციელდეს, ვიდრე ეს ორიგინალშია.“

გივი ალხაზიშვილი ჩვეული სიღრმით საუბრობს ეპიგრამის ჟანრის ისტორიასა და თავისებურებებზეც, ავსებს



ლევან ბრეგაძის მიერ წარმოსახულსა და მეტად კოლორიტულ სურათს და საგანგებოდ აღნიშნავს მთარგმნელის იმ რანგის ოსტატობას, რამაც ეს პატარა კრებული ქართული პოეზიის – და არამარტო მთარგმნელობითი ხელოვნების – განუყოფელ ნაწილად აქცია. გამოთქვამს იმედს, რომ „სააშუკოდ, სალალბოდ“ გავლენას მოახდენს სალიტერატურო პროცესზეც და საზოგადოებრივ ცხოვრებაზეც. დამონები-თაც ხშირად დაიმონებენ, პერიფრაზისა და ალუზიისთვისაც ხშირად მიმართავენ, რადგანაც ეს სატირა, სარკაზმი, ირონია, იუმორი მწერალსაც შეეშველება, პუბლიცისტსაც და მკითხველსაც – გულის მოსაოხებლად, სულის მოსაბრუნებლად, ნაცრისფერი ყოფის გასახალისებლად.

სხვათა შორის, გახმაურებული ქაჯციას ციკლის ერთ-ერთ ნიმუშში თვითონ გივი აღხაზიშვილმა უკვე მაშინვე მიმართა გოტჰოლდ ფერაიმ ლესინგის ეპიგრამის პერიფრაზს და სქოლიოში საგანგებოდაც მიუთითა, ლევან ბრეგაძის თარგმანს ვიყენებო.

გერმანელი პოეტისა და დრამატურგის ეპიგრამა მევახშეს ეძღვნებოდა, ჩვენი პოეტიც „ერთ ცნობილ მევახშეს“ იგულისხმებდა თავის სატირულ ლექსში და ლირიკულ გამოთამაშებას ამ სტირიქონებით დააბოლოვებდა:

სიკვდილშიც ხეირს ნახავ, ისაკა, მტვრად რომ იქცევი არაფრისაგან.

ლევან ბრეგაძე:

„მიმართვის ფორმით ეს სტირიქონები უფრო ეფექტურიც კი გამოვიდა, ვიდრე ლესინგთანაა, ვისი ეპიგრამაც – „ამა ლოდის ქვეშ იხრწნება ახლა ძველი მევახშე, ჩვენი ისაკა, ვინც სიკვდილშიაც ხეირი ნახა, რადგან მტვრად იქცა არაფრისაგან“ – მართლაც მარჯვედაა გამოყენებული“.

დავით მჭედლური:

„მეჩვენება, რომ ლიტერატურული ჟანრის, ეპიგრამის ჟანრის აღორძინება ხდება.“

ბ-ნმა ლევანმა ახსენა აქ შოთა ქავთარაძის მიერ თარგმნილი ესპანური ეპიგრამები. წერილიც მიუძღვნა მას.

ხალხურში არის უამრავი ასეთი ნიმუში. ერთხანს ფუნაგორიაც დაარქვეს და მთელი ციკლებია შექმნილი ქართული ეპიგრამებისა. თვითონ გივის აქვს უამრავი ეპიგრამა. სხვებსაც მიუძღვებათ, ასე რომ, შეიძლება ქართული ეპიგრამის კრებულის გამოცემაც.

წარმატებით გაკეთებული საქმე ყოველთვის უბიძგებს დარგს განვითარებისაკენ. ასეა სპორტში და ასეა ლიტერატურაშიც. შესანიშნავი ლიტერატურული ფაქტია ლევანის მიერ თარგმნილი ეპიგრამები. მე ვიტყვოდი, დიდი ოსტატობით ამეტყველებული.

ასევეა, ვთქვათ, აკაკი წერეთლის მიერ გადმოქართულებული კრილოვის იგავ-არაკები...

რალაცნაირად ქართული ხასიათის გამოხატულებაა ეპიგრამა. იმიტომაც არის უამრავი ნიმუში ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში. კაფია, იგივე სკაბრუზული ლექსები, იგივე ის ფუნაგორიები, რომლებიც სხვადასხვა ავტორების მიერ იქმნებოდა და ახლაც იქმნება, არ არის ასე ადვილად გასამეტებელი დასაკარგად.

იმედი მაქვს, ლევანის მიერ შედგენილი ეს წიგნი უთუოდ უბიძგებს ეპიგრამის ჟანრის განვითარებას“.

როსტომ ჩხეიძე:

„კრილოვი ახსენეს და მისი იგავეები პირდაპირი თარგმანია ლაფონტენისა. კრილოვმა თარგმნა და დაარქვა თავისი სახელი.“

აკაკი წერეთელმა როცა თარგმნა კრილოვი, დაარქვა არა თავისი, არამედ კრილოვის სახელი.

აი, ეს „უმნიშვნელო“ განსხვავებაა მათ შორის.

შოთა ქავთარაძეც ვახსენოთ კიდევ ერთხელ და მისი შესანიშნავი თარგმანი ესპანური ეპიგრამისა. ერთი მათგანი უნდა წაგიკითხოთ. განსაკუთრებით მიყვარს, ხუან პაბლო ფორნერის სტირიქონებია:

ღარიბ-ღატაკი ვიყავი როცა, არ მაკლდა ხალხის კეთილი ლოცვა, ვიარებოდი ტიტველ-მიშველი, ხალხი მლოცავდა: „ღმერთო, უშველე!“ და ღმერთმაც თითქოს ისმინა ლოცვა, ძალა მომცა და ქონება მომცა. მაგრამ რად გინდა, იგივე ხალხმა შურისგან ლამის შემჭამოს ახლა.

სხვათა შორის, ერთ-ერთი ოსტატი კაფიებისა და ეპიგრამებისა და ამ წიგნის დამფასებელი ჩვენს შეკრებაზეც იმყოფება და სწორედ ტრისტან მახაურის მოსმენა იქნება საგულისხმო“.

ტრისტან მახაური:

„ბ-ნმა დავით მჭედლურმა ბრძანა დღეს ჩვენს თვალწინ ხდება აღორძინება ერთი ლიტერატურული ჟანრისა, კერძოდ ეპიგრამის ჟანრისაო, და მეც უნდა ვთქვა, რომ ეს დრომ მოიტანა.“

ყოველთვის მაინტერესებდა რა იყო საერთო ხალხურ სატირულ ლექსსა და ლიტერატურულ ეპიგრამას შორის. ეპიგრამა გამოირჩევა კონტრასტებით. როგორც აღნიშნავენ, თავდაპირველად ის იყო საქებარი და თანდათან იქცა დაცინვის ლექსად.

ჩანს, ამ ჟანრის ასეთი განვითარება-გარდაქმნა გამოინვია გადაჭარბებულმა ქებამ. ეს ძალიან საცნაურია ქართულ პოეზიაში, სადაც ჩნდება იუმორისტული, ირონიული ელემენტი და თანდათან გადადის მწვავე სატირულ ფერებში.

ერთი ხალხური მთქმელი იყო – ვახტანგ მთვარელაშვილი, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ დაიღუპა. მე დავაკვირდი მის ლექსებს, სადაც არ ყოფილა მხოლოდ გაკილვა მოწინააღმდეგისა. იქ იყო ბრძნული გამონათქვამები და საინტერესო გახლდათ, თუ სად გადიოდა ზღვარი იუმორს, ირონიას, სატირასა და ამ სიბრძნეს შორის.

შეიძლება ზღვარი მათ შორის არც იყოს და ყველაფერი ეს ერთად შეიცავს გარკვეულ მარცვლებს სიბრძნისა. ამ წიგნიდან ერთი პატარა მშვენიერი ლექსი მინდა გავისენო: „მომჭირნე დროება“.

დროების უკუღმართობამ მომჭირნეო დაბადა: ქორწილს და ბავშვის ნათლობას ერთად უძღვება თამადა.

გარდა ირონიისა და სატირული ხედვისა, ხომ არის აქ ერთგვარი შეფასება წუთისოფლისა, ფილოსოფიური შეფასება ამქვეყნიური არსებობისა. მართლაც ტრაგიკომიკური სურათია. ხალხურ ეპიგრამას ბევრი რამ აქვს საერთო კლასიკურ ეპიგრამასთან.

ლევან ბრეგაძის ეს კრებული დიდებული წიგნია და მან უნდა გაახაროს ქართველი მკითხველი და საზოგადოება, ის საზოგადოება, რომელსაც უყვარს ნამდვილი პოეზია, პროფესიონალია და კარგისა და ცუდის სწორი, მოუსყიდავი შემფასებელი“.

ბატონო როსტომ!

თქვენ ის კრიტიკოსი ხართ, ვინც თავის დროზე მაღალი შეფასება მისცა ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებას, ხოლო თქვენი ყურნალის მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე იგი XX საუკუნის ხუთ საუკეთესო ქართველ პოეტს შორის აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ცნობილია თქვენი აზრი, იმედი მაქვს, ლიტერატურული ცხოვრების ინტერესებიდან და კამათის, დისკუსიის აუცილებლობიდან გამომდინარე, საშუალებას მომცემთ გამოვთქვა განსხვავებული შეხედულება.

თეიმურაზ დოიაშვილი

ტარიელიდან ტრულიამდე

*

ციკლიდან

„ჭანტუროლოგიური შტუდიები“

თამაშ-თამაშ

ინერება ლექსები – თამაშ-თამაშ!

ინერება „პროზა“ – თამაშ-თამაშ!

თამაშობს ტარიელ ჭანტურია!

მეც ჩემს შთაბეჭდილებებს თამაშ-თამაშით ვწერ...

მაშ ასე:

წიგნის ავტორი: ტარიელ ჭანტურია; წიგნის სათაურ-რი: დინოზავრიდან დინაინამდე; გამომცემლობა „მერანი“, თბ., 2005.

რეცენზენტი: თეიმურაზ დოიაშვილი.

ვითამაშოთ!

შენ დაუკარ!

ქართული რითმის საგალოპელი

ანდრე ბრეტონი ფრანგულში რითმის დეფიციტს უჩივის: „რაც იყო რითმა – ღია ზღვაში შეცურდა ყველა!“

ტარიელ ჭანტურია, როგორც „ქართული ენის გვარიანი მცოდნე და რითმის საქმეში ჩახედული ექსპერტი“, – ასე წარმოგვიდგენს იგი თავს, – კატეგორიულად აცხადებს:

„საქმე რითმაზე თუ მიდგა, ქართული ენა უნიკალურია, და ახალი, მოულოდნელი, ჰარმონიული რითმის მარაგი ქართულ ენაში უსასრულოა, როგორც თავად ქართული ენა...“

ლიტერატურის ისტორიამ არ უნდა დაივიწყოს ბატონი ტარიელის უნიკალური როლი ამ „ახალი, მოულოდნელი, ჰარმონიული“ რითმების აღმოჩენაში.

უსასრულო ქართულ ენას და რითმის მარაგს მან მთავრად-პირველად ერთი უცხო სართიო სიტყვა შემოაჩვია:

კაფანდარა – სკაფანდრი, „ტუ“, „ილი“ – ტყუილი, მონით ორით – მონიტორი, ასი სკა – „სასისკი“, დებილი – სადილებე-

ლი, სადილი – სარდელი, არმაზი – თერმოსი, დაუნ-დებილი – დაუნდობელი, ჩაიდნის – ჰაიდნის, ათრობენ – ათროპინს, დრო მიდის – ბრომიდის, დედის ხსენი – სედუქსენი, დიაცებ-მა – დიაზეპამს, „უფსა“ – სუფსა, მალ-მალე – „პალ მალი“, დასტა ფული საცაა – დესტაბილიზაცია, ბუზპალტერი – მტვერი, კოლპოტებს – გოლგოთებს...

მეორე ანუ დღემანდელ ეტაპზე ქართული სიტყვა უკვე სრულ გამარჯვებას ზეიმობს ჭანტურიას ლექსებში – ორივე სართიო სიტყვა არაქართულია!

ჰარმონია – ჰორმონია, ტესტები – ტოსტები, ჰომიკები – ჰამაკები, დუბლიორი – სუფლიორი, „საბოჩკები“ – „ტაპოჩკები“, მენიუ – ავენიუ, გრიპი – თრიპი, მიზანთროპი – თრომ-ბი, პეონით – შპიონი, რეფრენი – ხეფრენის, კატონი – პრო-ვოკატორი, ქსერქსე – ქსეროქსზე, დედალუსს – ტრანსცენ-დენტალუსს, სვიფტის – სტრიპტიზს, სენსაცია – სენ-სანსია, პეტერბურგს – პიტერ ბრუკს, კოკტო – კაკტუსს, ანდრე ჟი-დი – ანდეზიტი, შაუმიანი – შოუმენი, დეზოქსირიბონუკლეინი – ბრუკლეინი, პეტროლი – პატრული და ა. შ.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ბრეტონის ზღვაში შეცურებული რითმები პირდაპირ ჭანტურიას ნიგნებში შეტივტივდნენ. ვაშა, ახალ, მოულოდნელ, ჰარმონიულ „ქართულ“ რითმებს! გაუმარჯოს ქართული რითმის გლობალიზაციას!

წმინდა რამ აუზღვრავია...

ჭანტურია ფერწერის მეფეს, უკვდავ ლეონარდო და ვინჩის მზრუნველი ვაზირივით იცავს მოკვდავი ვაზარისაგან. როგორც ინფრანთელი სხივების დახმარებით გაირკვა, ჯორჯო ვაზარის ლეონარდოს ფრესკაზე ზემოდან თავისი ფრესკა გადაუხატავს.

ბატონი ტარიელი ალაშფოთებას ვერ მაღავს ამის გამო, მაგრამ პირადად რამდენი პოეტური ფრესკა „გაულამაზებია“ ირონიულ-პაროდიული საღებავებით, თუნდაც პოეტების მეფის – გალაკტიონისა?!

გალაკტიონი:

შხამსაც შევსვამ შენგან მოწვდილ სასმითა.

ჭანტურია:

შენი ხელით მოწვდილ შხამს დავლევ, როგორც კოკტილს!

როგორც ბარათაშვილი იტყოდა – „შესვი? გაამოს!“

მოგონება შეკვეთით

„ოთარ ჭილაძის მშვენიერი ლექსი მოიგონეთ...“ – გვთხოვს ჭანტურია.

მე – ჩემდათავად – ბატონი ოთარის ადრინდელი შედეგრი მაგონდება, 1961 წელს შექმნილი – „მინდორში ვდგავარ და ქორებს ვუსტვენ“:

მთაზე უბელო ცხენს მივაჭენებ,
რომ მოგანონო თავი, ბებერო.
და თუ არ ვიცვი, თვითონ მაჩვენე,
როგორ შეგხედო და მოგეფერო.

ყველას უთანასწორო
ელოდება ღუელი!
ჯერ – სულ მისი ბრალია
(ხელმოცარვას ნუ ელი)...

ოხერი რამეა მოგონება – მესხიერებამ ჭანტურიას მომ-
დევნო ხანებში დაწერილი სტროფი ამოზიდა პოემიდან „ძე
შეცთომილი“:

აქვეა ტიცინიც – ტიცინ ტაბიძე: „კალმახი – ჩახმახი“,
თავის კედელში რომ ჩაუშენებია ჭანტურიას:

მართლა დაღლილხარ, ჩემო გეგუთო,
ნარბაჩეხილო თეთრო ბებერო,
გაშალე მკლავი, რომ ჩაგეხუტო,
გადაგეხვიო და მოგეფერო.

წვიმდა. ფაცერში ნებიერი
დასხლტა კალმახი.
.....
მიძიმედ დაეცა სადღაც ჩახმახი.

ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია შარაზე გასული „ძე შეც-
თომილისა“, რომელიც... „სახლიდან გავიდა და აღარ დაბ-
რუნდა...“

აქვეა სიმონ ჩიქოვანი – „სამაია – სამარეა“:

**ქართული რითმის საბალოკალი
(გაგრძელება)**

მეამება სამაია,
ივერიის ღვთისმშობელის ბაია.
შენი თვალი ღია სამარეა,
შენი კაბა ჭრელი ჭიამაია.

ტ. ჭანტურია – ქართული რითმის გლობალიზაციის მედ-
როშე! – ერთობ თავისებურად, სპეციფიკურად გამოხატავს
მამულიშვილურ გრძნობებს ქართული რითმისადმი – სიყვა-
რულით იწერს და იმეორებს ქართველი პოეტების ცნობილ
რითმებს:

მოვუსმინოთ ჭანტურიას:

რუსთაველი მახსოვს ბავშვი,
ოცნებობდა ოქროს ნაპეტი...

ვიხილოთ ტაძრის თეთრი სამაია,
მზის ჩასვლა ჩუმი, მკრთალი, მენამული.
მთანმინდა... თითქოს დედის სამარეა,
თბილისი... მის წინ მუხლზე დაცემული...

– ეს, მოგეხსენებათ, გალაკტიონია. ჩავხედოთ ჭანტურიას:

აქვეა ხუტა ბერულავას ომონიმური რითმაც:

მე ალბათ მუდამ ვიქნები ბავშვი,
რომ მზით და წვიმით გალუმპულ ბავშვებს
ჩაუფუჯდე ფიქრით დატვირთულ ნაპეტი,
რასაც მათ გარდა არავინ ამჩნევს...

მე თაიგული მივუტანე
დედის აპლდამას,
თუმცა სიუხვე ვარდ-ყვავილთა
როდი აპლდა მას.

ნავეში ვის აღარ ჩაჯდომია ბატონი ტარიელი, მაგრამ ახ-
ლა არსებითი ისაა, რომ გალაკტიონის სხვა, არაერთ მარკი-
რებულ რითმასაც ითავისებს იგი. მაგალითად:

შეადარეთ ამას ჭანტურიას „ტუტანხამონი“:

ა) ბაგეზე – მაქეზე („Voiles“):

მერე ღმერთებთან ვაბეზღებ ღმერთებს
და ფუჭი ლოცვა ხმება ბაბეზა.
და ამბობს ქრისტე – მოთმენა გმართებს...
მაგრამ ალლაჰი ხმლისკენ მაქეზებს...

ამ ქვეყნად ყოვლის მქონებელს –
ოდენ სიკვდილი აპლდა მას,
და აჰა, უმზერო ახლა თქვენ
ბოლო განძს მისას – აპლდამას!

ბ) დღეები – სამოთხეები („გაგონდება თუ არა...“)

ქართული რითმის საგლობელს ჭანტურიას ანდაზით და-
ვამთავრებ: „აქლემის ქურდი და რითმის ქურდი – ორივე
ქურდია“.

ეს მინდოდა მეთქვა, სხვა – არაფერი!

არავინ იცის, რატომ დევნიან
ერთმანეთს ასე ჩვენი დღეები.
რაც დღეს დასრულდა – გუშინდელია,
წარსულის მკრთალი სამოთხეები.

ნარცინის გამონკეცვა

სიბრძნის ზღვაა „დინოზავრდიზინიანი“!
„საკუთარი თავის რწმენა კარგია, – გვასწავლის ავტორი, –
მაგრამ იგი არ უნდა დაემგვანოს მტკიცებას, ნაპოლეონი ვარო“.
მე მინდა საკუთარი თავისადმი იმ რწმენაზე გიამბოთ,
რომელიც კარგია! მანამდე იდუმალ სტრიქონებს გავეცნოთ:

გ) დუელი – თუ ელი („მივარდნილი აივანი“)

და თამარის წინ კვლავ მოიყრის
მუხლს მეომარი –
ორმოცდაცხრა წლის შოთა რუსთველი...

რატომ მაინცდამაინც ორმოცდაცხრა წლის? საინტერესოა, არა?!

ლექსი დაწერილია 1980 წელს, როდესაც ავტორს (დაბ. 1932 წ.) ორმოცდარვა წელი შეუსრულდა და ორმოცდამეცხრეში გადადგა. ჰა და ჰა, საცაა ახალი რუსთველი – ჭანტურია! – ახალ „ვეფხისტყაოსანს“ მიართმევს თამარს.

გაივლის კიდევ ხუთიოდე წელი და ეს სიტყვებიც დაიწერება:

**ხელში მათრახის ნაცვლად –
ბეჭებზე ფრთები მასხია...
მესხია რუსთაველი...
და ტარიელიც მესხია!**

ვერ შეედავები – რუსთაველი ვარო, წერს. იმას ხომ არ ამტკიცებს, ნაპოლეონი ვარო!

**ლიტერატურული სინდისიერებისა
და უსინდისობის გამო**

**„სიზმარი ვნახე –
ვითომ სიზმარში ვხედავდი სიზმარს...“**

– თამარ ჯავახიშვილის ეს სტრიქონები მოაქვს ჭანტურისას და გვაუწყებს, ზუსტად ასე იწყება ანრი მიშოს ლექსიცო. ცნობას კომენტარიც ახლავს:

„ცხადია, ეს ფაქტი თამარ ჯავახიშვილის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს! მაგრამ მე წამითაც არ მიფიქრია, ბრალი დამედო თამარ ჯავახიშვილისთვის! იცით, რატომ? მე სავსებით ვარ დარწმუნებული, მას არა აქვს ნაკითხული ანრი მიშოს ეს ლექსი! ამაში მე მარწმუნებს მაღალი ლიტერატურული სინდისი, რომლითაც ქართველი პოეტი ქალბა ცნობილი“.

სავსებით შესაძლებელია, ქალბატონ თამარს მართლაც არ ჰქონდეს ნაკითხული ანრი მიშოს ლექსი, ისევე როგორც სავსებით შეუძლებელია, ჭანტურიას არ ჰქონდეს ნაკითხული კოლაუ ნადირაძის სტრიქონები:

**თითქოს ღვთისმშობლის ცრემლი დამეცა
ლოცვის დროს თავზე.**

ახლა ჭანტურიას მოვუსმინოთ:

**უცებ ციდან ღვთისმშობლის
თბილი ცრემლი დამეცა!**

ცხადია, ეს ფაქტი ტარიელ ჭანტურიას სასარგებლოდ არ ლაპარაკობს! მაგრამ მე წამითაც არ მიფიქრია, რომ ტარიელ ჭანტურია უბრალოა! იცით, რატომ? ამაში მე მარწმუნებს მისი ლიტერატურული ხელმრუდობა, რომლის რამდენიმე მაგალითი უკვე დავიმოწმე, არაერთს კი გზადაგზა მოგანვდიოთ.

კითხვა-პასუხი კომენტარით

მე: მაინც ვინ არის პატრიოტი პოეტი?

ჭანტურია: „თუ შენი პოეზიის მთავარი თემაა: „რა კარგია საქართველო, რა ცუდია მისი მტრები“, მაშინ კაციც შენა ხარ და პოეტიც!“

მართლაცაა, გულზე ხელის ბაგუნი რა საჭიროა, დუუნერე სამშობლოს ტკბილი, გემრიელი შაირები:

**შესაჭმელი, ჩასაყლაპი,
ტკბილი, როგორც ტორტზე კრემი –
მეპატიოს მკრეხელური
შედარება! – მოჩანს გრემი!**

ანდა:

**მოვილოცე სიონი,
ქაშვეთი და გელათი:
ღმერთო! კარგად უმყოფე
ჩვენს ბიჭებს საქალეთი.**

თუ მაინცდამაინც მტრის შეშინება გინდა, ესეც უხმაუროდ და უსისხლოდ მოხერხდება, რად უნდა ამას „შენ სისხლო ჩემო...“

**იმოდენა ჩრდილები აქვთ
საქართველოს მთებს –
მარტო ჩრდილით გასრისავენ
საქართველოს მტრებს!**

ამის მერე კაი ჩაჯდომა და კაი „შარაფიც“ შეიძლება, ოღონდ ხმადაბლა და მოგუდულად:

**ქართველი ვარ! – ესა მაქვს
ერთადერთი ტიტული,
თან სიმღერებს მასწავლის
ღვინო – რეპეტიტორი!**

ასეა ეს!
რაც მართალია, მართალია: აი, კაცი! აი, პოეტი!

შევიშრობ ცრემლსა

ჭანტურია ანდრეი ვოზნესენსკის ეკამათება, რომელსაც ამერიკელ კოლეგასთან საუბარში უთქვამს: „Миссия поэзии – быть совестью, быть органом стыда, хотя бы одну слезу осушить“.

„ერთი ცრემლი შევიშროს თუ... ერთი ცრემლი მოგვაროს“, – იჭვნეულობს ჭანტურია და ამტკიცებს, რომ:

1. პოეზიაში ცრემლის მოგვრა უფრო ძნელი და საპატიო მისიაა;
2. ვოზნესენსკი ცრემლს შეგიშრობს, მაგრამ ვერასოდეს მოგვცის ცრემლს. ამიტომ –
3. ანდრეი ვოზნესენსკი ცალმხრივი პოეტი! კი მაგრამ – ილია?

**მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!**

აკაკი?

**რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს...**

ილია – „ცალმხრივი პოეტი“!
აკაკი – „ცალმხრივი პოეტი“!
საკითხავია, ვის სჭირდება ეს „ცრემლმდენი ფილოსო-
ფია“? ამას იქნებ „ცრუ, ფეკალური ცრემლის“ ამოშრომება
სჯობდეს, შეუწყვეტლივ რომ მიედინება ჭანტურიას „ლირი-
კაში“.

საქართველო რუსეთია

ჭანტურია, რომელიც ცნობილი ქართველი ტიუტჩევ-
მცოდნეა (გართობული აქვს: **ტიუტჩევში – ტუჩებში**), თავის
პროზაულ ოპუსებში კოლეგებს წამოაძახებს ხოლმე, ტიუტ-
ჩევის და ფეტის გარჩევა უნდა იცოდეთო.
დიდი ხანი არაა, რაც მან საყურადღებო აღმოჩენით გაამ-
დიდრა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობა-
ნი, მიაკვლია ტიუტჩევის გამოგნებელ აზრს... საქართვე-
ლოს შესახებ:

**ტიუტჩევი? – რა თქმა უნდა! –
მართალია ცამდე:
საქართველოს – ვერ გაუგებ,
იგი – უნდა გნამდეს!**

ტიუტჩევს კი აქვს ასეთი აზრი, მაგრამ არა საქართველო-
ზე, არამედ... რუსეთზე:

**Умом Россию не понять...
В Россию можно только верить.**

ეტყობა, ვერაფერი ამოშლის მონურ ცნობიერებაში ჩა-
ნერგილ აზრს – საქართველო რუსეთია!

„ქართული! ქართული! და არა – რუსული!“

ლიტერატურამ იცის ორენოვანი მწერლები, მათ შორის –
დიდი მწერლებიც, მაგალითად, რობაქიძე, ნაბოკოვი...
ეტყობა, ორენოვნებაში არის რალაც საცდური, რადგან
მას „ბილინგვიზმის“ ისეთი პრინციპული მოწინააღმდეგეც კი
ვერ გადაურჩა, როგორც ჭანტურიაა.
სულ ახლახან მე მის მინი-პოემას გავუწიე რეკლამა:

**იჩჩუ
პიჩჩუ!**

ახლა მინდა მეორე საინტერესო ნიმუშსაც მიაქციოს
მკითხველმა ყურადღება:

**ი ტამ,
ი ზდეს –
ვეზდე
პიზდეც!**

იმედია, მალე გასამდება!

ხელმწიფე ხელმწიფე

„დინოზავრდინიანის“ გამჭოლი თემა ლიტერატურუ-
ლი ქურდობა, პლაგიატობაა. პროზადაც ხშირად წუხს და ჩი-
ვის ჭანტურია, მაგრამ პოეტური პროტესტი მაინც სხვაა:

**– ეს უპატრონო – ლექსებს მპარავენ!
თან ხმის გამცემიც არ ჩანს არავინ!
ისე აჭრიან, ისე არევენ –
არც დაგიჯერებს ნათქვამს არავინ!**

გეწყინება, აბა რა იქნება, შენ რომ დანერ „ტაში-ტუში,
ტაში-ტუში, ვიმყოფები ცაში, „ტუ“-ში“ და კოლეგა-მელექსე
ექოსავით გაიმეორებს: „ტაში-ტუში, ტაში-ტუში, აიტანა
ბარგი „ტუ“-ში“!

„ხმის გამცემიც არ ჩანს არავინ“, – ცხადია, კრიტიკო-
სებს გვამუნათებს ჭანტურია. ხმას როგორ არ ამოვიღებდი,
მაგრამ საჭოჭმანო სიტუაციაში ვარ – დახმარებას ქართულ
მწერლობაში ერთი ყველაზე ხელმარჯვე, „ამჭრელ-ამრევი“
პლაგიატორი ითხოვს!

ჭანტურიას ერთი ზნე სჭირს, რასაც ფსიქოლოგიაში
„პროქსიმია“ ეწოდება – **სუბიექტის მიერ საკუთარი თვი-
სებების ცნობიერი თუ არაცნობიერი გადატანა სხვებზე.**
გამქურდეს, დამაქციესო! – ადანაშაულებს პრეტენზიულად
მავანთ, თავად კი ათივე თითი სხვის ლექსებში აქვს შეცურე-
ბული. ტყუილად კი არ შემოგვაპარა „დინოზავრდინიან-
ში“ „რამკიანი ქურდების“ აპოლოგია – „ჩვენ ქურდები ვართ
– რამკიანი ქურდები“!

ბრალდებას სამხილი უყვარს, ამიტომ პირდაპირ საქმე-
ზე გადავალ. ამასთან ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ქრონო-
ლოგიური პრინციპი ყველგან დაცულია: ჯერ ბრალდების
მონმეთა – პოეტების – სტრიქონები დაინერა, შემდეგ –
ჭანტურიასი.

სამხილი N1
ა. აბაშელი:

**ვეფხის ტყავად დაფენილო მთა-ველო,
ორბის ფრთების ჩრდილით გადახაზულო.**

ჭანტურია:

**ისევ მესიზმრა... მინის ნაგლეჯი,
ჯიუტი მამლის ფრთით მოხაზული.**

სამხილი N 2
ი. გრიშაშვილი:

**და ავტირდები, როგორც ეს ღვინო,
კინტოს პერანგზე ჩამოღვარული.**

ჭანტურია:

**შვენის გოგონას მზე და მელანი,
თეთრ გულისპირზე ჩამოღვარული.**

სამხილი N 3
გ. ლეონიძე:

**ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!**

ჭანტურია:

**მკლავს ტკივილი...
ნეტამც ხმალი არ აგველესა
და ბადაგი სიყვარულის
არ დავგველია!**

სამხილი N 4
ტ. ტაბიძე:

**ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.**

ჭანტურია:

**ან სად იწყება, ან სად თავდება
ან ეს მინდვრები, ან ის ტყეები.**

სამხილი N 5
ა. მირცხულავა:

**მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,
ცა – ფიროსმანის დახატულია.**

ჭანტურია:

**თავზე ზეცა დამყურებს,
ფიროსმანის ნახატი!**

სამხილი N 6
ლ. ასათიანი:

**ვინ დამიბედა ბედი პოეტის,
ვინ გამამზადა საბედისწეროდ!
ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ მხოლოდ უნდა ლექსები ვწერო!**

ჭანტურია:

**„მიფრინავს ცაზე შემკრთალი ძერა“...
როდემდე უნდა ვიფიქრო ლექსად.
.....
რადგან სიტყვა და ნიბლიას ფერი
საბედისწერო ბორკილად მქეცა...**

სამხილი N 7
ანა კალანდაძე:

**ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...**

ჭანტურია:

**შრიალებს ბორცვზე მაღალი ფიჭვი
და ბიჭებს თითქო უმღერის ნანას...**

სამხილი N 8
მ. ლეზანიძე:

**სათქმელი არ ჩანს, კმაყოფილდები
ამ შემოდგომის ქარვას და მარჯანს!**

ჭანტურია:

**რა ჯობს ნაადრევ მარწყვის სისოვლეს
და შემოდგომის მარჯანს და ქარვას...**

სამხილი N 9
მ. მაჭავარიანი:

**ასე მგონია, ვაბიჯებ ჰაერს
და –
ნელა-ნელა ავდივარ მაღლა.**

ჭანტურია:

**და ბალასტივით ვიშორებ ტკივილს
და... ნელა-ნელა ავდივარ მაღლა...**

სამხილი N 10
ვ. ჯავახიძე:

**მომენატრა მინა მეტი,
მზე მეტი და ცა მეტი...**

ჭანტურია:

**მთვარე მეტი. მზე მეტი.
მინა მეტი. ცა მეტი...**

სამხილი... ..
ჭანტურია:

**და ვერ ვიგონებ, საიდან მახსოვს
ეს გაღიმება – სად იყო, როდის...**

ჭანტურიას არ ახსოვს, მაგრამ მახსოვს მე: ეს იყო „იქ“ – გალაკტიონთან:

**ეს იყო წინად, დიდი ხნის წინად,
სად, როდის, რისთვის? არ ვიცი, არა!**

აქვე ვიტყვი, „ჭანტურია – გალაკტიონის ქურდი“ ვრცე-ლი, ცალკე თემა!

„რამკიანი“ ჭანტურია – დაზარალებულის პოზაში – პათოსით კითხულობს ხოლმე: „რა ჰქვია ამას – სესხება? ჩუქება? თხოვება? წართმევა?“

სხვაგან უცხო ტერმინებსაც იშველიებს: ალუზია? რემინისცენცია? აპლიკაცია? მიმეტიზმი? ტრანსპლანტაცია?

– თქვენი არ ვიცი და ჩვენში ამას უთმოფო ყანალობას ეძახიან!

მინანარი:

ჭანტურია საინტერესო ცნობას გვანვდის შინა სამზარეულოდან: „ჩემი ოჯახის ერთი წევრი ახირებული კოლექციონერია – აგროვეს ყველაფერს, რაც ჩემთვის „ნაურთმევიან“.

„ახირებულ კოლექციონერს“ მინდა სრულიად უანგაროდ მივანოლო იდეა – სისრულისთვის შეაგროვოს ისიც, რაც ოჯახის თავკაცს სხვებისთვის ნაუგლეჯია.

მზად ვარ, ჩემი არცთუ ღარიბი „ნაალაფარი“ უსასყიდლოდ გადავცე!

ჭანტურია – ლორკასთან მოტანილი ციტატა

ჭანტურიას შეუმჩნევია, რომ ტელეესერიალში „ტროპიკული ქალის საიდუმლო“ მეღვილის „მოზი დიკია“ გაძარცვული: თუ მეღვილის აქაბი თეთრ ვეშაპს დაეძებს, ფენი რომ მოაგლიჯა, სერილის პერსონაჟი – მეტსახელად მეზღვაური – დაეძებს ზვიგენს, რომელმაც უხელოდ დატოვა.

ესეისტი აღშფოთებულია: „საკმარისია მეღვილის „ფენი“ შეცვალო „ხელით“, ვეშაპი კი – ზვიგენით, და ახალი ნანარმოები და პერსონაჟი მზადააო“. ამას შეფასებაც მოსდევს – ეს „მარჯვე პლაგიატორების“, „წვრილმანი ქურდების“ და ა. შ. ნახელავიაო.

ჭანტურიას პოემაში „ძმები“ არის ასეთი ადგილი:

**ხიდან ცისფერი ხვლიკი
ჰგავს ნიანგებზე ოცნებას.**

თითქოს ურიგო სახე არაა, საეჭვოდ რომ არ ჰგავდეს ლორკას ბრწყინვალე პოეტურ ხილვას, რომელიც პირველად – 1964 წელს – ბაჩანა ბრეგვაძემ დაიმონმა ჩვენში პლატონის „ნადიმის“ თარგმანისთვის დართულ შენიშვნებში. პლატონის გამოთქმას ბიჭი – „მამაკაცის ნაფოტი“ ასეთი კომენტარი ახლავს:

„ამ კონტექსტში ეს მეტად პოეტური გამოთქმაა და უნებურად გვაგონებს დიდი ესპანელი პოეტის ლორკას სიტყვებს:

**გადახრეულ ბილიკზე
მე ვიხილე კეთილი ხვლიკი
(ნიანგის წვეთი)
ჩაფიქრებული.**

ხვლიკი – „ნიანგის წვეთი“. ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ენა მეტნაკლებად იდენტური იყო ყოველთვის“.

ადგა ჩვენი ჭანტურია და შეუერთდა „პოეზიის ენის იდენტურობას“ – „მეტად საინტერესო გამოთქმის“ სერიული წარმოქმნა დაიწყო. ჯერ, როგორც ვნახეთ, ხვლიკი – „ნიანგის წვეთი“ „ნიანგის ოცნებად“ აქცია, მერე უფრო შორსაც ნავიდა:

**მახსოვს ჩემი დაიკო –
ჩემი ერთი ციდა და**

**როგორც დედაჩემისგან
მოტანილი ციტატა.**

ანდა:

**ვიოლინო –
ჩელოს ნიჭიერი შვილიშვილი.**

აი, ასე:

ხვლიკი – ნიანგის ოცნება!

დაიკო – დედის ციტატა!

ვიოლინო – ჩელოს შვილიშვილი!..

მართლა უცნაური ხალხია სერიის სპეციალისტი – ჰგონიათ, „ფეხს“ „ხელით“ შეცვლიან, „წვეთს“ – „ოცნებით“, „ნაფოტს“ – „ციტატით“ და ამით ახალი სახეები და ნანარმოები იქმნება! არადა, „მარჯვე პლაგიატორები“, „წვრილმანი ქურდები“ და „შარლატანები“ არიან! – ეს უკვე ბატონი ტარიელის კომენტარია.

ჭანტურია ინყავოდა ასე!

ჭანტურია შემთხვევითი კაცია პოეზიაში!

შეფასება არ გეგონოთ, ამბავს გიყვებით, ჭანტურიას ერთ „მემუარესკაში“ ამოკითხულს.

ფიზიკა-მათემატიკურზე სწავლის მოსურნე ჭაბუკ ტარიელს ჟურნალისტიკაზე ერთი ვაი-უშველბელი და განწევ-გამონევა რომ დაუნახავს, უფიქრია, ეს იქნება კაი რამეო და... გახდა ჟურნალისტი.

მაგრამ ეს მხოლოდ ჟურნალია, კინო ახლა იწყება.

პირველ კურსზე ყველა წერდაო: ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გეგეჭკორი, რეზო ინანიშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, ზაურ ბოლქვაძე, თამაზ ბიბილური... ახლა მოუსმინეთ:

„თქვენზე ნაკლები-მეთქი, ვთქვი გულში და ვწერ იმის მერე!“

კიდევ კარგად უვარგია! – ვფიქრობ ჩემთვის, – **პოეტს შემთხვევით და სხვების ჯიბრზე!**

თუ... თუ... თუ...

არ ვიცოდი, მაგალი თოდუას, ცნობილ აღმოსავლეთ-მცოდნესა და მთარგმნელს, თურმე რითმის ასეთი დეფინიცია ჰქონია: „კარგი რითმაა ის, რომელიც კარგ ლექსშია!“

ეს განმარტება მოსწონს პოეტ-აკადემიკოს ჭანტურიას.

მომწონს იგი მეც.

ახლა ერთ რამეზე ვფიქრობ. მცირე ოპუსში „ანთოლოგია“ ჭანტურია წერს: „ვალიარებ: მე არა მაქვს კარგი ლექსები“.

რა გამოდის?

თუ კარგი ლექსები არა აქვს, არც კარგი რითმები ჰქონია! თუ არც კარგი ლექსები აქვს და არც კარგი რითმები, „ცოცხალი კლასიკოსიც“ ვერ იქნება!

თუ ცოცხალი კლასიკოსი არ არის, „სულ ტყუილად მთან-მინდას ეპოტინება“!

მე რა? – მე მხოლოდ ორი აკადემიკოსის აზრები „შევაჯვარე“...

**ბაზუბისა და ბოზუბის
ანუ
ნიჭიერება-უნიჭოზის შესახებ**

ბატონი ტარიელი მახვილსიტყვაობს „ნიჭიერთა უნიჭო-
ბაზე და უნიჭოთა ნიჭიერებაზე“. დავაკონკრეტოთ:

„არ არსებობს ნიჭიერი ადამიანი, დღის რომელიმე მონაკ-
ვეთში უნიჭო არ იყოს...“; „არ არსებობს უნიჭო, დღის რომე-
ლიმე მონაკვეთში ნიჭიერი არ იყოს“.

ახლა მე გეკითხებით: დღის რომელ მონაკვეთში და ვისი
დანერვილია ეს მინიატურა – ნიჭიერი უნიჭოსი თუ უნიჭო ნი-
ჭიერისა:

**გთხოვთ გაიყვანოთ ბაზუბი
და დაგვიტოვოთ ბოზუბი!**

მართალი გითხრათ, პასუხი არც მაინტერესებს...

ნანღებზე, ცოლებზე და საყვარლებზე

ჭანტურიას ლექსი – განსაკუთრებით სიბერის უამს – სექ-
სით იბრუნებს სულს, ამიტომ არ გამკვირვებია, მის პროზა-
ულ ნააზრევშიც რომ გადავანყდი თემას „ლექსი და სექსი“.
მოვუსმინოთ:

„ზოგიერთის პოეზია იმიტომაცაა უნაყოფო, რომ მუზა
მისი – მხოლოდ ნანალია! ნამდვილი პოეზია მაშინ იქმნება,
როცა მუზა ან ცოლია, ან საყვარელი! – აქტის გარეშე არ
ჩნდება შვილი (ნანლობა კი აქტს გამორიცხავს)“...

აქტი, იცოცხლე, ცუდი არაა, მაგრამ თუ საბრალო მუზა –
გინდ ცოლის, გინდ საყვარლის რანგში – ახუნტრუცებულმა
ბერიკაცმა გაა-აქტი-ურა, რალაც ამის მაგვარი დაიბადება:

**ისმის ხალხის „ბის“ და „ბის“ და
„ბის“ და „ბის“ და „ბის“ და „ბის“...
და ტაშს ვუკრავთ მე და ის და
შენ და ის და ის და ის...**

ან:

**სურდა სულ შეძლებოდა მზის ქება და ესვა!
ექეიფა დღემუდამ! სულ ესვა და ესვა!
ცეცხლი არ დალეოდა, როგორც ვულკან ეტნას:
სანამ შეეძლებოდა – სულ ეტნა და ეტნა!**

ასე „გაიმასქნებულ“ შვილებს, ამ „ბისდს“ და „ეტნას“
მე ჩემი ფშავ-ხევსურების მუზასთან ნანლობა და მათი „მყვი-
რალობა“ მირჩევნია.

თქვენ როგორ იტყვით?

მოდარნიზაცია ქართულად

ჭანტურიას შეუმჩნევია, რომ „ცისფერი ტრიოს“ ერთ სიმღე-
რაში ხალხური „ბინდისფერია სოფელი“ ასეა გადაკეთებული:

**ლალისფერია ქვეყანა,
უფრო და უფრო ბრწყინდება!**

სევდის მომგვრელია, რომ „უნიჭო ადამიანები ჯერ კიდევ
ახერხებენ ჭეშმარიტი ღირებულებების პროფანაცას“, –
ნერს იგი.

ამ დასაგმობი მკრეხელობის ფონზე სურვილი გამიჩნდა,
გაგაცნოთ ხალხური პოეზიისადმი უფაქიზესი დამოკიდებუ-
ლების ნიმუში, რომლის ავტორი თავად ბატონი ტარიელია:

**ნუთისოფელი ჩემია!
ჰა, დიდი-დიდი – ბიდეა!
ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება.**

სნორდი! სმენა!

ადამიანის მანკიერებებზე მიწყევ მათივე პოეტს და
მოაზროვნეს სატკივარს რა გამოუღვეს?!

„ბავშვები წერის დროს ფეხზე არ დგებიან“, ჩვენი მწერ-
ლები კი ნამდაუნუმ უდგებიან წერის დროს ფეხზე ცეკას
მდივანს, რაიკომის მდივანს, პრეზიდენტს, პრეზიდენტის
ცოლსა თუ სიდედრსო...

მართალია, ამჯერად მთლად პრეზიდენტის დონე არ
არის, მაგრამ მაინც კარგი ნიმუშები მაქვს იმისა, თუ როგორ
უნდა **წმენა** **ღმრმ** უშუალო შეფის წინაშე – დიახ! დიახ! –
წერის დროს:

„უკვე დროა დასრულდეს ქვეყნის ლიბანიზაცია! უკვე
დროა, დაიწყოს ქვეყნის ლებანიზაცია!“ – ეს პროზად.

ახლა ლექსადაც ვნახოთ – „სადღეგრძელო. მურმან ლე-
ბანიძე – 75“:

**არ შეგიძლია არ წერო
და სიძულვილი არ შალო!
სამშობლოს – ჯარისკაცო და
ქართული ლექსის – მარშალო!**

ჭანტურიას, ეტყობა, გვიან გაახსენდა, „ლექსის მარშა-
ლი“ სათაყვანო შეფისთვის არცთუ საყვარელ ირაკლი აბაში-
ძეს ეთერ შუშანიამ რომ უწოდა და „იალიში“ იქვე გაასწორა
– ლებანიძე სასწრაფოდ სარდლად დაანიშნურა:

**არ შეგიძლია, მაგ მზისგან
შოთას სახება არ თალო!
სამშობლოს – ჯარისკაცო და
ქართული ლექსის – სარდალო!**

წერის დროს ფეხზე თუ დადგებით, აი ასე უნდა „გაიმ-
ტრინგოთ“ – ჭანტურიასავით!

„გარიმეიქაზული“ სამშობლო

„კარგი პოეტები ხშირად ფიქრობენ ერთნაირად“, – თქვა
ერთხელ ჭანტურიამ და უკომენტაროდ დაიმონმა სერგეი
ესენინი და მურმან ლებანიძე.

ესენინი:

Никакая родина другая...

ლებანიძე:

**არავითარი სხვა სამშობლო
ამაზე მეტი...**

გამოხდა ხანი და რასაც იმ დროისათვის მხოლოდ ლაპარაკობდნენ, დაინერა კიდეც – მურმან ლებანიძესთან დაკავშირებით გალაკტიონი გაიხსენეს:

**რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია...
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო.**

ბეჭდურად ითქვა, მ. ლებანიძის საფირმო სტრიქონები ნასესხებია, გალაკტიონისეულიაო. იგივე აზრი სხვაგვარადაც გახმოვანდა – მ. ლებანიძის ლექსში გალაკტიონის „რემინისცენციები თუ პირდაპირი გავლენა მკაფიოდ იგრძნობა“, მის ლექსში „ოფორტიდან“ **გადმოსული სახეა და არა თვითნაბადიო.**

სულ ახლახან ჩანტურია უნებლიეთ გაამჟღავნა ზემოთ დამონმებული უკომენტარო ოპუსის ფარული მოტივი, როდესაც ხმამაღლა დაიცვა ყოფილი შეფი და „პოეზიის მარშალი“... **გალაქტიონის ხარჯზე!** აი, რას გვამცნობს იგი დღეს იმ ადრინდელ ჩანაწერზე:

„ამ ერთი ბენო ოპუსში გალაკტიონის ის სტრიქონებიც მენერა, სხვათა შორის („...რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია“), როგორც ესენინისეული ფრაზის, ასე ვთქვათ, რიმეიქი, მაგრამ ბეჭდვის წინ ის სტრიქონები წავშალე – არ მინდოდა, შ. ზოიძესავით მოფიქრალ ადამიანებს მცდარი დასკვნა გაეკეთებინათ“.

რატომ, სულიკო, რატომ? თუ „კარგი პოეტები“ – ესენინი და ლებანიძე ერთნაირად ფიქრობდნენ, რატომ მოეჩვენებოდა ვინმეს არა-ნაკლებ დიდი (მაპატიეთ!) გალაკტიონის სტრიქონები „ესენინისეული ფრაზის, ასე ვთქვათ, რიმეიქად“?! გალაკტიონი თვალში ხომ არ გეპატარავება?!

იმ უკომენტარო ოპუსში გამჭვირვალე ქვეტექსტი-კომენტარი იკითხებოდა. ჩანტურია იცოდა, ღიად რომ ლაპარაკობდნენ მ. ლებანიძის „ნასესხობაზე“ და ესენინის და ლებანიძის დაწყვილებით – გალაკტიონის გარეშე! – სხვაგვარად მაფიქრალ ადამიანებს ჯიბეში ბრანნი უჩვენა – რაღა „პოეზიის მარშალს“ მიადექით, ეგ თქვენი პოეზიის მეფე განა სხვა პოეტიდან – ესენინიდან არ მოდისო?!

მართლა ასეა საქმე?

გალაკტიონის „ოფორტი“ დაინერა 1918 წელს, დაიბეჭდა 1921 წელს.

ესენინის „СПИТ КОВЫЛЬ“ დაინერა 1925 წელს და იმავე წელს დაიბეჭდა.

ეს არის „ესენინისეული ფრაზის, ასე ვთქვათ, რიმეიქი“?! პირდაპირ ვიტყვი: „ერუდიტ“ ჩანტურიას საერთოდ ბევრი რამ კი ეშლება, მაგრამ ეს არ არის არცოდნა – ეს არის **წინასწანგანზრახული, ზუსტად გათვლილი თალღითობა!**

ლიტერატურულ ქურდობებზე რომ საუბრობს, ჩანტურია იქვე აყალიბებს პლაგიატობის კრიტერიუმს: „მთავარი ყოველთვის ისაა, ვინც პირველითგან იყო“!

ჩვენ ახლა ვიცით, რომ **პირველითგან იყო გალაკტიონი!**

არ იცოდა და არ იცის ეს ჩანტურია თუ, ყოველი შემთხვევისთვის, არცოდნის უცოდველობას ეფარება?! თუ არ

იცის, რის საფუძველზე გვიქცია გალაკტიონი სხვის მიმბაძველად?!

ახლა თვითონ აირჩიოს, უეცი და პროფანია ლიტერატურაში თუ მატყუარა და შარლატანი!

აღმოჩენა რუსთველოლოგიაში

მართალია, ბატონი ტარიელი სამართლიანად ურჩევს სხვებს, „თავი შევიკავოთ სენსაციებისგანო“, მაგრამ ზოგჯერ ბედი ისეთი აღმოჩენით გაგანებიერებს, ძნელია, ცდუნებას გაუძლო.

ყველას ზეპირად გვახსოვს რუსთველის სიტყვები:

**რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.**

ამ სტრიქონებში ჩანტურია იმისთვის რამ ამოიკითხა, რაც ნაფიც რუსთველოლოგებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ:

„ჯერ კიდეც როდის იწინასწარმეტყველა რუსთველმა ყველაფერი ის, რაც საქართველოში მოხდა, – წერს იგი, – **შე-ვარდნაძის წასვლა და სააკაშვილის მოსვლა... ვარდების ფონზე**“ ...

ჩანტურიას ეკუთვნის შემაცბუნებელი სტატისტიკა – საქართველოში პროსტიტუტი პოეტები ბევრად მეტია პროსტიტუტებზეო.

სენსაციური რუსთველოლოგიური „აღმოჩენის“ ავტორს ამ გულისამრეკ ლიქნაში ნუთუ არ ეკუთვნის მთავარი პოეტი-პროსტიტუტის წოდება?!

გენერალური შტაბის ოქმიდან

„დინოზავრდიზინიანში“, სხვათა შორის, გივი აღხაზიშვილზე – უმცროს კოლეგასა და „ლიტერატურულ ძმაზეც“ არის ერთი ჩანაწერი.

გივი ადრე „დიდი ნაბიჯებით მიმავალი ჯარისკაცი“ ყოფილა, ახლა კი – „კარგა ხანია, ოფიცრებისა და გენერლების წრეში ტრიალებს“ თურმე!

გაგიხარდება კაცს მოყვასის აღმასვლა, მაგრამ გაგიკვირდება კიდეც – მწერალზეა ლაპარაკი თუ სამხედრო პირის კარიერაზე, ლიტერატურული მეფასებაა თუ ამონარიდი გენშტაბის ოქმიდან?!

რა ქნას, უყვარს ჩანტურიას სამხედრო ტერმინებით საშობალო ოპერაციების ჩატარება. საყვარელი შეფი, უკვე ვიცით, „პოეზიის მარშალი“, ზოგი მწერალი კი – ცრუგენერალი, სურათის გადაღებისას თავი გენერლის ეპოლეტების მუნდირში რომ აქვს გაყოფილი...

ისე, როცა საქმე ნამდვილ გენერლებს ეხება, ბატონ ტარიელს ცოტა რამსები ერევა, ერთგან წერს: „გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა, ინფანტერიის გენერალმა, თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემო...“

ალექსანდრე ჭავჭავაძე გენერალ-ლეიტენანტი იყო, ინფანტერიის გენერალი არ ყოფილა. ეს წოდება გრიგოლ ორბელიანს ჰქონდა.

მიკვირს, ასეთი რამ როგორ შეეშალა „ზვანიების“ მოტრფიალე... გენშტაბის მდივანს!

**უთავსაფროდ
ანუ
თავმოგონე უპიცოზა**

„თავსაფროდანი დედაკაცი თავსაფროდანი დედოფალიაო“, – ძალიან მოსწონს სხვისი აზრი ჭანტურიას.

მართალი გითხრათ, მე ეს „ლამაზი“, თანაც მცდარი ფრაზა მგონია: თავსაფროდანი დედაკაცი ქართველი ქალის შთამბეჭდავი მხატვრული სახეა – არც გლეხი, არც დედოფალი!

უფრო თვალში საცემი ისაა, რასაც ბატონი ტარიელი, როგორც ჩანს, თავის მხრიდან ამატებს – თავსაფროდანი დედაკაცი „ქართველი მეფე ლირის ქვრივია“.

თავსაფროდანი დედაკაცი „ქართველიცაა“ და „ქვრივიც“, მაგრამ რა შუაშია მეფე ლირი? რატომაა თავსაფროდანი დედაკაცი მეფე ლირის ქვრივი? ძალად რატომ ვატანთ უბატიონეს ოჯახის ქალს გადამთიელ მეფეს?!

ეგაა: გვიყვარს ერუდიტობა და „ლამაზი“ ფრაზები!

იმის ნაცვლად, რომ ნათლად თქმულიყო, თავსაფროდანი დედაკაცი მეფე ლირის სულიერი დაა და ქართული ლიტერატურის დედოფალიო, ადგენ და ქართველი დედაკაცი... მეფე ლირს ქვრივად დაუსვს!

მეფე ლირმა შექსპირის სხვა პერსონაჟის – ფალსტაფის – არასახარბიელო ბედიც წამოატივტივა, ამჯერად უკვე ჭანტურიას პოეტურ ნააზრევში:

**ადამიანის შექმნის წინ
დაშვებულ შეცდომას – ფალსტარტს –
ვეძახი ტიპებს: კაენს, იუდას,
რიჩარდ მესამეს, ფალსტაფს...**

ვითომ საჭიროა კომენტარი? ვინც ფალსტაფს, ამ დიდ ბავშვს, სუფრის ტრფიალს და ხუმარას, სიცოცხლის განმადიდებელს, მოზეიმე რენესანსულ სულს ნაფიცი კაცის-მკვლევების – კაენის, იუდას, რიჩარდ მესამის გვერდით მოიხსენიებს, იმან იცის კი საერთოდ, ვინ არის ფალსტაფი?

მაგრამ პოეზია და შემოქმედება ხომ ჭანტურიასთვის მხოლოდ და მხოლოდ „რიფიანობაა“: **ფალსტარტს – ფალსტაფს.**

არაზუსტი, მაგრამ არასუსტი პარალელი

კონსტანტინე ბალმონტი პოლიგლოტი და დიდი ერუდიტი იყო. მიუხედავად ამისა, ანდრეი ბელიმ სარკასტულად იხუმრა – ბალმონტის ლექსებში საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ლიტერატურიდან ერთადერთი სტრიქონი დარჩაო:

Яйцевидные атомы мчатся.

ტარიელ ჭანტურია პოლიგლოტი ვერაა, მაგრამ თავზარდამცემი ერუდიტი ხომ არის – თანაბრად ერკვევა არამართო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, არამედ ფიზიკაში, ბიოლოგიაში, გენეტიკაში... სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის, „HTP“-ის ხანა ასე შემორჩა მის ლირიკას:

**სულიც იშლება სხივად –
გამად, ბეტად და ალფად.**

სხეულს, სხეულს როგორღა აქვს საქმე?

**ნუ მიჯავრდები, ძმურად გავიყოთ
ცილები, ცხიმი და ნახშირწყლები...**

ახლა კი – მწვერვალი სამეცნიერო-ლირიკული აზროვნებისა:

**მსგავსი გენი და გენი –
დეზოქსირიბონუკლეინი!**

უნდა ვალიარო – პარალელი არაზუსტი, ცალმხრივი გამომივიდა:

ბალმონტმა ბრწყინვალე ლირიკული ლექსები დატოვა!

„HTP“-ის მგოსანი ირონიულ-პაროდულ კოქტილს გვიტოვებს!

**კლვნად მაგალი თოღუას –
გელათის აკადემიის პრეზიდენტს**

**„ვაი სირცხვილო, ვაი ჩვენო
აკადემიკოსობავ“.**

ტ. ჭანტურია

ბიოგრაფიული ცნობები ჭანტურიას შესახებ მის ერთ-ერთ წიგნში ასე იწყება:

„ტარიელ ჭანტურია – გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი“.

აი, ორი ნიმუში „გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრის“ სამეცნიერო დაკვირვებებიდან.

1.

აკადემიკოს ჭანტურიას თავისი სიტყვა აქვს ნათქვამი ლიტერატურის თეორიაში, განსაკუთრებით, პოეტური სემანტიკის სფეროში.

„შედარება ტროპის დედაბოძია!“ – ასე შთაგონებით იწყებს იგი ერთ ჩანაწერს. ახლა კონკრეტული მსჯელობა ვნახოთ:

„ამ ორი ძმის ურთიერთობამ მიკარნახა ოდესღაც, სიჭაბუკეში, მეტაფორა:

**„...და დედამინის ორი ნახევარსფერო
გავს ორ მოყვარულ ძმას,
საფრთხის გამო მორიგეობით რომ
იძინებენ...“**

რადგან ორი ნახევარსფერო „გავს“ ორ ძმას, ეს მეტაფორა კი არა, შედარებაა, შე-და-რე-ბა – „ტროპის დედაბოძი“!

სხვაგან პატივცემულ აკადემიკოსს ოვანეს თუმანიანის ფრთიანი ფრაზა მოაქვს – „ყოველი ქართველი – პოეტი, ყოველი ქართველი პოეტი კი – ორგზის პოეტიო“, თან კომენტარს ურთავს: „სხენებულ მეტაფორაში მანინც არის მარცვალი სიმართლისა“.

ლუკა დვალისვილი

შეთქმულების სული და გული

*

ალექსანდრე ორბელიანი –
ილია ჭყონიას ნოველის პერსონაჟი

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭყონია თავის დროზე აკაკი წერეთელმა ფრანგ მწერალს – გი დე მოპასანს – შეადარა, ხოლო იოსებ გრიშაშვილმა ლირსეული მამულიშვილი და მოამაგე უწოდა. ილია ჭყონია მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი საქვეყნო საქმეს უანგაროდ და სიყვარულით მსახურებდა (ამასთან დაკავშირებით იხილეთ ჩვენი წიგნი: „ილია ჭყონიას ცხოვრება და შემოქმედება“, ქუთაისი, 2005).

ალექსანდრე ორბელიანი „თერგდალეულთა“ და მომდევნო თაობის ქართველთა უდიდესი ავტორიტეტი იყო. მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ და მონივნითა და მოკრძალებით მოიხსენიებდნენ: ილია, აკაკი, სერგეი მესხი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვები. ზოგჯერ არ ეთანხმებოდნენ; გაეპაექრებოდნენ კიდეც, თუმცა დარბაისლური განსჯისა და ურთიერთპატივისცემის უხილავ ზღვარს არცერთი მხარე არ არღვევდა. უფრო მეტიც: ახალ თაობას ალექსანდრე ორბელიანი ყოველთვის მიაჩნდა „მამათა ბანაკის“ ყველაზე სწორუპოვარ და ლირსეულ ალამდარად.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ პოლიტიკური და სამხედრო ძალის გამოყენებით რუსეთის უღლიდან საქართველოს დახსნის იდეის მინაველების შემდეგ, სწორედ ალექსანდრე ორბელიანის მრწამსი დაედო უდრევე საძირკვლად ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული, 1918 წლამდე, გამათავისუფლებელი ბრძოლის სიმძიმე მთლიანად იტვირთა მონივრე ქართულმა საზოგადოებამ, ქართველმა ინტელექტუალებმა. ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ – მათ ეს მისია ლირსეულად განასრულეს.

ილია ჭყონიას შემოქმედებაში ქართველ მამულიშვილთა გალერეა განსაკუთრებული სითბოთია დახატული; მათ შორის საყურადღებოა ალექსანდრე ორბელიანის სახე-პორტრეტის მწერლისეული ინტერპრეტაცია. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭყონიას არქივში დაცული ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულება „ჩემი დღე და სოფელი“. აგრეთვე ნოველა „ქარაგმული ამბავი“. ლევან ასათიანის მართებული მინიშნებით: „ავტორს, როგორც ჩანს, ფართედ განუზრახავს თავისი მოგონების დანერა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დასაწყის თავებზე შეჩერებულია. ეს დასაწყისი საკმაო ისტორიულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტებს შეიცავს“.

მოგონებაში უაღრესად საყურადღებო დოკუმენტური მასალებია თავმოყრილი. აქ წარმოჩენილია ცნობილი ისტორიულ პირთა პორტრეტები ახლებური რაკურსით. აღნიშნულია ზოგიერთი გახმაურებული ლიტერატურული ფაქტის უცნობი მხარეები. თხზულებაში ყოველგვარი შეფარვის გარეშე მხილებულია რუსეთის იმპერიის დამპყრობლური ზრახვები. დამონებული ერების მიმართ გამოვლენილი ზღვარგადასული ნიჰილიზმი, ტლანქი ძალის ველური ფორმებით დემონსტრირება და სხვა მკითხველის გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევს ლევან ასათიანსა და საერთოდ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის გაბედულება, რომლებმაც 1932 წლის ჟურნალის ფურცლებზე (№5-6) გამოაქვეყნეს რუსთა მიმართ ასე ანტაგონისტურად განწყობილი თხზულება.

მოგონებაში ილია ჭყონია გადმოგვცემს მამის, ასევე ცნობილი პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის, მირიან ჭყონიას, მონათხრობს.

მირიან ჭყონია დაპყრობილ პოლონეთში მდგარ კავკასიულ ცხენოსან-მთიელთა პოლკში მსახურობდა. „ამ დროს მამა შემთხვევით გაცნობოდა თავადს გიორგი ერისთავს, ჩვენს პირველ დრამატურგს, პოლსკაში გადასახლებულს საქართველოს ასაჯანყებლად შეთქმულებაში მონაწილეობის მიუღებლობის. ისინი შეხვედროდნენ ერთმანეთს ქალაქ გროდნოში და სულ ერთად დაეყოთ ხუთიოდე დღე. გიორგის ბევრი რამ ეამბო მამისთვის იმ შეთქმულებაზე. მე იმ ბევრისაგან, რაც ჩემთვის უამბია სხვადასხვა დროს, მახსოვს შემდეგი: შეთქმულების სული და გული ყოფილა ალექსანდრე ორბელიანი, პუპლიათ ნოდებული, მწერალი. პოეტის ვახტანგის ძმა“.

მოგონებაში ფრიად შთამბეჭდავია ის ფაქტი, რომ პოლონელებსა და რუსის ჯარში მოსამსახურე ქართველებსა და მთიელ კავკასიელებს შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა ყოფილა ერთმანეთის მიმართ. როგორც ერთ ბედქვემ მყოფი დაპყრობილი ერის შვილები ისინი თანადგომისა და თანაღმობის გრძნობით ყოფილან გამსჭვალულნი. უემოხსენებული ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, რომ ილია ჭყონია იცნობდა და ფრიად აფასებდა ალექსანდრე ორბელიანს, პუპლიათ ნოდებულს – შეთქმულების სულსა და გულს“. საფიქრებელია, სწორედ ეს სახელი გამოიყენა ილია ჭყონიამ მცირე ინტერპრეტაციით ნოველაში „ქარაგმული ამბავი“.

მასში ერთდროულად რამდენიმე თემია წინა პლანზე წამოწეული. მორალურ-ზნეობრივი და პატრიოტულ-დიდაქტიკური. ნაწარმოების სათაური ზუსტად ხსნის შოგ ჩაქსოვილ შინაარსს. აქ ქარაგმულად საუბარია ერთის შესახებ და იგულისხმება მეორე. ნოველაში მწერალი წარმოადგენს სიმბოლურ-ალეგორიულ სახეთა მთელ გალერეას. მოქმედ გმირთა დიალოგები ადვილად იშიფრება, იოლი ამოსაცნობია, თუ ვისზე, ან რაზე გვესაუბრება ავტორი.

ქვეყნად ცხოვრობდა ერთი მამფალი, რომელსაც ყველაზე მეტად „საჯაროდ სიმართლის მეტყველთა“ ემინოდა. იგი შვილს ასე მოძღვრავდა: „სიმართლე, მადლართა და მდიდრებისგან ნაქადაგები, უბედურებაა მამფლისთვის; ხოლო სიმართლე, შიშვლებისა და მშიერებისაგან ნალაღადები, ნამდვილი ღვთის რისხვაა ჩვენდა დასასჯელად მოვლენილიო... სიმართლე ცეცხლია, ზღუდეთა შიგნით, კერძო სახლის კერისათვის დიდად სასარგებლოა, ხოლო გარეთ გამოტანილი, შეიძლება მთელ სახელმწიფოს მოედგას და ერთიანად გადაბუგოს ყველაფერი“.

აქ კარგად ჩანს მამფალის ბოროტი, ქვეგამხედვარე ჭკუა და სიბრძნე. მიუხედავად სიფრთხილისა, მამფალის სამეფოში მაინც გამოჩნდა მწყემსი, რომელიც სიმართლეს ღალატებდა. საინტერესოა თხზულების ის ეპიზოდი, როცა მამ-

მწერალსა და ფილოსოფოსს

გივი მარგველაშვილს

გერმანიის ოფიციალური ორდენის

გოეთეს მედლის

მინიჭებას გერმანული ენის გავრცელებისა და საერთაშორისო კულტურული ურთიერთგაცვლის გაღრმავებისათვის.

გოეთეს მედალი დაარსებიდანვე – 1955 წლიდან – მიენიჭა 311 ადამიანს 58 ქვეყნიდან.

გივი მარგველაშვილი ამ ჯილდოს პირველი ქართველი ლაურეატი.

წელს მასთან ერთად გოეთეს მედლით დაჯილდოვდნენ:

ვერა სან პაიო დე ლემო (პორტუგალია)

საიდი (გერმანია/ირანი)

ფლის პირმოთნე მსახურები ხალხში შეფარებულ ჭეშმარიტების მლაღაღებელ მწყემსს ეძებენ. ავტორი შეუფარავი ირონიით დასძენს: „შიშველ-მშიერობით“ ვერ მიაგნეს, რადგანაც იმ თემში, როგორც ბევრგან სხვაგანაც, ბედნიერი მამფალის სამფლობელოში, თითქმის ყველა შიშველ-ტიტველი იყო“.

თხზულებაში ცბიერი და ვერაგი ვეზირი კითხვების დასმით ცდილობს დარწმუნდეს, რომ თავისი ნებით გამოცხადებული პიროვნება და სიმათლის მეტყველი მწყემსი ერთი და იგივე ადამიანია: „რომელი ქარი უფრო ძლიერიაო? მწყემსმა მიუგო: ერის თავის-თავის შეგნებიდან დაბერილი ქარი ყველა სხვა ქარზე უფრო ძლიერიაო... ვეზირმა ჰკითხა – ვინ მეფობსო?“

მწყემსმა მიუგო: ხორციელი ვერავინ, არამედ ყველგან და ყოველთვის უმეფებია და კვლავაც იმეფებს დროვო!“

ზემოთქმული აზრები ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს მწერლის ეროვნული, ესთეტიკური და სოციალური მრწამსის გასარკვევად. სწამდა მწერალს, რომ დრო საქართველოს საკეთილდღეოდაც მოტრიალდებოდა; ხოლო ვინ ირწმუნა, როგორც ლუკას სახარება ლაღადებს: „ნეტარია ვინც ირწმუნა, ვინაიდან აღსრულდება უფლის თქმული მის მიმართ“. დესპოტური იყო მამფალის ხელისუფლება, ამიტომ არ გააჩნია მას მომავალი. მისი კარისკაცები ბატონივით უგულვონი და სასტიკნი არიან. ამასთან უზომოდ მლიქვნელნი და ქრთამის მოყვარულნი. ქრთამის აღებას კი მართლაც რომ გრანდიოზული მასშტაბებისათვის მიუღწევია ამ სახელმწიფოში. მამფალი თევზების ენის სწავლების სანაცვლოდ ერთ ჭაბუკს მის წონა ოქროს დაჰპირდა. ბიჭმა დაინუნა – ცოტააო! მაშინ პირმოთნე მსახურმა ჭაბუკს ჩასჩურჩულა: ოღონდ ბატონს ნუ აწყენინებ, ნადილი აუსრულე და „ერთ დღეს რასაც მე და ჩემი ამხანაგები ქრთამს ავიღებთ, ნახევარს შუნ მოგცემთ“. ჭაბუკი უყოყმანოდ დაეთანხმა. დასახელებული ეპიზოდით ნოველაში ყოველგვარი ქარაგმის გარეშე პირდაპირაა ნათქვამი ცარისტული რეჟიმისა და მისი სამოხელეო აპარატის გახრწნილება-დეგრადაციის შესახებ. შთამბეჭდავია თხზულების ფინალური ნაწილი. თევზების ენის მცოდნე მამფალი შემთხვევით მოისმენს ტბაში მოსაუბრე თევზთა დიალოგს. კალმახების კრებაზე ერთი თევზი – პეპლად წოდებული – ყასიდად მიმართავს მეორეს, მამფალს ჩვენი ენა რომ ესმოდეს: „ეცდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებას?“ პასუხი ერთმნიშვნელოვანია: „ღმერთმა ნუ აცოდინოს მამფალს ჩვენი ენა, თუ არა საშინაო ლაპარაკსაც აგვიკრძალავს“.

„ქარაგმული ამბავი“ თავისი იოლად ამოსაცნობი ქარაგმით თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ეროვნული კონსოლიდაციისა და დამპყრობლის უღლის თავიდან მოშორების სურვილით. ბედს დაუმორჩილებელი, არსებული რეალობით უკმაყოფილო კალმახი, პეპლია, მწერლის ჩანაფიქრით საქართველოს თავისუფლებაზე დაუცხრომლად მზრუნველ-მეოცნებე ალექსანდრე ორბელიანია, იგივე, პუპლია ორბელიანი.

ილია ჭყონიამ ამ ეპიზოდით გამოხატა თავისი დიდი სიყვარული და პატივისცემა თავისუფლებაზე მეოცნებე მამულიშვილისადმი.

„ქარაგმულ ამბავში“ დამპყრობლის უზნეობა, დესპოტიზმთან ერთად (მამფალში ყველგან იგულისხმება არა კუთხის მმართველი, არამედ ხელმწიფე) ნაჩვენებია, რომ თავისუფლების დაკარგვა ურთიერთგაუტანლობამ და „დაკორტვენამაც“ განაპირობა. შემადრწუნებელი და ჭკუისსასწავლებელია ცეცხლზე შემომდგარ ქვაბში მყოფი თევზების ვითომ „სიმღერა“:

**დიდსა ქვაბში მძიმე ხუფს ქვეშ,
სულს ვერ ვითქვამთ ვიგუდებით,
იმის ნაცვლად, რომ თავს ავხადოთ
ერთურთს კვენწლავთ, ზედ ვაკვდებით.**

**რასაც უნდა მხარს ვაძლევდით,
იმას ვქელავთ, იმას ვსრესავთ,
ჩვენს დასაკლავ სამართებელს
ჩვენვე ვჭედთ და ჩვენვე ვლესავთ!**

ეს ლექსი კომენტარს არ საჭიროებს. აქ მთელი პირდაპირობითაა გაცხადებული ეროვნული მთლიანობისა და ურთიერთთანადგომის აუცილებლობა. მინიშნებულია მტრის შესახებაც. საგანგაშო მხოლოდ ისაა, რომ „თევზების სიმღერატრაგედია“, სამწუხაროდ, მეტ-ნაკლებად გრძელდება დღესაც. თავისებურ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, თუ როგორ მოახერხა მწერალმა იმ დროს ამ ხასიათის ნაწარმოების გამოქვეყნება. მაგრამ როგორც იმდროინდელი მხატვრული ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მასალების გაცნობა ცხადყოფს, მაშინდელი მეფის ცენზურა ისე რბილია შემდგომი, კომუნისტების დროინდელი კოლეგების „პრინციპულობასთან“ შედარებით, როგორც ქვა და მატყლი.

ნაწარმოების ფინალი მაინც ოპტიმისტურია. ბოროტი მამფალის ბოროტ შვილს „ბედის კოჭმა უმტყუნა და აღჩუხ მაგიერ თოხლოთ დაუჯდა“.

როსტომ ჩხეიძე

ჩემი, შენი, ჩვენი იესო

„ჯვარცმულო, შენ ჯვარს ეცვი ჩემს გულზე და ლურსმნე-ბი, მაჯებში რომ გაგიარეს, ჩემი გულის კედლებს მიემსჭვალენ“ – ასე გამოთქვამს ჯიბრან ხალილ ჯიბრანი იგავებისა და ხატოვან სიტყვა-თქმათა კრებულში „ქვიშა და ქაფი“ იმ მრწამსს, სადამდეც ვერც მარტო გონებით მიაღწევ და ვერც მარტო გულით.

გული ჯვარცმის ადგილია და მაცხოვრის მაჯებში გაყრილი ლურსმნები ამიტომაც ფატრავენ მის კედლებს, მაგრამ განცდა მაინც არა კმარა – ეს საკუთარი თავის პოვნაა, ეს სამყაროს იდუმალებაში შეღწევის ცდაა, ეს გასვლაა ნუთისოფლის საზღვრებს იქით და გული, გრძნობა და გონება ერთმანეთს უნდა გადაეჯაჭვოს, რათა სრულყოფილი იყოს განცდის სიმძაფრე და სინრფევე.

შემთხვევითი გამვლელი გოლგოთას გვერდს რომ ჩაუფლის, რა ეგონება?

აქ სისხლი ერთმა დაანთხიო?

ხალილ ჯიბრანმა დაბეჯითებით უწყის:

ორმა: მან და იესო ქრისტემ.

და კიდევ იმ უთვალავმა ადამიანმა, ვინც მასავით შეიგრძნობს მაცხოვრის ჯვარს თავის გულზე, და ლურსმნებს – მის კედლებზე.

და ის შემთხვევითი გამვლელი ხვალ იქნებ თვითონაც აღმოჩნდეს ჯიბრანის ყოფაში და გულზე იგრძნოს რაღაც იდუმალი, შორეული ტკივილი – მისი არსებობის გამამართლებელი.

ყველა ადამიანი თავისი ცხოვრების ჯვარზეა გაკრულიო, – ასე სწამდა შერვუდ ანდერსონს და ეს მისთვის მოხდენილი მეტაფორა კი არა ყოფილა, არამედ მსგავსი სწორედ იმ განცდისა, რაც მოგვიანებით ჯიბრანთან გულისა და ლურსმნების ხსენებითაც შეივსება, არსი კი ერთია – უშუალო განმეორება მაცხოვრის ბედისწერისა, ხელშესახებად წარმოსახვა მარადიული ტრაგიზმისა და იმედოვნებისა.

უილიამ ფოლკნერი ანდერსონისაგან სულაც არ ისესხებდა მაცხოვართან ყველა ადამიანის ამ სულიერი გაიგივების მრწამსს. ეს მისთვისაც არანაკლებ ბუნებრივი გახლდათ, პირადადაც განცდილი და მძაფრ მხატვრულ წარმოსახვებშიც გამოტარებული.

ამიტომაც აქვს მის ერთ პერსონაჟს – პატარა ბიჭს („შორეთში“) – ხელ-ფეხი დაჩხვლეთლი. ასეთი იბადება – ნაიარევებით, და ამ სიმბოლიკით ყველა ადამიანის თანდაყოლილი მიდრეკილებაა წარმოჩენილი – სვლა იმ სამყაროსაკენ, ჯვარცმით რომ დაკირულა, ამ სიმბოლიკაში გახვეულა და სათავედაც ის დარჩენილა კაცობრიობისათვის.

საკუთარი თავის პოვნა ამ ნაიარევთა შეგრძნებაა საკუთარ ხელ-ფეხზე, მერე კი ზიგზაგობრივი ძიება სათავისაც და საბოლოო ნავსაყუდელისაც, რაც ერთი და იგივეა – წრე იკვრის და ადამიანი, საკუთარი ცხოვრების ჯვარზე გაკრული, უერთდება მაცხოვრის წიაღს.

ხალილ ჯიბრანისათვის ყველა კაცი სწორი არ არის და მხოლოდ რჩეული იბადებიან ღვთაებრივი ნიშნით ალბეჭდილნი. ამიტომაც იტყვის მისი იესო ნაზარეტელი იოანე ნათლისმცემელზე: იოანე დედის მუცლიდანვე ჭრილობებით მონყლეული დაიბადა. ამ ჭრილობათა სისხლი კი გარეთ სიტყვებთან ერთად გადმოჩქეფდაო.

არაბი მწერლისათვის: იოანე ან ვინმე მისი მსგავსი უნდა იყო.

ამერიკელი მწერლისათვის: არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია რაიმეთი აღმატებულებას და სრულიად უჩინარი ადამიანიც ამ მაღლითაა დადალული.

არამცთუ უჩინარი.

თვით ბოროტმოქმედიც შესაძლოა ატარებდეს ქრისტეს ნილობას და მისი სახელი თუ ბიოგრაფიული დეტალები თითქოს უცნაურ, მაგრამ ღრმააზროვან მსგავსებას იჩენდეს მაცხოვრის სახეებასთან.

ჯო ქრისტმასიც („აგვისტოს ნათელი“) და პოპაი ვიტელიც („სავანე“) ძალაუნებურად გაგვახსენებენ იესო ქრისტეს: ქრისტმასი თავისი სახელითაც და იმ საგულისხმო რელიითაც, რომ შობა დღეს მიაბარებენ თავშესაფარში ამ უშობებო ბავშვს, ანუ ამ დღეს ხდება მისი ხელახლა დაბადება, პოპაი კი სულაც შობას იბადება. მაშ რატომაა წარმოსახული პირისხლიან დამნაშავედ, არანაირ უკეთურებას რომ არა თავილობს? ნუთუ ეს პაროდიაა სახარებისა და ფოლკნერს მაცხოვრის დაკნინება განუზრახავს? ან იქნებ ფრიდრიხ ნიცშესავითაა მოწადინებული, იესო ქრისტესთან უშეღავათო დავისას უფრო მკაფიოდ შეიცნოს მისი სახეც და საკუთარი თავიც?

მაგრამ ფოლკნერისთან ღრმად მორწმუნე პიროვნება გულშიაც არ გაივლებდა მაცხოვრის დაკნინებასა თუ სახარების პაროდირებას და არც ნიცშეს გაიმეორებდა – ის გზა უკვე მოსინჯულიყო და ამერიკელს თავისი უნდა ეძია, თუ ადამიანის სულის უფსკრულებში ჩახედვა ისე მოენდომებინა, იქაც ქრისტიანული სიმბოლიკა აღმოეჩინა.

მაშ რატომ იხატება ჯო ქრისტმასი ასეთი მრუმე ფერებით?

ანდა რატომლაა პოპაი ვიტელი მანიაკი და ბოროტმოქმედი, ვინც არ ინანიებს აურაცხელ დანაშაულთაგან ერთსაც კი?

ვითომ არ ინანიებს?

მაშ ის რას ნიშნავს, უდრტივინველად რომ ემორჩილება განაჩენს დანაშაულისათვის, რომელიც... არ ჩაუდენია?

ესეც ნუთისოფლის ტრაგიზმი და პარადოქსულობაა, რომ ბოროტმოქმედი მაინცდამაინც იმ ცოდვისათვის უნდა დაისაჯოს, რაც დაბრალდა, მაგრამ აქ ამჯერად ისაა დამაფიქრებელი, რომ თვით ასეთი ცოდვილიც – მითუმეტეს, ქრისტმასი – ქრისტეს ხელდებულისა, მასშიც ფეთქავდა მაცხოვრის სულის ნაწილი, ეგაა, გაღრმავება არ დასცალდა. ყოველ შემთხვევაში, მისი ალსასრული თითქოს ნოსტალგიაა ღვთაებრივ გარემოზე, სადაც დაბრუნება პოპაის არ ელირსა.

და მაინც:

გაუცნობიერებელი ნაბიჯია იქითკენ.

პოპაი პრიმიტიული ბუნების ადამიანი რომ არ იყოს, ფიქრის, განსჯის, თვითანალიზისაგან შორს მდგომი, იქნებ ალსასრულის წინაშე მდგარს რაღაც ამის მსგავსი ეთქვა: ჯვარცმულო, შენ ჯვარს ეცვი ჩემს გულზე და ლურსმნები, მაჯებში რომ გაგიარეს, ჩემი გულის კედლებს მიემსჭვალენო.

და კიდევ:

აქ, ამ ადგილას ორის სისხლი ინთხევა და არა ერთისო.

ხალილ ჯიბრანი იგავთა და სხარტულათა კრებულში მიაგნებდა იმ დვრიტას, რაც ძალდაუტანებლად უბიძგებდა, სუ-

ლაც რომანი ამოუშენებინა ამ საყრდენზე. მხოლოდ გაშლალა სჭირდებოდა, მითუმეტეს, კომპოზიციური აღნაგობის შერჩევისას წინ ედო წმიდა ოთხთავი.

ის მოტივი ამგვარი კომპოზიციური ნყოფისა სახარებიდან იღებს სათავეს: ერთი და იგივე ამბავი თუ პიროვნება წარმოსახულია სხვადასხვა ადამიანის თვალით. აქ იყო საძიებელი მიზეზი ცალკეულ სხვაობათა თუ წინააღმდეგობათა, რაც ოთხ სახარებას შორის შეიმჩნევა და ღვთისმგმობელი ხელზე დაიხვევდნენ, თითქოსდა შეცდომებისა თუ განზრახ გადახვევებისათვის მიეგნოთ. მათთვის შეუცნობელი დარჩებოდა ამგვარ სხვაობათა ფსიქოლოგიური საფანელი. საეჭვო ის იქნებოდა, ოთხივე მოციქული ზუსტად რომ იმეორებდეს ერთმანეთს, ის იქნებოდა სწორედ ერთი ავტორის მიერ შექმნილი და ოთხზე გადანაწილებული, თორემ განსხვავებანი ხომ იმას გამოუწვევია, ყველა ადამიანი თავისებურად რომ ხედავს, ყველა თავისებურად რომ იმასსოვრებს ერთსა და იმავე ამბავს.

მოდერნისტული პროზისათვის მახლობელი გახდებოდა ასეთი კომპოზიციური აღნაგობა. სახარებაც თვალწინ ედოთ და, ამასთან, მწერალი ნებაყოფლობით ამბობდა უარს იმ ყოვლისმცოდნეობაზე, კლასიკური ლიტერატურისათვის რომ არის ნიშანდობლივი. ის ყველაფერს უკვე ვეღარ განაგებდა, პერსონაჟთა ხასიათები თუ საქციელი მის ხელთ აღარ იყო და ერჩივნა ისეთივე მონაწილე გამხდარიყო თავის მიერვე შეთხზული ამბებისა, როგორც... მკითხველი.

ბოლოსდაბოლოს, მკითხველიც ხომ გარკვეულად მონაწილეობს პერსონაჟთა თავგადასავლის მდინარეებში, რაღაცას ხედება, რაღაცას ვარაუდობს, რაღაც გაუმართლდება, რაღაც – არა, ოღონდ უპირველესად მაინც სამყაროს იდუმალეობასა და შეუცნობლობას გრძნობს, გარეგან ქაოტურობას, რომლის იქითაც იქნებ კიდევ ჩამალულა წესრიგი – შეუმჩნეველი და დაფარული.

და როდესაც ჯიბრან ხალილ ჯიბრანის რომანი შეიქმნება „იესო – ძე კაცისა“, ეს კომპოზიციური სტრუქტურა უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა მოდერნისტულ მწერლობაში, ჯიბრანის თხზულებაში კი ყველაზე შესაფერისია ასეთი აღნაგობა, ერთმანეთს მარჯვედ შენივთებული სახარების მხატვრული მოდელი და მოდერნიზმის უკვე გამოკვეთილი ტრადიცია.

ეპოქა სხვა მხრივაც დააჩნევდა კვალს მაცხოვრის ბიოგრაფიის ამ ახალ გააზრებას.

იმთავითვე შეუნიშნავთ ნიციშეს ფილოსოფიური რომანის „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ გავლენა ხალილ ჯიბრანის ვრცელ პოემაზე „მოციქული“, თუმცა „იესო – ძე კაცისა“ ნაკლებ არ უნდა იყოს დავალებული ნიციშესაგან. გავლენის კვალი შესაძლოა ძალიან თვალმისაცემი არც იყოს, მაგრამ ჯიბრანის იესოს სახეზე მაინც გაირჩევა სწორედ ეპოქისმიერი დანაშრევები, მითოსს მოკლებული, ღმერთდაკარგული ჟამის სულიერი განწყობილებანი და მისწრაფებანი, ზეკაცის ელფერი, ადამიანსა და ღვთაებას შორის რომ დგას და ახალი ადამიანის დაბადებას მიგვანიშნებს, ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება გავიჩინდეს, იქნებ მთლად ის ღმერთიც არ იყოს, სახარება ასეთი ამაღლებული, გონებისათვის მიუწვდომელი სამოსელით რომ მოსავსო.

დანაშრევი დანაშრევეად, ეპოქის ხარკი ეპოქის ხარკად, მაგრამ ამაღლებული მაინც შეუნარჩუნებია ჯიბრანს და მთა-

ვარიც ესაა – იდუმალის განცდა არ წაშლია მის მიერ წარმოსახული მაცხოვრის სილუეტს და არ დამგვანებია, ვთქვათ, ერნსტ რენანის იესოს, არაფრით რომ არ განსხვავდება მატერიალისტური ჟამის რევოლუციონერთაგან, უფრო ზუსტად, იმ თეორიული წარმოდგენისაგან, რევოლუციონერთა დაშტამპულ პორტრეტებს რომ ამზადებდნენ.

გარეგნულად დრამატული იერთაც კი შემოსილა რენანის იესო, მაგრამ მოჩვენებითია და ყალბი ეს იერი. გმირს, ვთქვათ, რობესპიერი რომ ერქვას, თხრობის მანერა სწორედაც შესატყვისი იქნებოდა მისი ბიოგრაფიული ქარგისა, მაგრამ ამჯერად გმირი და თხზულების სტილი ისერიგად დაშორებია ერთმანეთს, ნამდვილი მკითხველისათვის ეს შეუსაბამობა კომიკურიც კი ხდება და გმირს მაცხოვრის, ნიგნი კი მისი ცხოვრების პაროდიად უფრო აღიქვამს, ვიდრე ახალი დროის სახარებად.

და ამიტომაც:

მიუხედავად მძაფრი ანტიქრისტიანული პათოსისა, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ რენანზე უფრო მეტად გვაგრძნობინებს იესოს ძალმოსილებასა და სიღიადეს, მისკენ სწრაფვის დაუმცხრალ სურვილს, და ჯიბრანსაც სწორედ ასე წაუკითხავს ნიციშეს ეს რომანი, არ მოტყუებულა იმ შეხედულებებით, რაც ამ ნიგნს ხელოვნურად შემოავლეს გარს, და სტილური მანერითაც გაუთვალისწინებია – თხრობის ხატოვანება და ექსპრესივა, ოდნავი პათეტიკურობა და გამოკვეთილი რიტმიკა.

აქაა საძიებელი ხალილ ჯიბრანის რომანის შინაგანი ტონალობა, რომლის სწორად მიგნებაც იმ მხატვრულ მოვლენად აქცევს „იესო – ძე კაცისა“ ამა თუ იმ ენაზე, რადაც წარმოგვიდგება მისი ქართული ორეული, ჩინებულად ამეტყველებული გიორგი ლოპუანიდის მიერ („დიოგენე“, 2003).

ენობრივ-სტილური თვალსაზრისით უთუოდ საგულისხმო იქნება ამ თარგმანის შედარება იზნ ალ-მუკაფას კლასიკურ ქმნილებასთან „ნიგნი ქალილასა და დიმნასი“ – თუ როგორ აღწევს მთარგმნელი სრულიად ახალ ენობრივ მდინარეებში ძველი სურნელების შენარჩუნებას, რიტმიკა როგორი განსხვავებულია ამ ორი თხზულებისა, მაგრამ ზოგადენობრივი მანერა ორივეგან მელოდიური თანხმიერებით შეზავებულია. ამჯერად მხოლოდ ჯიბრანის რომანს ვუკვირდებით, მისეულ ექოს იესოს ხმის წკრიალისა, მცდელობას – შევიგრძნოთ თრთოლა მისი სიტყვისა ჩვენს გულეში ნახევრად მივინყებელი საგალობლებით, ხანდახან რომ მეხსიერებაზე ცეცხლად გვეგზნებთან.

მწერალს მაცხოვრის ხმის ზანზალაკი ანკარა წყალსაც აგონებს და, როდესაც ამ უჩვეულო განცდის გადმოცემას ესწრაფის, უთუოდ ჩნდება საშპროება, რომანი უნებლიეთ სახარების პაროდიას არ დაემსგავსოს. მაგრამ მას სჯერა საკუთარი თავისა და იმ შეგრძნების უტყუარობისა, იესოს ქრისტეს ცხოვრებისა და პიროვნების უშუალო ხილვისა და ჯვარცმის მისტერიაში მონაწილეობის ხელშესახებ განცდას რომ უქმნის.

ჯვარცმული, შენ ჯვარს ეცვი ჩემს გულზე და ლურსმენები, მაჯებში რომ გაგაიარეს, ჩემი გულის კედლებს მიემსჭვალენო...

რომანის იესო უპირველესად კაცებრივი ბუნებით წარმოსდგება ჩვენს თვალწინ და ამას მთარგმნელი უცნაურობად



მიუთვლის ჯიბრანს, როგორც მარონიტ ქრისტიანს ანუ დიოფიზიტობის აღმსარებელს: ამ მრწამსის მიმდევართათვის იესოს ღვთაებრიობის უარყოფა ხომ შეუწყნარებელი მკრეხელობაა.

მაგრამ განა თხრობა უარყოფს მაცხოვრის ღვთაებრივ ბუნებას?

თუკი ეს მხარე იესოს არსებისა ისე თვალშისაცემი არ არის, როგორც კაცებრივი იერი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სახება წარმოჩნდება იმ მრავალი პერსონაჟის თვალთ, მისიის აღსრულების გზაზე რომ შეხვედრიან – ზოგი ერთი ჩავლით თუ ხანმოკლე გასაუბრებით, ზოგიც უფრო ხანგრძლივად. ჯიბრანისათვის ესაა ყველაზე დამაფიქრებელი და მნიშვნელოვანი – როგორ გამოიყურებოდა იესო რეალობაში, როგორ აღიქვამდნენ და რას გრძნობდნენ მის გარშემო მყოფნი.

უპირველესად, ცხადია, გარეგნულად მოხვედებოდათ თვალში, და ამის შემდეგ ან ინამებდნენ მისას და ან – არა.

კაიაფა მღვდელმთავარი აუღმღრვეელი სინდისით იმეტებს სასიკვდილოდ, რადგანაც დარწმუნებულია, მოსეს მცნების შებღალვა და ჩვენი წმინდა მემკვიდრეობის შებღალვა გაბედაო, გალილეელი ქვრივი კი მოხარულია მისი ჯვარცმისა, ჩემი შვილი თავის მიმდევრად აქცია და მე მომწყვობა, თითქოს სულში ავი სული ჩაესახლებინოს, და კაცი, ვინც დედის შვილს აცილებს, საეჭვოა, ღვთისმოსავი მორწმუნე იყოსო; ანანია მღვდელმთავარუხუცესიც ბრბოს კაცად და შარავზის ყაჩაღად იხსენიებს და მის ჯვარცმას აუცილებლობად მიიჩნევს: სჯობს ერთი კაცი მოკვდეს ერისათვის, ვიდრე მთელი ერი ერთი კაცის ხელით უფსკრულში ჩაიჩხოსო...

მაგრამ ხომ არიან სხვანიც, არამარტო მოწაფენი და მაღიარებელნი იესოს სიდიადისა, არამედ ისინიც, რომელნიც თითქოს ვერ უნდა ნვდებოდნენ მის ღვთაებრივ მადლს. ნაზარეთის ახლოს მცხოვრები მდიდარი ლევიტელისათვის იგი აკი ხელმარჯვე დურგალი გახლდათ და ისიც ისევე მიიწვია სახლის აგებისას, როგორც სხვა განაფული, გამოცდილი ოსტატები, და ყველას ნამუშევრით ნასიაჰოვნები და კმაყოფილი რჩებოდა. მაგრამ ჟამთასვლა გაახუნებს და წაახდის ყველა კარ-ფანჯარას, გარდა იესო ნაზარეველის ნახელავისა, თავიანთი სიმტკიცითა და შეუვალობით აბუჩად რომ იგდებენ ყველაფერს, რაც სახლის სიმყარეს მტრობს და ანადგურებს. ამან უნდა მიახვედროს სახლის პატრონი, რომ დურგლის ნაკეთობაში უფლის ხელი ურევია, პილატეს თანამეცხედრეს კი შინაგანმა ალლომ აგრძნობინოს ამ უჩვეულო პიროვნების დამატყვევებელი ხიბლი, ვისი ხმის ჟღერაშიც ლეგიონები გუგუნებენ, თვალები კი შემხვედრთ სულს უჩხრეკენ. ეს და ამგვარი პასაჟები კიდევ უფრო ხელშესახებად მიგვანიშნებს მაცხოვრის ღვთაებრივ წარმოშობას, ნამიერ ხილვაში გაცხადებულ ჭეშმარიტებას, რამაც პილატეს მეუღლესაც უნდა აუხილოს სულიერების თვალთ.

მაგრამ ჯიბრანი ამასაც არ კმარობს და მოკლე ჩანართში სრულიად ახლებურად გაიაზრებს სალომეს სახეს, არაერთი მხატვრული ქმნილების (გუსტავ ფლობერის „ჰეროდია“, ოსკარ უაილდის „სალომეა...“) გმირი რომ გამხდარა, მაგრამ მისი ბედისწერა მხოლოდ იოანე ნათლისმცემლის ტრაგიკულ ხვედრს გადაეჯაჭვის – ხომ მისი შუშპარა ცეკვის საზღაურად მოკვეთეს თავი წინასწარმეტყველს, ვინც იესო ქრისტე მონათლა იორდანეში. და, აი, ამ სალომეს უჩნდება უმწვავესი სურვილი, მუხლებში ჩაუფარდეს კაცს, ვინც ტოტებგაბარჯლულ, მზის შუქდაღვრილ ალვის ხეს აგონებს, და მოინანიოს: ვნების წუთებში შენი მეგობრის სისხლი დავლვარე და ნუთუ არ მომიტევენ ამ შეცოდებას, რათა აზატქმნილი გავემურო შენს სინათლემიო.

სჯერა: მომიტევენდა და ჩემში ჰპოვენდა ადგილს თავის სწავლათათვის, მას ხომ შიმშილის ერთი ხევიც არ დარჩენია ხიდეგაუდებელი და წყურვილის ერთი უდაბნოც – გადაულახავიო.

სახარების დასაწყისშივე სიუჟეტიდან გამქრალი სალომე ჯიბრანის აპოკრიფულ სახარებაში კვლავ უბრუნდება თხრობის მდინარებას, რათა თავისი არსებობით კიდევ ერთხელ დაადასტუროს „იესო – ძე კაცისას“ სწორედაც დიოფიზიტური პათოსი. და ეს ძალდაუტანებლად ხდება, რადგანაც მარონიტი ქრისტიანი (ბოლოსდაბოლოს, მწერალი და არა სასულიერო პირი), სხვაგვარად ვერც გაიაზრებდა მაცხოვრის ახლებურ ბიოგრაფიას, რომელსაც – მოდერნული პროზის კვალობაზე – შეუძლებელია შეენარჩუნებინა სიუჟეტური თანმიმდევრობა და კლასიკური კომპოზიცია, მწერალს მოზიკა ურჩევნია – თავისი მოულოდნელი გადასვლებითა და შინაგანი დაფანტულობით, გულისგულში კი მკაცრი წესრიგი ჩაბუდებულია და ხალილ ჯიბრანის უშუალო შემოსვლაც თხრობაში კომპოზიციური ჩარჩოს განუყოფელი ნაწილია და არა ბოლოსიტყვაობად გამიზნული დითირამები.

ეს დითირამები ლექსადაა შეთხზული, მაგრამ რომანის ერთი-ორი მოზიკური ფრაგმენტიც ვალექსილია, იქნებ იმიტომაც, ფინალური მონაკვეთი განკერძოებულად არ მოგვჩვენებოდა.

კომპოზიციური ჩარჩოს უშუალო რგოლი რატომ არის დროში ასერიგად – ცხრამეტი საუკუნით – დაშორებული ნაწილი?

რატომ და:

მარადისობის განცდა რომ გვაგრძნობინოს გაყინული დროის შემწვობით, იდუმალების სუნთქვა გაგვიეღვოს და შარავანდად დაადგეს თითქოსდა გარდასული ჟამის წარმოსახვით სურათებს.

მოდვარო, ჩვენი მარტოობის საათთა მეუფეო, – შეღალადებს მაცხოვარს რომანის ფინალი, – აქაც და იქაც, აკვანსა თუ სამარეს შორის ვხვდებით შენს უდრტკინველ თანამომძმეთ – თავისუფალ, უბორკილო კაცებს, ძეებს დედაშენისა – ცისა და მიწისა, ცის ფრინველთ რომ ჰგვანან და შრომანებს ველისას, შენი სიცოცხლით რომ ცხოვრობენ, შენი ფიქრები აფიქრებთ და შენი საგალობლების ხმას ექოსავით იმეორებენო.

ამ ექსტაზური განცდისას ჯიბრანი „მცირე ჯვარცმებს“ ახსენებს: ეს თავისუფალი, უბორკილო კაცები დიდი ჯვარცმით არასდროს ჯვარცმულან და წუხან ამაზე, თუმცა საწუთრო მათ ჯვარს აკრავს დღენიადაც, მცირე ჯვარცმებითო.

თითქოს ველარ ბედავს იმავე პირდაპირობით გაიმეოროს სულიერი შეხვედრის ღვთაებრივი შეგრძნება: ჩემს გულზე ეცვი ჯვარს და შენს მაჯებში გავლილი ლურსმნები ჩემი გულის კედლებს მიემსჭვალნენო.

რომანში საცნაურია ეს მხატვრულ-იდეური მრწამსი, შინაგან ლაიტმოტივად გასდევს, მაგრამ ერთხელ გამოთქვა „ქვიშასა და ქაფში“ და მეორედ ერიდება, პატარა ჯვარცმის ხსენება ურჩევნია.

და მაინც:

თვითეული ჩვენგანის გულზეა ჯვარცმული მაცხოვარი. და გულის კედლებს ლურსმნები რომ გიფატრავს, ნუ იკითხავ, აქ საიდან მოხვედრილაო.

ეს ის ლურსმნებია, მაცხოვრის მაჯებში ჩაჭედებული.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანივით ჩვენც გვჯერა, რომ სამყაროს გული იესოს გულის რიტმს აჰყოლია, მაგრამ ნაზარეთთან ახლოს მცხოვრები იმ სახლის მეპატრონისა არ იყოს, როგორ გამოვარჩიოთ ისინი, რომელთა მაჯაც უფლის ხელს უპყრია, როგორ ვიცნოთ ხელი უფლისა?

* * *

„ექსპონატები დახმარებას ელიან“ – ასე ნინო დეკანო-
იძის ლიტერატურული ნარკვევია დასათაურებული აკაკი
წერეთლის სახლ-მუზეუმზე; ვახტანგ ჭელიძის „ლიტერა-
ტურულ საქართველოშია“ გამოქ-
ვეყნებული და ეს გარემოება განსა-
კუთრებით ზრდიდა ყველა ჩვენგან-
ის პასუხისმგებლობას. ასეა ყო-
ველთვის, როდესაც ესა თუ ის გა-
მოცემა სალიტერატურო მოვლენა-
თა შუაგულში დგას და მის მდინა-
რებას ყველაზე რელიეფურად გან-
საზღვრავს.

ნარკვევი საკმაოდ ცოცხლადაა
დანერვილი და არაერთი საგულის-
ხმო ცნობაცაა ჩართული, მუზეუ-
მის მონახულებისას საგულდაგუ-
ლოდ შეგროვებული. ერთადერთი
სადილის მენიუს ჩართვა არ უფიქ-
რია ნარკვევში ავტორს, სტამბური
წესით გადაბეჭდილი ფურცლისა,
საგანგებოდ სტუმრებისათვის რომ
შეედგინათ. გადმოწერით გადმო-
წერდა, ოღონდ უფრო იმიტომ, ამ
ეგზოტიკური ჩანაწერით ჩვენ გავე-
ხალისებინეთ, თანამშრომლები თუ
მეგობრები.

გახალისდებოდი, აბა, რა იქნე-
ბოდა, როდესაც ამ მენიუს თვალს
გადაავლებდი:

„სადილი აკაკის სახლში, 25 მკათათვე 1899 წ. – წვანი-
ლი, ზურგიელი, სულგუნი. რაჭული ლორი ღომით, ა/კალ-
მახი ცივად, ბ/ ინდოური ჩაღებული, გ/ ცივი დედალი,
დ/ ბეჭი სანებლით, ე/ ჩიხირთმა; ა/ გოჭი შინდის ჩურჩით,
ბ/ ვარიები ისრიმ-მაცვლით, გ/ სუკის მწვადები; ტკბილი:
ა/ მაცვლის ფელამუში, ბ/ ნაყინვი, გ/ ხილი“.

იქვე სქოლიოც დაერთოთ:

„მოლხენა ქართული – ღვინის სმა სურვილისამებრ –
დაძალეა აღკრძალულია, უკუღმართი მრავალჯამიერი

და სხვა მაგვარი უარყოფილი (დაბა საჩხერე)“.

ვახტანგ ჭელიძე ნარკვევს რომ ნაიკითხავდა, ამ ჩანა-
წერს მოისაკლისებდა: ის მენიუ სად არის, აქ ერთი სი-
ცილ-კისკისი რომ გაგქონდათო.

რას გამოაპარებდი.

– ის ისე გადმოწერე, ნარკვევი-
სათვის არ მიფიქრიაო, – ნინომ.

– რას ამბობ, – გაიოცებდა რე-
დაქტორი, – მთავარი ეგაა და უმა-
გისოდ?.. ახლავე ჩაამატე.

ნინო დაემორჩილებოდა, მაგრამ
ვერ გაიგებდა, ამისთანა მაინც რა
უნდა ყოფილიყო ეს უბრალო ფურ-
ცელი, წვრილმანი იმხელა სახელი-
სათვის, აკაკი წერეთელი რომ გახ-
ლდათ. ნარკვევს თუ არას დააკლებ-
და, არც არაფერს შემატებდა. არა-
და, ვახტანგ ჭელიძე ეუბნება: მთა-
ვარიო!

მერე მიხვდებოდა, წლები რომ
გავიდოდა და დოკუმენტური პრო-
ზა ბელეტრისტიკაზე მეტად გაიტა-
ცებდა – ბიოგრაფიული რომანები,
მემუარები, დღიურები, ეპისტოლე-
ები. იქ ასეთ „წვრილმანებს“ განსა-
კუთრებული მნიშვნელობა ენიჭე-
ბოდა და ხშირად ადამიანის ყოფისა
თუ ფსიქიკის ისეთი შრეებიც გაეხ-
სნა სრულიად მოულოდნელად, სხვა


მხრივ დაფარული რომ დარჩებოდა.

და თავის იმ ოდინდელ ნარკვევს რომ გადახედავდა, –
მარტო ამ მენიუსათვისაც ღირდა სხვიტორში ასვლაო, –
გაიფიქრებდა, – ეს რის გამოტოვებას ვაპირებდიო!..

ამისთანა „წვრილმანები“ სასინჯი ქვასავითაა.

როდესაც მათ დაფასებას ვისწავლით, ვიგულისხმობთ,
რომ სამყაროს უამრავ საიდუმლოებათაგან ერთი მაინც
გვაქვს ამოსხნილი.

მანამდე კი ვიხალისოთ, რა გვენაღვლება.



შარყი ზაალ სულაკაურისა

* * *

– შაქარი გვინდა, შაქარი, – დრტვინავს ქუთაისი, – ეს მაინც გვალისეთ!..
ოტია იოსელიანს ძალიან უკვირს ასეთი მღელვარება და თავის გამოცებას ქალა-
ქის ტელევიზიითაც გამოხატავს.

ჯერ ერთს გემრიელად გააბოლებს ჩიბუხს, რათა შინაურულად დაამუნათოს თა-
ნამემამულენი:

– რა გახდა ეს შაქარი, გაგონილა ამდენი ლაპარაკი?.. ბოლოსდაბოლოს, ჩაის
თაფლი მიატანეთ.

არა, ყველა ქალაქს თავისი მრჩეველი უნდა ჰყავდეს.



* * *

აპოლონ ცანავა სულ მზად იყო ვინმესთვის ესამოვნებინა. არაერთი სასიკეთო საქმე უკავშირდებოდა მის სახელს ფოლკლორისტიკაში, მაგრამ გულს მხოლოდ ხალხური ზეპირსიტყვიერების კვლევა-ძიებას ვერ შეაჯერებდა და სიჭარმაგისას სალიტერატურო კრიტიკაშიც გადაინაცვლებდა. სულითა და გულით ჩაერთვოდა სამწერლო პროცესში და ხშირად იბეჭდებოდა მისი რეცენზიები თუ გამოხმაურებანი. ვისაც პრესის ფურცლებიდან ვერ შეაშველებდა გამამხინვეებელ სიტყვას, პირადი შეხვედრისას აუცილებლად მოუწონებდა ახალ პუბლიკაციას. არასოდეს დაავიწყებოდა სიხარულის გამოსატყვამ, და რაკილა ყელის ოპერაცია ლაპარაკს გაუძნელებდა, სათქმელს მაღლა შემართულ ცერა თითს შეაშველებდა ხოლმე.

სულ რედაქციებსა და გამომცემლობებში ტრიალებდა.

გივი ალხაზიშვილსაც ხშირად აკითხავდა „მერანში“ – ნიგინს გამოსაცემადაც, ლიტერატურაზე სასაუბროდაც.



ერთხელაც გულითადად რომ ბაასობენ, გივი რამდენჯერმე მიმართავს ასე: ბატონო შალვაო.

ის არ შეუსწორებს. ესეც აღარ მოეშვება. ბატონო შალვა და ბატონო შალვაო.

ისევ მე გამოვიდებ თავს:

– შალვა კი არა, აპოლონი.

გივი შეწუხდება:

– მეზობელი მყავდა შალვა ცანავა და ასოციაციურად წამომავინდა მისი სახელიო.

– მერე თქვენ ვერ შეუსწორებთ, ბატონო აპოლონ? თუ სახელის გამოცვლა გირჩევნიათ? – ახლა იმას მივუბრუნდები. შეთამამებულის ვყავდი.

– იცი რა არის? – განმიმარტავს, – გივი ისეთი კარგი პოეტი, უფლება აქვს, რაც უნდა დამიძახოს.

გივი ბოდიშობს.

აპოლონი კი:

– არა უშავს, არა უშავს, იყოს შალვა, რა მოხდა მერე, ამ ბოლო დროსაც რა შესანიშნავი ციკლი გამოაქვეყნე, – ცერა თითსაც შემართავს, – ასე რომ, იყოს, იყოს...

* * *

სტუმარი ხინკალს მიირთმევს. მასპინძელი ისევ და ისევ უმარჯვებს.

ერთი ანეკდოტი გაგახსენდებოდათ, თუმც მამინვე გულში გაივლებდით, ის როგორ იქნება, აქამდეც ჩაუნერიათ და დაუბეჭდავთ და „ნაკვეთების“ ციკლში რაღა უნდაო.


არადა, ისაა:

– მეტი აღარ მინდა, – უარობს სტუმარი, – უკვე თორმეტი ცალი გვახვლით.

– თორმეტი კი არა, ჩვიდმეტი იყო, – უსწორებს მასპინძელი, – მაგრამ ვინ გითვლის, მიირთვი, კიდევ მიირთვი!.. ცხადია, აქ არც მოხვდებოდა, ამით რომ მოგვეთავებინა.

მაგრამ ჩვენი ჩანაწერი გრძელდება და ცნობილი ანეკდოტი ერთგვარ ფონად გამოგვადგება ერთი საჭადრაკო ეპიზოდისათვის, დაბეჯითებით რომ ვერავინ იტყვის, მართლა მოხდა თუ მხოლოდ ხუმრობაა.

მსოფლიო პირველობის მატჩის მე-18 პარტიაში ბორის სპასკისთან რობერტ ფიშერი უეცრად მოწყვეტს მზერას



დაფას და ხმამაღლა წამოიძახებს:

– გოგონავ, მეთორმეტე რიგში რომ ზიხარ, ახლავე შეწყვიტე შაქარყინულის წუნენა.

– რა მოხდა, ეს მხოლოდ მესამეა, – მიუგებს 8 წლის გოგონა.

– მესამე კი არა, მეშვიდე, პატარა მატყუარავ, – აწყვეტინებს ფიშერი, – როგორ გგონია, დათვლა არ ვიცი?..

დათვლაში ვინ შეედრებოდა, მაგრამ შაქარყინულების სათვლელად მაინც სად ეცალა, თანაც... მეთორმეტე რიგში, თანაც... მსოფლიო პირველობაზე. მოგონილიც რომ იყოს, ფსიქოლოგიურად უტყუარია.

როგორ გინდა ახსნა?

„ის პოეტი იყო და სძულდა უზუსტობა“ – ეს მარია რაინერ რილკეს სენტენციაა.

იქნებ ვინმე ახირდეს, ეგ აქ რა მოსატანია, ან ის მასპინძელი რომელი პოეტი იყო, ან ფიშერის პოეტობა ვინ თქვაო.

მოდით ჩვენ მაინც რილკეს დავუჯეროთ.

აჰმად არაბლუ

ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი¹

ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი ნამდვილად ღირსეული კაცი იყო! იგი ბავშვობაში მამის კარზე დაეუფლა ვიროსნობასა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხენოსნობასთან დაკავშირებულ მეცნიერებათა საფუძვლებს და ჯერ კიდევ შეიძირვა წლისა „ომობანის“ სასწავლად მამის ცხენზე შემომჯდარი მასთან ერთად აქეთ-იქით დაჭენაობდა. რა თქმა უნდა, მამამისიც მოჰამადჰასანხან ყაჯართაგანი იყო!² ეს ამბები ნადერ-შაჰის³ სიკვდილის შემდეგ ხდებოდა. ამიტომაც ქვეყანაში ანეწილ-დანეწილი ვითარება იყო და თუკი ვინმე ფეხმარდ ბედაურსა და ელვარე ხმალს ხელთ მოიგდებდა და რამდენიმე კაცს გარს შემოიკრებდა, ხალხს დაერეოდა ხოლმე, ნადერის გვირგვინი და ტახტი ჩემიაო. ასეთ არეულობაში ერთი ავღანელი ძიაც, სახელად აზად-შაჰი,⁴ მარაქაში გაერია: „ნადერ-ჯანის მემკვიდრეობის გულისათვის ასეთი დავა რომ აგიტეხავთ, სანამ თქვენთვის ძალა დამიტანებია, ტკბილი ენით გეუბნებით, მომეცით ჩემი წილი, ნადერი ხომ ჩემი სისხლი და ხორცი იყო“.

მოჰამადჰასანხანიც თავისი ბანდით სულ აქეთ-იქით დარბოდა, ხალხს თავში ხმალს ურტყამდა და გაიძახდა, ნადერის გვირგვინი და ტახტი მე მეკუთვნისო.

ხალხიც კვერს უკრავდა: „კი ბატონო, მიბრძანდი და აიღეო“.

ისიც პასუხობდა: „ქერიმხანი⁵ არ მანებებს, თორემ ავიღებლიო“.

ქერიმხანიც ამბობდა: „დილაღ კარგად ვიქცევი, აი, შენ კი დაგებრმავდეს თვალებიო!“

მოჰამადჰასანხანი ჯერ კიდევ მტვერ-ბღღვირს აყენებდა, როცა რამდენიმე კაცმა მისი სანათესაოდან დაიმართო ხელა იგი და იმდენ ხანს სჭრეს თავი, ვიდრე არ მოკვდა. შემდეგ თავ-ფეხი ტომარაში ჩაყარეს და ისეთი სისწრაფით გააქანეს ქერიმხანისაკენ, რომ გზაში რამდენჯერმე ნაიქცნენ კიდევ და კინალამ ფეხის ცერა თითები თვალში იტაკეს (ამ საწყლებს კი ეპატიებოდათ, რადგან თავს ეზიდებოდნენ!)

მოჰამადჰასანხანის ნათესავებმა მოკლულის თავი ქერიმხანს უფუქქაშეს, რათა ამ გზით ქერიმხანთან საკუთარი წერილ-წერილი ანგარიშები გაესწორებინათ. მაგრამ ქერიმხანმა, რადგანაც კარგი ქერიმხანი იყო, ეს გარეგნულად არ შეიმჩნია, მხოლოდ გულში გაიხარა და ბრძანა, მეტოქის თავი მინისტვის მიებარებინათ!

მთელი რიგი ისტორიული მოვლენებისა და ცვლილებების შემდეგ, ჩვენ რომ არ გვეხება (ისტორიულ პირთა პირად ცხოვრებასთან, აბა, რა გვესაქმება?!), ალა-მაჰმად-ხანი ქერიმხანის კარზე მიაბრძანეს, რადგან შიშობდნენ, ვაითუ იმ ჭკუაზე დადგეს, რომ მამის ცულლუტობანი გააგრძელოსო. აი, ამ გზით ქერიმხანი ვითარების ბატონ-პატრონი გახდა.

ასე და ამგვარად, ალა-მაჰმად-ხანი ქერიმხანის კარზე დაყალიბდა და ხანდახან ძალიან რომ მოეწყინებოდა, სასახლის მიდამოებში „მელაკუდობანას“ თამაშს იწყებდა.

(უბედურის ერთი ალა-მაჰმად-ხანი მელიებს იჭერდა და სავარაუდოდ სასახლიდან ჩუმად ანაპნილ ზანზალაკებს ყელზე აბამდა, მერე კი უშვებდა. კისერზე ზანზალაკებზე ული ბედკრული მელია, როგორც კი კურდღლების მონადირებას დააპირებდა, ზარების ჟღარუნზე მსხვერპლი მოახლოებულ საფრთხეს იგებდა და გარბოდა. სანყალი მელაკუდა კი, რომელსაც კისერზე ზანზალაკები ეკიდა, ისე იმშეოდა, რომ დროთა განმავლობაში აუტანელი შიმშილისაგან თავის დასაღწევად სხვა გზა აღარ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ მომკვდარიყო. აი, ამ თამაშს ჰქვია „მელაკუდობანა“!)

ამის მერე სასახლეში რომ ბრუნდებოდა, ერთ კუთხეში ჯდებოდა და ავადმყოფივით სასახლის ხალიჩებს უჩუმრად ფრჩხილებით ფხაჭნიდა.⁶ განა ხალიჩებისა რა ბრალი იყო? ვთქვათ, ქერიმხანი მამაშენს ებრძოდა, მერედა, სანყალმა ხალიჩებმა რა დაგიშავეს, რომ ფხაჭნი? ბოლოსდაბოლოს როდემდე შეიძლება, აღამიანმა ითმინოს ამგვარი საქციელი...

მოლით, ახლა ტყუილად ნუ ავლელდებით. იმას მოგახსენებდით, რომ ალა-მაჰმად-ხანს ერთი მამიდა ჰყავდა, რომელიც, ბედის განგებით, ქერიმხანის ცოლი იყო ანუ, სინამდვილეში, ქერიმხანი ალა-მაჰმად-ხანის მამიდის ქმარი გახლდათ! ჰოდა, უსაქმური ალა-მაჰმად-ხანი სასახლეში ჭამდა, სვამდა, იძინებდა და იმაზე ოცნებობდა, ქერიმხანის სიცოცხლეს მალე ბოლო მოეღებოდა და მასაც სასახლიდან თავი დაეღწია. სხვათა შორის, რამდენიმე წელიწადში ქერიმხანი წუთისოფელს გამოეთხოვა და მოკვდა. (ამბობენ, გამეფების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანს საფლავიდან ქერიმხანის ძვლების ამოთხრა და თავისი სასახლის კიბის ძირში დაფვლა უბრძანებია იმ განზრახვით, რომ ზედა სართულებზე ასვლისას ქერიმხანის ძვლებზე დაებიჯებინა ფეხი. მე, პირადად, ვთვლი, ქერიმხანი კარგად მოიქცა, რომ მოკვდა, რადგან იმ ოხერს ცოცხალი რომ ჩავარდნოდა ხელში, შეიძლება ძვლებიანად შეეჭამა!)

მამიდა ალა-მაჰმად-ხანს შეატყობინა: „შე ოჯახაშენებულო! რას დამჯდარხარ, რამდენიმე წუთის წინ მამიდაშენს ქმარი მოუკვდაო.“ (ზოგიერთი მიკერძოებული უმამიდოს შეხედულების საწინააღმდეგოდ, ვხედავთ, რომ მამიდის ყოლა, ისიც სამეფო კარზე, დიდი წყალობა და ერთობ სასარგებლო საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ კაცი სხვებზე ადრე გაიგებს, რომ მამიდას ქმარი გარდაეცვალა.)

ალა-მაჰმად-ხანმა ძლიერ გაიხარა, მივიდა სასახლის ალაყაფთან და გუშაგები მოთაფლა: „ჩემი შევარდნით „შე-ვარდნობანას“ ვთამაშობდი, ფრთა ფრთას შემოკრა და გალავნის იქით გადაფრინდა... თუ შეიძლება, გარეთ გავალ და შემოვიყვანო...“ გუშაგებმაც უთხრეს: „გადი, ოღონდ მალე დაბრუნდით!“

ალა-მაჰმად-ხანმა თავი სასახლის გარეთ რომ დაიგულა, კისრისტეხით გაჰქუსლა გორგანში, თავის სოფელ ასთარაბადისაკენ და მორთო ყვირილი; „ეჰეი... მამიდაჩემის ქმარი მოკვდაო!“ ნათესაობამ ალა-მაჰმად-ხანი თავიდან ვერ იცნო, რადგან სახე გადასწორებული ჰქონდა, მაგრამ მას მერე, რაც თავისი ამოსაცნობი ნიშნები აჩვენა, მიხვდნენ, რომ ნამდვილად ის იყო და სასწრაფოდ გაჰყვინენ, რათა ტახტზე დაესვათ და მისთვის თავზე სამეფო გვირგვინი დაედგათ.

სანამ ხალხი იმას გაარკვევდა, ვინ მოკვდა და ვინ გაცოცხლდა, ალა-მაჰმად-ხანმა იქვე ახლომდებარე რამდენიმე სოფელს, დაბასა და ქალაქს სიკვდილის ცელივით ზედიზედ გადაუარა და მიისაკუთრა. შემდეგ თავი დაადო და პირდაპირ თეირანს მიაშურა. ქალაქის მოსახლეობას განუცხადა: „გადასახადი უნდა გადამიხადოთ, რადგან ძალიან კარგი ქონებრივი მდგომარეობა არა მაქვს, არადა, ქვეყანა მტერს უნდა შევებრძოლო“.

(იმხანად თეირანი, ერთი მხრივ, მაზანდარანსა და გილანს, მეორე მხრივ, კი ირანის ცენტრალურ ოლქებს შორის ანუ თითქმის იმავე ადგილას მდებარეობდა, სადაც ახლა დგას. აქედან გამომდინარე, თუ ვინმე ჩრდილოეთში აჯანყდებოდა და ცენტრალური ოლქებისაკენ წასვლას განიზრახავდა, გზად თეირანში შეივლიდა, ერთხანს იქ დაბანაკდებოდა და მოსახლეობას ხარკს ართმევდა. ვინც ცენტრალურ ოლქებში წამოიწყებდა ჯანყს და მოინდომებდა გილანსა და მაზანდარანზე თავდასხმას, ისინიც თეირანს მიადგებოდნენ და ხალხს ბეგრავდნენ. ამიტომაც იყო, რომ თეირანელები უზომო გადასახადებისაგან შესასავით იყვნენ გამომშრალნი და იხოცებოდნენ). თეირანის მოსახლეობამაც უპასუხა: „აქამდე იმდენი გადასახადი გავიღეთ, რომ შენთვის მოსაცემი აღარაფერი დავრჩაო“. ამაზე ალა-მაჰმად-ხანმა მიუგო: „თუ ფული არ გაგაჩნიათ, მაშინ მომცით, სახლში რაც კი დოქი, ვარცლი, ტაშტი, თასი და სხვა მსგავსი სპილენძის ჭურჭელი გაბადიათ, ამ მცირედზეც ყაბულსა ვარო.“

მოქალაქეებმაც ალა-მაჰმად-ხანს მთელი თავისი სპილენძის ჯამ-ჭურჭელი გამოუტანეს, რათა თავიდან მოეშორებინათ. შემდეგ ალა-მაჰმად-ხანმა მთელი ეს სპილენძის ნივთები გადაადნო და საკუთარ სახელზე ფული მოჭრა. ამ გზით კარგად რომ გამდიდრდა, თავისი ფულით საკმაოდ ბევრი საომარი ხარა-ხურა იყიდა და სხვა ქალაქთა დასაპყრობად გაეშურა. გარეშეშო ხომ ჯერ კიდევ იმდენი აუღებელი ქალაქი იყო! ალა-მაჰმად-ხანმა კიდევ რამდენიმე ქალაქი იგდო ხელთ, თავის ნათესავებს ჩააბარა, დანარჩენებს კი მიმართა: „ვისაც ქალაქი გნებავთ, მომყვიეთო“.

აქ აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ ალა-მაჰმად-ხანს საოცრად ძლიერი ბანი ჰქონდა. ხმადაბლაც რომ დაეძახა, შეიძლებოდა ათ მეტრში მდგარ ადამიანს ყურის აპკი გასკდომოდა. ვისი ყურთასმენაც გამოცდას გაუძლებდა, მას გულში დასციინოდნენ. ამიტომაც ალა-მაჰმად-ხანმა ერთი დიდი დოლი ამოიიღლია და როდესაც ბრძანება ჰქონდა გასაცემი, ყვირილის მაგიერ დოლს უბრაგუნებდა. (აბა, ერთი, წარმოიდგინეთ, ალა-მაჰმად-ხანს რომ მოესურვებინა ეთქვა: „ეჰეი, ისე ნუ იზამთ, რომ ზაბოლხან ზანუზის ეგ-ზოზის ზუზუნის ზრიალში გადაიზარდოს...“⁷, ამ შემთხვევაში უბედური მეომრები რას გაიგებდნენ?!)

მოკლედ, ალა-მაჰმად-ხანი დაფის ცემით შირაზს მიადგა და დაიპყრო. მერე ქერმანი გაახსენდა და მაგრად დასცხო დოლს: „ეჰეი, ხალხო, გარეთ გამოდით და ქერმანი დამითმეთ, ძალიან ვსაჭიროებ!“

მაგრამ ქერმანელებმა არათუ არ ჩააბარეს საკუთარი ქალაქი. არამედ, პირიქით, დილაობით რიგრიგობით გამოდ-

გებოდნენ ქალაქის ქონგურებსა და გალავანზე და ალა-მაჰმად-ხანს აჯავრებდნენ. ალა-მაჰმად-ხანი რამდენიმე თვე ქერმანის ირგვლივ ღობე-ყორეს ედებოდა. ბოლოს მოთმინება დაკარგა და თავისიანებს მიმართა: „დავწყდით გარე-გარე ხეტიალით! რაკილა ქერმანელები არ გვენებდებიან, ქალაქის შემოგარენში ბანაკი დაეცით, კარვის ქალაქი გააშენეთო...“

მერე ქერმანის მოსახლეობას შეუთვალა: „მაშ, არ გვენებდებით არა? ჩვენც აქ იმდენ ხანს დავრჩებით, სანამ არ დაგვემორჩილებითო...“ ამასობაში ერთმა კაცმა, სახელად ჰოსეინყული-ბეგმა, მოინდომა ამ ვითარებაში მრავალფეროვნების შეტანა, კერძოდ, გადანყვიტა ელალატა ლოთფალიხან ზენდისათვის,⁸ რომელიც ქერმანში იდგა. თავისი ერთგული ოცდაათ-ორმოცკაციანი რაზმით ქალაქის კარიბჭეს დაეცა და შიგნიდან გაალო. (საბრალო ჰოსეინყულიბეგი. საკუთარმა მოლალატობამ დალუპა. როდესაც ქალაქის კარიბჭე გასხნა, თავის მეომრებთან ერთად განზე გადგა, ხმალი იშიშვლა და ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარს „ბაი, ბაის“⁹ ძახილით შეეგება, ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარი მის „ბაი, ბაის“ ვერ მიუხვდა, ის კი არა, ეგონა, გვაგინებენო, და ყველა მათგანს პირადობის მონმოზა გაუუქმეს).

ამრიგად, ალა-მაჰმად-ხანის მოლაშქრეებსაც, სხვა რა უნდოდათ, შეიჭრნენ ქალაქში. თვალბედასაც ალა-მაჰმად-ხანმა ბრძანება გასცა და თვალის ერთ დახამხამებაში მთელ მოსახლეობას თვალები დათხარეს. თვალების დათხრით რომ გული იჯერა, თეირანს მიაშურა და დედაქალაქად გამოაცხადა. ნადერ-შაჰისაზე უფრო დიდი გვირგვინის დამზადება ბრძანა. „მეგვირგვინეებიც“¹⁰ კაცურად მოიქცნენ და ათ-თორმეტკილოიანი გვირგვინი გაუზადეს. ალა-მაჰმად-ხანმა თავზე რომ დაიდგა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს კისერი ტანში ჩაუვარდაო! უმალ თავის დოლს დასცხო: „ეჰეი, მომამორეთ ეს გვირგვინი, ლამისაა სული გამეპაროსო...“

მეგვირგვინეებმა გვირგვინი წაიღეს. შემდეგ ალა-მაჰმად-ხანმა შაჰროხი,¹⁰ ნადერის ერთ-ერთი შვილიშვილი მოიკითხა, რომელიც უსინათლო იყო და მაჰმადში ბრმად მმართველობდა. შაჰროხს უთხრა: „ტკბილად მითქვამს, აბა, ნადერის განძი ჩქარა აქეთ გამოუშვი, თვალ-მარგალიტი ძალიან მიყვარსო“. შაჰროხმა უპასუხა: „ერთი ამას დამიხედეთ! რომელ განძზე მელაპარაკები? რაც კი იყო, ყველაფერი ნადერმა თან ჩაიტანაო“. ალა-მაჰმად-ხანის ბრძანებით ცოტაოდენი ტყვია გაადნეს და გავარვარებული სითხე შაჰროხს თავზე დაასხეს. ერთი რამე ვერ გაეგო ალა-მაჰმად-ხანს: რაც უფრო ზრდიდნენ გავარვარებული ტყვიის ოდენობას, შაჰროხიც „განძის მპოვნელის“ მსგავსად სულ უფრო მეტ განძსაცავს ასახელებდა. ალა-მაჰმად-ხანი მეტად გონიერი ადამიანი გახლდათ, მღულარე ტყვიასა და ოქროს შორის აღმოჩენილი მარტივი თანაფარდობით ბოლოსდაბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საწყალ შაჰროხს იმდენი ტყვია უნდა დასხმოდა თავზე, რომ მთელი მსოფლიოს საგანძურები ჩამოეთვალა. მაგრამ, საუბედუროდ, შაჰროხმა როგორც კი ყველაზე დიდ განძზე მიუთითა, მეტსმეტე



ალა-მაჰმად-ხანი

ტკივილებისაგან სული განუტევა და სავარაუდოდ ამავე მიზეზით ველარ შეძლო სხვა საგანძურთა ადგილსამყოფელის მინიშნებაც. (ალა-მაჰმად-ხანი იმდენად გონიერი იყო, რომ იმ დროს, როდესაც მედიცინა ჯერაც არ განვითარებულიყო, ერთხელ თვითონ დაიმართა ინფარქტი!)

ლოთფალიხან ზენდის მოკვლის შემდეგ ალა-მაჰმად-ხანს ზენდიანთან დაკავშირებით გული დაუმშვიდდა და საკუთარ ძმებს მისდგა. ძმები უსაზღვრო ალერსით დააბრმავა, ძმათაგან საუკეთესო, სახელად ჯაფარყულიხანი კი, რომელიც მას მანამდე ბევრჯერ დაეხმარა, საკუთარ სასახლეში ერთ ბრწყინვალე წვეულებაზე მოახსრო. ეს ასე მოხდა: ერთ დღეს ჯაფარყულიხანი სადილსა და ტკბილეულზე სასახლეში მიიწვია და ბრძანა, სადილის მაგიერ მისთვის ყელზე საუკეთესო ქსოვილის ნაჭერი შემოეხვიათ. სუნთქვის საშუალება რომ წაერთვა, ჯაფარყულიხანი მოკვდა! შემდეგ ალა-მაჰმად-ხანმა ჯაფარყულიხანს ახლობლებში ხმა დაუგდო, წვეულების დროს გულის შეტევა მოუვიდა და სული განუტევაო.

შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი ჩრდილოეთის ოლქებისკენ დაემართა, რათა საქართველოსა და თბილისის ხელისუფალთათვის ჭკუა ესწავლებინა. საქართველოს მმართველებმა, შეშინებულებმა, ეკატერინე დიდის კარზე მიიბრუნეს: „ეკატერინე-ჯან! გვიშველე, ალა-მაჰმად-ხანი ჩვენზე თავდასხმას აპირებსო“. ეს ეკატერინე ზომა-წონით ფოლადის აბჯარასხმულ ათ ჩვენებურ დედილოს უტოლდებოდა და ამასთან, ყველა რუსის მსგავსად გულში თბილ ზღვებზე გაჭრის სურვილი ჰქონდა ამოჭრილი. სულ იმაზე ოცნებობდა, ერთ დღეს ირანის თბილ წყლებში ბანაობა და მზის აბაზანების მიღება მოეხერხებინა.

როდესაც ეკატერინე და შეიტყო, ალა-მაჰმად-ხანი მდინარე არაქსზე გადავიდა და ყველაფერი გაანადგურაო, წამოიმართა, მკერდზე მუშტები დაიბრაგუნა და დასჭექა: „აი, კაცისმკვლელი! მიუქარავს, თქვენი დახოცვა რომ განუზრახავს. იცოდეს, მის დოღს საკუთარი ხელით ნაფლეთ-ნაფლეთ ვაქცევ... თქვენ წადით, მეც ახლავე უკან გამოვყვებითო.“

მაგრამ ალა-მაჰმად-ხანმა მისი ნათქვამი არად ჩააგდო და თავის ლაშქარს კვლავინდებურად მიერეკებოდა და მოსახლეობის თვალების თხრით წინ მიიწევდა. (ალა-მაჰმად-ხანს დიდი არტილერია ჰქონდა და ყველგან თან დაატარებდა. ამბობენ, ერთ დღეს რამდენიმე ზარბაზანი ყუმი-თეირანის გზაზე დაეკარგაო. ალა-მაჰმად-ხანმა დოღის წყალობით მაგრად დაახურა თავის ხალხს: „აი, თქვენ დაგაყარეთ თავზე უდაბნოს ცხელი მინა! ამხელა ზარბაზნების დაკარგვა როგორ მოახერხეთ... ახლავე წადით და მომიძებნეთო...“ მაგრამ რამდენიც არ ეძებეს, ზარბაზნების კვალსაც ვერ მიაგნეს.)

ამის მნახველმა ეკატერინე დიდმა მიზანშეწონილად ჩათვალა, ინფარქტი მოსვლოდა და გარდაცვლილიყო.¹¹ რუსის ჯარიც ღვთის განგებით სირბილ-სირბილით გაბრუნდა უკან, რათა ეკატერინეს ცხედრისათვის უკანასკნელი პატივი მიეგო. ალა-მაჰმად-ხანმა კიდევ რამდენიმე ქალაქი იგდო ხელთ, კიდევ საკმაოდ დათხარა თვალები და შუშის ციხე-სიმაგრეც დაიკავა.¹²

ამბობენ, ერთ საღამოს ალა-მაჰმად-ხანს ახალშემოსული საზამთრო, ქლიავი, კიტრი და სხვა მსგავსი რამე-რუმეები მიართვესო. ალა-მაჰმად-ხანს უბრძანებია: „ახლა დაკავებული გახლავართ, თანაც არც ჯანმრთელობა მინცობს

ხელს... ამის ჭამა ხვალისათვის გადავდოთ, უფრო მოცლილი რომ ვიქნებითო“.

მაგრამ ორმა მსუნამა კარისკაცმა ამ ხილის ნაწილი მოიპარა. ერთ კუთხეში ჩასხდნენ და მიირთვეს. ალა-მაჰმად-ხანმა მათი ამბავი რომ შეიტყო, ყველაფერი თავზე დაამხო: „ამ ღამეს, სანამ შეძლებთ, ახლო-მასლო ისეირნეთ და ცაზე ვარსკვლავები ითვალეთ, მაგრამ გაფრთხილებთ, ძალიან შორსაც ნუ წახვალთ, რადგან ხვალ დღლით თქვენს მოკვლას ვაპირებო.“

კარისკაცებმა იფიქრეს: „ეგ როგორ იქნება?! ჯობს დავასწროთ და ჩვენ თვითონ მოვკლათ, მერე ხომ ველარაფერს დაგვაკლებსო“.

ასე და ამგვარად, შუალამით შეიპარნენ ალა-მაჰმად-ხანის კარავში და სანამ იგი აზრზე მოვიდოდა, მისივე თავი მონწივით დაადეს მკერდზე. კაცმა რომ თქვას, ალა-მაჰმად-ხანი ბრმა როდი იყო, ასე თავისუფლად გაეშვა კარებს შორის სახეტილოდ, რომ მერე მოსულიყვნენ და ის თავი მოეჭრათ, რომელიც მას ასე ძალიან სჭირდებოდა.

ეს ისეთი საკითხია, რომელშიც, პირდაპირ გეტყვით, ჯერაც ვერ გავრკვეულვართ.

სპარსულიდან თარგმანა ნიკო ნახუცრივილია

1. ალამოჰამადხან ყაჯარი – ყიზილბაშური ყაჯართა სამეფო დინასტიის ფუძემდებელი, მეფობდა ირანში 1779 წლიდან, 1795 წლის 11 სექტემბერს ააოხრა თბილისი. მოკლეს 1797 წელს.

2. მოჰამადჰასანხან ყაჯარი – ალამოჰამადხანის მამა. ყაჯართა ერთ-ერთი ტომის ბელადი, რომელიც ებრძოდა ჯერ ნადერ-შაჰს, მერე კი ქერიმხან ზენდს. მოკლეს 1758 წელს.

3. ნადერ-შაჰი – მეფობდა ირანში 1736-1747 წწ. მისი მოკვლის შემდეგ ირანში ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის შინაომები დაიწყო.

4. ნადერ-შაჰის სარდალი, წარმოშობით ავღანელი. ნადერ-შაჰის სიკვდილის მერე განაგებდა სამხრეთ აზერბაიჯანს.

5. ქერიმხან ზენდი – ნადერ-შაჰის სიკვდილის მერე განაგებდა ფარსს. 1763 წ. გააერთიანა ირანი. გარდაიცვალა 1779 წ., რის მერეც მის კარზე მძევლად მყოფი ალამოჰამადხანი ერთვება ტახტისათვის ბრძოლაში და ამხობს ზენდიანთა დინასტიას.

6. ისტორიული წყაროების მიხედვით, ქერიმხანის კარზე დატყვევებული ალამოჰამადხანი ჯიბეში დანას ატარებდა და სასახლის ძვირფას ხალიჩებს ჭრიდა, რითაც გამოხატავდა საკუთარ ზიზღს ზენდიანთა მიმართ.

7. ეს ენის გასატეხი ფრაზაა. „ეგზოზი“ სპარსულში ინგლისურადანაა შესული და მანქანის მაცუქს ნიშნავს.

8. ზენდიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. გამეფდა 1789 წ. ალამოჰამადხანის მიერ შირაზის ალების შემდეგ გამაგრდა ქერმანში. 1794 წ. ლალატის შედეგად ქერმანი ალამოჰამადხანმა აიღო და ააოხრა, ლოთფალიხანი კი წამებით მოკლა.

9. ინგლისური bye-დან. სასაუბრო ენაში მისალმებისას გამოიყენება.

10. შაჰროხი 1748-1796 წწ. ნომინალურად მმართველობდა ხორასანში, 1749 წ. შეთქმულებისას დააბრმავეს, მერე კვლავ დასვეს ტახტზე. 1796 წ. ალამოჰამადხანმა ხორასანი დაიპყრო და ბრმა შაჰროხი წამებით მოკლა.

11. ეკატერინე დიდი 1796 წ. გარდაიცვალა და ამიერკავკასიაში გამოგზავნილი რუსის ჯარი გენერალ ზუბოვის მეთაურობით უკან გაბრუნდა.

12. შუშის ციხესიმაგრე 1797 წ. დაეცა. ალამოჰამადხანი სწორედ იქ მოკლეს შეთქმულების შედეგად.

უცხოური ნოველა

მთარგმნელისაგან:

თანამედროვე ირანელი ნოველისტი და ჟურნალისტი, აჰმად არაბლუ დაიბადა 1965 წ. თეირანში. დაამთავრა თეირანის უნივერსიტეტის სპარსული ლიტერატურის ფაკულტეტი.

წერა 1981 წლიდან დაიწყო. წლების მანძილზე მუშაობდა დანყებითი და საშუალო განათლების სამინისტროს საბავშვო-საყვანავილო ჟურნალ „რომდ“-ში და 21 წლის ასაკიდან რედაქტორობდა მის ერთ-ერთ სერიას – „რომდე ნოუჯავან“. „რომდ“-ში მოლვანეობის მანძილზე 400-ზე მეტი წერილი და მოთხრობა დაწერა. იმავდროულად იბეჭდებოდა სხვა ირანულ ჟურნალებშიც. ამჟამად ყოველთვიური საბავშვო ჟურნალის „სორუშე ქუდაქან“-ის მთავარი რედაქტორია.

აჰმად არაბლუ ძირითადად ბავშვებისა და მოზარდებისთვის წერს (სადღესოდ ეკუთვნის 70-მდე საბავშვო და საყვანავილო წიგნი და კრებულები), თუმცა მისი სატვირთულ-იუმორისტული ნოველები ისტორიულ თემებსა და პიროვნებებზე

უფროსი თაობის მკითხველისთვის უნდა იყოს განკუთვნილი. ამ ტიპის ნაწარმოებები აჰმად არაბლუმ ერთ წიგნად შეკრიბა და სათაურით „თარის აზ ინ ვარ“ („აქედან დანახული ისტორია“) მალე გამოქვეყნდება.

გამოცემული აქვს „მოლა ნასრედინის ამბების“ ორი ტომი, მომდევნო ორ ტომს კი უახლოეს მომავალში იხილავს მკითხველი. იგი ასევე მუშაობს „ირანელ ფალაგანთა ცხოვრების“ ათტომეულზე. მწერლის უკვე დაბეჭდილი კრებულებიდან, თუნდაც მხოლოდ მათი ორიგინალური სათაურების მიზეზით, ყურადღებას იპყრობენ „ჩემი გმირობის ზღაპრები“, „პოლკოვნიკის მეშვიდე ქორწინება“, „სპილო, რომელსაც ცხვირის დაცემინება ეწადა“, „მოარული ქანდაკება“...

„ჩვენი მწერლობის“ დღევანდელ ნომერში შემოთავაზებული თარგმანი შესრულებულია „თანამედროვე მწერლობის რჩეულის“ სერით (№25) გამოცემული კრებულიდან, რომელიც აჰმად არაბლუს შემოქმედებას დაეთმო.

მოზაიკა

ქართული ნოვა და ამერიკელი პატარაალი

გულგატეხილი, ხელმოცარული და ვალებში ჩავარდნილი ყოფილი გენერალი რუსეთის არმიისა შაქრო მდივანი 1922 წელს სტამბოლიდან პარიზს აპირებდა გამგზავრებას.

მომავალი კარგს არაფერს უქადადა. სამშობლოში აღარ დაედგომებოდა და ემიგრანტის მწარე ხვედრი ელოდა. ისიც გაგონილი ჰქონდა, რომ რუსი გენერლები და ოფიცრები პარიზში ტაქსის შოფრებად და რესტორნის შვეიცრებად მუშაობდნენ.

ცნობილი ქართველი მწერალი ნიკოლო მინიშვილი თავის წიგნში „ეპოპეა“ ასე აგვიჩვენებს სტამბოლში გაცნობილ ქართველ გენერალს:

„ის იყო მაღალი, ევროპულად გამონყობილი ახოვანი კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ხრიდა ნელში სამოცი წელიწადი და ის მწუხარება, რომელიც ავსებდა ამჟამად მის გულს და მის ოთახს ამ სასტუმროში. ის იდგა ჩემს წინ სწორი, ცისფერი თვალებით, თეთრთმიანი და ჰგავდა ინგლისელ დეპუტატს – კონსერვატორთა პარტიიდან. სწევდა პაპიროსს პაპიროსზე და განაგრძობდა:

– გესმის ქაჯან, რას ნიშნავს ეს, გესმის? მე ვიყავი იმპერატორის ახლობელი კაცი, „სვიტის“ ლენერალი. მე ვიყავი ცნობილი ნიჟეგოროდის პოლკის უფროსი; ვიყავი შეძლებული კაცი; მიყვარდა ცოლ-შვილი და არავინ არ მძულდა. ახლა არაფერიც აღარა ვარ. ცოლ-შვილი ჩემი უცხო მხარესაა გადავარდნილი და მე ჩავიარავებელი ვარ ამ ცხვირმოუხოცელი ბერძენის ხელში, რომლის ვალი ბორკილივით მიჭერს ამ სასტუმროში... გესმის, რას ნიშნავს ეს?! რა ვუყოთ, ასეთია ცხოვრება. ზოგი ჩვენი ბრალია, ზოგიც კიდევ სხვისია... შენ ახალგაზრდა ხარ. ბევრს ნახავ კიდევ. ბევრი გაჭირვებისა და სიხარულის მომსწრე შეიქნები, მაგრამ ერთი რამ არ დაივინყო – არ გაგაკვირვოს არაფერმა: არც სახელმა, არც სიმდიდრემ, არც სიღატაკემ და ნურც ადამიანთა უმადურობამ“.

რას წარმოიდგენდა ხანდაზმული ემიგრანტი, თუ ათიოდე წლის შემდეგ სწორედ პარიზში გაიმართებოდა მისი ვაჟის – ალექსი მდივნის ზღაპრული ქორწილი ამერიკელი მილიონერის მომხიბლავ ასულთან. პატარძალს ერქვა ბარბარა ჰატონი და მას თავდავინწყებით უყვარდა ცისფერთვალა ქართველი

ლი „პრინცი“ (ფრანგულად „პრინცი“ თავადსაც ნიშნავს). უყვარდა მშობლების სურვილის წინააღმდეგ და უყოყმანოდ მიჰყვებოდა ცოლად.

იდგა 1933 წლის ზაფხული.

ბარბარა ჰატონი გულდასმით ამზადებდა თავის მზითველს. დააცარიელა პარიზის მოდური მაღაზიები. მისი ხელგაშლილობა ყოველგვარ წარმოსადგენ ზღვარს აღემატებოდა და ამერიკული პრესა ამას უყურადღებოდ როგორ დატოვებდა!

ნიუ-იორკის გაზეთი „დეილი ნიუს“ ბეჭდავს გესლიან თავდასხმას „ვითომდა პრინცესაზე“; ჯერ ულოცავენ მომავალ ქორწინებას, მერე კი ანგარიშობენ, რამდენ მილიონ ამერიკულ ცენტსა და დოლარს ხარჯავს საპატარძლო; ბეჯითად ანგარიშობენ, თუ როგორ უანგარიშოდ ხარჯავს ამერიკულ ღარიბთაგან აკრეფილ ფულს, რათა გამართოს არნახული ქორწინება უცხოელთან, ვისი სახელიც ჩვენს მეხსიერებაში ვერ ჩაბეჭდილაო.

„უცხოელი“ ქმრის არჩევანს უწუნებდნენ!

ბარბარამ სასწრაფოდ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ფართოდ გავრცელდა მსოფლიო პრესაში: „მე ცოლად მივყვები პიროვნებას და არა – ქვეყანას. ალექსი არის კეთილი და ალერსიანი. ის ყურს უგდებს ჩემს ტკივილებსა და პრობლემებს. როცა ვცდილობ ავეხსნა ყოველი ჩემი ფიქრი და შიში, მას არ ბეზრდება ეს, როგორც სხვებს სჩვევიათ. ის არ წაუყრუებს ჩემს ნაღველსა თუ სევდას და უბრალოდ მეუბნება: ადამიანს, ვისაც ამდენი ფული აქვს შენსავით, ამქვეყნად არაფერი არ უნდა აწუხებდეს“.

ქორწინების სამოქალაქო ცერემონია ჩატარდა 1933 წლის 20 ივნისს პასის რაიონის მე-16 განყოფილებაში. ორას რეპორტიორსა და ოც ფოტოგრაფს გადაეტანა პრესის სექცია. პოლიციის კორდონი ძლივს აკავებდა ცნობისმოყვარე მაყურებელთა აყაყანებულ მასას.

ალექსის მეჯვარენი იყვნენ ცნობილი ესპანელი მხატვარი ხოსე მარია სერტი და საქართველოს დიპლომატიური მისიის თავკაცი აკაკი ჩხენკელი.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პარიზის მერის მოადგილემ დანიელ მარანმა. მან ხოტბა შეასხა „პრინცესა და

პრინცივსა და გამოთქვა თავისი კმაყოფილება იმით, რომ მათ სწორედ პარიზი აირჩიეს თავიანთი ქორწინების ადგილად. მერის მოადგილემ უსურვა ნეფე-პატარძალს ბედნიერება, სიხარული და გამრავლება.

ორი დღის შემდეგ წმ. ალექსანდრე ნეველის რუსულ საკათედრო ტაძარში გაიმართა ჯვრისწერა.

როგორც წერდნენ, კათედრალის გარეთ თავმოყრილი ბრბოს დანახვაზე გეგონებოდა, რომ მთელმა პარიზმა შევბუღება აიღო.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავდა, რომ ეკლესია გაეგვსო 800 მოწვეულ სტუმარს, ხოლო ქუჩაში 8 ათასი დაუპატიჟებელი სტუმარი მთელი ორი საათი ებრძოდა ჟანდარმებს ეკლესიის შესასვლელთან ადგილის მოსაპოვებლად. მრავალ მათგანს ცნობისმოყვარეობა აიძულებდა ჩვეული ზრდილობის დაიწყებას, ხელს ჰკრავდნენ ერთმანეთს და მუჯღუფუნით იკვლევდნენ გზას წინა რიგებში მოსახვედრად.

როდესაც ამერიკელი პატარძალი მობრძანდა ლიმუზინით, ჯიკაობისა და ნივილ-კივილის ახალი ტალღა აზვირთდა. ნეფე-პატარძალს წითელი ხალიჩა გაუფინეს ეკლესიის ეზოში. ინტერიერი ეკლესიისა და ფარული იყო ქრიზანტემებითა და შროშნებით, რომლებიც კედლის გასწვრივ ყვითლად და თეთრად გაფანტულიყვნენ, ფონს კი ამშვენებდა ზურმუხტისფერი პალმების მოგრძო რტოები. საკურთხეველი გაჩახჩახებულ იყო ათასი თეთრი სანთლით – მაღალ ბრინჯაოს კანდელებში.

ალექსი გაუძღვა პატარძალს საკურთხეველისკენ. ოცდაათკაციანი ქორო გალობდა საქორწინო ჰიმნს. ეკლესიის დარაჯი პატარძლის სამმეტრიან შლიეფს მიაგოგმანებდა. წვეროსანი მღვდელმთავარი ოქრომკედით შემკულ სამოსელში, გარშემორტყმული ხუთი მღვდლით, ატარებდა რიტულს რუსულ ენაზე.

ნეფე-პატარძალმა, მღვდელმთავრის წინამძღოლობით, ორჯერ შემოუარა საკურთხეველს. სერთუკებსა და ზოლიან შარვლებში გამონყობილ შაფერებს ხელში ეჭირათ მდიდრულად მოოჭვილი გვირგვინები, ნეფე-პატარძლისათვის თოვზე დასადგმელად.

ალექსიმ და ბარბარამ ორნამენტებით მორთული თასიდან შესვეს ნაკურთხი ღვინო, მერე თავიანთ სცეს ხატებს, გაცვალეს ბექდები, დაიჩოქეს საკურთხეველის წინ, შეისუნთქეს სურნელი მირონისა და ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს.

რიტუალი დამთავრდა იმით, რომ დიაკვნებმა იატაკზე გაშალეს საცერემონიო ვარდისფერი ხალიჩა და უკან დაიხიეს. ძველი რუსული ტრადიციის თანახმად, ის, ვინც პირველი დაადგამდა ფეხს ხალიჩაზე, მეუღლეს გაუბატონდებოდა. ალექსი თავისი ჩვეული ემხით წინ დაიდრა, მაგრამ ბარბარამ წამებით დაასწრო და მისი პანია ფეხი ხალიჩას ალექსიზე ადრე შეეხო.

პოლიცია ამაოდ ცდილობდა გაენმინდა ქუჩა ცნობისმოყვარეთაგან, რომელთაც სწყუროდათ ერთხელ მაინც მოეკრათ თვალი პატარძლისათვის. ნეფე-პატარძალს ოცი წუთი დასჭირდა ლიმუზინამდე მისაღწევად. ბრბო ხმამაღალი შეძახილებით ესალმებოდა მათ და ბარბარა პასუხად ხელს უქნევდა.

ოფიციალური საუზმე გაიმართა „რიტცის“ ოტელში.

საქორწინო საჩუქართა წარმოდგენელმა სიმრავლემ აიძულა ბარბარა, მთელი ამაღა დაექირავებინა მათი დაღაგებისათვის. იყო უამრავი ბრილიანტისა და ლალის საყურეები, ბრილიანტის ბრასლეტები, ოქროს ნივთები, ვერცხლის სერვიზები და ა.შ. ფრანკლინ ჰატონმა თავის ასულს აჩუქა ძვირადღირებული ნეფრიტის ყელსაბამი, ხოლო ქართველ სიძეს – მძლავრმოტორიანი კატერი 20 მეტრის სიგრძისა.

პატარძალმა ნეფეს აჩუქა მთელი წყება არგენტინული პოლოს ცხენებისა (ალექსი ყრმობიდანვე იყო გატაცებული პოლოთი ანუ ცხენბურთით). ალექსიმ მიუძღვნა ბარბარას მარგალიტის ძეწკვი და ნეფრიტის ყელსაბამი, რომელშიც გადაიხადა 40 ათასი დოლარი, ბარბარასგან რომ „ისესხა“.

უმდიდრეს პატარძალს თაფლიან კასრში ჩაუსხეს არაერთი კოვზი კუპრისა. ერთი ამერიკული გავითი სძრახავდა, რომ მან 100 ათასი დოლარი დახარჯა უაზრო რიტუალური ქორწინების გადასახდელად. ბოსტონის გავითში კი ჰენრი კებოტ ლოჯი (სენატორი მასაჩუსეტისის შტატიდან, მომავალში – აშშ მუდმივი წარმომადგენელი გაეროში) წერდა: „ყოველი ღორის ხორცის მენარმის ასული ცდილობს ევროპული ტიტულის ყიდვას, რადგანაც ეს მის, რომ ტიტულს ისეთივე ფასი აქვს, როგორც ფაბრიკის დამღას“.

... მატარებელი მიაქროლებდა ნეფე-პატარძალს კომოს ტბისკენ. ეს იყო პირველი პუნქტი თაფლობის თვისა. როცა ბარბარა იცვამდა აბრეშუმის ღამის პერანგს, ალექსიმ სწორედ მაშინ წამოროშა ფრაზა, შემდგომში რომ ნანობდა: „ბარბარა, შენ ძალიან მსუქანი ხარ!“

პატარძალი სიმაღლით იყო 162 სმ, წონით – 67 კგ. წერენ, ფუნჩულა ეთქმოდაო. გადასარევი ტან-ფეხი ჰქონია და მომხიბლავი პირისახე, ხოლო ბიუსტი – ზომიერ დიდი. რუბენისის ტიპს მიახლოებდნენ.

ალექსის სიყვარულით შეპყრობილმა ბარბარამ სასტიკ დიეტას მიჰყო ხელი და სამი კვირის განმავლობაში წარბმეუხრელად იცავდა: დღეში სამი ფინჯანი ყავა და მეტი არაფერი! სამი კვირაში 10 კილო დაიკლო და კინაღამ სული განუტევა.

ერთი წელი იყო გასული ქორწინებიდან, როდესაც ბარბარამ თავის მეგობარს გულახდილად გაანდო: „არ ველოდი, რომ პოლო ქმარს წამართმევდა. ალბათ სჯობდა, პოლოს ცხენად დავბადებუდიყავი“.

1934 წლის ოქტომბერში ბარბარამ მდივნის გვართი გამოაქვეყნა თავისი ლექსების ასგვერდიანი კრებული, ოთხმოცამდე ლექსს რომ შეიცავდა.

აი, ნაწყვეტი ერთი ლექსიდან, რომელსაც ეწოდება „მოლოდინი“:

**უნდა ვიმღერო სიმღერა ექსტაზისა, ამას ელიან ჩემგან.
უნდა ვიცინო, რომ აგავსოთ ღვინით, ამას ელიან ჩემგან.
ათასი ლაღობით უნდა გაგართოთ, ამას ელიან ჩემგან. კეთილი, ეშმაკმა წაგიღოთ თქვენცა და თქვენი მოლოდინიც,
და ყველაფერი, რასაც მიიღებთ ჩემგან – არის გოდება.**

1935 წელს ალექსი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ბარბარამ ალექსის შემდეგ ექვსი ქმარი გამოიცვალა.



ალექსი მდივანი და ბარბარა ჰატონი

ქრთამი ჯოჯოხეთის
ანათეხსო

როდესაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ესპანეთმა მყისვე გამოაცხადა ნეიტრალიტეტი და ბეჯითად იცავდა მას.

უინსტონ ჩერჩილის სიტყვით, ფრანკოს, ამ გონება-შეზღუდულ ტირანს, ანუხებდა მხოლოდ ის, რომ რამენაირად აეცდინა თავიდან ესპანეთის მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში, ხოლო მადლიერების გრძნობა ჰიტლერისა და მუსოლინის მიმართ, სამოქალაქო ომში განუყოფელი დახმარებისათვის, ვერ გადასწონიდა ფხიზელ ანგარიშს.

ფრანკოს თითოც არ გაუძირვია ჰიტლერული გერმანიის შესანევნად, თუკი არ ჩავთვლით მოხალისეთა ერთი დივიზიის წარგზავნას აღმოსავლეთის ფრონტზე.

1941 წლის თებერვალში ჰიტლერმა წერილობით მოუწოდა ფრანკოს, დაუყოვნებლივ აისხი იარაღი, როგორც ესპანელ რაინდს შეეფერება. „ჩვენი ბრძოლა განსაზღვრავს ესპანეთის ბედსაც“, – არწმუნებდა ფიურერი კაუდილოს.

მაგრამ ფრანკომ, მართალია, გამოთქვა თავისი ურყევი ერთგულება ჰიტლერისადმი, მაგრამ კვლავ ეკონომიკური სიძნელეები მოიმიზეზა, საომრად მზად არა ვართო.

ამერიკელი ჟურნალისტი უილიამ შირერი თავის წიგნში „აღზვევა და დაცემა მესამე რაიხისა“ იმონებებს დოკუმენტებს, საიდანაც ჩანს, რომ გულმოსული ჰიტლერი ესპანეთისათვის ომის გამოცხადებასაც კი აპირებდა – გიბრალტარსა და კანარის კუნძულებს ავიღებ და ხმელთაშუა ზღვას დავეპატრონებო, მაგრამ ფიურერი დაარწმუნეს, რომ საბჭოთა კავშირზე უკვე დაგეგმილი თავდასხმის პირობებში ომი სამ ფრონტზე, უდავოდ, დამღუპველი იქნებოდა.

1941 წლის ზაფხულში ჰიტლერი სწერდა მუსოლინის: „მთელი ამ ესპანური ლაქლაქის აზრი ისაა, რომ გათახსირებული ფრანკო ომს არ დაიწყებს. იგი დადგება რომელიმე მხარეზე მხოლოდ მაშინ, როცა მისთვის ნათელი გახდება, თუ ვინ იმარჯვებს“.

1943 წელს ნათელი შეიქნა, რომ მესამე რაიხი განწირული იყო და ფრანკომ კიდევ ერთხელ გამოაცხადა, რომ ესპანეთს უჭირავს „კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტი“.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ესპანეთში პოულობდნენ თავშესაფარს და მერე ინგლისელთა მომხრე პორ-

ტუგალიაში გადადიოდნენ საფრანგეთიდან გამოქცეული ევროპელი ებრაელები თუ ანტიფაშისტები. ესპანეთს არც ერთი მათგანი არ

გადაუცია თავისი ნომინალური მოკავშირის – გერმანიისათვის.

ისტორიკოსები ფრანკოს ამგვარ პოზიციას ხსნიდნენ იმით, რომ თუმცა იგი ფაშისტის იყო, მაგრამ საკმარისად უჭრიდა ჭკუა და მშვენივრად ესმოდა, რომ გერმანია ვერ გაუმკლავდებოდა ესოდენ მძლავრ კოალიციას (დიდი ბრიტანეთი – სსრკ – აშშ).

ჩერჩილი ომის შემდეგ აღნიშნავდა: „ამჟამად მოდაშია ლაპარაკი გენერალ ფრანკოს მანკიერებებზე და ამიტომაც მოხარული ვარ, რომ აქ დავიმოწმო საბუთები მისი ორპირობისა და უმადურობისა ჰიტლერ-მუსოლინისადმი“.

მაგრამ დღეს ირკვევა, რომ „ორპირობას და უმადურობას“, როგორც იტყვიან, ფულის სუნი ასდის!

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დევიდ სტაფორდმა მიაგნო დოკუმენტებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გერმანიის მხარეზე ესპანეთის ომში ჩაბმის თავიდან ასაცდენად ჩერჩილს წინასწარ მიუღია ზომები. 1940 წელს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა შევიცარიის ბანკის ნიუ-იორკის განყოფილებაში გახსნა საიდუმლო ანგარიში ორნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. სწორედ ამ თანხიდან, მადრიდში მყოფი ბრიტანეთის სამხედრო ატაშეს მეშვეობით, ფრანკოს გენერლებსა და პოლიტიკურ მრჩეველთ მსხვილ-მსხვილ ქრთამებს უხდიდნენ. ისინი კი ფრანკოს ანტიგერმანულ განწყობილებას აღვივებდნენ. დაბეჯითებით ჩასჩიჩინებდნენ, ჰიტლერის მოკავშირეობა ესპანეთს ხეირს არ დააყრისო.

ფრანკოს უახლოესმა მრჩეველმა, ლიდერმა ფრანკისტული პარტიისა („ფალანგა“ რომ ერქვა) მიგელ პრიმო დე რივერამ, ესპანეთის განსვენებული დიქტატორის უმცროსმა ვაჟმა, ჩერჩილის საიდუმლო ფონდიდან მიიღო ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი!

პროფესორ სტაფორდის აღმოჩენა სენსაციად იქცა.

მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ცნობილმა სპეციალისტმა ენდრიუ რობერტსმა სტაფორდის აღმოჩენას უწოდა „ამოხსნა გამოცანისა, რომლის მისახვედრად ჩვენ უშედეგოდ ვიმტვრევდით თავს ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში“.

25 მარტს რუსთავის სახელმწიფო თეატრში გაიმართა პრემიერა პიესისა „ვინ არის?“, რომლის ავტორიც – სცენარისტიც და რეჟისორიც – კობა ცხაკაიაა. მასვე ეკუთვნის მუსიკალური გაფორმება. მხატვარი ლომგულ მურუსიძე, ტექნიკური რეჟისორი ლეილა ჯელაძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ – საქართველოს დამსახურებული არტისტი კუკური ბექაია და მსახიობები: ნუკრი არჩვაძე, ვერიკო მაჭარაშვილი, სპარტაკ კიკნაძე, ზურა ჯინჭარაძე,

სოსო ელიზბარაშვილი, მალხაზ ბეშიძე, ხათუნა ბოკუჩავა.

ჟანრობრივად პიესა ტრაგიკომედიაა. შექმნილია ვასილი შუკშინის პიესის – „ენერგიული ადამიანები“ – მოტივებზე. სხვათა შორის, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში შუკშინის ეს პიესა ქართულადაც განხორციელდა: ტელესპექტაკლადაც და თეატრის სცენაზეც.

სპექტაკლში წარმოსახულნი არიან დაკნინებული მორალის ადამიანები, რომლებიც დიდ იდეალებს არიან ამოფარებულნი.